

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXII**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXII**



**კულტურის ისტორიისა  
და თეორიის საკითხები**

**ეპრაული კრებული**

**XXXII**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**JEWISH COLLECTION**

**XXXII**

Tbilisi - 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

# კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

ეპრაული კრებული

XXXII



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**მთავარი რედაქტორი** – საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის ნ. კ.  
პროფ. გ უ რ ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

**ტომის რედაქტორი** – თსუ პროფესორი, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
მ ა რ ი კ ა მ შ ვ ი ლ დ ა ძ ე

**სარედაქციო კოლეგია:** გ. ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი)  
გ. ბათიაშვილი, მ. ბუცხრიკიძე, ე. გეგეშიძე,  
ნ. გელაშვილი, მ. დათუკიშვილი, რ. დოლიძე,  
ზ. კვიციანი, ქ. ლორთქიფანიძე, მ. მშვილდა-  
ძე (ტომის რედაქტორი), ი. ოფირი (ისრაელი),  
გ. პაატაშვილი, მ. რუსიემშვილი-კარტლევჯი,  
მ. ჩაჩიბაია, დ. ყოლბაია (პოლონეთი), გ. ყუ-  
ფარაძე.

**Editor-in-Chief** – G u r a m L o r t k i p a n i d z e, Correspondent  
Member of the Georgian National Academy of  
Sciences, Professor

**Volume Editor** – M a r i k a M s h v i l d a d z e, Doctor of Historical  
Sciences, Professor

**Editorial Board:** G. Lortkipanidze (Editor-in-Chief), G. Batiashvili, M. Buskhri-  
kidze, M. Chachibaia, E. Gegeshidze, E N. Gelashvili, M. Da-  
tukishvili, R. Dolidze, D. Kolbaia (Poland), Z. Kvitsiani, G. Ku-  
paradze, K. Lortkipanidze, M. Mshvildadze (Volume Editor),  
I. Offir (Israel), G. Paatashvili, M. Rusieshvili-Cartlege.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2018

© თსუ ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტი  
TSU Classroom of Jewish Culture and Judaica



יגורא יראל תיודויה תואכסיה  
jewish Agency for Israel

# შინაარსი

## Contentst

პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე 80 წლისაა .....9

**დ-რი გერშონ ბენ-ორენი (ისრაელი)**

საქართველოს ებრაელობა ისრაელში (ზოგადი შტრიხები) ..... 144

**Gershon Ben-Oren (Israel)**

Georgian Jews in Israel (principal foundations) ..... 27

**მარიაკა მშვილდაძე**

პილატე პონტოელი .....28

**Marika Mshvildadze**

Pontius Pilate ..... 38

**მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე**

იუდაიზმი და საქართველო .....40

**Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze**

Judaism and Georgia .....44

**ეკა ხატიაშვილი**

საქართველოს არქივებში დაცული ებრაულენოვანი

რელიგიური დოკუმენტები .....45

**Eka Khatiashvili**

Religious Hebrew Documents Preserved in the Archives of

Georgia ..... 52

**ინგა ზაბახიძე**

გოლდა მეირისა და იორდანის მეფე აბდალაჰის საიდუმლო

მოლაპარაკებები ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინ .....62

**Inga Zabakhidze**

Secret negotiations of Golda Meir and King of Jordan Abdullah

before establishment of the state of Israel ..... 65

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

ფერეიდანის XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესასა და  
ისტორიოგრაფიაში ..... 66

**Avtandil Nikoleishvili**

Fereydan in Georgian press and historiography in XIX – XX centuries .... 86

**უჩა ოქროპირიძე**

კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ ..... 88

**Ucha Okropiridze**

Once again about the problem of the „Turkish Meskhetians“ ..... 103

**ხათუნა თუმანიშვილი**

არაბული სოციუმი და ქალის სტატუსი (არაბული ანდაზების  
კორპუსზე დაყრდნობით)..... 104

**Khatuna Tumanishvili**

Arabic Society and Woman's Status (Based on analysis  
of Arabic proverbs)..... 116

**ელენე გეგეშიძე**

ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის  
ფუნდამენტური კვლევა და სამომავლო პერსპექტივები..... 117

**Elene Gegeshidze**

Fundamental Research and Future Perspectives of Georgian-Jewish  
culture internationalization..... 127

**ელენე გეგეშიძე, ომარ ძაგნიძე**

საგანმანათლებლო ვითარების შესახებ XVIII-XIX საუკუნეების  
საქართველოში ..... 129

**Elene Gegeshidze, Omar Dzagnidze**

Situation in Education Sphere in Georgia of Eighteenth-Nineteenth  
Centuries..... 144

**ომარ ძაგნიძე**

სავლე წერეთლის ფრონტული წერილი  
ლევან გოკიელისადმი – 16/XI 44 წ. .... 148

**Omar Dzagnidze**

Savle Tsereteli’s Letter to Levan Gokieli from the Front

Line – 16.09.1944 ..... 162

**ბახსენება**

**მერაბ კალანდაძე**

ისტორიკოსი გურანდა ჭოხონელიძე-იოსელიანი (1938-2206)..... 164

**Merab Kalandadze**

Historian Guranda Chokhonelidze-Joseliani (1938-2006)..... 170

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

ქართული კინოს ცოცხალი ლეგენდა ..... 172

**Натела Натлиашвили-Квиникадзе**

Живая легенда грузинского кино ..... 183

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

„გენიალური არტისტების უკანასკნელი მოჰიკანი“  
რამაზ ჩხიკვაძე 90..... 187

**Натела Натлиашвили-Квиникадзе**

«Последний могиқан» поколения гениальных артистов

Рамаз Чхиквадзе – 90..... 196

**ნატია ცეცხლაძე**

ოთარ სეფიაშვილი - „მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“ ..... 199

**Khatia Tsetskhladze**

Book summary “the light-shade of loneliness” .....204

**ახალი ნიშნი**

**გურამ პაატაშვილი**

აზრთა კრებულის - „მაესტროს აზრთა სამყარო“ .....206

**Guram Paatashvili**

The World of Maestro’s Ideas.....248





## პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე 80 წლისაა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორს გურამ ლორთქიფანიძეს 80 წელი შეუსრულდა. ის დაიბადა აჭარაში, ქალაქ ბათუმში 1938 წლის 14 სექტემბერს. სწავლობდა ბათუმის 1 საშუალო სკოლაში, რომელიც გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით და ეროვნული ტრადიციების პატივისცემის სულისკვეთებით. სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლდათ ლიტერატურული საღამოები, სპორტული შეჯიბრებები და სამეცნიერო ექსკურსიები – ისტორიული ძეგლების გაცნობა. დიდი ყურადღება ექცეოდა ღია გაკვეთილების ჩატარებას ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ყველაფერმა ამან განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე არქეოლოგიის სპეციალობით. აქ მისი პედაგოგები იყვნენ აკად. ა.ვ. არციხოვსკი, აკად. ბ.ა. რიბაკოვი, აკად. ს.ვ. კისელიოვი, აკად. დ.გ. იანინი, პროფ. ვ.დ. ბლავატსკი, პროფ. ბ.ნ. გრაკოვი, პროფ. დ.ა. ავდუსინი, დოქტ. კ.ვ. გოლენკო და სხვ. მათი ხელმძღვანელობით ის დაეუფლა არქეოლოგიისა და ზოგადად ანტიკური ნუმიზმატიკის საფუძვლებს. როგორც აღნიშნულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (იხ. 60 лет кафедре археологии МГУ им. М.В.Ломоносова, Москва, 1999, გვ. 262), ის 22-ე გამოშვების არქეოლოგი დიპლომანტი გახლდათ. გ. ლორთქიფანიძე მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი სტუდენტ არქეოლოგთა საკავშირო სამეცნიერო კრებულში, სადაც გამოქვეყნდა თსუ-ის სტუდენტების როინ მეტრეველისა და ზურაბ ჟვანიას სტატიები. მონაწილეობა მიიღო სიმფეროპოლის, დოლუზლავის, აგრეთვე საქართველოში წოვის, ბიჭვინთის, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რამაც განაპირობა მისი შემდგომი სამეცნიერო ინტერესები.

1961 წლის დეკემბერში აკად. ნ. ბერძენიშვილის ბრძანებითა და პროფ. ნ. სტურუას წარდგინების საფუძველზე ის უკონკურსოდ დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე.

საინტერესო მოგონებები აქვს გ. ლორთქიფანიძის სტუდენტური წლების შესახებ აკად. გ. ჩიტაიას (იხ. „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“, თბ., 1991, გვ. 84), ის აღნიშნავს, რომ 1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა ორიენტალისტთა მსოფლიო კონგრესი, სადაც განსაკუთრებული სტატუსით იყო წარმოდგენილი ქართული ეთნოგრაფიული სკოლა თავისი სტუდენტებით, წიგნების გამოფენით და ხალხური სიმღერების ჩანანერებით. გამოფენის მონყობაში ქართველი მოსკოველი სტუდენტები გვეხმარებოდნენ, „განსაკუთრებით მეხმარებოდა გ. ლორთქიფანიძე“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აკად. გ. ჩუბინაშვილის წიგნი „ქართული ჭედურობა“, რომლის კრიტიკა ქართული ჭედური ხატების პუბლიკაციების გამო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, გაზეთ „პრავდაში“ და სხვ. მკაცრად გაისმა. კონგრესის გახსნას დაესწრნენ მაშინდელი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.ი. მიქოიანი და პოლიდბიუროს სხვა წევრები. მათი ყურადღება ფოიეში მონყობილმა ქართულმა ეთნოგრაფიულმა კუთხემ, წიგნების გამოფენამ და ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა მიიპყრო. ა. მიქოიანმა დიდხანს ათვალიერა დიდი ინტერესით გ. ჩუბინაშვილის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემული წიგნი... „სტუდენტი გ. ლორთქიფანიძეს უთქვამს ამ წიგნს აკრიტიკებენო“. ა. მიქოიანს უთქვამს – „კრიტიკა ჩაივლის, კარგი წიგნი კი დარჩებაო“. აკად. გ. ჩიტაიას დასკვნით, სტუდენტი „ძალზე კარგია და როგორ გაბედა სტუდენტმა ლორთქიფანიძემ ასეთი გაბედული ნაბიჯი იმ დროს. ეტყობა თამამიც იყო და კარგადაც გამოუვიდა“. „მოდის თაობა უფრო თამამი, უფრო გაბედული და ღირსეული, ამინ“. ასე შეაფასა დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკად. გიორგი ჩიტაიამ 60-იანელთა თაობის მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე ჩარიცხა ხევის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში და პირველი ხელფასი მისცა.

ამრიგად, გ. ლორთქიფანიძე, რომელსაც ტოვებენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლო-

გიის კათედრაზე ასპირანტურაში მოსამზადებლად, საქართველოში დაბრუნდა. 1965 წელს, პროფ. ვ.დ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთი ძვ.წ. II-III სს.“, რის საფუძველზე გადაყვანილ იქნა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1970 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოაქვეყნა მისი პირველი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის ისტორიისათვის“, რომლის სამეცნიერო რედაქტორი გახლდათ აკად. გ. მელიქიშვილი. ნიგნი, რომელშიც გაანალიზებული იყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლოესი აღმოჩენები, მიეძღვნა ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარიას ხსოვნას. 1978 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა მისი სადოქტორო დისერტაცია „კოლხეთი ძვ.წ. VI-II სს.“ აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის დ. ხახუტაიშვილის რედაქტორობით, რომელზედაც დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა რუსეთსა და უკრაინაში. აღსანიშნავია, რომ ამ მონოგრაფიამ 1978 წელს საქართველოს აკადემიის პრემია მიიღო.

1977 წლიდან გურამ პორთქიფანიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ საქართველოს ისტორიის, შემდეგ კი არქეოლოგიის კათედრის პროფესორია. აქტიურად მონაწილეობს მთელი რიგი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში (ვანი – დაფნარი, ჭალადიდი, მცხეთა). მოხსენებებით გამოდის საერთაშორისო კონფერენციებზე ინგლისში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. 1974-2000 წწ. აკად. ა. აფაქიძის დავალებით გ. ლორთქიფანიძე სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდი ტრადიციების მქონე აფხაზეთის – ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, სადაც მისი ძალისხმევით აიგო თსუ სასწავლო ბაზა. აქ ქართველ და აფხაზ სტუდენტებთან ერთად სავსე პრაქტიკას გადიოდნენ გერმანიის, კერძოდ იენის უნივერსიტეტის სტუდენტები პროფ. ანი გრეტ ლუნინგ. პლონკტეს ხელმძღვანელობით. 1979 წელს მან, აკად. რ. გორდეზიანის სამეცნიერო რედაქტორობით, გამოსცა მონოგრაფია „ბიჭვინთის ნაქალაქარი“, რომელშიც ახლებურად იქნა გაშუქებული ამ უძველესი ნაქალაქარისა და დასავლეთ საქართველოს დიდი საეკლესიო ცენტრის, რომაული კასტელუმისა და მისი კანაბეს სამოქალაქო დასახლების ისტორია. 1985-2005 წწ. გ. ლორთქიფანიძე იყო თსუ-ის უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი. მისი

ინიციატივით თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა „კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა. „ამით, როგორც ამას აღნიშნავს რ. გორდეზიანი, მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას“ (იხ. კრ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2010, გვ.15). თავის ახალგაზრდა თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად შექმნა ორიგინალური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები „ქართული კულტურის ისტორიასა“ (რედ. აკად. ვ. ბერიძე) და „კულტუროლოგიაში“ (რედ. პროფ. ლ. გორდეზიანი), რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სპეციალისტების რამდენიმე თაობა აღზარდა. დაწყებულია მუშაობა პროფ. ნ. ჩიქოვანთან ერთად „ქართული კულტურის სიტორიის“ ახალ გამოცემაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1994 წელს გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იუნესკოს დაფინანსებით. 1995 წელს აღნიშნულმა სახელმძღვანელომ საუნივერსიტეტო პრემია მიიღო. თსუ-ის გამომცემლობამ დაბეჭდა გ. ლორთქიფანიძის დამხმარე სახელმძღვანელო გ. გერაძესთან ერთად თანაავტორობით „კულტუროლოგია ყმანვილთათვის“ სამი ნაწილი, თბ., 2010, 2011, 1017 (ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი), რომლებიც პოპულარობით სარგებლობს სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

გ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 12 მონოგრაფია და 250 სამეცნიერო წერილი საქართველოში თუ საზღვარგარეთ. იგი ავტორია ნარკვევისა „ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეს“ სამ ნომერში დაიბეჭდა 2014-2015 წწ. გ. ლორთქიფანიძე აღნიშნული სამეცნიერო პერიოდიკის (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერიის) სარედაქციო კოლეგიის წევრია. გარდა ამისა, ის არის საქართველოში გამომავალი არქეოლოგიური ჟურნალების და პოლონური ქართველოლოგიური ჟურნალის „პრო-გეორგიას“ რედკოლეგიის წევრი, ოდესის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და იუდაიკის მასწავლებელთა მოსკოვის საერთაშორისო საზოგადოების „სეფერი“ აკადემიური საბჭოს წევრი.

1987-88 წწ. გ. ლორთქიფანიძე ხანგრძლივი ვადით ვულბრატის ფონდით იმყოფებოდა აშშ-ის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1990 წელს მაის-ივნისში სლოვაკია-

ში, კარდელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

გ. ლორთქიფანიძე დღემდე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორად და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელად, კითხულობს ლექციების კურსს ანტიკურ და ბიბლიურ არქეოლოგიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს – ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტში. მისი აღზრდილია მთელი პლეადა მეცნიერებისა (პროფ. ზ. კვიციანი, კულტუროლოგიაში – პროფ. ს. ნონეშვილი, დოქტ. ი. ოფირი (ისრაელი), პროფ. მ. მშვილდაძე, პროფ. დ. ლომიტაშვილი, პროფ. ე. ავალიანი, დოქტ. მ. დათუკიშვილი და სხვები), რომლებიც წარმატებით იღწვიან ქართული არქეოლოგიისა და არქეოგრაფიის სასიკეთოდ.

ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად გ. ლორთქიფანიძე ითვლება თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ერთ-ერთ დამფუძნებლად. აქტიურად მონაწილეობს ებრაული დიასპორის ამსახველი უცნობი საარქივო მასალების გამოვლენასა და გამოქვეყნებაში. იგი არის იუდაიკის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის – „სეფერის“ – დამაარსებელთაგანი და აკადემიური საბჭოს წევრი.

გ. ლორთქიფანიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის და მ. ლერმონტოვის მედლებით.

*სარედაქციო კოლეგია*

**საქართველოს ებრაელობა ისრაელში  
(ზოგადი შტრიხები)**

**1. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ისრაელში მცხოვრები  
საქართველოს ებრაელობა ქართულ დიასპორად?**

თემა, რომელსაც ქართულ ებრაელობას ვუნოდებთ სამჯერ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი ისტორიის მანძილზე. პირველად – როცა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ტყვედ წაიყვანა ისრაელიდან (ძვ.წ. 586), მეორედ – როცა სპარსეთის მეფე ქორემის (კიროსის) მიერ ბაბილონის დაპყრობის შემდეგ ტყვეებს ნება დაერთოთ დაეტოვებინათ ბაბილონი და იქიდან წასული ებრაელობის ნაწილი ისრაელს დაუბრუნდა, ნაწილი კი ოთხივ კუთხივ მინოფანტა და ზოგმა საქართველოს მოაშურა (ძვ.წ. 538წ.). მესამე მასიური შეცვლა საცხოვრებელი ადგილისა მოხდა ჩვენ თვალწინ. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული. საქართველოში პირველად წასულმა ებრაელობამ ბაბილონში სულ ორი თაობა იცხოვრა. საქართველოში მათ ჩაიტანეს იქ შექმნილი არამეული ენა და კულტურა. ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოში არამეული ენისა და დამწერლობის გამავრცელებელთა შორის ერთ-ერთი პირველნი სწორედ ებრაელები იყვნენ. რაც შეეხება ებრაულს, ახალ ქვეყანაში მოსულთათვის იგი, ძირითადად, წინაპართა სალოცავი რიტუალის შესრულებისთვის აუცილებელი ენა იყო.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ ებრაელობამ შეიძინა ახალი ქვეყნის კულტურა და ენა, რომელსაც თითქმის 26 საუკუნის განმავლობაში ატარებდა. ბაბილონიდან წამოდებული არამეული ელემენტი დაილექა საქართველოს ებრაელთა მეტყველებაში და მცირე რაოდენობის ლექსიკურმა ერთეულებმა ბოლო დრომდე გაძლეს. ჩემმა მესხიერებამ რამდენიმე ასეთი ლექსიკური ნიმუში შემოინახა. ეს ნიმუშები მშობლების საუბრისას მესმოდა ხოლმე. მართალია, ებრაელთა ძირითად მასას არ უღალატია მამა-პაპათა რწმენისათვის და ბოლომდე ებრაული რჯულის ერთგულნი დარჩნენ, მაგრამ ამ დიდი ისტორიული მონაკვეთის მანძილზე შექმნილი ენა,

კულტურა და ცხოვრების წესი იმდენადვეა დამახასიათებელი საქართველოს ებრაელთათვის, როგორც სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველობისათვის. ამდენად, ეს თემი შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო შინდაბრუნებულ ებრაულ თემად, არამედ ერთ-ერთ ქართულ დიასპორადაც. ამ თემს გააჩნია თითქმის ყველა ის კომპონენტი, რაც ნებისმიერ სხვა ქართულ დიასპორას.

ძველი აღთქმის (თანახი) ნიგნებში არაერთხელაა მითითებული უფლის დაპირება იმის თაობაზე, რომ თავის ერს ხელახლა შეკრებდა გაფანტული ქვეყნებიდან ისტორიულ სამშობლოში. მოგვყავს ერთი ასეთი დაპირება: „აღმოსავლეთიდან მოვიყვან შენს ნატამალს და დასავლეთიდან შემოგკრებ. ვეტყვი ჩრდილოეთს: გაუშვი! და სამხრეთს: არ დააკავო! მოიყვანე ჩემი ვაჟები შორეთიდან და ჩემი ასულები ქვეყნის კიდიდან“ (ესაია, 43, 5-6. თარგმანი ცისანა შამირ). ისრაელიდან ბაბილონში ტყვედ წაყვანილნი დროთა განმავლობაში საქართველოს მკვიდრნი გახდნენ, როგორც თავისუფალი შვილები. უფლის დაპირებისამებრ წრე შეიკრა: ისრაელი-ბაბილონი-საქართველო-ისრაელი.

## 2. „საქართველოს ებრაელები“ თუ „ქართველი ებრაელები“?

რა უნდა ეწოდოს საქართველოში მცხოვრებ ებრაელობას? თავის დროზე სერიოზული დავა იყო საქართველოში ამის შესახებ. ერთნი ამბობდნენ, რომ ისინი ისეთივე ქართველები არიან, როგორც მკვიდრი მოსახლეობა და ამიტომ ქართველები უნდა ეწოდოს, შეიძლება დაემატოს „მოსეს რჯულის მიმდევარნი“. მეორენი ამბობდნენ: ამ სპეციფიკის გამო, რაც მათ გააჩნიათ ისტორიული თვალსაზრისით, საწინმუნებრივი და სხვა სპეციფიკის გამო ისინი „ქართველ ებრაელებად“ უნდა იწოდებოდნენ („ქართლის ცხოვრებაც“ ასე უწოდებს მათ: „ჰურიანი ქართველნი“). მესამენი ამბობდნენ: არ შეიძლება, რომ ადამიანი ერთდროულად ქართველიც იყოს და ებრაელიც, ამიტომ ყველაზე შესაფერისი სახელწოდება უნდა იყოს „საქართველოს ებრაელობა“. გარდა ამისა, ცნობილია, რომ საქართველოში ოთხი ებრაული თემი ცხოვრობს: ადგილობრივნი, ანუ ძველი ებრაული თემის შთამომავალნი, აშქენაზები, ანუ ევროპიდან ან რუსეთიდან გადმოსახლებულ ებრაელთა ჩთამომავალნი, „ყუბელები“ და დალესტნის ებრაელები და „ლახლუხები“,



ანუ არამეულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელები, რომლებიც სპარსეთიდან, ერაყიდან და თურქეთიდან გადმოსახლებულ ქურთებს გამოყვნენ საქართველოში დაახლოებით 200 წლის წინ. ყველა, ოთხივე თემის წარმომადგენელი, ებრაული სარწმუნოების მატარებლები არიან, ერთი უფლებით სარგებლობდნენ საქართველოში, ყველამ გაითავისა საქართველოს ბედი და ემორჩილებოდნენ ამ ქვეყნის კანონებს და ხელისუფლებას. ყველამ მეტ-ნაკლებად შეითვისა ქართული ენა და კულტურა და შეისისხლხორცა როგორც საკუთარი. მე პირადად, ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს მათ გასათიშად. ყველანი ჩემთვის ერთი ებრაული თემია: საქართველოს ებრაელობა. ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ოთხივე ებრაული თემის წარმომადგენელი ერთნაირად ემსახურებოდნენ ქართულ ენასა და კულტურას.

### **3. მცირე ისტორია: მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი**

ისრაელთან, წინაპართა სამშობლოსთან რომ მჭიდრო კავშირში იყვნენ საქართველოს ებრაელები, ამას თვით „ქართლის ცხოვრებაც“ ადასტურებს. ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ გადმოცემის მიხედვით, მაცხოვრის სასამართლოზე მცხეთის ებრაელებიც იყვნენ მინვეულები. ეს კავშირი გამოიხატებოდა წმინდა ადგილების მონახულების რიტუალების შესრულებაში, რაც ზოგჯერ იმით მთავრდებოდა, რომ ზოგ შემთხვევაში ებრაელი რჩებოდა წინაპართა ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად. ამის მაგალითი მოჰყავს იოსებ იეჰუდა ჩორინს თავის სამოგზაურო წიგნში „მასაოთ“, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოიცა ებრაულად 1884 წელს. შედარებით მასობრივი იმიგრაცია საქართველოდან ისრაელისკენ დაიწყო მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. დროთა განმავლობაში მათ იერუსალიმის რამდენიმე დასახლებაში მოიკიდეს ფეხი. ისრაელში მათი ყოფის საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ცნობილი ფილანტროპისა და მეცენატის, ინგლისელი ლორდის მოშე მონტიფიორის მოგონება მათ შესახებ მისსავე წიგნში: „გაოცებული დავრჩი გურჯისტანის თემის წინამძღოლთაგან. ამ ხუთი წლის წინათ დასახლებულან იერუსალიმში და ახლა ორასამდე სულს ითვლიან... ზოგიერთ მათგანს ორდენები და მედლები უმშვენებენ მკერდს. ერთ-ერთ მათგანს ელიაჰუ ბენ ისრაელს, სამი ასეთი მედალი

აქვს... სასიამოვნო იყო ამ ადამიანების ნახვა – ზოგი კავკასიურ სა-  
მოსს ატარებდა, ზოგი კი – ჩერქეზულს...”<sup>1</sup>

საქართველოდან გამოსული პირველი რეპატრიანტები, ძირი-  
თადად, იერუსალიმში სახლდებოდნენ. მათ თავიანთი უბანი ჰქონ-  
დათ ძველი ქალაქის გალავნის შიგნით, მაგრამ როცა გალავნის გა-  
რეთ დაიწყეს ებრაელებმა გამოსვლა, პირველ მოხალისეთა შორის  
ჩვენებურებიც იყვნენ. 1876 წელს შხემის (ანუ დამასკოს) ჭიშკარ-  
თან დააარსეს ე.წ. „გურჯების უბანი“. უბანი იმდენად დიდი იყო,  
როგორც თემის უხუცესნი ყვებიან, რომ ექვსი სალოცავი ჰქონ-  
დათ. 1926 წელს, როცა არაბებმა იერუსალიმის ებრაული მოსახ-  
ლეობის მასობრივი დარბევა მოაწყეს, ზოგი ჩვენებურიც გამოა-  
სალმეს სიცოცხლეს. „გურჯების უბნიდან“ ლტოლვილებმა თავი  
შეაფარეს უბნებს „როხამა“ და „იეგია ქაფაიმ“; დროთა განმავლო-  
ბაში ქალაქის სხვა დასახლებებშიც მოიკიდეს ფეხი.

მე-19 ს-ში საქართველოდან გამოსულთა შორის გამოირჩეოდა  
ცნობილი სულიერი მოძღვარი ხახამ ეფრაიმ კოკია (შვილი). მანამდე  
ახალციხის ებრაელთა წინამძღოლი, რომელიც 1873 წელს ამოვიდა  
იერუსალიმში. როგორც წესი, თემის სულიერი მოძღვრები არ გამო-  
ირჩევიან დიდი მატერიალური შესაძლებლობით, მაგრამ რაბი ეფ-  
რაიმ კოკია (ანუ კუკია) ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი იყო. თავი-  
სი სახლი ძველ ქალაქში (გალავნის შიგნით) სასახლედ აქცია: დაა-  
არსა სალოცავი, უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი თემის  
ახალგაზრდა თაობისთვის და მწერალთა სახლი. ისრაელში ამოს-  
ვლიდან ოთხი წლის შემდეგ (1877) გამოსცა ორი წიგნი ერთ ყდაში:  
„ეფრაიმის კრებული“ („იალკუტ ეფრაიმ“) და „სიცოცხლის ლექსი-  
კონი“ („სამ ჰახაიმ“). ორივე წიგნი ძველი აღთქმის სხვადასხვა ნაწი-  
ლების კომენტარს წარმოადგენს. წიგნები იმდენად მაღალ დონეზე  
იყო დაწერილი, რომ დიდი ხნის განმავლობაში ისრაელის სასული-  
ერო სასწავლებლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.

1902 წელს გაზეთი „ივერია“ დიდი გლოვით აღნიშნავდა სა-  
ქართველოს ერთ-ერთი ცნობილი წინამძღოლის ხახამ სიმან რიჟი-  
ნაშვილის გარდაცვალებას. იმავე გაზეთმა 10 წლით ადრე, 1892  
წელს საზეიმოდ აღწყა საზოგადოებას იმავე მოძღვრის მიერ იერუ-  
სალიმში „საყმანვილო აღზრდის წიგნის“ („სეფერ ხინუხ ჰანეყა-

---

<sup>1</sup> მოშე მონტიფიერი, მოშეს და იერუსალიმის ამბავი, ვარშავა, 1876, გვ.  
35-36 (ებრაულად).

რიმ“) გამოცემა. წიგნის გამოცემას დიდი რეზონანსი ჰქონდა, რადგან ეს წიგნი, ფაქტობრივად, ებრაული ენის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, „დედა ენის“ ერთგვარ ვარიაციას.

მე-19-მე-20 სს-ების მიჯნაზე, 1897 წელს, ისრაელში მცხოვრებ საქართველოდან გამოსულთა სულიერ ცხოვრებაში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: გამოიცა „ღმერთების ქებათა წიგნი“ („სეფერ შევახოთ ლაელ“) – პოპულარული ებრაული ხალხური საგალობლები, რომლებიც საქართველოში იყო გავრცელებული (შემდგენელი აბრამ ხანანაშვილი). წიგნი იმდენად პოპულარული იყო, რომ ახალი რეპარტიაციის დაწყებისთანავე, 1972 წელს, წიგნი ხელახლა გამოიცა იერუსალიმში ორგანიზაცია „იად ლეახიმის“ მიერ. მე-20 ს-ის დასაწყისში სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ხახამ ეფრაიმ ჩიკვაშვილი. მანაც დაგვიტოვა თავისი შემოქმედების ერთი საინტერესო ნიმუში „ეფრაიმის კრებული“ („ილკუტ ეფრაიმ“), რომელიც წმინდა წიგნების კომენტარებს წარმოადგენს (1914).

იმ პერიოდის წყაროებში არაერთხელაა მითითებული საქართველოდან გამოსულთა შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე, ხაზგასმულია მაღალი შრომის კულტურა, პასუხისმგებლობა და ა.შ.

პროფესიული თვალსაზრისით, საქართველოდან გამოსულთა მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა რაიმე სფეროთი. მათი შრომითი დასაქმება მრავალფეროვანია. არიან ხელოსნები, მზიდავეები, თერძები, მენარმეები, მშენებლები. მთავარი ისაა, რომ მწარმოებლური შრომა არის მათი ცხოვრების განმსაზღვრელი და დამახასიათებელი მხარე. ზემოხსენებული ხახამ ეფრაიმ კუკიას შთამომავალნი, ძირითადად, ბიზნესმენები, ბანკირები და მენარმენი იყვნენ. ახლაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის ცენტრალურ რაიონებში სახლების დიდი ნაწილი მათი შთამომავლების ხელშია.

ისრაელში ამოსვლა, ძირითადად, ხორციელდებოდა საზღვაო მარშრუტით: ბათუმი-სტამბოლი-იაფო. ყოფილა შემთხვევები, რომ საქართველოდან (ბათუმიდან, ფოთიდან) გემით გამოსულან ოჯახები რეპარტიაციის მიზნით, მაგრამ სტამბოლში შეყოვნებულან ისრაელში შემოსასვლელი სერთიფიკატების (ნებართვების) მისაღებად. მაშინ (1918 წლამდე) ახლო აღმოსავლეთის დიდი ტერიტორია, მათ შორის ისრაელიც, თურქეთის პროტექტორატს წარმოადგენდა და ამ ქვეყანაში შემოსვლა მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების ნებართვით შეიძლებოდა. ეს ფუნქცია 1918 წლის

შემდეგ გადავიდა დიდი ბრიტანეთის ხელში. ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო პირველი მსოფლიო ომის შედეგებთან. იმის გამო, რომ როგორც თურქეთი, ისე ინგლისელი ხელისუფალნი დაინტერესებულნი არ იყვნენ ამ ქვეყანაში ებრაული მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, ყველანაირად აფერხებდნენ როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან გამოსული ებრაელი რეპატრიანტების შემოსვლას ისრაელში. ამის გამო ბევრი პოტენციური რეპატრიანტი ვერ აღწევდა ისრაელის ნაპირებამდე და, რაკი საქართველოში უკან დაბრუნება სერიოზულ მატერიალურ პრობლემებთან იყო დავშირებული, იძულებული იყო თურქეთში დიდი ხნით დარჩენილიყო ისრაელში შესვლისათვის სანატრელი ნებართვის მოლოდინში, მაგრამ ეს „დიდი ხანი“ ხშირ შემთხვევაში სტამბოლს მუდმივ საცხოვრებელ ქალაქად აქცევდა ხოლმე. სტამბოლში ჯერ კიდევ მანამდე იყო საქართველოდან გამოსულ ებრაელთა მცირე კერა. განუხორციელებელი რეპატრიაციის გამო სტამბოლში უნებლიედ დარჩენილთა ნაკადის ზრდით ამ ქალაქში გაჩნდა საქართველოდან გამოსულ ებრაელთა კიდევ ერთი ახალი თემი, ადგილობრივ ებრაელთა თემის გვერდით. მათი შთამომავალთა ნაწილი დღესაც არის თურქეთის ზოგ ქალაქში, ძირითადად სტამბოლში. ზოგ მათგანს დღესაც ახსოვს ქართული ენა და შეინარჩუნა მამაპაპათა ზნე-ჩვეულებანი. ცნობილია, რომ სტამბოლში და თურქეთის სხვა რაიონებში ძირძველი ქართული მოსახლეობის შთამომავალნიც არიან, რომელთა შესახებ ალბათ ცალკე გამოკვლევა დაინერება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოდან გამოსულთა რიცხვი ისრაელში თანდათანობით მატულობდა, ძირითადად იერუსალიმში. მაშინდელი ალია (რეპატრიაცია, ამოსვლა) დაკავშირებული იყო ებრაული ეროვნული თვითშეგნების ზრდასთან როგორც ევროპაში, ისე რუსეთის იმპერიაში, კერძოდ საქართველოში. მართალია, აღნიშნული თვითშეგნების გაღვივება (ებრაული ენის შემსწავლელი კურსების ჩამოყალიბება, ახალგაზრდული სიონისტური ორგანიზაციის „ცეყირე ციონის“ ჩამოყალიბება, ახალგაზრდულ ქალთა ორგანიზაციის დაარსება და ა. შ.) საერთო, ზოგადი სიონისტური იდეების გავრცელებას უწყობდა ხელს, მაგრამ საქართველოში პოლიტიკური სიონიზმი არ იყო ისეთი ძლიერი, რომ დიდი, მასობრივი ალია დაწყებულიყო.

როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა (1921 წ.) ბევრ საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებით პოლიტიკურ მოღვაწეებს, ქვეყნის დატოვება მოუხდათ და უცხო ქვეყნებში შეფარეს თავი. ერთი მათგანი იყო ხახამ მეირ მალალაშვილი, რომელიც სარწმუნოებრივი მოღვაწეობის გარდა ბევრ პოლიტიკურ შეხლაშემოხლაში იყო გარეული და ამ ნიადაგზე მოუხდა საქართველოს დატოვება და ისრაელში ამოსვლა. გავიდა რამდენიმე წელი და ორი საზოგადო მოღვაწის რაბი დავით ბააზოვისა და პედაგოგ ნათან ელიაშვილის ხელმძღვანელობით 1925 წლის 11 ნოემბერს ისრაელში ამოვიდა საქართველოს ებრაელთა დიდი ჯგუფი. ალიის წინამძღოლთა გეგმიანი და საზრიანი მუშაობის წყალობით საქმე ისე იყო აწყობილი, რომ სერთიფიკატები, ანუ რეპატრიაციის ნებართვები მთავრობათა დონეზე იყო მიღებული ყველა ოჯახისათვის.

იაფოს მაშინდელი ნავსადგური არ იყო ისეთი, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, რადგან მგზავრები გემიდან ნავებით გადმოვყავდით. მგზავრების ბარგის ნაწილი ზღვაში გადაიყარა ნავებიდან. დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ბავშვების გადმოყვანა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მშვენივრად დამთავრდა. ახალმოსულები მაშინვე ფეთახ-თიყვაში წაიყვანეს. აქ ჯგუფი სამ ნაწილად დაიყო: ძალზე მცირე ნაწილი იერუსალიმს გაემგზავრა, ალბათ ნათესავებთან შესაერთებლად. დანარჩენი ფეთახ-თიყვაში დარჩა, ზოგმა კი ბინიამინას მიაშურა. ორივე შემთხვევაში მათ ქაობების ამოშრობა ელოდათ, შემდეგ კი მინაზე მუშაობა. რეპატრიანტების დიდი ნაწილი ახლო წარსულში ვაჭრები იყვნენ, ზოგი ღარიბი, ზოგი კი საერთაშორისო მასშტაბის ვაჭარი. უცებ ყველა ერთი დონის სოციალურ ერთეულად იქცა; თოხი, ბარი და წერაქვი უნდა დაეჭირათ ხელში და ასე ეშოვნათ ყოველდღიური სარჩო.

ისრაელის მაშინდელი კლიმატი საქართველოდან მოსული რეპატრიანტებისთვის არ აღმოჩნდა ადვილი ასატანი. იქ, სადაც ქაობები იყო ამოსაშრობი მალარია მძვინვარებდა და არაერთი ადამიანი იმსხვერპლა. ამ მოვლენამ დიდი სულიერი ტკივილი მიაყენა ცოცხლად დარჩენილებს, მაგრამ უკან დასახვევი გზა აღარ იყო. ბუნების სიმკაცრეს ნებისყოფა, ბეჯითობა და შრომის სიყვარული შეაგებეს ახლადმოსულებმა. სიძნელები, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი, საკმაოდ ბევრი იყო, მაგრამ ქვეყნის ახალი მოქალაქეები სულიერად არ დაეცნენ და ყველა განსაცდელს გაუძლეს – ვინ

ადვილად, ვინ ძნელად და ვინ შეენირა კიდეც ახალ მინაზე დამკვიდრებას.

ახალ რეპატრიანტთა ამ ჯგუფში ჭარბობდა შემდეგი გვარები: ხახახაშვილი, კოჟიაშვილი, კობოშვილი, ჯინჯიხაშვილი, შაოშვილი, ხანუქაშვილი, ენუქაშვილი, მაღალაშვილი და ა. შ. ერთ-ერთმა ოჯახმა ვერ გაუძლო ახალი ქვეყნის და ახალი ცხოვრების სიძნელეებს და უკან დაბრუნება მოინდომა. შვილს არ უნდოდა უკან დაბრუნება და მამასთან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა. ახალგაზრდა ყმანვილი სახლიდან გაიპარა და რამდენიმე დღის განმავლობაში პლანტაციებში ეძებდნენ. ბოლოს მიაგნეს. მამამ თავისი შვილი უკან წაიყვანა. საქართველოში ჩასვლისთანავე მამა ციხეში ჩასვეს, შვილი კი დარდით გარდაიცვალა. ასე რომ, 1925 წლის რეპატრიაციის ტალღას ტრაგიკული სიტუაციებიც ახლდა.

დავით ბაზოვი საქართველოში დაბრუნდა, რათა რეპატრიანტთა ახალი ტალღა მოემზადებინა, მაგრამ საბჭოთა საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია უკვე შეცვლილი იყო და საზღვარგარეთ გასასვლელი გზები უკვე ჩაკეტილი დახვდა. ასეთ სიტუაციაში მოხვედრილი კიდეც ორი სულიერი მოძღვარი იყო საქართველოში, რომლებიც ისრაელში გაიზარდნენ და საქართველოში გაემგზავრნენ, რათა საქართველოს ებრაელობის სულიერი ცხოვრება განემტკიცებინათ – იუდაიზმთან დაეახლოებინათ. ესენი იყვნენ ხახამ ხაიმ ელიაშვილი და ხახამ ბინიამინ ჯანაშვილი. ვერც მათ დააღწიეს თავი საბჭოთა საქართველოს და იქ დარჩნენ საცხოვრებლად: პირველი – ქუთაისში, მეორე კი – სურამში. ორივე მოძღვარმა გარკვეული კვალი დააჩნია საქართველოს ებრაელთა სულიერ ცხოვრებას, განსაკუთრებით რელიგიური განათლებისა და გალობათა სფეროში „იერუსალიმური“ სტილის დანერგვაში.<sup>2</sup>

საქართველოდან გამოსული ისრაელში მცხოვრები ახალი რეპატრიანტები წინამძღოლის გარეშე არ დარჩენილან. ერთი მხრივ, ნათან ელიაშვილი, რომელიც საქართველოდან გამოსვლისას თან ახლდა მათ, მეორე მხრივ კი მეიერ მაღალაშვილი, რომელიც შედარებით ადრე მოვიდა ისრაელში. ერთიც და მეორეც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ თანამოძმეთათვის შეემსუბუქებინათ ახალ ქვეყანაში ცხოვრების სიძნელეები. სულიერად ორივე გაუმკლავდა ამ

---

<sup>2</sup> შლომო იანეცი, საქართველოს ებრაელთა ხაზნობის წყაროები, „ჩვენი საუნჯე“ 2, 1997, გვ. 22-30.

სიძნელეებს. თვითონაც ფეხზე დადგნენ და თანამოძმეებსაც ამოუდგნენ მხარში. ისრაელის დანესებულებების წინაშე საქმიანად და თავდადებით აყენებდნენ ყველა საჭირობო საკითხს. ამ საქმეში ორივეს ეხმარებოდა ის, რომ ებრაული ბრწყინვალედ იცოდნენ. ჩანს ნათან ელიაშვილმა ვერ გაუძლო მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვებს, დაავადდა, დიდხანს იავადმყოფა და 1929 წელს გარდაიცვალა ფეთახ-თიკვაში. აქვე იქნა დაკრძალული. მეიერ მაღალაშვილმა გააგრძელა, ერთი მხრივ, თანამოძმეთა თანდაგომა და ბრძოლა არსებულ ბიუროკრატიასთან, მეორე მხრივ კი სიცოცხლესთან ჭიდილი, სიკვდილის დასამარცხებლად. იგი 1939 წელს აღესრულა და ბინიამინაში იქნა დაკრძალული.

როცა მაშინდელი ისრაელის ბიუროკრატული აპარატის მოუქნელობაზე ვსაუბრობთ, ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს: მაშინ ისრაელის სახელმწიფო არ არსებობდა. ისეთ ორგანიზაციებს რომელთა არსებობა ნებადართული იყო, ინგლისის კოლონიური რეჟიმის მიერ თვით უხდებოდათ ბრძოლა, ერთი მხრივ, მაშინდელი ისრაელის ებრაული მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის როგორც ინგლისური კოლონიური რეჟიმის პირობებში, ისე არაბული ბანდების წინააღმდეგ. ყველანაირად რომ იბრძოდნენ ებრაული მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისათვის. საქართველოდან გამოსულ რეპატრიანტებს მაშინ კარგად ესმოდათ ყველა ობიექტური სიძნელისა და მოთმინებით იტენდნენ ყველაფერს. როცა ისრაელში ყველა ქვეყნის მოსულს მეტ-ნაკლებად ერთნაირი პრობლემა ანუხებდა, გაძლებაც ადვილდებოდა.

ორივე აღნიშნული წინამძღოლი არა მარტო პოლიტიკური და სოციალური მიმართულებების მოღვაწეები იყვნენ, არამედ ზეციდან ნაკურთხი შემოქმედნიც როგორც ისტორიაში, ასევე ლიტერატურულ შემოქმედებაშიც. ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მათი შემოქმედების განხილვა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნათან ელიაშვილისა უკვე გამოქვეყნდა.<sup>3</sup> მეიერ მაღალაშვილისა კი ჯერ არ გამოქვეყნებულა. დღიურების სახით ინახება შთამომავლებთან (მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული იცხაკ დავიდის რედაქტორობით გამოშვებულ „კავკასიონში“).

---

<sup>3</sup> ნათან ელიაშვილი, საქართველოს ებრაელები საქართველოსა და ერევც ისრაელში, თელ-ავივი, 1975 (ებრაულად).

ნათან ელიაშვილმა თავისი ნიგნი დაწერა სიცოცხლის მიწურულს, მე-20 ს-ის 20-ანი წლების ბოლოს. მისი ბოლო შთაბეჭდილებანი და დასკვნები გამოხატავენ, ფაქტობრივად, რეპატრიანტთა მთელი ჯგუფის განწყობილებას:

„მანამ, სანამ გზას დავადგებოდით, დიდი იმედები გვქონდა. წინაპართა ქვეყანაში მოსვლამ დიდი იმედები მოგვგვარა. სულაც არ გვქონდა რაიმე ეჭვი იმაში, რომ ყველაფერს თუ არა, ჩვენი პროგრამის ნახევარს მაინც შევასრულებდით – ოჯახების რეპატრიაციას და ისრაელში მათ დამკვიდრებას, იშრომებდნენ და იცხოვრებდნენ თავიანთ მიწაზე მყოფი ადამიანების ცხოვრებით. იმედს ვამყარებდით სიონისტურ ორგანიზაციაზე და მიწაზე დასახლების სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციებზე, ასე ბევრი რომ გვსმენია მათ შესახებ დიასპორაში. ვოცნებობდით აგრეთვე საზღვარგარეთ რაღაც ფონდის არსებობაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოდან გამოსული ებრაელების მიწათმოწყობის საქმეს – ერეც-ისრაელის იმ მოქალაქეებთან ერთად უკვე „გათქვეფილნი“ რომ იყვნენ ისრაელის ცხოვრებაში. ისინი ხომ შესაბამის სიმაღლეზე უნდა მდგარიყვნენ და მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქვეყნის მშენებლობაში (ასე გვქონდა წარმოდგენილი). ისინი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი არიან, ჩვენი თანამემამულენი, ებრაელი ძმები და დები, ნათესავები და ა. შ., ხელგაშლილები რომ შეგვხვდებიან, გაგვაშინებენ და მატერიალურ დახმარებას თუ არა, ცხადია, მორალურ დახმარებას მაინც მოგვანიჭებენ... მაგრამ... მოვედით, ვნახეთ და უნდა ითქვას სიმართლე, მეტისმეტად იმედგაცრუებულნი დავრჩით“.<sup>4</sup> ეს ნაწყვეტი საბრალდებლო დასკვნასავით ჟღერს. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს რაიმე დოკუმენტი იმ ადამიანთა მხრიდან, ვისაც შეეძლო რაიმე რეაქცია მოეხდინა ამ ბრალდებებზე. ზემოთქმული ალბათ არაა საფუძველს მოკლებული, მაგრამ შესაძლოა ობიექტური მიზეზები არაა გათვალისწინებული.

მთავარი ისაა, რომ საქართველოდან გამოსულ ებრაელებს შორის, ისრაელის ცხოვრების შესაბამისად, მწარმოებლური პროდუქტი იყო და არის მათი ცხოვრების განმსაზღვრელი და დამახასიათებელი მხარე: წარმოება და სოფლის მეურნეობა, გუშინდელი ვაჭარი წარმოების მუშად იქცა.

---

<sup>4</sup> ნათან ელიაშვილი, საქართველოს ებრაელები საქართველოსა და ერეც ისრაელში, თელ-ავივი, 1975 (ებრაულად), გვ. 81-82.



იმ ძველ, მე-19 ს-ის დასასრულისა და მე-20 ს-ის დასაწყისის რეპატრიანტთა შთამომავალნი დროთა განმავლობაში გახდნენ იურისტები, მასწავლებლები, მედიცინის მუშაკები, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მოღვაწენი, ტელევიზიისა და კინოს მოღვაწენი და ა. შ. ვფიქრობ, შეიძლება ზოგი მათგანის დასახელება: ისრაელის ტელევიზიის ვარსლვლავი რივკა მიხაელი, მისი ძმა პროფესორი დან მიხაელი, ისრაელის „საერთო“ პოლიკლინიკების დირექტორთა თავმჯდომარე (მათი მამა აბრამ მიხელაშვილი ცნობილი იურისტი იყო), ბიოლოგი რახამიმ ხანანია, სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტი, პროფ. შალომ სარელი, ფარმაკოლოგიური ქიმიის საერთაშორისო დონის სპეციალისტი (საქართველოში უკვე იცნობენ მას. მისი მშობლები ბანძიდან წამოსული ისრაელაშვილები იყვნენ), ცნობილი პოეტი ბინიამინ შვილი, ცნობილი კინორეჟისორი მიხაელ შვილი, ისრაელის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ფილიალის თავმჯდომარე იონათან გორალი (გორელაშვილი) და ა. შ. ყველა ცნობილი ადამიანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

#### 4. „რკინის ფარდის“ მიღმა: 1925-1967

1925 წელს, ფაქტობრივად, დამთავრდა საქართველოს ებრაელთა რეპატრიაცია ისრაელში. მათ ვინც უკვე მოასწრო საქართველოდან გამოსვლა, დასახლდნენ და მეტ-ნაკლებად მოეწყვნენ, შექმნეს სამი ძირითადი დასახლება ისრაელში: იერუსალიმში, ფეთახ-თიკვასა და ბინიამინაში. აგრძელებდნენ ისრაელში ცხოვრებას, ოღონდ საქართველოსთან თითქმის აბსოლუტურად იზოლირებულ პირობებში. ბევრმა საქართველოში დარჩენილ ახლობლებთან მიწერ-მოწერაც შეწყვიტა – ვაითუ ამით ზიანი მივაყენო საბჭოთა რეჟიმში მცხოვრებ ნათესაებებსო. საქართველოდანაც ძალზე იშვიათად მოდიოდა წერილები იქ დარჩენილ ახლობლებთან: ხელისუფლებისა ეშინოდათ. შესაძლებელია საქართველოს არქივების თავისუფალმა სარგებლობამ მოულოდნელი იმფორმაციები მოგვანოდოს, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, რეპატრიაცია თითქმის მთლიანად შეწყდა: თითქმის იმიტომ რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა საქართველოდან ებრაელთა გამოსვლა ისრაელის მიმართულებით, ძირითადად ოჯახების შეერთების მოტივით. ისიც ხდებოდა, რომ ოჯახების შექმნას ადგილი ჰქონდა დასავლეთის ქვეყ-

ნების ებრაელ ან არაებრაელ მოქალაქეებთან და შემდეგ შეუღლებული წყვილი ისრაელს მიაშურებდა საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნიდან. ერთი რამ ცხადია: ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, პრესაში არასოდეს არ იწერებოდა ამის თაობაზე. თანაც ასეთ ოჯახებს აფრთხილებდნენ, არ გაეხმაურებინათ ისრაელში გამგზავრების ამბავი.

გაუხმაურებლობას ზოგჯერ „გლობალურ სიჩუმეს“ უწოდებდნენ. თუ ხდებოდა რამე მხოლოდ ოჯახის წევრებმა და უახლოესმა ნათესავებმა იცოდნენ. ისრაელში რეპატრიაციის ერთ-ერთი გზა იმ პერიოდში იყო საზღვარზე არალეგალური გადმოსვლა. ჩემთვის ცნობილია სულ ცოტა ორი ასეთი ცდა. ლაპარაკია ცნობილი სიონისტის, იურისტის გერშონ მეგრელიშვილის მიერ ჩატარებულ ორ ასეთ ცდაზე: სსრკ – ჩინეთის საზღვარზე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში და საქართველო-თურქეთის საზღვარზე 1931 წელს. პირველი ცდა წარუმატებლად დამთავრდა ჩინეთის საზღვარზე. მეორე ცდა კი თურქეთის საზღვარზე უფრო გემიანად მოეწყო. 16 ებრაელი, ძირითადად ახალგაზრდები, თურქეთის საზღვარს მიადგნენ ბათუმიდან შუალამისას. ისარგებლეს იმით, რომ თურქეთის მხარეს საზღვარზე არავინ იყო, საქართველოს მხარეს კი მოსყიდული ჰყავდათ სასაზღვრო მცველი. საზღვარზე გადმოსულნი დაახლოებით 200 მეტრით შემოვიდნენ სიღრმეში, როცა ცხენების თრაქა-თრუქი და იარაღის სროლის ხმა შემოესმათ ზურგიდან. ჩანს, მოსყიდულმა მესაზღვრემ გასცა საზღვრის დამრღვევები და საბჭოთა ჯარისკაცები დაადევნა უკან. ყველა უკან დააბრუნეს და გამოძიების შემდეგ სამხედრო ტრიბუნალზე წარადგინეს. უმრავლესობა ციმბირში გადაასახლეს სხვადასხვა ვადით. იურისტი გერშონ მეგრელიშვილი და ხახამ ხაიმ ელაშვილი ათ-ათი წლით გადაასახლეს, საზღვარგარეთის გარკვეული ინსტანციების ჩარევის შედეგად კი რამდენიმე ხნის შემდეგ სასჯელი გაუნახევრეს.

არალეგალური რეპატრიაციის კიდევ ერთი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი. 1949 წელს საქართველო-ირანის საზღვარზე ფარულად გადმოვიდა თბილისელი თავიაშვილების ოჯახი, დაახლოებით ათი სული. ესთერ თავიაშვილი, ამჟამად 80 წლის ქალი ჰყვება, რომ საზღვარზე მალულად გადმოვიდნენ. სპარსეთში რამდენიმე ხანს იცხოვრეს და შემდეგ ისრაელს მიაღწიეს. ცხოვრობდნენ დაბა ბეერ იაკოვში, დასაწყისში კარვებში ცხოვრობდნენ, შემდეგ „ბარაკებში“, დროთა განმავლობაში მოეწყვნენ და ფეხი მოიკიდეს.

როცა ვკითხე იყო თუ არა არალეგალური რეპატრიაციის შემთხვევები, მიპასუხა: ჩვენ იმან გაგვაბედინა, რომ ჩვენამდე რამდენიმე შემთხვევა წარმატებით დამთავრდა. ჩვენი წინამორბედებისგან წერილებიც გვექონდა მიღებული. ვიცოდით, რომ მშვიდობიანად მიაღწიეს ისრაელსო. ჩვენ შემდეგაც აპირებდა რამდენიმე ოჯახი მსგავსი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ რამოხდა, არ ვიცი. მათი ასავალ-დასავალი დავკარგეთო.

ქალბატონ ესთერის ვაჟი ბენი რეგევი ამ სტრიქონების წერილსას ქალაქ ლოდის მერია. ავითარებს კავშირებს როგორც საქართველოდან გამოსულ თემთან, ისე საქართველოს პოლიტიკურ, მეცნიერულ და კულტურულ საზოგადოებასთან.

გასული მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ლოიალობა შეინიშნებოდა მათ მიმართ, ვისაც ახლო ნათესავების მონახულება უნდოდა ისრაელიდან საქართველოში.

ამ მიმართულებით რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი თბილისში, ცხინვალში და ა. შ. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია ისრაელიდან მოსული სტუმრების მიმართ, რადგან ხელისუფლების ორგანოებისა ეშინოდათ. ყოველ შემთხვევაში, ისრაელიდან საქართველოში ჩასული რამდენიმე ადამიანის სტუმრობამ აქა-იქ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ დიდი დაინტერესება არ ყოფილა და ყველაფერმა უხმაუროდ ჩაიარა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის არაა ცნობილი, იყო თუ არა შემთხვევები საქართველოს ებრაელების კერძო ვიზიტებისა ისრაელში 1967 წლამდე.

*(გავრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)*

**Gershon Ben-Oren (Israel)**

## **Georgian Jews in Israel (principal foundations)**

### **S u m m a r y**

In many parts of the world, and even in Georgia, there has been large or small group resettlements from one place to another. Such fate has repeatedly come to Jews. This causes not just geographical, but cultural, psychological and linguistic changes in a variety of historical epochs. Integration in a new land and in a new population is not easy.

For many centuries, the Jewish population in Georgia was considered to be Jewish diaspora, but in the late 60s of the 20th century, the wave of Jews from Georgia could be considered as Georgian diaspora because Georgian Jews obtained Georgian language, Georgian culture and Georgian psychology. 50 years have passed since the Jewish emigration to Israel began. It is true that their integration with the main population of Israel still continues, but this process will be complete soon.

From the 60s of the 19th century, Georgian Jews began to revive the emigration to Israel, but this was not a mass movement. At the beginning of the 20th century, opening of Georgian schools, affected by occurrences in Russia and Europe, had great influenced on the Zionist movement. The wave of emigration in Israel did not stop even during the Soviet regime. But at that time, this wave was significantly weakened.

Mass repatriation started in 1967, during the Arab-Israeli 6-day war. This war became a catalyst for the uncompromising struggle of the Soviet Jews for repatriation to Israel. This struggle has succeeded, and after a few decades, the majority of Georgian Jews became Israeli citizens. This process puts the Georgian Jews on a different socio-economic, cultural and political platform.

The social relationship in the family nucleus has changed and the problem of using new language has become quite sharp. As children learn new language more rapidly than adults, Israel became one of few countries in the world where children teach their parents.

Problems of distance between residence and employment were added to this. At the same time, the biased attitude of the printed and electronic press in Israel made an indelible imprint on the condition of the repatriated migrants

## პილატე პონტოელი

რომის პრეფექტი იუდეაში პილატე პონტოელის (ლათ. Pontius Pilatus, ბერძნ. Ποντίος Πιλάτος. Pontius Pilatus-ის (ბერძნ. Ποντίος Πιλάτος) აღსანიშნავად ნაშრომში ვიყენებთ ახალი აღთქმის ქართულად თარგმნილ ტრადიციულ ფორმას – პილატე პონტოელი) ახალ აღთქმაში მოხსენიებულია მაცხოვრის ჯვარცმასთან დაკავშირებით როგორც ოთხივე სახარებაში, რომელიც სწორედ პონტოელი პილატეს მთავრობის (ბერძნ. ἡγεμᾶν) დროს ხდება, ისე მოციქულთა საქმეებში:

„როცა ინათა, მღვდელმთავრებმა და ხალხის უხუცესებმა ბჭობა გამართეს იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი.

შეკრეს იგი, წაიყვანეს, და მისცეს პილატეს, მთავარს“ (მათ. 27:1-2).

„ინათა თუ არა, ბჭობა გამართეს მღვდელმთავრებმა უხუცესებთან, მნიგნობრებსა და მთელ სინედრიონთან ერთად. შეკრეს იესო, და წაიყვანეს და მისცეს პილატეს“ (მარ. 15:1).

„ტიბერიუს კეისრის მმართველობის მეთხუთმეტე წელს, როცა პონტიუს პილატე იუდეის მთავარი იყო..“ (ლუკ. 3:1).

„ადგა მთელი ხალხი და წაიყვანეს იგი პილატესთან“ (ლუკ. 23:1).

„გამოვიდა მათთან პილატე და თქვა: რა ბრალს სდებთ ამ კაცს?“ (იოან. 18:29).

„აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთმა განადიდა თავისი მსახური იესო, რომელიც თქვენ გაეცით და უარყავით პილატეს წინაშე, როცა ის აპირებდა გაეთავისუფლებინა იგი“ (საქ. 3:13).

ვინ იყო პონტიუს პილატე (პილატე პონტოელი) და რა ადგილი ეჭირა ანტიკური პერიოდის რომის ისტორიაში?

ახალი აღთქმის გარდა, პილატე პონტოელი მოხსენიებულია რამდენიმე ისტორიულ წყაროში: ფილონ ალექსანდრიელთან (Pilo., Leg. ad Gaicum, 38), იოსებ ფლავიუსთან (იუდ. სიძველენი, XVIII, 2,2, 1-3; 4, 1-2; იუდ. ომი, II, 9,2), ტაციტუსთან (Ann., XV, 44), ევსები კესარიელთან (Hist. eccl., II,7) და II საუკუნის რამდენიმე აპოკრიფში.

იოსებ ფლავიუსისა (იუდ. ომი, II, 9, 2) და ტაციტუსის (Ann., XV, 44) მიხედვით, პილატე პონტოელი იყო რომის პროკურატორი. რომში Procurator-ს, როგორც წესი, მხედართა კლასიდან ნიშნავდნენ. იყო პროკურატორის რამდენიმე ხარისხი. მათ უმეტესობას შეეხება ჰქონდა ფინანსურ მმართველობასთან (procuratores fisci). როკურატორს შეეძლო პროვინციაში იმპერატორის შემოსავლების მმართველი ყოფილიყო. სამხედრო საქმეებისთვის არსებობდა განსაკუთრებული procurator castrensis თანამდებობა, რომელიც ინტენდანტის ნაწილებსა და ხელფასის გაცემას მართავდა. განსაკუთრებული ჩინოვნიკი მონეტების მოჭრას – procurator monetae – განაგებდა... პროკურატორი შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო პროვინციების მმართველი. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო Procurator provinciae Judaeae-ს (პროვინცია იუდეას პროკურატორი) თავისი სამმართველო ტერიტორიის ფარგლებში შეეძლო ბრალდებულის სიკვდილით დასჯა, პროკურატორის დაქვემდებარებაში იყო სამხედრო ძალები, მაგრამ ეს თანამდებობა არც ისე მაღალი იყო, რადგან მას ზედამხედველობდა იმპერატორის ლეგატი სირიაში (იოსებ ფლავიუსი, იუდ. სიძველენი, XVIII, 1, 1; 4,2).

როგორც აღვნიშნეთ, ახალი აღთქმის მიხედვით, პილატე მაცხეოვრის პერიოდში იუდეის მთავარია. არტიფაქტების შესწავლის შედეგად კი დგინდება, რომ პილატე პონტოელი ახ.წ. 26-36 წწ-ში იყო იუდეის პრეფექტი. პრეფექტი – Praefectus – უფროსი, მმართველი, ზედამხედველი – წარმოადგენდა სხვადასხვა მაგისტრატურებს ძველ რომში. პრეფექტი შეიძლება ყოფილიყო მხედართმთავარი, ქალაქის თავი, პროვინციის მმართველი, კონსულის მოადგილე...

1961 წლის ივნისში იტალიელმა არქეოლოგებმა მილანიდან დოქტორ ა. ფროვას (Dr. A. Frova) ხელმძღვანელობით, კესარიის პალესტინაში, სადაც პილატე პონტოელის რეზიდენცია მდებარეობდა, არქეოლოგიური გათხრების დროს, საუკუნეების მტვრისაგან დაფარული ლათინურწარწერიანი ქვა აღმოაჩინეს, რომელზეც დატანილი იყო სახელი პილატე პონტოელი (ზომები: 82-100-20 სმ; ქვა წარწერით ინახება ისრაელის ნაციონალურ მუზეუმში) [12.54; 13,81]. წარწერა, სამწუხაროდ, დაზიანებულია, მაგრამ მისი შინაარსი ეჭვს არ იწვევს. ის ამტკიცებს იუდეაში პილატეს მმართველობის ფაქტს და კიდევ იმას, რომ პილატე იუდეის არა პროკურატორი, არამედ პრეფექტი იყო [11,152].

ფილა, რომელზეც წარწერა იყო გაკეთებული, აღმოაჩინეს გადაბრუნებულ მდგომარეობაში. ის როგორც ჩანს, გამოყენებულ იქნა VI საუკუნეში თეატრის რეკონსტრუქციისას. წარწერა ლათინურად შემდეგნაირად იკითხება:

...|S TIBERIÉVM

...PON|TIVS PILATVS

...PRAEF|ECTVS IVDA[EA] E ...

**ტიბერიუმი**

**პონტიუს პილატუს**

**პრეფექტი იუდეისა**

რაც სავსებით შეესაბამება ახალ აღთქმაში დაცულ ცნობებს. ეს წარწერა პირველი არტეფაქტია, სადაც პილატეს სახელი და მის მიერ დაკავებული თანამდებობაა მოცემული. გამოდის, რომ პილატე პონტოელი იუდეის პრეფექტი იყო ტიბერიუსის იმპერატორობის პერიოდში. იუდა არხელაოსის გადაყენებისა და მისი ვიენაში გაგზავნის შემდეგ, ახ.წ. 6 წ. ავგუსტუსმა სირიის (რომლის შემადგენლობაშიც იუდეა შედიოდა) მმართველად დანიშნა კვირინიუსი, რის შემდეგაც იუდეის მმართველები პრეფექტის ტიტულით მოიხსენიებიან. პირველი პრეფექტი იყო კოპონიუსი (Coponius ახ.წ. 6 – 9 წწ.), მეორე – მარკუს ამბიბულუსი (Marcus Ambibulus 9 – 12 წწ.), მესამე – ანიუს რუფუსი (Annius Rufus 12 – 15 წწ.), მეოთხე – ვალერიუს გრატუსი (Valerius Gratus 15 – 26 წწ.); პილატე პონტოელი კი იყო იუდეის მეხუთე პრეფექტი (26 – 36 წწ.).

ტიტული პროკურატორი მხოლოდ პილატეს მემკვიდრეებს ენიჭებოდათ ახ.წ. 44 წლის შემდეგ. სახარებისეული ბერძნული ტერმინის ἡγεμῶνας (ἡγεμων) – ქართული თარგმანით მთავარი – შეიძლება ორივე თანამდებობის (პრეფექტი, პროკურატორი) აღმნიშვნელად იყოს გამოყენებული. რომის იმპერიაში ამ ტერმინს, ძირითადად, იმ პრეფექტების მიმართ იყენებდნენ, რომლებიც სამხედრო უფლებებით იყვნენ დაჯილდოებულნი (praefectus civitatis). პილატესწარწერიანი ქვის აღმოჩენის შედეგად კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახარებისეულ ტერმინ „მთავარში“ (ἡγεμων) იგულისხმება სწორედ პრეფექტი და არა პროკურატორი.

წარწერა თავის დროზე გააკეთებინა პილატე პონტოელმა იმპერატორ ტიბერიუსისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობის – ტიბერიუმისათვის [7,419-434].

ფილონ ალექსანდრიელის ცნობით, პილატე იყო რომის პირველი პროკურატორი იუდეაში, რომელმაც იუდეური რელიგიის შეურაცხყოფა დაიწყო. ჰეროდე აგრიპა იმპერატორ კალიგულასადმი გაგზავნილ წერილში მას კორუმპირებულობაში, ოჯახების გაკოტრებაში, ხალხის სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯაში... ადანაშაულებდა. იგი ყოველგვარი გასამართლების გარეშე, მასიურად უკანონოდ სდევნიდა იუდეველებს და არ ერიდებოდა მათი რელიგიური გრძნობების შელახვას (Pilo., Leg. ad Gaicum, 38).

პილატეს, შეიძლება ითქვას, თავისი ქმედებების გამო, მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ებრაელ ხალხთან, რის ნათელ მაგალითსაც იოსებ ფლავიუსთან დაცული ცნობები წარმოადგენს. იუდეის მმართველის რეზიდენცია ახ.წ. I ს-ში მდებარეობდა არა ქვეყნის დედაქალაქ იერუსალიმში, არამედ კესარიასი (ივრ. יְרוּשָׁלַיִם, ბერძნ. Καισάρεια, ლათ. Caesarea Palaestina). იოსებ ფლავიუსის მიხედვით, პილატე ჩავიდა რა გამოსახამთრებლად იერუსალიმში, არ მოერიდა, უფლება მიეცა თავისი ლეგიონებისათვის იერუსალიმში რომის არმიის ძლიერების სიმბოლო – ბანერები (signa) შეეტანათ, რომლებზეც იმპერატორი იყო გამოსახული (იუდ. სიძველენი, XVIII, 3,1). ამის თაობაზე იუდეველებმა მას იმპერატორ ტიბერიუსთანაც კი უჩივლეს. პილატე იძულებული იყო უკან დაეხია და რომაული ლეგიონების ძლიერების სიმბოლოები უკან, კესარიასი დაებრუნებინა (იოსებ ფლავიუსი, იუდ. ომი, II, 2-3). პილატემ ბრძანება გასცა გამოეყენებინათ იერუსალიმის ტაძრის წმიდათაწმიდაში დაცული სიმდიდრე აკვედუკების მშენებლობისათვის, რამაც იუდეველების აღშფოთება გამოიწვია. მან სისხლში ჩაახშო ხალხის გამოსვლა (იოსებ ფლავიუსი, იუდ. სიძველენი, XVIII, 3,2; იუდ. ომი, II, 4).

პილატეს მმართველობა დამთავრდა მას შემდეგ, რაც მან სამარიასი მოსახლეობის ხოცვა მოაწყო, რის შემდეგაც სამარიელების უხუცესები რომის ყოფილ კონსულ ვიტელიუსთან გამოცხადდნენ,<sup>1</sup> რომელიც იმ დროს რომის იმპერიის პროკურატორი იყო სირიასი და პილატეს თანამემამულეთა დახოცვაში... დასდეს ბრალი. მაშინ ვიტელიუსმა იუდეაში ერთ-ერთი თავისი დაახლოებული პი-

---

<sup>1</sup> ლუციუს ვიტელიუსი (Lucius Vitellius) – სირიის ლეგატი პროპრეტორის უფლებით 35-37 წწ-ში.



რი, მარცელიუსი<sup>2</sup> გააგზავნა, რათა იუდეის მმართველობის სადავეები ხელში აეღო. პილატეს უბრძანეს რომში გამოცხადებულიყო იმპერატორ ტიბერიუსთან, მაგრამ, სანამ იგი რომში ჩავიდა, ტიბერიუსი გარდაიცვალა (იოსებ ფლავიუსი, იუდ. სიძველენი, XVIII 4, 1-2). არ არის გამორიცხული, რომ რომში ჩასულმა პილატემ ახალი სამსახურებრივი დანიშნვა მიიღო. ევსები კესარიელის მიხედვით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (სეკლესიო ისტორია, II, 7).

მარკოზის სახარების მიხედვით, პონტოელი პილატე უბრალოდ თანხმდება სინედრიონისა და იუდეველი ხალხის მოთხოვნას (12:1-15). მათეს სახარებაში (27:11-25) დამატებულია ხელების დაბანის ამბავი და პილატეს სიტყვები „მე უბრალო ვარ ამ მართალის სისხლში, თქვენ იკითხეთ“ (მათ. 27:24). ლუკასა და იოანეს სახარებებში პილატე საუბრობს იესოს უდანაშაულობაზე, მაგრამ იძულებულია დათმოს ხალხის ზენოლის გამო (ლუკ. 23:13-25; იოან. 18:29; 19:16).

ახალი აღთქმის მიხედვით, პილატემ წარწერა გააკეთა და ჯვარცმის ჯვარზე გააკრა:

„და დაწერა წარწერა პილატემ და გააკრა ჯვარს; ხოლო წარწერა ასეთი იყო: იესო ნაზორეველი, იუდეველთა მეფე.

ეს წარწერა ბევრმა წაიკითხა იუდეველთაგან, ვინაიდან ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს იესო, ახლო იყო ქალაქთან; და დაწერილი იყო ებრაულად, ლათინურად და ბერძნულად.

ხოლო იუდეველთა მღვდელთმთავრებმა უთხრეს პილატეს: ნუ დაწერ: მეფე იუდეველთა, არამედ როგორც მან თქვა: მე ვარ იუდეველთა მეფე.

მიუგო პილატემ: რაც დავწერე, დავწერე“ (იოან. 19:19-22).

ვინ იყო პილატე? სამეცნიერო ლიტერატურაში მისი წარმომავლობის შესახებ არაერთი ვარაუდი გამოთქმულია. აქცენტი, როგორც წესი, მის სახელზე კეთდება და სამართლიანადაც, რადგან რომაული ონომასტიკა, რომელიც ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ლიტერატურულ წყაროებსა და საფლავის ქვებზე გაკეთებულ წარწე-

---

<sup>2</sup> მარცელიუსი (Marcellus) – იუდეის პრეფექტი 36-37 წწ-ში. არსებობს ვარაუდი, რომ იგი არ იყო იუდეის რეალური პრეფექტი (მან თანამდებობა არა რომის იმპერატორისაგან, არამედ თავის მეგობარ ვიტელიუსისაგან მიიღო), იგი მხოლოდ ვიტელიუსს ექვემდებარებოდა.

რებს ეყრდნობა, მნიშვნელოვან მასალას გვანვდის საკვლევი საკითხის შესწავლისათვის.

რომში მამაკაცის სახელი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1. პირადი სახელი (praenomen), რომელსაც ახალშობილს მერვე ან მეცხრე დღეს არქმევდნენ; 2. გვარი, ოჯახის სახელი (nomen) და 3. მეტსახელი (cognomen).

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ პილატეს პირადი (კერძო) სახელი (praenomen) უცნობია [6. 48]. იგი არ გვხვდება არც სახარებებში, არც იოსებ ფლავიუსთან, არც ტაციტუსთან, და არც მრწამსში.

მეტსახელი (cognomen) Pilatus, მკვლევართა ნაწილის აზრით, pileus-ისიდან (ლათ. pileus, pilleum. ძვ. ბერძნ. πῖλος – თავსაბურავი, ქუდი ძველ საბერძნეთში, რომელიც ნაჭრისგან, ან ტყავისგან მზადდებოდა) უნდა მოდიოდეს. პილოსი ძველ რომში გააზატებულ მონებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ისინი ატარებდნენ ამ ქუდს მონობისგან გათავისუფლების ნიშნად. შესაბამისად, პილოსი თავისუფლების მონობისგან გათავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა [14]. თუ ამ ჰიპოთეზას გავყვებით, იქიდან გამომდინარე, რომ რომში გათავისუფლებული მონები თავიანთი ძველი პატრონის კერძო და საგვარეულო სახელს იღებდნენ, ხოლო თავის სახელს როგორც მეტსახელს (cognomen) ისე ატარებდნენ, **გამოდის რომ პილატეს ოჯახის სახელიც (გვარი) Pontius მისი ყოფილი პატრონის სახელიდან (გვარი) უნდა მომდინარეობდეს.**

მეცნიერთა ნაწილი კი ვარაუდობს, რომ Pilatus ლათინური pilum-იდან (შუბი) – რომის ლეგიონერის აღჭურვილობიდან იღებს სათავეს და არ გამორიცხავენ, რომ პილატემ მეტსახელი შესაძლოა რომის არმიაში სამსახურის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო [9. 121].

რაც შეეხება პილატეს გვარს – ოჯახის სახელს (nomen) Pontius მკვლევარები მას რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ საბინების ტომს უკავშირებენ [10. 594-596; 1], რომლებთანაც ერთ-ერთ გამორჩეულ გვარს სწორედ პონტიუსების გვარი წამოადგენდა. ძველ რომში პონტიუსების გვარიდან რამდენიმე წარმომადგენელია ცნობილი: გაიუს პონტიუსი (Gaius Pontius), რომელიც მეორე სამნიტური ომის დროს, ძვ.წ. 321 წ. კავდიუმის ხეობაში რომაელი ლეგიონერების დამარცხებისას ხელმძღვანელობდა სამნიტებს;

პონტიუს ტელეზინუსი (Pontius Telesinus, გარდაიცვალა ძვ.წ. 82 წ.) [16. 227] სამნიტების წინამძღოლი სულასა და მარიუსის პარტიებს შორის ბრძოლის დროს. მასთან არის დაკავშირებული სამნიტების ბოლო ცდა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; ლუციუს პონტიუს აქვილა (Lucius Pontius Aquila ძვ.წ. 83-43 წწ.) – იულიუს კეისრის მკვლელებს შორის ერთ-ერთი (Suet., De vita Caesarum, Divus Iulius, 78,2); რომის ერთ-ერთი სენატორი იმპერატორ ტიბერიუსის სიკვდილის წელს (37 წ.) გაიუს პეტრონიუს პონტიუს ნიგრინუსი (Gaius Petronius Pontius Nigrinus) (Suet., De vita Caesarum, Tiberius, 73,2).

ყველა ზემოაღნიშნული სამნიტი პონტიუსი სენატორთა კლასს განეკუთვნებოდა. იოსებ ფლავიუსის მიხედვით კი ცნობილია, რომ იუდეის მმართველებად მხედართა კლასის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ (იუდ. სიძველენი, XVIII, 1, 1). გამოდის, რომ პილატე პონტოელი ასევე მხედართა კლასის წარმომადგენელიც იყო და თუ ის ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ძველი სამნიტების გვართან, ეს კავშირი ძალზედ შორეული უნდა ყოფილიყო [15].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პილატეს ოჯახის სახელი ონტიუს აპოკრიფულ ლიტერატურაში მცირეაზიის ოლქს – პონტოს უკავშირდება და რომ პილატე რიგ ენებზე თარგმანში (ქართული, საეკლესიოსლავური...) მოიხსენიება პონტოელად და არა პონტიუსად.

### **ქართული:**

„და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატესზე და ივნო და დაეფლა“.

### **საეკლესიოსლავური:**

«Распятого же за ны при Понтийстем Пилате, и страдавша, и погребенна».

მათეს სახარებაში იესო ქრისტესთვის განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით ფიგურირებს, აგრეთვე, პილატეს მეუღლე, რომლის სახელიც სახარებაში არ არის მოხსენიებული. მათეს სახარების მიხედვით, პილატე „როცა სამსჯავრო სავარძელზე იჯდა, ცოლმა კაცის პირით შემოუთვალა: ნურაფერს დაუშავებ მაგ მართალს, ვინაიდან ნუხელ სიზმარში ბევრი ვეტანჯე მის გამო“ (მათ. 27:19).

აპოკრიფული სახარებებისა („პილატეს მოქცევა“ (Paradosis Pilati)) [18], ნიკოდემეს სახარება...) და საეკლესიო ტრადიციის

მიხედვით, მისი სახელი იყო პროკულა (Procula). ორიგენედან მოყოლებული (Hom., in Mat., XXXV) [20]. ქრისტიანი ავტორების ნაწილი (ათანასე დიდი, ნეტარი ავგუსტინე, იოანე მალალა...) გვამცნობენ პროკულას ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ. პროკულა მოგვიანებით იდენტიფიცირებულ იქნა ახალ აღთქმაში პავლე მოციქულის ეპისტოლეში მოხსენიებულ კლავდიასთან:

„ისწრაფე ზამთრისა წინა მოსვლად. გიკითხვენ შენ ევეულოს და პუდის და ლინოს და კლავდია და ძმანი ყოველნი“ (2 ტიმ. 4:21), რის შემდეგაც მას კლავდია პროკულას (ლათ. Claudia Procula) სახელით მოიხსენიებენ. ბერძნული, კოპტური და ეთიოპური ქრისტიანული ეკლესიების მიერ კლავდია პროკულა წმინდანად არის შერაცხული. ეთიოპურ ეკლესიაში იგი აბროკლას [17. 333] სახელით არის ცნობილი, რომელსაც მეუღლესთან დ პილატესთან ერთად მოიხსენიებს.<sup>3</sup>

ცნობილია, რომ რომში ქალებს კერძო სახელები არ გააჩნდათ. მათი ოჯახის სახელი გვარის ფორმიდან მომდინარეობდა. მაგალითად ულპია – ულპიუსების გვარიდან, იულია – იულიუსების გვარიდან. თუ ოჯახში ორი გოგო დაიბადებოდა, მათი სახელი ერთიდაიგივე იქნებოდა ოღონდ ემატებოდა უფროსი (Major) და უმცროსი (Minor). ძელ რომში არსებული ტრადიციით თუ ვიმსჯელებთ, კლავდია პროკულა დაკავშირებულია იულიუს-კლავდიუსების გვართან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული იგი ტიბერიუსის ნათესავი (უკანონო შვილი), ან ოქტავიანე ავგუსტუსის შთამომავალი ყოფილიყო [იხ. 3. 133].

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ერთ ფაქტს, რომელიც დღესდღეობით კამათის საგანს წარმოადგენს. საქმე ეხება პილატეს მიერ გაკეთებულ წარწერას – Titulus Crusi-ს (ჯვარცმის ჯვრის წარწერა) – INRI – IESVS NAZARENVS REX IVDAEORVM – იესო ნაზორეველი იუდეველთა მეფე.

„იქვე იყო ბერძნულად, ლათინურად და ებრაულად დაწერილი წარწერა: ეს არის იუდეველთა მეფე“ (ლუკ. 23:38).

გადმოცემის თანახმად, ტიტლოსი (ბერძნ. τίτλος, ლათ. titulus) – ქრისტიანთა რელიკვია, 326 წელს აღმოაჩინა რომის იმპერატორ

---

<sup>3</sup> ეთიოპიური ტრადიციისათვის ცნობილია რომში პილატეს წამების ფაქტი [9. 244].

კონსტანტინე დიდის დედამ, ელენემ (Flavia Iulia Helena, დაახ. 250-330 წწ.) იერუსალიმში მაცხოვრის ჯვართან და ოთხ ლურსმანთან ერთად.<sup>4</sup> დიდი ხნის მანძილზე ტიტლოსი ინახებოდა იერუსალიმში. ითვლება, რომ იგი იქიდან ჯვაროსნებმა გაიტანეს... ეს ხის დაფა ჩასმული იყო რომის წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესიის კედელში და დაფარული იყო მოზაიკით, სანამ არ აღმოაჩინეს 1492 წელს სარემონტო სამუშაოების დროს. კათოლიკური ეკლესიის მტკიცებით, დღესდღეობით ტიტლოსის დიდი ფრაგმენტი რომის იერუსალიმის წმინდა ჯვრის ეკლესიაში (Santa Croce in Gerusalemme) ინახება.<sup>5</sup>

Titulus Crucis-ის ორიგინალობა 1997 წელს შეისწავლა გერმანელმა მეცნიერმა მ. ჰესმანმა (Hesemann), ძველი ენების ებრაელ მკვლევარ ლინგვისტებთან ერთად. კვლევის შედეგები კერძო აუდიენციის დროს მან მოახსენა რომის პაპს იოანე პავლე II-ს. 1999 წელს მ. ჰესმანმა მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პაპის ლათერანის უნივერსიტეტში (Pontificia Universitas Lateranensis) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა, შემდეგ კი გამოსცა წიგნი [8]. მ. ჰესმანის აზრით, დაფაზე დატანილი წარწერა აჩვენებს იოანეს სახარებასთან განსხვავებას, რაც მის ორიგინალობაზე მეტყველებს. იოანეს სახარების ადრეულ რედაქციებში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ პილატეს წარწერა „დაწერილი იყო ებრაულად, რომაულად და ბერძნულად“ (იოან. 19:20). Titulus crucis-ზე კი ვხედავთ ჯერ ებრაულად, შემდეგ ბერძნულად და შემდეგ უკვე ლათინურად გაკეთებულ წარწერას. მ. ჰესმანის აზრით, ვერცერთი შუა საუკუნეების ქრისტიანი ფალსიფიკატორი ვერ გაბედავდა ასე ღიად დაპირისპირებოდა წმინდა წერილს. ლათინურად დაწერილი NAZARINUS (ნაზორეველი) ასევე არ ემ-

<sup>4</sup> ელენე დედოფალს ეხმარებოდა იერუსალიმის ეპისკოპოსი მაკარი I და აპოკრიფებში მოხსენიებული ადგილობრივი მცხოვრები იუდა კვირიაკე. ზემოაღნიშნული ისტორია არაერთ ქრისტიანულ წყაროშია აღწერილი. კერძოდ, გვხვდება ისეთ ავტორებთან, როგორცაა: ევსები კესარიელი (კონსტანტინეს ცხოვრება, III), ამბროსი მედიოლანელი (დაახ. 340–397 წწ.), რუფინუსი (345–410 წწ.), სოკრატე სქოლასტიკოსი (საეკლესიო ისტორია, წიგნი 1, თავი, 17. დაახ. 380–44 წწ.), თეოდორიტი კვირელი (386–457 წწ.), სულპიციუს სევერუსი (დაახ. 363–410 წწ.), სოზომენი (დაახ. 400–450 წწ.) და სხვ.

<sup>5</sup> დაფა დამზადებული იყო კაკლის ხისგან, რომლის ზომებიცაა: 25x14 სმ, სისქე 2, 6 სმ. ის 687 გრ-ს იწონის. წარწერა სამ რიგად არის გაკეთებული. დაფა გვერდებში რამდენადმე დაზიანებულია.

თხვევა საერთო მიღებულ ქრისტიანულ ფორმას NAZARENUS. მისი აზრით, ასე მხოლოდ ის დაწერდა, ვინც არ იცნობდა საეკლესიო ტრადიციებს. აქედან გამომდინარე, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, წმინდა ჯვრის დაფა ნამდვილ Titulus Crucis-ს წარმოადგენდა, სწორედ იმ დაფას, რომელიც პონტიოელმა პილატემ დაამზადებინა და რომელიც 326 წელს წმინდა ელენეს მიერ იქნა აღმოჩენილი იერუსალიმში.

მ. ჰესმანის თვალსაზრისი გაიზიარეს პაპის გრიგორიანული უნივერსიტეტის (Pontificia Universitas Gregoriana, Universitas Gregoriana Societatis Jesu) პროფესორმა მარი-ლუიზა რიგატომ (Maria-Luisa Rigato) და პაპიროლოგმა კარსტენ პეტერ თიედმა (Carsten Peter Thiede) ბერ-შების ბენ-გურიონის უნივერსიტეტიდან (Ben-Gurion University of the Negev, შემოკლ. BGU). 2002 წელს Titulus Crucis-ის რადიოკარბონალური მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად, ის  $\pm 1020$  წლით დათარიღდა [2. 685-689]. აქედან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილი არ ეთანხმება Titulus Crucis-ის ორიგინალობის თვალსაზრისს [5. 32]. ნიშანდობლივია, რომ მ. ჰესმანმა სან-პაბლოს უნივერსიტეტში (Universidad CEU San Pablo) 2009 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე დაიცვა თავისი თვალსაზრისი [19].

## ლიტერატურა – Referenses

1. ქავთარია გ., პონტიუს პილატე, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 210, ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2016.
2. Bella Francesco, Azzi Carlo., “14C Dating of the Titulus Crucis” Radiocarbon, University of Arizona, 44 (3), 2002, 685–689.
3. Bond Helen K., Pontius Pilate in History and Interpretation, Cambridge University Press, 2004.
4. Byrne Ryan, Bernadette McNary-Zak, Resurrecting the Brother of Jesus: The James Ossuary Controversy and the Quest for Religious Relics The University of North Carolina Press, 15 Aug, 2009.
5. Colin Morris, The sepulchre of Christ and the medieval West: from the beginning to 1600 OUP (Oxford University Press), Oxford, 17 Mar 2005, გვ. 32.
6. Demandt Alexander, Pontius Pilatus, C.H. Beck, 2012.
7. Frova A., L'iscrizione di Ponzio Pilato a Caesarea, Istituto Lombardo-Accademia die Scienze e Lettere, Rindiconti, Classe di Lettre, 95, 1961, 419-434.

8. Hesemann M., Die Jesus-Tafel: die Entdeckung der Kreuz-Inschrift. Herder Verlag, Freiburg im Breisgau, 1999.
9. Lémonon Jean-Pierre, Ponce Pilate, Atelier, 2007.
10. Ollivier M. J., "Ponce Pilate et les Pontii", Revue biblique, n° 5, avril 1896, 594-596.
11. Roberts Mark D., Can We Trust the Gospels? Wheaton, Illinois: Crossway, 2007.
12. Sherwin-White A.N., Frova A., L'iscrizione di Ponzio Pilato a Cesarea. The Journal of Roman Studies, 1964, 54.
13. Vardaman Jerry, A New Inscription Which Mentions Pilate as'Prefect'. Journal of Biblical Literature, 1962, 81, 70–71.
14. Wallon Henri Alexandre, Histoire de l'esclavage dans l'antiquité, Paris : Hachette et cie, 1879.
15. Деревенский Б. Г., Иисус Христос в документах истории, Санкт-Петербург, 2001.
16. Инар Ф., Сулла. Ростов н/Д, 1997.
17. Маккавейский Н.К., Археология истории страданий Господа Иисуса Христа. Киев, 2006.
18. <http://www.krotov.info/acts/01/joseph/apok-40.html>
19. Hesseman Michael, Titulus Crucis-The title of the cross of Jesus Christ? <http://www.michaelhesemann.info/12-8.html>
20. Pontius Pilate. Catholic Encyclopedia. <http://www.newadvent.org/cathen/-12083c.htm>

## **Marika Mshvildadze**

### **Pontius Pilate**

#### **S u m m a r y**

Roman prefct in Judea is mentioned in The New Testament in connection with the crucifixion of the Saviour, in all four gospels as well as the Acts of the Apostles. According to Flavius Josephus and Tacitus, Pontius Pilate was the Roman procurator. The study of artefacts proves that Pontius Pilate, A. D. was not the procurator but the fifth prefct of Judea between 26-36 cc. The title of the procurator was given only to the inheritors of Pilate after 44 A.D.

The work deals with different views in which emphases is duly made on his family name (nomen), as the Roman onomastic offers important materials for the study of the given issue.

Personal name of Pilatus (praenomen) is unknown. In the view of certain scholars, cognomen Pilatius, had to derive from pileus (Greek πῖλος – pilos) (hat). Pilos used to be worn by emancipated, freed slaves. In our opinion, if we follow the theory and consider that the freed slaves used to adopt the personal or family names of their former masters and used their own names as cognomen, it becomes clear that Pilatus family name Pontus has to derive from the family name of the former master. Certain number of the scholars believes that Pilatus originates from pilum (spear) and does not rule out the fact that Pilatus could have been given a cognomen for his bravery and outstanding military achievements during his service in the Roman army. Generally, the family name of Pilatus is connected with the Italic tribe of Sabines, residing to the North East from Rome. The fact that, in accordance with the apocryphal literature, the family name of Pilatus, Pontius, is connected with the Ponto district of Asia Minor, is also an issue of interest, along with the fact that in translations to certain languages (Georgian, Church Slavonic languageR.), Pilatus is referred to as Pontus (Πόντος) not Pontius.

The wife of Pilate, Claudia Procula mentioned in gospel of Matthew (the name is not mentioned in the Testament). Due to the fact that in Rome, the female names originated from the family name the name of Claudia Procula could be linked to the Julius - Claudius family name. She has been canonized by Greek, Coptic and Ethiopian Churches.



## **იუდაიზმი და საქართველო<sup>1</sup>**

თანამედროვე რელიგიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იუდაიზმი. მისი წარმოშობა ჯერ კიდევ შორეულ წარსულს უკავშირდება. იუდაიზმის რელიგიური შეხედულებანი ძვ. წ. II ათასწლეულში შექმნეს ებრაელმა ტომებმა. დღეისათვის „იუდაიზმის“ სახელწოდებით ცნობილია ებრაული ტრადიციული სარწმუნოება. როგორც რელიგია, იგი ჩანასახოვანი ფორმით ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს შეიქმნა. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა საზოგადოების კლასებად დაყოფა და იგი მუდმივად განიცდიდა ცვალებადობას საზოგადოებრივ პროგრესთან ერთად.

ებრაელ ხალხს თავიდანვე გააჩნდა ერთი ღმერთის რწმენა. ამდენად, პირველი რელიგიური შეხედულებანი მონოთეიზმის ნიშნებს ატარებდა. რელიგიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამავე დროს პირველი რელიგიური თეორიები ანიმიზმისა და ტოტემიზმის კვალს ატარებს. პირველ რელიგიურ თეორიებში გამოხატულია ადამიანთა დამოკიდებულება ბუნების შეუცნობელი ძალებისადმი. მან ცვალებადობა განიცადა მას შემდეგ, რაც ებრაელთა ტომებმა დაიპყრეს პალესტინა, კერძოდ, ძვ.წ. XIII საუკუნეში. ცვალებადობა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში მკაფიოდ აისახა იუდაური რელიგიის ახალ ფორმაში. სულებისა და წინაპართა კულტის რწმენამ თანდათან დაუთმო ადგილი ღმერთებს. „ბიბლიაში ღმერთი მოიხსენიება სხვადასხვა სახელით, კერძოდ, ელიოჰა, ელიოჰიმ, ადონაი, იაჰვე, საბაოთი. ამ სახელებში ღმერთის კონკრეტულ დასახელებასთან არ გვაქს საქმე“ [1.33].

პირვანდელ რელიგიურ თეორიებში ღმერთს თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა გვარისა და ტომის წევრები. შემდეგში იგი თანდათანობით იქცა იუდას ტომის ღმერთად. პალესტინაში დასახლებამდე ებრაელთა რელიგიის კულტის მთავარი ნიშანი იყო მსხვერპლის შეწირვა, რაც ასახულია ბიბლიაშიც [4.76].

---

<sup>1</sup> სარედაქციო კოლეგია არ იზიარებს სტატიაში მოყვანილ რიგი სახელმძღვანელოებიდან მოტანილ დებულებებს. შინაარსი და სტილი უცვლელადაა მოტანილი.

მას შემდეგ, რაც ებრაელი ხალხი დასახლდა პალესტინაში და ებრაელთა ტომები გაერთიანდნენ იუდას ტომის ხელმძღვანელობით, თანდათან ერთღმერთიანობამ მოიკიდა ფეხი. მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობაზე გადასვლას ხელი შეუწყო იმან, რომ პალესტინაში შეიქმნა ახალი მონათმფლობელური იუდეა – ისრაელის სახელმწიფო, რომლის სათავეები იყო ერთმპყრობელი მონარქი. იუდაიზმმა თანდათანობით ღრმად მოიკიდა ფეხი. მას ძველ საქართველოში „ჰურიათა სჯულად“, „მოსეს სჯულადაც“ მოიხსენიებდნენ. ახალ ქართულში შეიცვალა დამოკიდებულება იუდაიზმი-სადმი და მას უკვე ხშირად ებრაელთა სჯულის სახელით მოიხსენიებენ. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ იუდაიზმის სახით საქმე გვაქვს ნაციონალურ რელიგიასთან, ანუ ეს ის შემთხვევაა, სადაც სარწმუნოება და ნაცია ერთი და იგივეა. ებრაელი, ანუ იუდეველი ერთდროულად ნიშნავს ერსაც და კონფესიასაც [4.76].

ებრაელი იუდაიზმი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთ მოვლენად, რომელსაც არ განუცდია გავლენა სხვა რელიგიებისა. პალესტინაში მოსვლის დღიდან ებრაული რელიგია განიცდიდა ქანაანელთა რელიგიის გავლენას, შემდეგში კი მასზე იმოქმედა ასირიულ-ბაბილონურმა კულტურამ. იუდაიზმმა გარკვეული გავლენა განიცადა ბერძნული ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან, სწორედ ბერძნული ფილოსოფიის გავლენით მივიდა იუდაიზმი ერთიანი ღმერთის და ადამიანის უკვდავი სულის იდეამდე.

ებრაული სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იერუსალიმის ტაძარი იყო. ებრაული სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ებრაელი ხალხი დასახლდა მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოშიც. ებრაელებმა დაკარგეს სამშობლოც და იერუსალიმიც. თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა მსხვილი ებრაული თემები. შესაბამისად, გაჩნდა მოთხოვნილება კულტურის ცენტრის დაარსების შესახებ. ამან გამოიწვია პირველი სინაგოგების შექმნა, სადაც ტარდებოდა რელიგიური რიტუალები.

იუდაიზმი ის რელიგიაა, რომლის ყველა მიმდევარი ძმები არიან. ამ რელიგიის მიხედვით ებრაელი ხალხი „რჩეულია“. „სწორედ ამ იდეაზე აღმოცენდა სიონიზმი – როგორც ნაციონალისტური მიმდინარეობა. მან განსაზღვრა ებრაელი ხალხის ბედი თანამედროვე მსოფლიოში. მათ შორის საქართველოშიც“ [3.48].

საქართველოში ებრაელები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან სავარაუდოდ ძვ. წ. VI საუკუნიდან ცხოვრობენ. ამაზე საუბარი „ქართლის ცხოვრებაში“. პროცესი უკავშირდება მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევას. უკვე IV საუკუნიდან საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით არსებობდა ებრაელთა დიდი უბნები. საქართველო მათთვის ოდითგანვე საიმედო თავშესაფრად იქცა. ებრაელები კარგად შეეგუენ ადგილობრივ გარემო პირობებს, შეითვისეს ენა და წეს-ჩვეულებანი, თანდათანობით ქართველებსა და ებრაელებს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო კულტურულ-სოციალური კავშირი, მათ შორის ყოველთვის მეგობრული ურთიერთობები არსებობდა ყოველგვარი შუღლისა და მტრობის გარეშე, არასოდეს უგრძნიათ ქართველებისაგან დევნა და დამცირება.

საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ებრაელთა რელიგიური ცხოვრება, ძირითადად, სინაგოგებში სიარულით და საღვთო წიგნების კითხვის შემოიფარგლებოდა. მათ რაბინებისგან ყოველთვის ესმოდათ, რომ მთავარია არ დაეკარგათ რწმენა. სინაგოგაში ხშირად უმეორებდნენ, რომ მესია აუცილებლად მოვა ებრაელთა სარწმუნოებრივი, ეროვნული და პოლიტიკური იდეალების აღსრულებისათვის.

ებრაელებმა საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოიტანეს ბიბლია (ძველი აღთქმა, თანახი) და, შესაბამისად, იდეა მონოთეიზმისა. ისინი საქართველოში ძირითადად ვაჭრობითა და მოგზაურობით ირჩენდნენ თავს. გაჰქონდათ რაც გასატანი იყო და შემოჰქონდათ, რაც შემოსატანი იყო. ეს პროცესი ხელს უწყობდა საგარეო პოლიტიკის განვითარებას და ადგილობრივი კულტურის მრავალფეროვნებას.

ქართველ ებრაელებს მუდმივად კავშირი ჰქონდათ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან, ალბათ ეს გახდა მისი მიზეზი, რომ მათ მიუხედავად დიდი დროის გასვლისა, ცხოვრების ყველა ეტაპზე შეინარჩუნეს რელიგიური, კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობა. ამავე დროს, კარგად შეისისხლხორცეს ადგილობრივი ტრადიციები და კულტურული ღირებულებანი. ებრაელები კარგად შეეთვისნენ ქართულ კულტურას. ქართველებსა და ებრაელების თანაცხოვრება და დადებითი დამოკიდებულება შენარჩუნდა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც.

საქართველოს ისტორია იცნობს ქართველებისა და ებრაელთა თანაცხოვრების იშვიათ მაგალითებს. საინტერესოა ამ მხრივ რაჭა-

ლექსუმის, კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფლის, ლაილაშის, ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა და პატივისცემა ერთმანეთის რელიგიისადმი. ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრება სავსეა სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებათა მნიშვნელოვანი მომენტებით.

ებრაელთა და ქართველთა მეგობრობის მრავალი მაგალითი შემოინახა ისტორიამ. საინტერესოა ჩვენი თანამემამულე მღვდელმონაშე გრიგოლი, რომლის თავდადება მაგალითია ამ ორი ერის საუკუნოვანი მეგობრობისა.

ფაშისტები ხალხს აწამებდნენ, განსაკუთრებით კი ებრაელებს დევნიდნენ. მამა გრიგოლი ხშირად იფარებდა ასეთ ადამიანებს, თავშესაფარს და საზრდოს უნანილებდა. ამისათვის ის შეიპყრეს, ციხეში ჩასვეს და შემდეგ ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს და იქვე აღესრულა. მასთან ერთად მყოფი პატიმრის მოგონებიდან ცხადი ხდება, რომ მამა გრიგოლთან ერთად ბანაკში მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა, მას ფაშისტებმა გადაუწყვიტეს გაზის კამერაში გაგუდვა. მამა გრიგოლს შეეცოდა და თვითონ შესულა გაზის კამერაში ებრაელის ნაცვლად.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განიხილა მამა გრიგოლის მოღვაწეობა და ქრისტიანობისათვის, მოყვასისთვის და სამშობლოსათვის თავგანწირული არქიმანდრიტი წმინდანთა დასში შერაცხა. გრიგოლ ფერაძეს ეწოდა მღვდელმონაშე გრიგოლ.

საქართველოს დელეგაციასთან ერთად, ამ სტატიის ავტორებს გვხვდა პატივი მოგველოცა პოლონეთში გრიგოლ ფერაძის სახელობის ვარშავის სამლოცველოში, სადაც მსახურებას ქართველ მღვდელმსახურებთან ერთად ასრულებდა ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი საბა. აღინიშნა გრიგოლ ფერაძის წვლილი საერო და საეკლესიო ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი მისი მონაშემოებრივი აღსასრული ებრაელი ოჯახის გამო. ვარშავის უნივერსიტეტში კი ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი გრიგოლ ფერაძისადმი.

ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შეფასება და დაფასება ჩვენი თაობის მნიშვნელოვანი ვალია.

## ლიტერატურა – Referenses

1. გაბიძაშვილი ო., რელიგიათმცოდნეობა, თბილისი, 1999.
2. პაპუაშვილი ნ., რელიგიის ისტორია, თბილისი, 1997.
3. ნადირაძე ე., რელიგიის ისტორია, თბილისი, 1997.
4. ხასაია ზ., ფილოსოფია, ქუთაისი, 1984.

**Manana Bandzeladze  
Darejan Chkhirodze**

## **Judaism and Georgia**

### S u m m a r y

The origin of Judaism is still related to the distant past. It was created by Jewish tribes in the II millennium BC. The traditional faith of the Hebrews is known by the name of "Judaism". Together with public progress, it was constantly changing and developing as a religious view.

The first religious beliefs contained the signs of monotheism. There is a sharp expression inside them of the human attitude towards the unknown forces of nature. Judaism experienced a sharp variation after the Jews conquered Palestine. In modern Judaism, we deal with national religion, that is the case when faith and nation are the same.

Jews in Georgia have existed since ancient times. They acquired the language and religion, got used to the local environment. The history of Georgia is familiar with rare examples of coexistence of Georgians and Jews. History has preserved many examples of Georgian and Jewish friendship.

## საქართველოს არქივებში დაცული ეპრაულენოვანი რელიგიური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფო არქივებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართველ ებრაელთა შესახებ დაცულ დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიური ხასიათის მასალებს, რაც ადასტურებს ფაქტს, რომ რელიგია ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდა ებრაელი ერის ცხოვრებაში. შესწავლილი დოკუმენტების რაოდენობა ოცდათხუთმეტს აღწევს, მათგან უძველესი კი მეთათე საუკუნით თარიღდება.<sup>1</sup>

წმინდა წიგნი, გარდა მისი რელიგიური დანიშნულებისა, ებრაელების ისტორიის უძველესი მთხრობელია. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა მოსეს ხუთნიგნეული (თორა). თორას იმდენად საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ხელით შეხება აკრძალული იყო, მას სპეციალური გრაგნილებით კითხულობდნენ. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ცენტრში ინახება სწორედ ასეთი გრაგნილი, პერგამენტი. გრაგნილი დაუზიანებელია და ადვილად იკითხება, სიტყვებს შორისაც ადგილი გამოტოვებულია. როგორც ვიცით, ებრაულ ენაში სიტყვის ძირითად ცნებას უმეტესად მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარი ძირები გადმოგვცემს. ჩვენს ხელთ არსებული თორას გრაგნილიც ხმოვნების გარეშეა შესრულებული (თორა. Hebr. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11) (იხ. დანართი 1).

საინტერესოა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში შემონახული ბექდური ბიბლია, მოთავსებული ძველებურ ტყავის ფუტლარში. იგი მე-16 საუკუნით თარიღდება, დასაწყისი და ბოლო ნაწილი დაკარგულია. პერგამენტს კიდები დაზიანებული აქვს, თუმცა ტექსტის წაკითხვა შესაძლებელია. ეს არის ფრამენტი მოსეს ხუთნიგნეულის პირველი ნიგნიდან „დაბადება“, კერძოდ კი ადგილი, სადაც ღმერთმა შექმნა მცენარეული საფარი. შუაგულ ბაღში გაახარა ხე სიცოცხლისა – ხე კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა... უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერგამენტი ხმოვნების დარ-

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ქართველი ებრაელები საქართველოს საარქივო დოკუმენტებში DI/26/2 -101/14 მასალაზე დაყრდნობით.

თვით არის შესრულებული, რაც ხშირად არ გვხვდება ბიბლიურ ტექსტებში (Hebr.19) (იხ. დანართი 2). ამავე არქივში დაცულია აკინძული ტყავის ფურცელი. ზედა და ქვედა კიდეები შეკრულია. როგორც ჩანს, ეს ფურცელი თორას გრაგნილის ნაწილია. ტექსტი დაზიანებულია და მისი წაკითხვა მხოლოდ ფრაგმენტულად მოხერხდა. დოკუმენტი წარმოადგენს ამონარიდს თორას ერთ-ერთი ნაწილიდან „დაბადება“. კერძოდ, აქ წარმოდგენილია ის ადგილი, როცა აბრაამი თავის ცოლს, სარას, საკუთარ დად ასაღებდა. გერარის მეფე აბიმელექმა, მოისმინა რა აბრაამის გულწრფელი აღსარება, ტყუილი შეუწოდო, დაუბრუნა ცოლი, მსახურნი და წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელიც უბოძა (Hebr. 40).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში ინახება ტყავის თხელ ფირფიტაზე ნაბეჭდი 4-ხაზიანი ტექსტი. ეს არის ფრაგმენტი „გამოსვლადან“, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს დართული. რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფ. ინაში მიწის ამოღებისას უპოვია ის ადგილობრივ მცხოვრებს. მიწაში ერთი მეტრის სიღრმეზე ყოფილა ჩაფლული. შემდეგ კი ბავშვებს დაუგლეჯიათ თამაშის დროს. მოგვიანებით აღნიშნული ტექსტი მუზეუმს შესწირა სტუდენტმა აფრასათან ახვლედიანმა 1928 წელს. ტექსტი იმდენად დაზიანებულია, რომ ცალკეული სიტყვებიც კი ძნელად იკითხება. გთავაზობთ ამოკითხულ ფრაგმენტებს სავარაუდო თარგმანის დართვით:

יְהוָה אֱלֹהֵי אֲבֹרָה (ქანაანის ქვეყნისაკენ);

יְהוָה אֱלֹהֵי אֲבֹרָה (და თუ არ გამოისყიდო);

יְהוָה אֱלֹהֵי אֲבֹרָה (რადგან გაუძნელდება ფარაონს);

יְהוָה אֱלֹהֵי אֲבֹרָה (ყველა პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში უპირატესობას ანიჭებს (ირჩევს) ადამიანს);

יְהוָה אֱלֹהֵי אֲבֹרָה (შენს თვალებში) (ებრ.41) (იხ. დანართი 3).

ამავე არქივში დაცული სხვა დოკუმენტი წარმოადგენს ამონარიდს მოსეს ხუთნიგნეულის მეოთხე კანონიკური ნიგნიდან „რიცხვთა“, კერძოდ, გადმოცემულია მე-6 თავის დასასრული და მე-7–მე-8 თავების ნაწილი. წარწერა შესრულებულია ტყავზე. დოკუმენტი დაზიანებულია, თუმცა ტექსტის უმეტესი ადგილი იკითხება, ზოგიერთი თანხმომავანი გაფორმებულია. ამ ამონარიდში მოცემულია უფლის მიერ მოსესთვის მიცემული მითითებები, როგორ გამოესყიდათ ისრაელიანებს ცოდვები და განწმენდილიყვნენ; აარონისა და მისი შვილების კურთხევა; მოსეს მიერ სავანის გამართვა

და კურთხევა; სადღესასწაულო კარავის გამართვა და მსხვერპლშენიშვა (Hebr. 44).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ტყავის ეტრატზე შესრულებული მე-19 საუკუნის ტექსტი, რომელიც 1994 წელს მთავარ რაბინის არიელ ლევის დაუზუსტებია. იგი, შეიძლება ითქვას, რომ წინა დოკუმენტის შევსებული და უკეთესად შენახული ვარიანტია. ეტრათი არ არის დაზიანებული და ნაკითხვაც თავისუფლად შეიძლება. ეს დოკუმენტიც შეიცავს თორას ტექსტს, კერძოდ, „რიცხვთას“ ამონარიდს. წიგნი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად: მსხვერპლშენიშვის წესები; აარონის და მისი შვილების კურთხევის ამბავი; ლევიტელთა მსახურების წესები; ძველი აღთქმის დღესასწაულთა შესახებ (XIX ს. ფონ. 1446, საქმე 571).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ძველი აღთქმის კანონიკური წიგნის, „ეკლესიასტეს“ ტექსტი, რომელიც შესრულებულია ტყავის გრაგინილზე. წიგნი შეიძლება ჩაითვალოს ცოდვილი და ცხოვრებით დაღლილი მეფის აღსარებად. მასში გაცხადებულია ნუთისოფლის წარმავლობა, ყოფიერების ტრაგიზმი, ადამიანის ბუნების უცვლელია. მოცემულ მონაკვეთს ქართულად შეესატყვისება შემდეგი ფრაზები: „ოდეს ვიკვლიე, რა არის სიბრძნე, სიბრიყვე და უმეცრება, ვნახე, რომ სიბრძნე სიბრიყვეზე უპირატესობს, ისევე, როგორც ნათელი ბნელზე“; „აარავინ უწყის, ვის შეხვედება ჩემი ნაღვანი, ბრძენსა თუ უგნურს, რაიც სიბრძნით მომიღვანია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდევ ამოება“. „და წარვუხოცე იმედი ჩემს თავს, რომ აღარაფერს მოველოდე იმ ღვანლისაგან, რაც მზისქვეშეთში გამინევია“ და ა.შ. დოკუმენტი არ არის დაზიანებული და ადვილად იკითხება. შესრულებულია სასვენი ნიშნების გარეშე, ზოგიერთი თანხმომავანი გაფორმებულია, სიტყვებს შორის ადგილები მცირედ შესაჩნევად არის გამოტოვებული (Hebr. 12).

ხელთ გვაქვს, აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ესთერის წიგნის ვარიანტები. ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი დაუზიანებელია, ტექსტი მარტივად იკითხება. დოკუმენტს მარჯვენა კიდეზე ემჩნევა, რომ ამოხეულია შეკრული წიგნიდან. ტექსტი გახმომავანების გარეშეა შესრულებული და ზოგიერთი თანხმომავანი გაფორმებულია. დოკუმენტი გადმოგვცემს იმ მომენტს, როცა იუდეველებმა მტერი მახვილით დაამარცხეს, შუშანში, სატახტო ქალაქში, გაანადგურეს ხუთასი კაცი. დასასრულისკენ, დიდად დაწერილი და გამოყოფი-



ლია ცალკეული სახელები, რაც ესთერის წიგნის მე-9 თავშია ჩამოთვლილი: ფარშანდათა, დალფონი, ასფათა, ფორათა, ადალია, არიდათა, ფარმაშთა, არისაი, არიდაი და იეზათა. აღნიშნულია, რომ დახოცეს ჰამან ჰამადათას ძის ათი ვაჟი, მაგრამ გასაძარცვავად ხელი არ აღუმართავთ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ესთერის წიგნის გრაგნილი და ერთი დაზიანებული, დახეული ფურცელი. გრაგნილი ტყავის მასალაზეა შესრულებული, ცალკეულად გამოყოფილია იგივე სახელები, რაც ეროვნულ არქივში დაცულ გრაგნილშია. როგორც ჩანს, ეს ორი გრაგნილი ერთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება დაზიანებულ, ერთგვერდიან დოკუმენტს, ეს არის ესთერის წიგნის პირველი თავის ფრაგმენტი. ტექსტი ხმოვნების გარეშე და სიტყვებს შორის ადგილის გამოტოვებით არის შესრულებული (Hebr. 2,14,15,16,17). საინტერესოა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ესთერის წიგნის კომენტარები. უცნობი ავტორის მიერ განხილულია ესთერის წიგნში მომხდარი მოვლენები, თუ როგორ იხსნა გმირმა ქალმა იუდეველები გენოციდისგან (Hebr. 24).

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ლეჩხუმის სოფ. ლაილაში აღმოჩენილ იქნა მე-10 საუკუნის უნიკალური ებრაულენოვანი ბიბლია, რომელიც „ლაილაშის ბიბლიის“ სახელითაა ცნობილი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ლაილაშის ბიბლიის ფრაგმენტი, რომელიც დეფექტურია, თუმცა იკითხება. ტექსტის კიდეები წვრილად დაწერილი ლოცვის ტექსტებითაა გაფორმებული, ხოლო ბოლოს, შეფერილ ჩარჩოში წერია: ათას ორას ცხრა წიგნის მუხლების შეჯამება და აბრევიატურული სიმბოლო. დოკუმენტი წარმოადგენს ფრაგმენტს მოსეს ხუთწიგნეულის მეორე წიგნიდან – „გამოსვლათა“. აღწერს მომენტს, როცა უფალმა მიუთითა მოსეს, აქ შენებინა სადღესასწაულო კარავი. ეს სავანე წარმოადგენდა მათთვის წმინდა ადგილს (Hebr. 3) (იხ. დანართი 4).

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია სხვა ბევრი საინტერესო და ლამაზად გაფორმებული მასალა. ერთ-ერთია ქალაქის ფურცელზე შესრულებული რელიგიური ხასიათის ფერადოვანი დოკუმენტი. ქალაქის შუაგულში ლოცვის ფრაზები მენორას<sup>2</sup> ფორმით არის დაწერილი. დოკუმენტის ბოლოს

---

<sup>2</sup> „მენორა“ შვიდსანთლიანი შანდალია, რომელიც იუდაიზმის ერთ-ერთ სიმბოლოა და ლოცვის ატრიბუტს წარმოადგენს.

მოცემულია ლოცვისთვის აუცილებელი ნივთების სახელები ნახატებითურთ (Hebr. 1) (იხ. დანართი 5). ამავე არქივში გვხვდება ე.წ. ფილაქტერია. პერგამენტის ნაწილი ლოცვის ტექსტებით. ფილაქტერიაც ლოცვის განუყრელი ატრიბუტია, რომელსაც მორწმუნე ებრაელები მარცხენა მკლავზე იხვევენ. ჩვენს ხელთ არსებული ფილაქტერიაც, სტანდარტულად, ლოცვაა უფლის მიმართ, რომ დაიფაროს მლოცველი ყოველგვარი ზარალისგან, შიშისგან, სიბინძურისა თუ წინააღმდეგობებისგან. ფილაქტერიის ქვედა ნაწილში მოცემულია ორი თექვსმეტუჯრედიანი გრაფა, სადაც ცალკეული ლოცვის სიტყვები წერია. ეს სიტყვები ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან: დალოცვა, შეწყალება და ა.შ. ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა გაურკვეველია, შესაძლოა აბრევიატურას წარმოადგენდეს (Hebr.20). მეორე დოკუმენტი, მართალია, ფორმით ფილაქტერიას გავს, თუმცა მასში გადმოცემულია თორას „რიცხვთაძან“ ნაწყვეტი, სადაც უფალი ესაუბრება მოსეს და აძლევს მითითებებს, როგორ გამოიყვანოს ებრაელი ერი ეგვიპტიდან და წაიყვანოს ქანაანის ქვეყნისკენ. დოკუმენტი მცირე ზომისაა, მაგრამ დაუზიანებელია, ტექსტი ნაბეჭდია (Hebr.21).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ტყავზე შესრულებული დოკუმენტი, რომლის ზედა კიდეები მოხეულია. ეს გრაგნილი არის ამონარიდი ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნიდან, რომელიც ისრაელის მეფის, სოლომონის მიერ არის დანერილი. ტექსტი აბზაცების და სასვენი ნიშნების გარეშე გადაბმულადაა დაბეჭდილი. ზოგიერთი თანხმომავანი გაფორმებულია. ეს გახლავთ სიმღერის ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს მწყემსი ბიჭისა და შულამელი გოგონას სიყვარულის ამბავს. იგი ლამაზი, ხოტბის შემსხმელი სიტყვებით არის დანერილი. ტექსტში ნახსენებია გოგონას დედა, ძმები, „იერუსალიმის ასულნი“ (მეფის მოსამსახურე ქალები) და „სიონის ასულნი“ (იერუსალემელი ქალები) (Hebr.13) (იხ. დანართი 6).

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს შორის არის იაკობ ოფირის პირად არქივში შემონახული პატარა დოკუმენტი, რომელიც დაზიანებულია. ხელნაწერი ტყავის ეტრატზეა შესრულებული, შეიმჩნევა გადაბმების ადგილი, როგორც ჩანს, ტექსტი შეკრული იყო. ხელნაწერი ინტერვალების გარეშეა შესრულებული და რელიგიური ხასიათისაა. სიტყვებს შორის ადგილი არ არის გამოტოვებული და რთულია შინაარსის დადგენა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ერ-

თ-ერთი ამონარიდია თორადან (XIX ს., ი. ოფირის პირადი არქივი) (იხ. დანართი 7).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საინტერესო კრებული, რომელიც თემატურად მრავალფეროვანია, მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ჭკუისასანავლებელი ხასიათის კრებული, რომელშიც მრავლად გვხვდება შეგონებები; 2. ნარკვევი ეხება ზოდიაქოს ნიშნებს. სათაური მოხეულია, თუმცა იკითხება – ბედის (პლანეტების) ნიშანი. დასახელებულია ზოდიაქოს ნიშნების სიმბოლოები ცხოველებისა და ფრინველების სახით და მოცემულია მათი განმარტებები. მოყვანილია სამი ზოდიაქოს ნიშანი: კრავი, თოლია, კურო (ხარი). როგორც ცნობილია, ებრაელებს უწევდათ ცხოვრება იმ ხალხთა გვერდით, რომელთაც ასტროლოგია რელიგიის რანგში ჰყავდათ აყვანილი, ამიტომ მათთვის უცხო არ ყოფილა ეს თემატიკა. საინტერესოა, რომ ტექსტი შეიცავს არამეულად დაწერილ მამაკაცის სახელს, სავარაუდოდ, ისაკ ბარ ისმაილ. ტექსტში არამეული სიტყვების არსებობა დოკუმენტის სიძველეზე უნდა მიგვანიშებდეს (Hebr.23) (იხ. დანართი 8).

ამავე არქივში ინახება სხვა კრებულიც, რომელიც სხვადასხვა გადამწერის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ზოგიერთი ადგილი ნაშლილია, ზოგიც ძნელად გასარკვევი ხელწერით არის შესრულებული, თუმცა შინაარსობრივად ძალიან საინტერესოა. თემატურად შემდეგნაირად იყოფა:

- 1) სიზმრების ახსნა. მე-18 საუკუნის შუა წლების ჩანაწერი. გადამწერი იოჰანან ბენ აზარია, ფინჰაზა მიზრაჰის მოსწავლე;
- 2) მოთხრობა წინამძღოლ იოსებსა და სპარსელ ვაჭარზე;
- 3) თალმუდური ნარკვევი „დიდი რაბინი ელიეზერი“ (რაბი ელიეზერ ჰაგადოლ), 1751 წ. შესრულებული იოჰანან ბენ აზარის ბეჭდვითი გამომცემლობის მიერ;
- 4) მიდრაში<sup>3</sup> იესოზე;
- 5) მიდრაში ესთერზე – ებრაელი გმირი ქალის ისტორია;
- 6) მიდრაშული ხასიათის მოთხრობების ნაკრები ალექსანდრე მაკედონელსა და სოლომონის მეფობის პერიოდში მცხოვრებ წინამძღოლზე. 1786 წელი;

---

<sup>3</sup> მიდრაში ებრაულად ახსნა-განმარტებას ნიშნავს და წარმოადგენს რაბინთა ქადაგებების განმარტებებს. მიდრაშები, ძირითადად, ზნეობრივი და თხრობით-გადმოცემითი ხასიათისაა.

7) მიდრაში აბრაამზე, მოსესა და სხვებზე. მოთხრობები სხვადასხვა წინამძღოლებსა და თალმუდის პერსონაჟებზე;

8) რაბინი ელიეზერი (ფრაგმენტი 3 ნარკვევიდან) (Hebr. 45, Hebr. 46, Hebr. 47).

საქართველოს ეროვნულ საარქივო ფონდში ინახება დოკუმენტი, რომელიც არ არის დაზიანებული და მისი წაკითხვა შესაძლებელია. დოკუმენტი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. მისი სათაურია „ლოცვა კეისარისთვის“ და ეხება რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვს (ნიკოლოზ II-ს) და მის ოჯახს. დოკუმენტში ნახსენებია იმპერატორის მშობლები: მამა – ალექსანდრე III და დედა – ალექსანდრა ფეოდოროვნა. დოკუმენტის ავტორი უფალს სთხოვს, გაანადგუროს მეფის მტერი ისე, როგორც დავითმა გაანადგურა მახვილით ბოროტი ძალა. მეფეს, დედოფლს და მის ოჯახს ავედრებს წმინდა მამებს: აბრაამს, იცხაკს, იაკობს, მოსეს, აარონს, დავითს და სოლომონს. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, რომანოვების ოჯახის სასტიკი მკვლელობა რიტუალური იყო, ნიკოლოზ მეორეს კი კონტაქტი ჰქოდა ებრაელ სიონისტებთან (1914-1915 ფონ. 1446, საბ. 823, ფურ. 1) (იხ. დანართი 9).

საქართველოს საარქივო ფონდებში დაცული და ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტები თანაბრად საინტერესო და ძვირფასია როგორც ქართველებისთვის, ისე ებრაელი ხალხისთვის. ეს მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ებრაელი ერი რელიგიას ყოველთვის უმთავრეს როლს ანიჭებდა. სწორედ, რწმენა იყო ებრაელების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გადარჩენის მთავარი საშუალება სირთულეებით აღსავსე ისტორიის მანძილზე.

## ლიტერატურა – Referenses

1. გვარამია რ., აღმოსავლურ ხელნაერთა ფონდი, მნიგნობარი 06: [აღმანახი], საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია, თბილისი, 2006, გვ. 134-144.
2. ოფირი ი., საქართველოს ებრაელთა ავანგარდული როლი მათი რწმენის შენარჩუნებისა საბჭოთა სინამდვილეში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისრაელის ცენტრი, თბილისი, 2017, 31, გვ. 81-90.

3. ქუთათელაძე მ., თბილისის ტაძრები, ტ. I, თბილისი, 2010 გვ. 30-31.
4. წერეთელი გ., მოსეს ხუთი წიგნის თბილისური ებრაული ხელნაწერი, აღმოსავლური ფილოლოგია, თბილისი, 1970, გვ. 21-39.
5. წერეთელი კ., ბიბლიის ებრაული, გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი, თბილისი, 2001.

## **Eka Khatiashvili**

### **Religious Hebrew Documents Preserved in the Archives of Georgia**

#### **S u m m e r y**

In the Archives and institutions of Georgia, there are the important religious texts about Jews. The documents confirm that religion always plays a main role in the lives of the Jewish nation. Among the studied 35 Hebrew documents, the oldest one is the manuscript of Lilash written in Hebrew, dating in 10th century.

The Holy Book, except for its religious purpose, is the ancient narrator of Jewish history. In the article there are presented the religious documents about Georgian-Hebrews that were preserved in various archives and Institutes, which unambiguously indicate the significance of religion in Georgian-Hebrews' life. Some of the presented documents are remarked:

Torah's scroll, parchment preserved in National Center of Manuscripts. Fragments from the fourth canonical book of Mose's five books - "Numbers"; fragments of "Ecclesiastes"; several versions of "Book of Esther";

Bibles and their fragments; Bible of Lilash (one of the oldest and the most unique Hebrew manuscript in the world); Printed bible from the XVI century; The fragment of bible discovered in Racha.

It should be noted the beautifully decorated materials preserved in the National Center of Manuscripts. One of them is a colorful document of religious nature performed on a sheet of paper. In the middle of the page the pray text is written like the form of Menora. At the end of the document there is a list of necessary things for prayer.

The collection of Midrashes about several biblical personages;

The manuscripts including prayers;

Hebrew manuscript – a prayer about the last emperor of Russia, Nikoloz II and his family;

The studied documents, preserved in the archival funds of Georgia are equally interesting and important to both of nations, Georgians and Jews people. These materials once again prove that religion has always been a major role in the Jewish life. The belief of Jews has become the only way for preserving, surviving identity and overcoming the challenges.

# დანართი 1



დაწართი 2




დაწართი 3













וזה תורה משה אלהים הראשון  
 והם יעבדו את עבודת רעות  
 כן תחילת תהונות כפשיך על מזכותך ואלו  
 תעבור את מוד לך כנס והתפלל לפני אלהיך  
 והוא ישמח את לבך :  
 כח דודיקת כבודך כשורה טובה ואין בזה דבר  
 כע והתחיל ללמד אלהיך והוא יתן תכבוד חסד  
 מועט תאריך את דומך ואלו תמהור ואלו תדנהור  
 כצו השאלה יתן לך חן וחסד ורחמים ישמח לך  
 כן דודי שעה טובה נזמן טוב יש לך ואין לך  
 צרה וצויה מעוסי הקה והלאה ועמחיתך הרוב  
 לבוא והפליד טוב :  
 כב אדם דע שאויביך ועונאיך שונאים אותך  
 בחנם ועל שקרהם אובלים ופועלים עמך  
 הרחק מהם והם חושבים עליך כעה והאלו יעלך מהם  
 כג אחי אלה הרבה נעתי ונרחתי ושעה האל עמך ואלו  
 לך בזה השאלה דברך ואין אדם יכול לנהוג  
 בד האל ית ימלא חפצו ויתן ונתן לך חן וחסד  
 ורחמים :

סלה הוא שגזלו ענה ככבו ואזיר פשעים לשאל צדקות  
 ובעל כבוד וכן למלות ומרחיק צרה חטון ואז אשם  
 הונתו ויפול לפניו ובסכנה יהיה והרבה דברים ואחרת  
 עליו ועשה ברע שלש שנים שנים ואח"כ הרבה טובות  
 ימלא ואשתו חושש בראשו ופדונו דני דומי ומרבה הרבה  
 ואינו חסר לו כלום סומט למורה וסומט יש לו באחד  
 מערכיו ויהיה חולה שתי שנים ואם יגל עד שארס  
 שעה יבא ליהנות אס יגל סומט יהיה עד ששנים  
 שעה וסומט יש לו שארסו בראשו או בירכמו ועשו  
 גדולות ובעל סה סרצנות :  
 אמ נקבה היא מאמה למעלה במלכה יפיה יפיה  
 תאר ומצחה רחב ובטובה עבוס וננומרה  
 ארכות ושערה יפה וקומתה נאה ובעלה בעל מלאכה  
 ועזרת בעלה ודבריה מתוקים ונחמתי אהבה  
 ואיש אחר בסתר בחייה בעלה ושתק שיה וצלה  
 ושגב שאת טובעלה ובבל יקם עשה מתלקק עד בעלה  
 ושגב עניו ברע במטה ומכריד אויביה וראשה חוששת  
 ומרדיה ובמלה דשעה לשעת אחרים ולמה מתקיימת  
 ובשאלה שנים תהיה חולה וכת שבעה ובש בגנותה  
 ואם חולתה סו שנים ואלו תמות וסומט בראשה  
 עמכה או סומט : ססס אחר מקלו שור ושלמון  
 לה חמול  
 אור מן שגזלו בשור מדבר דברים כל ורוב  
 ועל אחרים ומה עושה ואששים עושה

תפלה בעד הקיסר ויה

המתן השועה למלכים ומעשלה למלכים מלכותם כל יולמים הצפה את אחד ונעברו טורח רעה העומתים בים הדרך  
 ובמים קנים נמחה הוא יכר השמור וינצור ועינו והישם תגל וישא למעלה את אהנת הקיסר ניקאלא  
 אלכנדר אורוש עם אשתו הקיסרית הכבודה אלכסנדרא פנאראואונא ועם אמו הקיסרית  
 המבודה מארא פנאראואונא ואת וישת העצה אלכקסאי ניקלאוישט את חד מלכותו העצה  
 בקוקן ניקאלאי ניקלאוישו ואת כל בית מלכטו דרם יום היום מלך מלכי העלמים כרחמו יחוו וישגדו  
 ומכל צרתו וכן נעצמו וירבו עמם חזית תמו ופל שטאו לפמו ובכל אשר יפנה צילח מלך מלכי העלמים  
 כרחמו ותן כלמו ובכל כל תוצרו ושריו וחמנת לעשות טובות נעט ועם כל ישראל כחו ובשט תשע יהודה וישראל  
 ישכון למטח ובא לציון נואבקו יהוה ורצון ונאמר אמן

מי שבדרך אבותינו הקדושים אברהם ציוק ועקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק  
 העולמות הנבחרות והעומדים במנוקמות הצבא בחיף נפש טובים אין העולמות ולשבת כסא מלכטו ואריו  
 קיסר רסאא והטולה יהוה ויקום ביום כרית משה רבינו עזר שכינת כרתו הקדושה והרשם את איביכם ונעמי  
 לפנכם לחרוב ורדף מכם ומשה מאר ומאה מכם רבבה ורדף תפלו לפנכם לחרוב ותן ה' אישך הקדוש נעמי  
 נשם לפנך בדרך ארדף צוא אלק ובטבעה דרכים נוסו לפנך ובשבר נעמוך ותאבנה וישפיריה הווא  
 נדבו בני עזרת בית הנבסת רבלי להצפול מדי שבת בשבת לפנ אלקי ישראל בעד שלומם והצלחם  
 העושים לשבות בית הנבסת כנסויות הקדושה ובארה לנו מקיב אנה שותפול בית צרות ואמר  
 אב יהוה אברהם נעמי ושמרתו בדרך יהוה אשר אנכי וחכך ונשבת בשלום אל בית אבי ויהו  
 ה' לי לאלקים ובכל אשר תתן לי נער אנשתי כל ידיו רצון מלכתי ה' איש מלכותו שיבו והכל לב  
 על מהומם לשלום בור הנצחון על ראשם ויהי על העולמות ותן עליהם תפלת חוד מלך ישראל שאמר

במים קנים נמחה הוא יכר השמור וינצור ועינו והישם תגל וישא למעלה את אהנת הקיסר ניקאלא  
 אלכנדר אורוש עם אשתו הקיסרית הכבודה אלכסנדרא פנאראואונא ועם אמו הקיסרית  
 המבודה מארא פנאראואונא ואת וישת העצה אלכקסאי ניקלאוישט את חד מלכותו העצה  
 בקוקן ניקאלאי ניקלאוישו ואת כל בית מלכטו דרם יום היום מלך מלכי העלמים כרחמו יחוו וישגדו  
 ומכל צרתו וכן נעצמו וירבו עמם חזית תמו ופל שטאו לפמו ובכל אשר יפנה צילח מלך מלכי העלמים  
 כרחמו ותן כלמו ובכל כל תוצרו ושריו וחמנת לעשות טובות נעט ועם כל ישראל כחו ובשט תשע יהודה וישראל  
 ישכון למטח ובא לציון נואבקו יהוה ורצון ונאמר אמן

מי שבדרך אבותינו הקדושים אברהם ציוק ועקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק ויעקב ציוק  
 העולמות הנבחרות והעומדים במנוקמות הצבא בחיף נפש טובים אין העולמות ולשבת כסא מלכטו ואריו  
 קיסר רסאא והטולה יהוה ויקום ביום כרית משה רבינו עזר שכינת כרתו הקדושה והרשם את איביכם ונעמי  
 לפנכם לחרוב ורדף מכם ומשה מאר ומאה מכם רבבה ורדף תפלו לפנכם לחרוב ותן ה' אישך הקדוש נעמי  
 נשם לפנך בדרך ארדף צוא אלק ובטבעה דרכים נוסו לפנך ובשבר נעמוך ותאבנה וישפיריה הווא  
 נדבו בני עזרת בית הנבסת רבלי להצפול מדי שבת בשבת לפנ אלקי ישראל בעד שלומם והצלחם  
 העושים לשבות בית הנבסת כנסויות הקדושה ובארה לנו מקיב אנה שותפול בית צרות ואמר  
 אב יהוה אברהם נעמי ושמרתו בדרך יהוה אשר אנכי וחכך ונשבת בשלום אל בית אבי ויהו  
 ה' לי לאלקים ובכל אשר תתן לי נער אנשתי כל ידיו רצון מלכתי ה' איש מלכותו שיבו והכל לב  
 על מהומם לשלום בור הנצחון על ראשם ויהי על העולמות ותן עליהם תפלת חוד מלך ישראל שאמר  
 בתפלתו כי מלכתי ציוה לך לשמור בכל דרכך ה שמרתי ה צדק על ידי ומשך ה ישמך מכל רע ישמך את  
 נשתי ה ישמך צארה ובאר מענה ועד עולם אמן

**გოლდა მეირისა და იორდანის მეფე აბდალაჰის  
საიდუმლო მოლაპარაკებები ისრაელის  
სახელმწიფოს შექმნის წინ**

ისრაელის მთავრობის მეთაური 1968-1974 წლებში გოლდა მეირი ორჯერ შეხვდა იორდანის მეფე აბდალაჰს ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე ექვსი თვით ადრე. მეირი იგონებდა: „პირველად მეფე აბდალაჰს 1947 წელს შევხვდი. საუბარში მალე გამომჟღავნდა, რომ ის არ მიემხრობოდა ჩვენს მოწინააღმდეგე არაბებს. მან ხაზი გაუსვა, რომ დარჩებოდა ჩვენს მეგობრად. მას, ისევე როგორც ჩვენ, სურდა მხოლოდ მშვიდობა“. მეფე აბდალაჰმა მეირს სთხოვა: „რატომ არ შეიძლება დაიცადოთ რამდენიმე წლით. მე მთელი ქვეყნის სათავეში დავდგები და ჩემს პარლამენტში წარგადგენთ მე თქვენ კარგად მოგექცევით და ომიც აღარ იქნება“. გოლდა მეირის მტკიცებით, აბდალაჰთან საუბარში გამოიკვეთა მათი საერთო მტერი. იერუსალიმის მუფთი ამინ აღ-ჰუსეინი“. თუმცა ჩვენი მოლაპარაკებების შინაარსი საიდუმლოდ ინახებოდა მაშინაც კი, როცა აბდალაჰი მოკლეს. არავინ იცის მოლაპარაკების ირგვლივ დარხეულმა ხმებმა გამოიწვია თუ არა მკვლელობა. ვფიქრობ, რომ მუფთის მომხრეებმა მოკლეს“.

მეფე აბდალაჰის არასოდეს სტანჯავდა ებრაელებისადმი ისეთი სიძულვილი როგორსაც ამინ აღ-ალჰუსეინი დაატარებდა“. მეფე აბდალაჰი პირველი იყო, ვინც ისრაელთან შეთანხმებას ესწრაფოდა; ჩვენ არ გვჭირდება ამერიკა და ევროპა. ჩვენ აღმოსავლეთის შვილები ვართ და მსოფლიოს სასწაული უნდა ვაჩვენოთ. დავსხდეთ მოსალაპარაკებლად და ყველაფერზე შევთანხმდეთ“.

ახალგაზრდა ებრაელმა ელიაჰუ სასონმა, რომელიც გოლდა მეირთან ერთად მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, მეფე აბდალაჰს ჰკითხა რატომ იღწვოდა ისრაელთან მშვიდობისათვის. „ეს ჩემი ხალხის ინტერესებში შედის – უპასუხა მეფემ. თუ ჩვენ არ დავამყარებთ მშვიდობას, იქნება კიდევ ერთი ომი, შემდეგ კიდევ ერთი, შემდეგ კიდევ ერთი ომი და ჩვენ წავაგებთ“. აბდალაჰი მართალი აღმოჩნდა, თუმცა ის უკვე განწირული იყო. ის თავის საკუთარ ქვეყანაში ვერ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ამანელი ლატაკები და იერუ-

სალიმელი ლტოლვილები მასში მოღალატეს ხედავდნენ. ამიტომ დიდ მეფეს არ გასჭირვებია ფანატიკოსების მოძებნა, რომლებიც „სიონისტების მსახურის“ განადგურებას დათანხმდებოდნენ.

არაბულ სამყაროში მკვლევლობა განუყრელი სენივითაა, მაგრამ აბდალაჰის მკვლევლობამ მაინც გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა არაბულ სამყაროზე.

ისრაელმა და მისმა სტრატეგიულმა მოკავშირემ – აშშ-მა დაინყეს ახლო აღმოსავლეთში არაბული სახელმწიფოების განადგურების გეგმის განხორციელება და მათ დასასუსტებლად ყველაზე ეფექტურ ხერხს – შინა ბრძოლების გაჩაღებას მიმართეს. ამის გამო იორდანის მმართველი წრეები გამართლებულად მიიჩნევდნენ ისრაელის მმართველებთან დაახლოებას. იერუსალიმის საკითხის ირგვლივ შეხედულებების დამთხვევამ მნიშვნელოვნად გააიოლა შემოდგომაზე აბდალაჰისა და ისრაელის მთავრობის პირად საკითხებზე დროებით დაახლოება, რაც საერთო პოლიტიკური ხაზის შემუშავებას და საერთო ინტერესების მქონე საკითხების განხილვაში გადაიზარდა. გაჩნდა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ბლოკის ორგანიზების პერსპექტივა. ისრაელის მთავრობასა და აბდალაჰის პირად წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები ძალზე ფარულად მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობები ძირფესვიანად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი მოლაპარაკებებისგან, რომელსაც ისრაელი სხვა არაბულ სახელმწიფოებთან აწარმოებდა. საზღვრები და უსაფრთხოება ორი ქვეყნის ლიდერების ორმხრივ ნდობას ეფუძნებოდა. მოშე დაიანი წერდა: „ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან მოკიდებული მისი მომავალი საზღვრები ჩემი მთავარი საზრუნავი იყო. როგორი იქნება ჩვენი დროის ისრაელი? რა მოცულობის იქნება მისი ტერიტორია? ისტორიული ისრაელის რომელი მხარეები შევა მის შემადგენლობაში და რომელი არა? მე დიდი პატივი მხვდა წილად აქტიური მონაწილეობა მიმელო ამ კითხვებზე პასუხის მოსაძებნად. დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ ვმონაწილეობდი იორდანის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებებში. მის სამეფოსთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულების რუკაზე ისრაელის სახელით მოვანერე ხელი“.

1949 წლის მაისშივე ისრაელის საგარეო საგმეთა მინისტრი შრეტი მეფე აბდალაჰს შეხვდა, რომელიც თანახმა იყო მშვიდობაზე თუკი ისრაელი მის ზღვაზე გასასვლელს მისცემდა. ეს თვით



შრეტსაც არ შეეძლო, რადგანაც ამით ისრაელი ორ ნაწილად გაიყოფოდა და ამით უსიცოცხლო მთავრობამაც კი არაფერი იცოდა. აბდალაჰი არაბულ აღმოსავლეთში დაძაბული სიტუაციის თავის ასარიდებლად გამოყენებასა და იზოლაციისაგან თავის დაღწევას ცდილობდა. აბდალაჰის მოთხოვნები პალესტინის რიგი რაიონების – ლიდის, რამლას, და პორტ ალ-მაგდალის იორდანიისათვის გადაცემა იყო.

აბდალაჰი შორს იხედებოდა. ისრაელი უნდოდა მომავალში როგორც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვის საკომანდო პუნქტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ტურიზმის განვითარება იქნებოდა. ის ვარაუდობდა რომ, იერუსალიმში ჩასული ტურისტები წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით იორდანიაში გააგრძელებდნენ მოგზაურობას, სადაც მრავალი საინტერესო ადგილი იყო. მაგალითად ქალაქი პეტრა. ასეთი რამ მილიონობით უცხოელს დააინტერესებდა, ხოლო მოგებულები თანხა იორდანიის ხაზინაში მდინარესავით დაინყებდა ჩადინებას. ჩანაფიქრი განხორციელდა, მაგრამ იორდანიაში ჩასული ტურისტები ისრაელის სასტუმროებში ცხოვრობდნენ და შესაბამისი მოგებაც მთლიანად მათ რჩებოდათ. არაბული პოლიტიკური წრეები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ისრაელი ეკონომიკური განვითარების მწვერვალზე ასვლის შემთხვევაში რეგიონის ქვეყნებიც გაიყოლებდა თან. მეფე აბდალაჰმა ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე დამყარებული საკმაოდ ინტენსიური კონტაქტითაც კი პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ შეძლო ისრაელთან ამ ურთიერთობების გამოყენება.

მიუხედავად ამისა, მეფე აბდალაჰის პოლიტიკამ შექმნა პრეცედენტი და სათავე დაუდო მომავალ სამშვიდობო პროცესებს, თუმცა კონფლიქტის საბოლოოდ მონესრიგება ვერ შეძლო.

## ლიტერატურა – References

1. ბარელი დ., იერუსალიმი, სამშობლოდან სამშობლოში, შტ. 1990.
2. ჟღენტი კ., პალესტინის პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1991.
3. Киселев В.М., Палестинская проблема международных отношениях. Региональный аспект, «наука», Москва, 1988.

4. Watikiotis P., Politics and the Military in Jordan (1921-57).
5. Hirsch., Facts about Israel, Jerusalem, 1996.

## **Inga Zabakhidze**

### **Secret negotiations of Golda Meir and King of Jordan Abdullah before establishment of the state of Israel**

#### **S u m m a r y**

The King of Jordan was the first one whose aspiration was to come to agreement with Israel. „We don't need America and Europe. We are the children of the East and we must show the world a miracle“ used to say Abdalah with Golda Mair.

„If we don't make a peace, there will be one more war, than one more war , than one more war , than one more-and we'll loose”.

In spite of this it is impossible not to appreciate positively the fact that the policy of King Abdalah made a precedent and gave origin to the future peaceful process, though he was not able to regulate the conflict definitively.

**ფერეიდანი XIX-XX საუკუნეების  
ქართულ პრესასა და ისტორიოგრაფიაში**

რაგინდ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, ფერეიდანი და იქ მცხოვრები ქართველობა საკმაოდ გვიან – მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან – ექცევა ჩვენი საზოგადოების თვალთახედვის არეში. მანამდე კი ქართულ წერილობით მასალებში (არც ისტორიულ დოკუმენტებში, არც მხატვრულ ლიტერატურაში და არც სხვაგან) მათ შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი.

თვით „ქართლის ცხოვრებაც“ კი საქართველოს ისტორიის იმ ტრაგიკულ ეპიზოდებს, რომელთაც შედეგად სპარსეთში ასიათასობით ჩვენი მოძმის ძალადობრივი გზით გადასახლება მოჰყვა, მხოლოდ ამ წინადადებით გვაუწყებს: შაჰ-აბასმა და მისმა მეზობლებმა მათ მიერ აკლებულ-ანოკებული კახეთის მოსახლეობა ცოლშვილიანად აჰყარეს და „ნაასხეს რომელიმე ფერიასა“ (ფერეიდანს – ა.ნ.8.401).

ხოლო ვახუშტი ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით, ასევე ერთი წინადადებით, ამ ინფორმაციას გვანვდის: „წარიყვანა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარას ან სდაფერიას“.

ესაა და ეს სულ.

„ქართლის ცხოვრების“ შემდგომდროინდელი წერილობითი ძეგლი, სადაც ფერეიდნელი ქართველები ასევე ფრაგმენტულად არიან მოხსენიებული, ეკუთვნის XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბერისა და მწიგნობრის – იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) (1768–1830 წწ.) ცნობილი ნაწარმოების – „კალმასობის“ მთავარ გმირს იოანე (იონა) ხელაშვილს, რომელიც თავის ერთ-ერთ ლოცვაში წერდა [10. 61]:

ეძიე {ადონაი უფალო} სისხლი ივერიისა,  
დანთხეულნი მირიან მეფითგან ვიდრე აქამომდე,  
და გამოიყვანე ერი იგი {ქართველი} ფერიეთიდგან (ფერეიდანიდან).

აღნიშნული დროიდან მოყოლებული, XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ქართველ ავტორებ-

ზე ადრე თუმცა მეტად ფრაგმენტულ, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობას საქართველოში მოღვაწე ცნობილი იტალიელი კათოლიკე მისიონერის – დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის მიერ რომის პაპისთვის გაგზავნილ რელაციებში ვხვდებით. როგორც ცნობილია, იგი რომის კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობას მისიონერული საქმიანობის აღსასრულებლად ჰყავდა გამოგზავნილი საქართველოში.

ამ დავალების განსახორციელებლად იგი, 1631 წელს არქანჯელო ლამბერტთან ერთად, ჯერ გორში ჩამოვიდა, 1633 წელს კი სამისიონერო საქმიანობა სამეგრელოში განაგრძო, სადაც 1643 წლამდე დარჩა. საქართველოში ყოფნის პერიოდში დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი აქ არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით წერილობით რელაციებს უგზავნიდა რომის პაპს.

აღნიშნული დოკუმენტების ქართულ ენაზე მთარგმნელის – ბეჟან გიორგაძის ხაზგასმით, ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად მეტად ძვირფასი ეს მასალები, რომელიც ვატიკანის არქივში იყო შენახული 320 წლის განმავლობაში, პირველად მიხილ თამარაშვილმა აღმოაჩინა და მისი ფრაგმენტები შეიტანა 1902 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.

აღნიშნული რელაციები ქართულ ენაზე სრულყოფილი სახით თარგმნა და შესაბამისი სამეცნიერო ნარკვევის თანდართვით გამოცა ბეჟან გიორგაძემ. როგორც ითქვა, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ხსენებული ნაშრომი საინტერესო წერილობით წყაროს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ მისი ავტორი ფერეიდანში ქართველთა გადასახლების თაობაზეც გვანვდის ფრაგმენტულ ცნობას.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმონმებ შესაბამის ეპიზოდს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ხსენებული ტექსტიდან: „საქართველოს უამრავი ომებისაგან გამოწვეული უბედურება განუცდია. ახლა ჩვენს დროში, დაახლოებით 30 წელი იქნება, რაც სპარსეთის ხელმწიფემ შაჰ-აბასმა განსაკუთრებით გაანადგურა ქართლ-კახეთი. მან მთელი კახეთის მკვიდრნი აპყარა და სპარსეთის პროვინცია ფერაბადში (Ferrabat) გადაასახლა. ამ უკანასკნელ წელს ხელახლა აუჯანყდა სპარსეთის შაჰს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი დაუდ ხან (DautCan) განჯელთან ერთად. ამის გამო სპარსეთის უძლიერესმა ჯარმა ხელმეორედ გაანადგურა კახეთი“ [3. 81].

გარდა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელისა, სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ სხვა უცხოელ ავტორთა წერილობით ტექსტებშიც გვხვდება ფრაგმენტული ცნობები. მაგალითად, მე-17 საუკუნის იტალიელი და მოგზაური პიეტრო დელა ვალე (1586–1652 წწ.), რომელიც ირანში, კერძოდ კი შირაზსა და ისპაჰანში, ყოფნის პერიოდში პირადად გაეცნო შაჰ-აბასის მიერ საქართველოსთვის თავსდატეხილი ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად ამ ქვეყანაში გადასახლებულ ქართველთა ყოფას, ამასთან დაკავშირებით რომის პაპს ასეთი შინაარსის მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა:

„რა საშინელება არ მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რამდენის სიკვდილი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ჟღეტა, რა გახრწნა, რა ძალდატანება! რამდენი ჩვილი ყმანვილი დაახრჩვეს თავიანთმა მშობლებმა ან წყალში ჩააგდეს სასონარკვეთილებისაგან! რამდენი მოჰკლეს სპარსელმა ჯარისკაცებმა იმიტომ, რომ ისინი სასიცოცხლონი არ იყვნენ! რამდენი ძალით მოჰგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების საქმელად ან ცხენებისა და აქლემების სასრესად. მხედრებს არაერთხელ უვლიათ ქართველ მიცვალებულთა ლემებზე. რამდენი მიცვალებულის გვამი მგელს, ძალს, ნადირს უხრია და უგლეჯია. რამდენჯერ მამა – შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – დას მოაშორეს ისე, რომ იმათ იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის ნახვისა“.

შემდეგი უცხოელი, რომელიც სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შესახებ ცნობებს პირადად მის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით გვანვდის, ევროპელი მოგზაური ფრაზერი იყო. კერძოდ, 1822 წელს, შაჰრუდსა და საბზევარს შორის მდებარე სოფელ აბასაბადში, რომელიც ქართველთა ადგილსამყოფელს წარმოადგენდა, იგი ასეთი მდგომარეობის თვითმხილველი გამხდარა: „ამ სოფლის წარმოშობა განსაკუთრებულია და მისი მოსახლეობის ბედიც განსაკუთრებით სამწუხაროა. შარაგზაზე, რომელიც აერთებს ამ ორ მთავარ ხალხმრავალ ქალაქს, იყო ბუნებისაგან მიტოვებული და მოტიტვლებული დიდი სივრცე, ყოველთვის საშიში და ხშირად მოგზაურთათვის გაუვალად მიჩნეული, ჩრდილოეთიდან მძვინვარე თურქების თავდასხმების გამო.“

ასე რომ, ურთიერთობა ამ ორ ქალაქს შორის სავსებით განყვეტილი იყო. ამ სახიფათო და უკაცრიელ გზაზე საკუთარი ნებასურვილით არავინ დასახლდებოდა... ამას გრძნობდა ქვეყნის ყვე-

ლა წარჩინებული... შაჰ-აბას პირველმა გაითვალისწინა ეს უხერხულობა და აქაც ჩვეულ პოლიტიკას მიმართა: გადმოსახლა ასი ქართული ოჯახი მშობლიური მდიდარი ნიადაგიდან ხორასნის უნაყოფო მარილიან ქანჭრობში... შაჰმა დაუნიშნა მათ ჯამაგირები იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სოფლის მეურნეობა ვერ წვდებოდა; შრომა მათთვის შეუძლებელი იყო როგორც უნაყოფო ნიადაგის, ასევე თავდასხმის მუდმივი საშიშროების გამო...

ისინი მწარედ ჩივიან თავიანთ ბედზე და სიხარულით დატოვებდნენ იქაურობას, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან არც ერთს არა აქვს წასვლის უფლება“ (10. 4).

ფერეიდანისა და იქ მცხოვრები ქართველების შესახებ თუმცა ფრაგმენტული, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი ცნობები მოგვანოდა ახალგაზრდა ინგლისელმა დიპლომატმა, პოლიტიკოსმა და არქეოლოგმა სერ ოსტინ ჰენრი ლაიარდმა (1817–1894), რომელიც 1840 წელს ირანში მოგზაურობის დროს ხსენებულ რეგიონშიც იმყოფებოდა და 1887 წელს ლონდონში გამოცემულ თავის წიგნში – „თავგადასავლები სპარსეთში, სუსიანასა და ბაბილონში“ მის ფერეიდნულ შთაბეჭდილებებსაც გადმოგვცემს.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წიგნიდან: „ამჟამად ფერეიდანის ოლქში შევედით, რომელიც მნიშვნელოვანწილად ბახტიარის დიდი მმართველის – მეჰმეთ ტაკი ხანის სამფლობელოს წარმოადგენს. ჩვენ მთავარ სოფელში გავჩერდით, რომელიც ასორმოცდაათ სახლს მოიცავს. იგი დასახლებულია ქართველებით, რომელნიც აქ შაჰ-აბასმა ჩამოსახლა. ამ ქრისტიანმა მოსახლეობამ შეძლო თავისი რელიგიისა და ენის შენარჩუნება. ისინი ძალიან შრომისმოყვარეები არიან. ამიტომაცაა, რომ მათი სოფლები გარშემორტყმულია ხეხილის ბაღებით და შესანიშნავი სანახავია. ქართველები მათ ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობისგან თავიანთი განსაკუთრებულობით გამოირჩევიან. მათი ქალები გამოჩენას არ ერიდებოდნენ. მათი უმეტესობა საოცრად ლამაზებია...

გადავწყვიტეთ, დაბინდების გამო ღამე ერთ-ერთ ქრისტიანულ სოფელში გაგვეტარებინა, სადაც იმდენად არასტუმართმოყვრულად შეგვხვდნენ, რომ ოთახის შოვნაც კი გაგვიჭირდა. ერთ-ერთი მასპინძლის სახლი, რომელიც, საბოლოოდ, ღამის გასათევად შევარჩიეთ, სავსე იყო უსაქმური ხალხით. ისინი მოგვშტერე-

ბოდნენ, როგორც უცხოებს და სახლში ყოველი შესვლისა და გამოსვლის დროს ხმამაღლა ყვიროდნენ. შიგა ეზოც კი სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდებოდნენ, ჩვენს ოთახში რომ შემოსულიყვნენ ჩემთვის თვალის მოსაკრავად.

ქალები სახლის სახურავზე შეკრებილიყვნენ და იქიდან ბუხრის მილის საშუალებით იყურებოდნენ ქვემოთ. ყოველივე ამის გამო თავი იმდენად უხერხულად ვიგრძენი, რომ ძალის გამოყენებაც კი დამჭირდა ოთახიდან მათ გასაყრელად.

საბოლოოდ, როდესაც ყველა მათგანი გავაგდე, კარებთან მცველად ალი დავაყენე ხმლით ხელში, რათა არავისთვის მიეცა ოთახში შემოსვლის ნება. ხოლოდ ქალები არ გაგვიძევებია სახურავიდან, რომლებიც მანამ იჭვრიტებოდნენ, სანამ დასაძინებლად არ დავნექით. როგორც ჩემი გამოცდილებით ვისწავლე, აღმოსავლეთში ქრისტიანები, განურჩევლად მიმართულებისა, მუსლიმებთან შედარებით ნაკლებად პატიოსანნი, არასტუმართმოყვარენი და მოგზაურებისადმი უყურადღებონი არიან; თავიანთი ხასიათით – ნაკლებად მოკრძალებულნიცა და არალირსეულნიც. ეს ყველაფერი შესაძლოა იმ ცუდი მოპყრობის შედეგი იყოს, რასაც თაობათა განმავლობაში იჩენდნენ მუსლიმი მმართველები მათ მიმართ“ [300].

რაც შეეხება საქართველოს, სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პირველი ვრცელი წერილის ავტორი იყო დიდი ქართველი მამულიშვილის – დიმიტრი ყიფიანის ვაჟი ნიკო ყიფიანი (1846-1905წწ.). ხსენებული საკითხისადმი მიძღვნილი მისი პუბლიკაცია – „ქართველების კოლონია სპარსეთში“ 1872 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ 31 მარტის ნომერში.

ჩვენი იმდროინდელი საზოგადოების დიდმა ნაწილმა წერილობითი ფორმით თავდაპირველად სწორედ ამ პუბლიკაციით შეიტყო სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა ტრაგიკული ეროვნული ხვედრის ამბავი. ლოგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ირკვევა, აღნიშნული წერილის დაწერის საფუძველი საქართველოში ჩამოსულ პირველ ფერეიდნელ ქართველთან – ათამა ონიკაშვილთან პუბლიკაციის ავტორის შეხვედრა და მისგან მოსმენილი ამბები გახდა.

ნ. ყიფიანის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ათამა შაჰ-აბასი სდროს სპარსეთში გადასახლებულ იმ ქართველთა შთამომა-

ვალი იყო, რომელთაც მათ ისტორიულ სამშობლოსთან თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ განწყვეტილი ფიზიკური კავშირი, იგი მაინც „წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობდა“. იმის გამო, რომ იმ დროინდელმა ჩვენმა საზოგადოებამ ჩვენი ირანელი თანამემამულეების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცოდა, ნ. ყიფიანმა ხსენებული პუბლიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მკითხველისთვის მათ ისტორიულ ხვედრთან და იმჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით გარკვეული ცნობების მიწოდების მიზნით დაწერა.

კერძოდ, ჩვენი მაშინდელი საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორედ აღნიშნული პუბლიკაციის შედეგად შეიტყო ის ფაქტი, რომ შაჰ-აბასისმიერ XVII საუკუნის ათიან წლებში სპარსეთში გადასახლებული ის ქართველები, რომლებიც ფერეიდანში მდებარე სოფლებში ცხოვრობდნენ, მიუხედავად მათი გამუსლიმებისა, კვლავაც წინაპართა ენაზე საუბრობდნენ. ნ. ყიფიანის ინფორმაციით, ეს სოფლები იყო: მარტყოფი, ახჩა, ბოინი, ტაშკეშანა, აფუსი და თოლეღი.

ფერეიდანში არსებული ქართული სოფლების ამ ჩამონათვალს, რასაც ნ. ყიფიანი ა. ონიკაშვილის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გვთავაზობს, რამდენადმე სახეცვლილი და მომატებული სახით შემდგომი პერიოდის პუბლიკაციათა ავტორებიც იმეორებენ. მართალია, ფერეიდანის ქართულ სოფლებთან და იქ მცხოვრებ ჩვენს მოძმეთა რაოდენობასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი რამდენადმე განსხვავებულია და ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს კი არ არის, არამედ ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ინფორმაციათა შედეგად იმდროინდელ მკითხველს მაინც ეძლეოდა შესაძლებლობა, მეტ-ნაკლებად გარკვეული წარმოდგენა შეჰქმნოდა მისთვის იმხანად სრულიად უცნობ ისტორიულ მოვლენებსა და მათ მსხვერპლად ქცეული ჩვენი მოძმეების ტრაგიკულ ხვედრზე.

რაც შეეხება იმას, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორი ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს, ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ ამ ინფორმაციათა საფუძველი ზეპირმონათხრობებსა და პიროვნულ გადმოცემებზეა დაფუძნებული და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს არ ემყარება.



ნ. ყიფიანის ხაზგასმით, მის მიერ დასახელებულ ფერეიდანის ექვს სოფელში იმხანად, სავარაუდოდ, 3140 კომლი ცხოვრობდა; კერძოდ, მარტყოფში – 1000, აფუსში – 700, ახჩაში – 40, თოლელსა-დაბოინში – 900 და ტაშკეშანში – 500. მისი თქმით, ა. ნიკაშვილის მონათხრობის საფუძველზე მონოდებული ეს მონაცემები ზუსტი არ იყო და მხოლოდ მიახლოებით ასახავდა იმჟამინდელ მდგომარეობას.

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად ნ. ყიფიანი, პირველყოვლისა, იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ კომპაქტურად მცხოვრები ჩვენი მოძმეების უმთავრეს საკომუნიკაციო ენას კვლავაც ქართული წარმოადგენდა. ასე რომ, მათ წინაპართა ენა არათუ არ დავინყებიათ, ერთმანერთთან საუბარში ქართულ ენას ხმარობენ. „კაცებმა ქართულს გარდა იციან თათრულიცა; ქალებმა კი თათრული ძალიან სუსტათ იციან. კაცებს ახუნდებიან უმოლები თათრულ წერა-კითხვას ასწავლიან... მოლებიც, ანუ ახუნდებიც ქართველთაგან არიან“.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთში, მათ შორის ფერეიდანშიც, მცხოვრები ქართველები წინაპართა სარწმუნოებას მოწყდნენ და გამაჰმადიანდნენ, ნ. ყიფიანის ხაზგასმით, მათ მაინც შეძლეს ქართული ადათ-ტრადიციების რამდენადმე მაინც შენარჩუნება, რის შედეგადაც არ შეუთვისებიათ მუსლიმური რელიგიისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი წეს-ჩვეულება.

XIX საუკუნის ქართულ პრესაში ფერეიდანთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილების განხილვის დროს რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მოსე ჯანაშვილის პუბლიკაციაზეც – „სპარსეთიდან ჩამოსული ქართველის ნამბობი,“ რომელიც გაზეთ „დროების“ 1881 წლის 15 დეკემბრის ნომერშია დაბეჭდილი. ხსენებული წერილი მ. ჯანაშვილს სპარსეთის დედაქალაქ თეირანში სამი წლის განმავლობაში ნაცხოვრები ქართველის მონათხრობზე დაყრდნობით ჰქონია დაწერილი.

ფერეიდნელ ქართველთა ტრაგიკული ისტორიის შესწავლისა და ქართველი საზოგადოებისთვის მათი იმჟამინდელი მდგომარეობის გაცნობის საქმეში ძალზე დიდი დამსახურება მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს (1853-1931 წწ.). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1895 წელს გამოცემული მისი წიგნი „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათა-

მა ონიკაშვილი“. ამ წიგნმა, რომელშიც ავტორისათვის ფართოდ დამახასიათებელი პატრიოტული ემოციითაა მოთხრობილი ირანში გადასახლებულ ქართველთა ტრაგიკული ისტორია, მკითხველთა იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომ ზ. ჭიჭინაძემ კიდევ უფრო მეტად განვრცობილი სახით შემდგომში ორჯერაც გამოსცა – უკანასკნელად 1907 წელს.

თავისი ამ წიგნით ზ. ჭიჭინაძემ მიზანმიმართულად განაგრძო და კიდევ უფრო მასშტაბური ფორმით გამოავლინა მისი სამწერლო და სამეცნიერო მუშაობისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი სტილი. კერძოდ, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გამიზნული თავისი წიგნებით ზ. ჭიჭინაძე აქტიურად ცდილობდა მკითხველთა ფართო ფენისათვის რაც შეიძლება პოპულარული ფორმითა და მარტივი ენით მიეწოდებინა სათანადო ცნობები ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან და ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრებდათ ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მისი წიგნები არც თხრობის დამამძიმებელი მეცნიერული მსჯელობებითაა გადატვირთული და არც ისტორიული წყაროებიდან და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან დამონმებული არგუმენტებით. აქედან გამომდინარე, ზ. ჭიჭინაძის ხსენებულ გამოცემებში, რომელთაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ სახალხო წიგნები, ფანტაზიას, ისტორიულ მოვლენათა შესახებ ავტორისეულ საუბარსა და შეფასებებს, მძაფრად გამოხატული პატრიოტული ემოცია ახლავს ხოლმე თან და მის მონათხრობში ფანტაზიას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

იმ ქართველ ავტორთა შორის, რომელთაც გამორჩეულად ფასეული წვლილი შეიტანეს სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და თანადროული ყოფის შესწავლის საქმეში, უპირველეს ყოვლისა, ლადო აღნიაშვილი (860–1904 წწ.) უნდა მოვიხსენიოთ. იგი პირველი ქართველი სწავლულია, რომელმაც ამ მიზნით სპეციალურად იმოგზაურა სპარსეთში, კერძოდ კი ფერეიდანში, და იქ ყოფნის პერიოდში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი და 1896 წელს გამოცემული თავისი წიგნით – „სპარსეთი და იქაური ქართველები“ ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი ნაშრომით გაამდიდრა ქართველოლოგიური მეცნიერება.

ამ მოგზაურობის ამსახველ შთაბეჭდილებათა მოთხრობის დროს იგი არაერთგზის გამოხატავს თავის დიდ პატრიოტულ ემოციას იმის გამო, რომ წარმოუდგენლად მძიმე პირობებში ცხოვრების მიუხედავად, ფერეიდნელ ქართველთა უმეტესობამ მაინც შეძლო საკუთარი ეროვნული იდენტობისა და მშობლიური ენის შენარჩუნება და „იქაური ქართველი დღემდე არ ივიწყებს, რომ იგი ქართველია; ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთანა და მოყვარესთან, ძლიერთან და უძლურთან, ამბობს უშიშრად, მოურიდებლივ, ამბობს და თავიც მოსწონს ამ თქმით“ (1. 218).

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამგვარი სახით დახასიათებისა და წარმოჩენის პარალელურად ლ. აღნიაშვილი იმის თაობაზეც საუბრობს უღრმესი გულისტკივილით, რომ მათი ბედით საქართველოში ბოლო დრომდე, ფაქტობრივად, არავინ დაინტერესებულა და რეალურად არაფერი იყო გაკეთებული ამ ადამიანთა ჭირ-ვარამის შესამსუბუქებლად. აქედან გამომდინარე, სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა ცხოვრებისეული ხვედრის ტრაგიკულად წარმართვისა და ეროვნულად გაუცხოების საქმეში გარკვეულ პასუხისმგებლობას იგი მათი ისტორიული სამშობლოსაც მკვიდრთაც აკისრებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათ მიმართ გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ლ. აღნიაშვილის ხაზგასმით, ის ფაქტი, რომ ეროვნული ცნობიერებისა და იდენტობის დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით ფერეიდნელი ქართველები მკვეთრად განირჩევიან ირანის სხვა რეგიონებში მცხოვრები მათი მოძმეებისაგან, არსებითად განაპირობა მათმა კომპაქტურად ცხოვრებამ. ფერეიდანში არსებული ის სოფლები, სადაც ისინი სხვა ეთნიკურ წარმომადგენელთაგან იზოლირებულად და გამიჯნულად ცხოვრობდნენ, მათ იმის შესაძლებლობა მისცათ, ფაქტობრივად, მიკრო საქართველო რომ შეექმნათ და ერთმანეთთან კომუნიკაციის უმთავრეს საშუალებად მშობლიური ქართული ენა გამოეყენებინათ.

ზოგიერთი ქართველი სწავლულის, მათ შორის ლ. აღნიაშვილის, აზრით, შაჰ-აბასის მიერ ფერეიდანში ქართველთა კომპაქტურად დასახლება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და მისი ეს გადაწყვეტილება სპარსეთის იმჟამინდელი სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო განპირობებული. კერძოდ, მათი მტკიცებით, ირანის მბრძანებელს ამ ნაბიჯის გადადგმით იმ გამუდმებული თავდასხმებისაგან თავისი ქვეყნის დაცვა სურდა, რასაც იმდროინდე-

ლი სპარსეთი ხსენებული რეგიონის მხრიდან განიცდიდა ბახტიარებისა და ქურთებისგან.

ლ. აღნიაშვილის აზრით, ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად „საჭირო იყო პირისპირ მიეცა მათთვის და კრიჭაში ჩაეყენებინა სწორედ ისეთივე მძლავრი და გულადი ხალხი, როგორებიც იყვნენ ბახტიარნი და ლორნი; საჭირო იყო კარის შებმა ამ უღელტეხილისათვის, რომ საიმედოდ დეეკეტნა ის ერთადერთი მარჯვე გზა იმ დროს დედა ქალაქის, ისპაანისაკენ მიმავალი. სწორედ ამითი უნდა აიხსნებოდეს, რომ შაჰაბაზმა აქ ჩაასახლა ეს დიდძალი ქართველობა. აქ ყოფილა, როგორც დღესაც სჩანს, ოც და ათი მეტი სოფელი ქართველებისა ერთად, ერთს ადგილს მოჯგუფული, თითქოს შაჰაბაზს ჰსურდა მათთვის ახალი რამ სამშობლო გაეკეთებინაო. არაოდეს კი არ ყოფილა, რომ რამდენიმე სოფელი უცხო ხალხისა, როდესაც მათი განყვეტა და აღმოფხვრა სდომნებოდეთ, ესე ჯგუფად ერთს ადგილს დაესახლებინოთ“ (1. 205).

სამწუხაროდ, ლადო აღნიაშვილის მიერ საფუძველჩაყრილი საქმე – სპარსეთში, კერძოდ კი ფერეიდანში, მცხოვრებ ქართველთა ისტორიისა და თანადროული ყოფის შესწავლით დაინტერესებული პირები ამ მიზნის განსახორციელებლად უსათუოდ წვეოდნენ მათ სამკვიდრებელ რეგიონებს და პირადად გაცნობოდნენ იქ არსებულ ვითარებას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩა განუხორციელებელ სურვილად.

ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ დიდ ხარვეზს მხოლოდ ფრაგმენტული ინფორმაციებით ავსებს ის რამდენიმე ქართველი და სომეხი პიროვნება, რომელთაც სრულიად შემთხვევით მოუხდათ სპარსეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან ხანმოკლე დროით შეხვედრა და გასაუბრება. ერთ-ერთი ასეთი პირი ყოფილა არქიმანდრიტი ევსევი მიქელაძე, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთში გაუტარებია, როგორც ამ ქვეყანაში რუსეთის ელჩის სამსახურში მყოფ მღვდელმსახურს.

არქიმანდრიტ ევსევის შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ზაქარია ჭიჭინაძემ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1898 წლის 16 სექტემბრის ნომერში. როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ირკვევა, ქართველი არქიმანდრიტის მოღვაწეობასთან დაკავშირებით კონკრეტული ცნობები ზ. ჭიჭინაძეს იმდროინდელ სომხურ

პრესაში, კერძოდ კი სასულიერო ჟურნალ „არარატში,“ გამოქვეყნებული წერილებიდან ჰქონია აღებული.

იმხანად უკვე გარდაცვლილი არქიმანდრიტი ევსევი, რომელიც აღმოსავლური ენების, მათ შორის სპარსულისაც, საუკეთესოდ მცოდნე პიროვნება ყოფილა, სამშობლოდან ხანგრძლივი დროით განშორების მიუხედავად, „თვალყურს ადევნებდა ქართულ საზოგადო საქმეთა მიმდინარეობას და ქართველთ ნაკლებულეზაზე დიდად შესტკიოდა გული“.

მისი ამ პატრიოტული სულისკვეთებიდან გამომდინარე, სპარსეთში ცხოვრების პერიოდში, დაწყებული 1876 წლიდან, არქიმანდრიტ ევსევს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ ქართველებთან. კერძოდ, აი, რა ინფორმაცია მიუწოდებია სომხური ჟურნალის კორესპონდენტს მკითხველისათვის ამასთან დაკავშირებით: „ამ დღეებში, ჩვენდა საოცრად, აქ, ქ. თეირანში, ვნახეთ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველნი, რომელნიც სპარსთა ჯარის კაცებში ერივნენ. როგორც ქართული ენის მცოდნე, ძრიელ გავკვირდი, მაშინვე მიველ ჯარის კაცებთან და ქართულად დაველაპარაკე.“

ჩემი ხმის გაცემა მათ ძრიელ გაეხარდათ. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. იგინი გათათრებული ქართველები აღმოჩნდნენ. მათ მთხოვეს მე, თუ აქ, თეირანში, ვინმე ქართველი ცხოვრობს, გვაჩვენეთ, რომ ქართულად ველაპარაკოთო. მე დიდათ შევწუხდი, რომ აქ, თეირანში, მთელს სპარსეთში, რუსეთის კარის ერთის არქიმანდრიტის მეტი სხვა არავინ იყო.

მე მალე წაველ არქიმანდრიტთან და ეს გათათრებული ქართველებიც თან წავიყვანე. მაგრამ ზაფხულის სიცხეების გამო არქიმანდრიტი იქვე თეირანის ახლოს მდებარე სოფელში წასულიყო“.

სხენებული ამბის მომთხრობს ეს ამბავი არქიმანდრიტისთვის როცა შეუტყობინებია, იგი სასწრაფოდ წასულა იმ ქართველებთან შესახვედრად. კორესპონდენტის ხაზგასმით, „კაცი ვერ ასწერდა არქიმანდრიტის სიხარულს. მათ ქართულად დაიწყეს ლაპარაკი და მალე სამშობლოში გადასახლებაზე გადავედით. მე მათ ვუამბე ელჩის რჩევა. მათ ტირილი მოუვიდათ. მერე პასუხი ვკითხე. მათ გადმომცეს დიდის მწუხარებით შემდეგი: – ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. ასეთის თხოვნის ამბავს გაიგებენ თუ არა, სპარსნი მაშინათვე შაჰის ბრძანებით თავებს დავგაჭრიან... დიდათ გვემინისო“.

სამწუხაროდ, იმ ურთიერთობაზე, რომელიც სპარსეთში ხანგრძლივი დროის განმალბობაში ნამყოფ ქართველ არქიმანდრიტს ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებთან ჰქონდა, მეტად მწირი ამ ინფორმაციის გარდა დღესდღეობით მეტი არაფერია ცნობილი.

ფერეიდნელ ქართველთა შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომთა შესახებ საუბრის დროს აქ უსათუოდ უნდა გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის (1840-1912 წწ.) პოპულარული მონათხრობი „პატარა საქართველო სპარსეთში,“ რომელიც ავტორს საქართველოსთან დაკავშირებით შექმნილ თავისი ისტორიული მოთხრობების სერიაში აქვს შეტანილი. ფერეიდნელ ქართველთა ტრაგიკულ ისტორიასთან და იმჟამინდელ ყოფასთან დაკავშირებული ცნობები იაკობ გოგებაშვილს, მისივე თქმით, საქართველოში სტუმრად მყოფი პირველი იქაური ჩვენი თანამემამულეებისგან: ათამა ონიკაშვილისაგან, ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისგან, ყოლამ რეზა ხუციშვილისა და ნასრულასაგან მოუგროვებია და, უმთავრესად, მოზარდებისათვის გამიზნულ მის ნაამბობში ისტორიული სიმართლითა და პოპულარული ფორმითაა წარმოჩენილი ფერეიდნელ ქართველთა წარსულისა და იმჟამინდელი ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეები.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონმებ უმთავრეს ეპიზოდებს ყმანვილებისათვის გამიზნული ხსენებული ტექსტიდან, რომელიც არა მარტო იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ იგი ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ქრონოლოგიური თვალსაზრისით შექმნილი ერთ-ერთი პირველი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი დოკუმენტური ტექსტია, არამედ დღევანდელი მკითხველისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმცემ წყაროდაც შეიძლება მივიჩნიოთ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე [იხ: 2. 262–268].

ი. გოგებაშვილის ინფორმაციით, განსხვავებით ოსმალეთში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილისგან, რომელთაც გამაჰმადიანების შემდეგ თავიანთი ქართული გვარები აღარც კი ახსოვდათ, ფერეიდნელებს კვლავაც ჰქონდათ საკუთარი ქართული გვარები შენარჩუნებული. იგი არა მარტო ზოგადად აწვდის ამ ინფორმაციას თავის მკითხველებს, არამედ კონკრეტულადაც ჩამოთვლის ფერეიდანში ფართოდ გავრცელებულ ისეთ გვარებს, როგორებიცაა: ხუციშვილი, ონიკაშვილი, დავითაშვილი, დარჩიაშვილი, მაყაშვილი, მოლაშვილი და ა. შ.

თავად ი. გოგებაშვილისავე ხაზგასმით, საქართველოში სტუმრად მყოფ ფერეიდნელთა მონათხრობებსა და ლადო აღნიშვილის

ნიგნზე დაყრდნობით, იგი ფერეიდანში არსებულ ქართულ სოფლებთან, მათ სახელწოდებებთან და იქ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასთან დაკავშირებითაც გვანვდის კონკრეტულ მონაცემებს.

კერძოდ, მისი ინფორმაციით, „ფერეიდანში თოთხმეტი დიდი სოფელია, დაჭერილი ქართველებითა და თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართული სახელი ჰქვიათ. ეტყობა, გადასახლებულებს ის სახელები დაურქმევიათ თავისი ახალი სოფლებისათვის, რომელიც ერქვათ წინანდელს მათ სოფლებს კახეთში. მართალია, სპარსელებს სპარსული სახელები უწოდებიათ ამ სოფლებისათვის, მაგრამ ქართველებს არ მიუღიათ ესა და თავისი ეროვნული სახელები შეუნარჩუნებიათ. მოგვყავს აქ სოფლების სახელები და რიცხვი მცხოვრებლებისა კომლობრივ. ზემო მარტყოფი იპყრობს 1200 კომლსა, ქვემო მარტყოფი – 800 კომლსა, ნორიო – 240 კომლსა, ჩუგრუთი (ეს და სხვა რამდენიმე სახელწოდება ი. გოგებაშვილს რამდენადმე სახეცვლილი ფორმით აქვს დაფიქსირებული. ასევე, ავტორს ზოგიერთი ისეთი სოფელიც აქვს მოხსენიებული, რომელიც სხვებთან ასეთი ფორმით ან საერთოდ არ გვხვდება, ანდა ძალზე იშვიათად (მაგალითად: ყარაბალი, კუთხე, გაღმა სოფელი, თონეთი... – ა. ნ.) – 600 კომლსა, ჯაყჯაყი – 300 კომლ., თონეთი – 400 კომ., აფუსი – 300 კომ., ტაშკეშანა – 700 კომ., ნინო წმინდა – 600 კომ., ახჩა – 400 კომ., ყარაბალი – 400 კომ., კუთხე – 300 – კომ., გაღმა სოფელი – 500 კომ., ხევის პირი – 600 კომ. სულ თოთხმეტს სოფელში დაახლოვებით 7000 კომლამდე. თუ თვითო ოჯახზე ჩავაგდებთ ექვს სულსა, რაც მეტი არ უნდა იყოს, რადგანაც აქ დიდ-დიდ ოჯახებად სცხოვრობენ, გამოვა, რომ ფერეიდანის საქართველო იპყრობს 40 000 ქართველსა“.

ადრინდელ პერიოდში ფერეიდანში ნამყოფ და მათი ტრაგიკული ხვედრით დაინტერესებულ პიროვნებათაგან ასევე მინდა დავასახელო რუსეთის ჯარში მომსახურე მაღალჩინოსანი ოფიცერი პავლე ლორთქიფანიძე, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში სრულიად შემთხვევით ფერეიდანშიც მოხვედრილა ხანმოკლე დროის განმავლობაში. აი, რა ინფორმაციას გვანვდის თავად პ. ლორთქიფანიძე ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 601-ე ნომერში გამოქვეყნებულ ნერილში:

„ისპაჰანის მოშორებით გაშენებულია პატარა სამაჰმადიანო საქართველო, რომელიც შედგება თორმეტი-ცამეტი სოფლისაგან. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. შევედი ერთ სოფელში, სადაც გამართულს ქართულს ლაპარაკობდნენ. გონს ვერ მოვსულიყავი. მეგონა, საქართველოს რომელიმე კუთხეში ამოვყავი თავი. როდესაც მე ქართულად დავინწყე ლაპარაკი, იმდენი ქალი და კაცი შემომეხვია, რომ იძულებული ვიყავით, მოედანზე გადავსულიყავით. ისინი გაუთავებლად მისვამდნენ კითხვებს საქართველოს შესახებ. ხოლო პასუხის დროს ყველა, როგორც ერთი, გასუსული მისმენდა.

მათ ძალიან უნდოდათ ქართული სკოლის გახსნა. მთხოვდნენ, როგორმე დავხმარებოდი მათ დედა-ენის შოვნაში. მათ მითხრეს, რომ ჩვენი ქალები წინილებს რომ დაკარგავენ, მთელი ღამე არ სძინავთო. საქართველომ სამასი ათასი ადამიანი დაკარგა და ნუთუ ჩვენზე აღარ ფიქრობსო. ქართველებს ჩვენ გადაშენებული ხომ არ ვგონივართო“.

პ. ლორთქიფანიძის ინფორმაციით, ფერეიდანში ყოფნის დროს მას ერთ-ერთ ოჯახში აკაკის წიგნიც უნახავს. ფერეიდნელთა შორის ქართული წერა-კითხვის მცოდნენიც ყოფილან. ისინი იმდენად ყოფილან დაინტერესებული საქართველოს ამბებით, რომ მას თურმე თავგამოდებით თხოვდნენ დახმარებას ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გაგზავნაში.

ფერეიდანში ყოფნის პერიოდში პ. ლორთქიფანიძეს ახლოს გაუცვნია იქ მცხოვრები სეიფოლა იოსელიანი და მას იმდენად დაახლოებია, რომ იქ ყოფნის განმავლობაში თურმე მის სახლში დაუდევს ბინა. ეს ურთიერთობა ძველ მეგობრებს შემდგომშიც შეუნარჩუნებიათ და 1922 წელს, როცა სეიფოლა ერთი წლის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა სტუმრად, გარკვეული დროით მას სწორედ პავლე ლორთქიფანიძის სახლში უცხოვრია.

1919 წელს ფერეიდანის ქართულ სოფლებში იქაურ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის მიზნით იოსებ ჭეიშვილსაც უმოგზაურია და დიდძალი მასალა შეუგროვებია. დღესდღეობით სრულიად უცნობ ამ პიროვნებასთან დაკავშირებით ასეთ ცნობას სოსო ასლანიშვილი გვანჯდის თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში (გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 17 ნოემბერი) სეიფოლა იოსელიანის მონათხრობზე დაყრდნობით. მისი ინფორმაციით, ამ პიროვნების მიერ აღნიშნული მიმართულებით განეული საქმიანობის შესახებ გიორგი ლეონიძეს გაზეთ „კლდეში“ 1920 წელს წერილიც ჰქონია გამოქვეყ-



ნებული (სამწუხაროდ, გაზეთ „კლდეში“ გამოქვეყნებული ხსენებული ნერილის მოძიება ამ საგაზეთო კომპლექტის არასრულად არსებობის გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა).

შემდეგი ქართველი სწავლული, რომელმაც ირანში, კერძოდ კი ფერეიდანში, მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა, ამბაკო ჭელიძე (1878–1940 წწ.) იყო. როგორც ცნობილია, იგი 1923-1929 წლებში სპარსეთში ცხოვრობდა და ამ ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის მიერ დაარსებულ ერთობლივ ბანკში მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში იგი სპარსეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ჩვენს მრავალ თანამემამულეს შეხვდა, 1927 წელს კი ფერეიდანშიც იმოგზაურა და იქაურ ქართველებთან ურთიერთობათა შედეგად მოგროვებული მასალებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე დაწერა წიგნი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სპარსეთში მცხოვრები ჩვენი მოძმეების როგორც ტრაგიკულ ისტორიაზე, ისე იმჟამინდელ ცხოვრებისეულ მდგომარეობასა და ეროვნულ ცნობიერებაზე.

ფერეიდანში მოგზაურობის დროს ამბაკო ჭელიძესთან ერთად მისი მეუღლე – სარაც იმყოფებოდა. იგი საქართველოდან ამ მხარეში ჩასული პირველი ქალბატონია. მაშინდელი თავისი შთაბეჭდილებები მან საინტერესოდ მოგვითხრო ჟურნალ „ცისკრის“ 1958 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მოგონებაში, რომლის მეშვეობითაც საინტერესოდ აღწერა ღრმად შთამბეჭდავი ეპიზოდები ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრებიდან.

ირანში სამსახურებრივი მოვალეობის დასრულების შემდეგ, 1929 წელს სამშობლოში დაბრუნებულ ამბაკო ჭელიძესა და მის მეუღლეს ფერეიდანის სოფელ ბოინიდან თან წამოუყვანიათ იქ მცხოვრები ცხრა წლის ქართველი ბიჭი ამირ მირზაჯაი (ამირან პაპიაშვილი).

აი, რას იგონებს ამასთან დაკავშირებით ამბაკო ჭელიძის მეუღლე სარაც: „გადავწყვიტეთ, ბავშვი წამოგვეყვანა იქიდან. ისპაჰანში თან ჩამოვიყვანეთ პატარა ბიჭი, რომელიც სოფელ ბოინიდან იყო. სახელად ემირი ერქვა, გვარად პაპიაშვილი. ჩვენ მას დავარქვით ამირანი. უდიდესი მშობლიური სითბო ვაგრძნობინეთ პატარას მე და ჩემმა მეუღლემ. იგი მოუთმენლად მოელოდა საქართველოში გამომგზავრებას და მოსვენებას არ გვაძლევდა ბავშვური ცნობისმოყვარეობით, უამრავი შეკითხვებით“ [11. 95].

თბილისში ჩამოყვანილი ამირანი სასწავლებლად ეგნატე ნინოშვილის სახელობის შვიდწლიან სკოლაში მიუბარებიათ, სადაც ორი წლის განმავლობაში იღებდა განათლებას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახლადშექმნილი მშობლები ამირანს სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებდნენ, ქალბატონ სარას ინფორმაციით, მას თურმე მაინც ხშირად მოეძალებოდა ხოლმე სევდიანი მონატრება მშობლიური ფერეიდანისა და იქ მცხოვრები მახლობელი ადამიანებისა.

ამირანის ცხოვრების თბილისური პერიოდის შესახებ საუბრის დროს ქალბატონი სარა მეტად მნიშვნელოვან ერთ ისეთ ეპიზოდზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც ამ პატარა ბიჭის პროტესტანტული დამოკიდებულებაც კი გამოუწვევია. მხედველობაში მაქვს მისეული მოგონების ის მონაკვეთი, სადაც შესაბამისი პერიოდის საბჭოთა ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელ ანტირელიგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული შემდეგი ამბავია მოთხრობილი:

„ერთ საღამოს ამირანი უხასიათოდ დაბრუნდა სკოლიდან. როდესაც მიზეზი ვკითხეთ, მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან უღმერთოთა კავშირის წიგნაკი, მაგიდაზე დადო და შემდეგ თქვა: მე ამ წიგნაკს ჯიბეში ანი აღარ ჩავიდებ, ვინც რა უნდა მიყოსო...“

გავიდა ამის შემდეგ სულ რაღაც მცირე დრო და ამირანი დარცხვნილი, თვალებდახრილი მოვიდა ჩემთან და მთხოვა წიგნაკი, რომელიც შემდეგ ჯიბიდან აღარ მოუშორებია. როცა ამ ამბავს მოვგაგონებდი, მუდამ შერცხვებოდა“ [11. 98].

ამირანი თბილისში ორი წელიწადი დარჩენილა, შემდეგ კი მშობლების სურვილის გამო ფერეიდანში დაბრუნებულა და დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველოში ჩამოსვლა მეტად ვეღარ მოუხერხებია. როგორც სარა ქელიძის მოგონებაშია ხაზგასმული, ამის გამო იგი თურმე თავს უბედურ ადამიანად მიიჩნევდა.

ამირან პაპიაშვილის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ირანისტი ნოდარ კოჭლაშვილიც, რომელიც პირადად შეხვედრია მას 1965 წელს თეირანში გამართულ საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენაზე ყოფნის დროს. საქართველოს პავილიონისა და გამოფენაზე მყოფი ქართველების სანახავად მაშინ თურმე ირანში მცხოვრები ბევრი ჩვენი მოძმე მიდიოდა.

მათ შორის ყოფილა ამირან პაპიაშვილიც, რომელსაც გამოფენის დახურვის დღეს ბატონი ნოდარისთვის საქართველოში წამო-

საღებად მისი ხელით ქართულად დაწერილი ბარათი გადმოუცია. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად ნ. კოჭლაშვილი: „წერილი კი ჩამოვიტანე, მაგრამ მისი გამოქვეყნება მოგეხსენებათ მაშინ დიდად ჭირდა. თუმც ბევრს ვეცადე, ბევრი თანაგრძნობითაც შემხვდა, მაგრამ...

აი, ეს წერილიც:

„რაც უნდა მტანჯონ, რაც უნდა მანვალონ, მაინც არ გავხდები სპარსელი. მე ვარ ნამდვილი ქართველი. მე ჩემიერ და მთელი ფერეიდნელი ქართველების მიერ გადმოქცემთ სალამს და გამარჯობას, ჩემო ძვირფასო ძმებო, დებო. მთელ ფერეიდნელ ქართველებს უნდათ საქართველოში წასვლა და თავიანთ ძმების და დების და ნათესავების ნახვა. ჩვენა დალუპულ ქართველობას არაფერი განვითარება, სწავლა და შკოლა არ აქვს. ერთგულათ გვინდა დედაენა, ქართული წიგნები, სხვადასხვა სოფლის იარაღები, რომ მტერმა არ დაგვაყაროს თავზე მინა და თქვენ მოხმარებით და მოშველებით ფეხზე დავდგეთ და ავშენდეთ. როცა მე თეჰრანში ვნახე ბატონი ნოდარი კოჭლაშვილი, ძალიან გამიხარდა და იმას ვაკოცე, როგორც მთელ საქართველოს. ამ შეხვედრით ჩემი აზრი, სიხარული დარეულია. ბევრი რამის დაწერვა მედა, მაგრამ არ შემიძლიან. ჩვენ ბედი ფერეიდნელ ქართველები არ დაგვარგავთ ჩვენ დედაენას და სულ დავრჩებით ქართველები. თქვენ რა შეგიძლიათ, ჩვენ დაგვეხმარეთ. ჩვენ მამაძაღლ მტერს დავხვდებით ქართულად.

ვემშვიდობები მთელს საქართველოს და იმედი მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი საქართველო და მოვკვდე ჩემ საყვარელ საქართველოში“ [5].

წერილის ნაკითხვით განპირობებულ ემოციას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენს ის ფაქტი, რომ ბატონ ნოდარს ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულის მიერ ქართულად დაწერილი ამ ბარათის ავტორისეული ხელნაწერის ფოტოასლიც აქვს გამოქვეყნებული.

ამბაკო ჭელიძის შემდეგ ფერეიდანს საქართველოდან უკვე მეორე მსოფლიო ომამდე აღარ წვევია ვინმე. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1944 წელს, კი იქაურ ქართველებთან შესახვედრად სპეციალურად ჩავიდა და მათზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო ირაკლი კანდელაკმა.

საქართველოში გამომგზავრების წინ ერთ-ერთ იქაურ ქართველ მოლას, გვარად ჰაპიაშვილს, რომელსაც ქართული წერა-კითხვაც ცოდნია, ფერეიდნელ ქართველთა თანდასწრებით საქარ-

თველოში წამოსაღები წერილი დაუნერია და ირაკლი კანდელაკისთვის გადაუცია. წერილში იქაურთა პატრიოტული განწყობა და ისტორიული სამშობლოს მონატრების გრძნობა ამ სიტყვებით ყოფილა გამოხატული: „გამარჯობათ, ქართველებო. გისურვებთ მტერზე გამარჯვებას. ნაზად იყოს ჩვენი მამა ბატონი სტალინი“.

წერილს, რომელიც ი. კანდელაკს საქართველოს ისტორიის მუზეუმისთვის ჩაუბარებია, ხელს თურმე იქ მცხოვრები ორასამდე ქართველიც აწერდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან გასული საუკუნის 60-იან წლებამდე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფერეიდანს საქართველოდან უკვე აღარავინ წვევია. 60-იანი წლებიდან მოყოლებული კი საბჭოთა მთავრობის მიერ ირანში განხორციელებული სხვადასხვა საპროექტო სამუშაოების შესრულების პერიოდში ამ ქვეყანაში სამუშაოდ წარგზავნილ არაერთ ქართველს მიეცა იმის შესაძლებლობა, ფერეიდანსა და ირანის სხვა რეგიონებში მცხოვრებ ჩვენს მოძმეებს შეხვედროდა.

იმ ქართველ ხელოვანთაგან, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ისტორიული სამშობლოსადმი ფერეიდნელ ქართველთა სიყვარულისა და ეროვნული ცნობიერების წარმოჩენის საქმეში, უსათუოდ უნდა დავასახელოთ ცნობილი კინორეჟისორი გურამ პატარაია. მან 1970 წელს გადაღებული თავისი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმით – „შორია გურჯისტანამდე“ ღრმად შთამბეჭდავი ფორმით შეძლო წარმოეჩინა ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერება და განსაკუთრებული სიყვარული ისტორიული სამშობლოსადმი.

აი, რა ინფორმაციას გვანვდის ამ ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით თამარ მიქაძე: „1979 წელს თეირანში ჩავიდა ექსპედიცია ფერეიდნელი ქართველების გადასაღებად. ექსპედიციაში შედიოდნენ: რეჟისორი გურამ პატარაია, ჟურნალისტი ლამარა ბოკერია, ირანისტი მაგალი თოდუა, ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი.

თეირანში გაირკვა, რომ შაჰის ნებართვის გარეშე ფერეიდანში ჩასვლა და გადაღება შეუძლებელი იყო. ირაკლი ონოფრიშვილი იხსენებდა, რა სიძნელეების გადალახვა დასჭირდათ და როგორ შევლოდათ გურამის გამჭრიახობა და მოხერხებულობა. ჯერ იქ მცხოვრები რეზო მიქელანის (მიქელაძის) წყალობით იპოვეს შუამავალი ბატონ შაფასთან, რომელიც იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, „სპარსეთის ისტორიის“ ავტორი და, რაც მთავარია, მე-

სამე კაცი სახელმწიფოში ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის შემდეგ.

როდესაც აუდიენცია დაინიშნა, საქართველოდან ჩატანილი ძღვენით ესტუმრნენ მასპინძელს. ბატონ შაფას პატარა წვეულება გაუმართავს. გურამ პატარაიამ არ დააყოვნა, მიუხედავად იმისა, რომ არ სვამდა, სუფრის თავში მოექცა და გულის ამაჩუყებელი სადღეგრძელოების წარმოთქმა დაიწყო.

განსაკუთრებით თბილად ბატონი შაფას მშობლები „შეუმკია“. ბატონი შაფა ჩუმად გასულა ოთახიდან, მამის ჩალმიანი პორტრეტი შემოუტანია და გურამისთვის ცრემლიანი თვალებით მიუმართავს, პირველი ადამიანი ბრძანდებით, ვინც მამაჩემი გაიხსენა და მისი მოსაგონარი შესვაო. ამ სადღეგრძელოს წყალობით შემოქმედებითი ჯგუფი ორჯერ მოხვდა ნიავარანის სასახლეში. მათ გადაიღეს ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი ფარადიბა. ამ შემთხვევითაც ისარგებლა გურამმა, იქვე სთხოვა დედოფალს ფერეიდანში ჩასვლისა და გადაღების ნებართვა. ფარადიბამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. ღამდენიმე დღეში მიიღეს გადაღების უფლება და სიხარულით გაემგზავრნენ ფერეიდანში, სადაც შეიქმნა ქართული დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“ [6. 52].

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, ფერეიდნელ ქართველებთან კონტაქტები იმდენად განმტკიცდა, რომ საქართველოში მათი გარკვეული ნაწილის გადმოსახლების საკითხიც კი დაისვა რეალურად და ამ საქმის მოსაგვარებლად საბჭოთა კავშირისა და ირანის უმაღლეს ხელისუფლებებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამართულ მოლაპარაკებათა შედეგად ფერეიდნელთა ოცამდე ოჯახს 1972-1974 წლებში უკვე იმის ოფიციალური შესაძლებლობაც მიეცა, თავის ისტორიულ სამშობლოში რომ გადმოსახლებულიყო სამუდამოდ საცხოვრებლად.

გარდა ქართველ ავტორთა პუბლიკაციებისა, სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ წერილები XIX საუკუნის სომხურ პრესაშიც იბეჭდებოდა საკმაოდ ხშირად. სომეხ ავტორთა ამ პუბლიკაციების დიდი ნაწილი ოპერატიულად ითარგმნებოდა ქართულად და ქვეყნდებოდა იმდროინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

მაგალითად, „არარატის“ 1876 წლის სექტემბრის ნომერში დასტამბულ და „დროების“ 1876 წლის 187-ე ნომერში გადმობეჭდილ კორესპონდენციაში სომეხი ავტორი, რომელსაც ქართული

ენაც კარგად სცოდნია, სპარსეთში ყოფნის პერიოდში ფერეიდან-საც სტუმრებია და იქაური ქართველების შესახებ ასეთ ინფორმაციას გვანვდის:

„ჩვენ დავინწყეთ ქართულად ლაპარაკი... მე ვკითხე: თქვენს გარდა სხვებიც სცხოვრობენ ქართველები აქა, თუ მარტო თქვენა ხართ მეთქი? იმათ მომიგეს, სხვებიც არიანო, ფრეჰოდანის (ფერეიდანის – ა. ნ.) სათემოში შვიდი სოფელიაო: აფუს, ტაშკენტი, ახჩა, თელავი, ზემო ახორა და ქვემო ახორა, და მარტყოფი, სადაც 2 000 მცხოვრები ვართო“.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთში მცხოვრები უკლებლივ ყველა ქართველი იმ დროისათვის უკვე დიდი ხნის გამუსლიმებული იყო, პუბლიკაციის ავტორის ინფორმაციით, მათ გარკვეულ ნაწილს ქვეცნობიერი კავშირი მაინც ჰქონდა შენარჩუნებული მათი წინაპრების რელიგიურ აღმსარებლობასთან. კერძოდ, აი, რა უთქვამთ მისთვის გზად შეხვედრილ ფერეიდანელ ქართველებს: „აქეთ ერთს სომხის სოფელში მივდივართო, სადაც ერთი ძველი ხელთნაწერი სახარება ძვესო ერთ ეკლესიაში და იქა ვლოცულობთო. ადრე თათრებიც დადიოდნენ სალოცავათ და ეხლა კი აღარ დადიანო და ჩვენ კი მუდამ დავიარებითო“.

ისტორიული სამშობლოსადმი ფერეიდანელ ქართველთა ესოდენი სიყვარულითა და წინაპართა ენისადმი უღალატო ერთგულებით მოხიბლული სომეხი კორესპონდენტი თავის პუბლიკაციას ამ სიტყვებით ამთავრებს: „სუყველას მტკიცეთ და შეურყევლათ შეუნახავთ თავიანთი სამშობლო ენა და ქართული წესები. დღესაც ისევ ისე იქცევინან, ისე იცომენ და იხურამენ, როგორც მათი მამა--პაპა ქართველები და მე ძალიან მიკვირს, რომ ამათ ასე მტკიცეთ შეუნახავთ თავიანთი ხალხოსნური ჩვეულებანი“.

სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ სომეხ ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციათაგან აქ გაზეთ „მშაკის“ 1872 წლის 25-ე ნომერში დაბეჭდილ მელიქ-ზადეს ის სტატიაც მინდა გავიხსენო, რომელშიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი უფლისწულის – ალექსანდრე ბატონიშვილის სპარსეთში ცხოვრების ამბავია მოთხრობილი.

## ლიტერატურა – References

1. აღნიაშვილი ლ., სპარსეთი და იქაური ქართველები, თბილისი, 1896.
2. გოგებაშვილი ი., თხზ. ორ წიგნად, წიგნი I, თბილისი, 1975.
3. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1964.
4. კანდელაკი ი., ქართველები ირანში. ჟურნ. „დროშა“, 1958., 3.
5. კოჭლაშვილი ნ., იმედი მაქვს, მოკვცდვ საყვარელ საქართველოში, ერთი გამოუქვეყნებელი წერილის გამო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 22 ოქტომბერი.
6. მიქაძე თ., გურამ პატარაიას გახსენება. შორია უკვდავებამდე? ჟურნ. „ანეული“, თბილისი, 2013 წ. 1.
7. ოსტინ ჰენრი ლაიარდი, თავგადასავლები სპარსეთში, სუსიანასა და ბაბილონში, ინგლისურ ენაზე. ლონდონი, 1887.
8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ტ. II, თბილისი, 1959.
9. ყიფიანი ნ., ქართველების კოლონია სპარსეთში, გაზ. „დროება“, 1872, 31 მარტი, 13.
10. შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბილისი, 1969.
11. ჭელიძე ს., ფერეიდანში. ჟურნ. „ცისკარი“, 1958, 1.
12. ჭიჭინაძე ზ., არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე). გაზ. „ცნობის ფურცელი“, თბილისი, 1898, 16 სექტემბერი.
13. ჭიჭინაძე ზ., ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველები, თბილისი, 1907.

## **Avtandil Nikoleishvili**

### **Fereydan in Georgian press and historiography in XIX – XX centuries**

#### **S u m m a r y**

Niko Kipiani was the author who published the first long letter in the Georgian press on the Georgians living in Persia. His publication dedicated to this issue was published in 1872 in the newspaper "Droeba" (The Times).

A large part of the Georgian society of that time initially learned about the tragic fate of the Georgians exiled in Persia in a written form. The stories told by AtamaOnikashvili – the first Fereydanian Georgian who arrived in Georgia became the basis for writing the letter.

ZakariaChichinadze contributed greatly to studying the tragic history of the Georgians in Fereydan and familiarizing the Georgian society with the news about their current state. In this regard, his book "Georgians in Persia and AtamaOnikashvili – a Persian Georgian who came to Georgia" that was published in 1895 is of note. This book generated such a big interest among the readers that later Z. Chichinadze published it in an expanded form twice. The last one was published in 1907.

Among the Georgian authors who have made a valuable contribution to the study of the history and life of the Georgians living in Persia LadoAghniashvili is worth mentioning. He is the first Georgian scholar who specially traveled to Fereydan for this purpose, and in 1896 he published the book "Persia and the local Georgians".

IakobGogebashvili also published an interesting work about the Georgians in Fereydan known as "Small Georgia in Persia,"

Officer PavleLortkipanidze, who served in the Russian army, should be named among the people who visited Fereydan and got interested in the tragic fate of the Georgians in the earlier period. In 1916 he published an interesting letter in the newspaper "SakhalkhoPurtseli" (People's Paper).

The next Georgian scholar, who provided us with the valuable information regarding the Georgians living in Fereydan, was Ambako Chelidze. He traveled in this region in 1927 and wrote a book on the basis of the collected material, which gives us a clear idea of the tragic history of the Fereydanian Georgians and their life.

After that, till the 60's of the last century, Fereydan has not been visited by anyone from Georgia. Since the 60's, many Georgians who have been sent to work in this country had the opportunity to meet the Georgians living in Fereydan.

Apart from the publications of Georgian authors, the letters about the Georgians residing in Persia were quite often printed in the Armenian press of the XIX century. Most of these publications of Armenian authors were actively translated into Georgian and were published in the periodical Georgian publications.



## კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ

ევროსაბჭოში შესვლისას 1999 წელს, საქართველომ, 1944 წელს გასახლებული, ე.წ. „თურქ-მესხებად“ მოხსენებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ვალდებულება იკისრა. აღებული ვალდებულების თანახმად, რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წელს დამთავრებულიყო.

საქართველოში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, 2005 წელს ევროსაბჭომ ახალი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც რეპატრიაცია 2013 წლამდე გადაიდო. 2007 წელს კი მიიღეს საქართველოს პარლამენტის კანონი „რეპატრიაციის შესახებ“, რომლის შესრულება, მასში ჩადებული ხელოვნური პრობლემების გამო, თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ამ ე.წ. თურქი-მესხების საკითხი ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ამასთან, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნების საკითხს უნდობლად ეკიდება, რადგან მასში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის კიდევ ერთ საფრთხეს ხედავს. განსაკუთრებით რადიკალურად არის განწყობილი მესხეთის თანამედროვე მკვიდრი მოსახლეობა.

აღნიშნული საკითხით ადრევე დავინტერესდი და ჯერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში მოვანყვე ექსპედიცია მისი შესწავლის მიზნით. მაგრამ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში საკავშირო პრობლემების გააქტიურების გამო, იძულებული გავხდით საქმე მოულოდნელად შეგვეწყვიტა, თუმცა საერთო სურათის მომცემი მასალა, თითქმის ერთი-ერთზე ემთხვევა ერთმანეთს და, მათგან გამომდინარე, ერთიანი საბოლოო დასკვნა ასეთია: – **„თურქი მესხების“ საქართველოში დაბრუნება შეუძლებელია და თუ ისინი დაბრუნდებიან, ჩვენ უნდა დავტოვოთ ჩვენი სამშობლო!**“ – ამბობენ მესხეთის მკვიდრნი.

ადიგენის რაიონის სოფელ უდეში მცხოვრები პეტრე ქიქოშვილი აღნიშნული კონტიგენტის შეფასებისას მეტად კრიტიკული და კატეგორიულია, აცხადებს რა, რომ **„აჭარამ სარწმუნოება შეიც-**

ვალა და ენა შეინარჩუნა, რითაც აქ ქართული თავისთავადობა შენარჩუნებული იქნა. აქაურებმა კი დაკარგეს და დაივიწყეს როგორც ენა, ასევე უარყვეს სარწმუნოებაც და სრულიად გათათრდნენ. აჭარაში თუმცა 300 წელი იყვნენ თურქები, მაგრამ მათ ენა, – ქართული შეინარჩუნეს და მათი გადაგვარება თურქებმა ვერ შეძლეს. გადაგვარებულები კი – ენას რომ დაკარგავს, გვარს რომ დაკარგავს და ყველაფერ ქართულს რომ დაკარგავს – ის თურქზე უარესია!“ და ამ შეფასებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა სხვა რესპონდენტთა შეფასებანი, პირიქით, ზოგიერთი ამაზე უფრო მძაფრიცაა. ამასთან, ძალზე გვენიშნა ამავე სოფლელ არტემ გელაძის ნათქვამი, რომ **„ადიგენის რაიონში რამდენი მეჩეთიც არის, ყველა მეჩეთი ეკლესიის საძირკველზეა აშენებული... თუ მათ ქართველობა უნდოდათ, ეს მეჩეთები 1937-1939 წლებშია ნაშენები... აქ ვერ იქართველეს, აქ, საქართველოში და ახლა შუა აზიაში ნამყოფები იქართველებენ?!.. ააშენა ღმერთმა როინ მეტრეველი, მხარი დაგვიჭირა... ნაირა გელაშვილი, მამულია, ბაქრაძე შუა აზიაში რომ დარბიან, ერთი აქ ჩამოსულიყვნენ და ჩვენთვის ეკითხათ, რას ვფიქრობთ...**

იგივე რესპონდენტი კატეგორიულად აცხადებს: **„ესენი არიან ნამდვილი თათრები, არავითარი ქართველები; ადამიანი ეროვნებას რომ შეიცვლის, სახელს რომ შეიცვლის, ენას დაკარგავს თავის სამშობლოში, ის ყველაზე საშიშია!“... ამ აზრს კი სხვებიც იზიარებენ. ადგილობრივთა ვარაუდით, ჩამოსახლების შემთხვევაში, თურქი-მესხები მოინდომებენ მხარის თურქეთისათვის გადაცემას, რის გამოც მათ უკან დაბრუნებას დანაშაულად და შეუძლებლად თვლიან [8. 1991].**

პრობლემა მართლაც საკმაოდ რთული და თითქმის მოუგვარებელი ჩანს, მაგრამ რა დააშავეს თუნდაც იმ მცირერიცხოვანმა ადამიანებმა, რომლებსაც ქართული სახელმწიფოს წინაშე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ და, უსამართლოდ დასჯილნი, სამშობლოში დასაბრუნებლად იბრძვიან. ან კიდევ, დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში უწამლავდნენ ეროვნულ თვითშეგნებას და მათ მანქურთებად ჩამოყალიბებას ცდილობდნენ?! ამას კარგად დაფიქრება, ხოლო შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავლის პოვნას უდიდესი შრომა, არანაკლები თავდადება და მოთმინებით მოღვაწეობა სჭირდება, (რაც მომავლის საქმეა...) და არა მო-

უმზადებელი, ნაჩქარევი, წინასწარ შეუსრულებლობისათვის განწირული გადანყვეტილებების მიღება.

რაც შეეხება მაშინდელ ქართულ პრესას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მასში გამოხატული საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია, რომელიც მორიგი, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, დემაგოგიითა და ილუზორული სიყალბით ცდილობს ფონს გასვლას და თან ცდას არ აკლებს მეცნიერული მიუდგომლობისა და „სიღრმისეული ანალიზის“ ფონი შექმნას, შეცდომას უწოდებს რა იმას, რაც საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის (და საერთოდ, რუსეთის) მიზანმიმართული პოლიტიკა იყო საქართველოს დასანაწევრებლად და დასასუსტებლად – და რადაც აღნიშნული საზოგადოება წარმოგვიდგენს სამცხე-ჯავახეთის 220 სოფლის ერთი ხელის მოსმით დაცარიელებას მოსახლეობისაგან; უნდა ითქვას, რომ ეს იყო ქართველებისაგან ამ მოსახლეობის ხელოვნურად გაუცხოების მორიგი ეტაპი და რუსულმა სახელმწიფო მანქანამ იგი ლოგიკური შედეგით დაასრულა, რათა საჭირო მომენტისთვის ახალი, შეურიგებელი მტრები შეემზადებინა ქართული სახელმწიფოებრიობის მომავლისათვის, მისთვის ზურგში ხანჯლის ჩასაცემად. ამიტომაც ამ საზოგადოების მოწოდებაც, ახლა მაინც „ვიყოთ სამართლიანი და შეძლებისდაგვარად გამოვასწოროთ ის შეცდომა, რომელმაც დანაშაულამდე მიგვიყვანა“ [12], ყალბია, რადგან **ამ დანაშაულში ქართველ ხალხს წილი არ უდევს და მასზე და მის ყველა შედეგებზე პასუხისმგებელია თავისი მიზნების განხორციელებაში დაუნდობელი და ვერაგი რუსული იმპერიული მანქანა**. ამიტომაც მიგვაჩინია, რომ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა ომარ გოჩელაშვილმა წერილში „მართლაც, არ ეგების თვალის დახუჭვა“ [7].

მაშინაც ასეთი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების საქმე „პარტიული ხაზის“ დაცვასა და მისი პოლიტიკის გამართლების იქით არ მიდიოდა და ვერც წავიდოდა, მათთვის თავიდანვე განსაზღვრული როლის გამო. ამ როლიდან გამომდინარე, მათი უნიათობის გამართლების ცდას ვერაფერს მატებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ი. ბეგიაშვილის ოპერატიულად მომზადებული საპასუხო წერილიც [4], რომელშიც იგი „სამართლიანობის აღდგენის“ მიზნით „კომპეტენ-

ტურ ქართველ მეცნიერებსა და სპეციალისტებზე“ და „თვითმხილველ“ პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანზე მიუთითებს, თანაც მრავალმნიშვნელოვნად ირონიზირებს კიდეც. მაგრამ იგი თუ მართლაც სამართლიანად განსჯიდა ყველაფერს, მიხვდებოდა, რომ სწორედ ეს „კომპეტენტური მეცნიერები და სპეციალისტები“, „პარტიულ ნომენკლატურასთან“ ერთად, იყვნენ პირველხარისხოვანი დემაგოგ-გამყალბებლები და სისტემის მრუდე სარკის პირველი ავტორ-შემოქმედნი. სწორედ ისინი იყვნენ, რომ მხოლოდ პარტიის ოფიციალური პოზიციის „მეცნიერულ დასაბუთებასა“ და მისი გასამართლებელი დებულებების შექმნას ემსახურებოდნენ და არა სიმართლეს, ისტორიული პროცესების სამართლიან, ისტორიულ ჭრილში წარმოჩენას.

ხოლო, რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით „გადასახლებულები განთავისუფლდნენ კომენდატურის მეთვალყურეობიდან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება“... და „ისინი რეაბილიტირებულნი არიან“, რასაც დიდ მონაპოვრად აცხადებს იგივე ავტორი (იქვე), – ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ამ „საბჭოთა მოქალაქის“ ყველაზე დიდი უბედურება, რომ როცა საჭიროდ დაინახავდა, მას ყოველგვარი სასამართლო პროცედურის გარეშე რეპრესირებულს გახდიდა საბჭოთა სახელმწიფო უსამართლო მანქანა, შემდეგ კი იმავე წესით, რეაბილიტაციას გამოუცხადებდა (ასე რომ, აქ ვერავინ გაიგებდა, სად იყო სიმართლე და სამართლიანობა). და თუ ავტორს მართლა სჯერა, რომ ისინი აღნიშნული ბრძანებულებით რეაბილიტირებულნი არიან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება, მაშინ რატომ არ დააბრუნეს ისინი თავიანთ ადრინდელ საცხოვრისზე და გარკვეულ დრომდე რატომ დატოვეს ისევ გადასახლებულის მდგომარეობაში?! მაშ, რას ნიშნავს რეაბილიტაცია და საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლების აღდგენა, ამ შემთხვევაში, თუ არა ი. ბეგიაშვილის მთელი მსჯელობის სიყალბის დამტკიცება?!..

აქ მოყვანილი დებულებების უშუალო დადასტურებაა თამარ საბინაშვილის სტატია, – „სხვისი ჭირი“ [14], რომელიც თავისი მამხილებელი ტონის გამო, ქართული კომუნისტური ნომენკლატურის პარტიულმა „ბოსებმა“, როგორც ჩანს, ძალიან სახიფათოდ მიიჩნიეს და გამოსაქვეყნებლად ნაკლებად პოპულარულ გაზეთში „სოფლის ცხოვრება“ გადაამისამართეს. ეს სტატია არის მაშინდელ საბ-

ჭოურ სივრცეში მეტად გავრცელებული ურთიერთგაბიაბრუების მხილების თვალსაჩინო ნიმუში, როდესაც ერთმა მხარემ თითქოსდა ბევრი რამ არ იცის და ცდილობს ამ „უვიცობის“ თავის სასარგებლოდ ექსპლოატაციას, საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებას. მეორე მხარე ცდილობს მას ყველაფერი დაწვრილებით და გასაგებად აუხსნას, ბოლოს კი ირკვევა, რომ ამ თითქოსდა „არ მცოდნეს“, სინამდვილეში არაფრის ცოდნა არ სურს და საკავშირო ელიტის მოსკოველ წარმომადგენელთა მორიგი შეკვეთილი ვოიაჟი თბილისში, უდღეური ტყუილებისა და დემაგოგიის ნაზავით, სწორედ ხალხის „დასაბოლებლად“, გარკვეული კონტიგენტისათვის კი ინსტრუქციის მისაცემად მოწყობილი ფარსია, რომლის საბოლოო მიზანსაც საქართველოსათვის ე.წ. თურქი-მესხების „შემოტენვა“ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ი. საბინაშვილის ემოციურ შეძახილს, – „არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთია აზრი ხალხისა, რომლებიც ძალიან პროგრესულად აზროვნებს... და რომელთაც ... სუნთქვაშეკრული ელოდა ყრილობა და ტელემაყურებელიც“, მას ახლა მაინც უნდა ვუთხრა, რომ მაშინ შეიძლება მართლაც, ადამიანურად, რუსეთშიც შეაწუხა ვიღაც თბილისში მომხდარმა ამბებმა და ვერც საბჭოური „განსაწმენდელის“ გავლა მოასწრეს მათ, ამიტომაც, ემოციებს აყვინენ; **ახლა კი ისინი სპეციალურად დამუშავებულნი, სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ თბილისში საგანგებო მისიის შესასრულებლად და თავიანთი პატრონების სასარგებლოდ ცივი გონებით და ანგარიშით უნდა ემოქმედათ.** ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ მათ „პროგრესული აზროვნება“ შეიძლება იქამდე გაჰყვეთ, სანამ ამას მათი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს; შემდეგ კი, როგორც ტოტალიტარული სისტემის „ხოლოპებს“, თავიანთი ბატონების სასარგებლოდ, თავის გავირეშმაკება და ყოველგვარი აბსურდისა და სისულელის მტკიცება ევალეზობდათ, – ხოლო თუ ვინმე გაბედავდა და ამხელდა, ისინი ყველაფერს ურცხვად საკითხის საფუძვლიანად არცოდნას დააბრალებდნენ; ეს იმ შემთხვევაში, სინდისის ნატამალი მათ მმართველ პულტთან, თუ კიდევ ვინმეს შერჩენოდა. თუ არა და...

ამირან ავალიანი თავის წერილში „ვისია მესხეთი?“ [2] გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული (ზუგდიდის რ-ნი სოფ. ნარაზენი) 15 მესხის კოლექტიურ წერილში გამოხატული მათი ანტიქართული პოზიციის სრული მხილების შემდეგ კა-

მათი მაინც გაგრძელდაო... – აბა, რა ეგონა?! ასე ადვილად დანებდებოდა ვინმე და ხელს აიღებდა დავალების შესრულებაზე?! აქ ხომ თავისი თავისუფალი ნებითა და შეგნებით არავინ მოქმედებდა; ეს იყო ერთი პულტიდან მართული თოჯინების თეატრი. ამასთან, ორივე მხარის პოზიციაში ნათლად ჩანს, რომ კომუნისტური დემაგოგიით, ისევე არაფრის მთქმელი სილოგიზმებით ცდილობენ ფონს გასვლას და სრულიადაც ვერ შეუგნიათ მომენტის სრული სერიოზულობა როგორც თავისი, ასევე თავიანთი თანამოძმეების მდგომარეობისაც... და კამათი გრძელდება... მაგრამ ეს უკვე ნაძალადევი, შეკვეთილი კამათია, რათა შემკვეთს საქართველოში მორიგი, უკვე საერთაშორისო მასშტაბის ახალი პროვოკაციების ასაგორებლად საჭირო ბაზა შეუქმნან... აქედან გამომდინარე კი სრულებით ბუნებრივია ავტორის კითხვა, რომელშიც პასუხიც იგულისხმება: „დიახაც, გულმონყალება... სანაქებო თვისებაა, მაგრამ გვაქვს რისკის უფლება, როცა საქმე სამშობლოს ბედს ეხება? ჩვენს მიმართ თუ იჩენს ვინმე ასეთ გულმონყალებას?“ და აქ უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ „**სამი საუკუნის განმავლობაში უცვლელი დარჩა ერთი – „ქართველთა კოლექტიური უპასუხისმგებლობა“** [15]. მაგრამ არ უნდა დაგვაგინყდეს ისიც, თუ როგორი რუდუნებითა და მონდომებით ზრდიდნენ ამ უპასუხისმგებლობას ქართველ ხალხში ასწლეულების მანძილზე მასზე მოძალადე აშკარა თუ ფარული მტრები! და სწორედ ამ ქართული კოლექტიური უპასუხისმგებლობის უშუალო შედეგია, რომ ყველა მხრიდან გვისვამენ კითხვებს: „ერთბაშად „აგიჯანყდათ“ შიდა ქართლი, ჯავახეთი, ყვარლის ლეკი მოსახლეობა, „თურქი-მესხები“, ბერძენ-ურუმები, ოსები, აფხაზები, სამხედრო წრეები... კონფლიქტი გაქვეცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეზობელ რესპუბლიკებთან, მოითხოვთ ყველა მხარეზე დაკარგულ ტერიტორიებს, გსურთ დამოუკიდებლობა. ნუთუ ყველაფერში მართლები ხართ? – ამბობს ავტორი და იქვე ამ კითხვას სრულიად სამართლიანად პასუხობს: „**ჰაი-ჰაი, მართლები ვართ, მხოლოდ ეგაა, ველარაფრით დაგვისაბუთებია ჩვენი სიმართლე საკავშირო და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასე თანდათან ჩამოყალიბდა ანტიქართული სინდრომი... გასაქანი ეძლევა ყოველგვარ ანტიქართულ დემაგოგიას. შეიძლება ითქვას, რომ იგი აქტიურად მოქმედი ფაქტორი გახდა, – დასძენს ავტორი და იქვე განაგრძობს: – მართლაც შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ჩვენი „კაკალიც აღარ**

ჩხრიალებს“, ხოლო სხვებისა ბამბაც საშინელ ხმაურს გამოსცემს“ [15]. აქ ბატონი ლოვარდ ტუხაშვილი დღეისათვის, ალბათ, აუცილებლად დაამატებდა, „**რადგანაც ერთადერთი მართალი ამ სისტემაში, ჩვენი „უფროსი ძმა“, რუსი უნდა დარჩენილიყო...**“ ქართველ მეცნიერებს კი არ ჰქონდათ უფლება ადეკვატური პასუხი გაეცათ ანტიქართულ შემოტევებსა და ქმედებებზე; პირიქით, ვალდებული იყვნენ, ხშირ შემთხვევაში, ეს კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონებიდან თუ საკავშირო მთავრობიდან წამოსული ანტიქართული ინიციატივები მოეწონებინათ და მისი „სიკეთე“ მეცნიერულად დაესაბუთებინათ, რაც კეთდებოდა კიდეც. ამის ორ უტყუარ მაგალითს მოვიყვანთ, რომელთაც ჩვენს თვალწინ გაიარეს „აპრობაცია“. პირველია 1978 წლის აპრილის ამბები ქართული ენის სახელმწიფო სტატუსთან დაკავშირებით, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ცენტრალური საკავშირო მთავრობისა და კომპარტიის ხაზის სამართლიანობას გვიმტკიცებდა და ჩვენ, სტუდენტებს „ისტორიული გარდაუვალობის წინააღმდეგ“ წასვლას გვაბრალებდნენ. და მეორეც, სულ ახლახან – როდესაც სომეხი ისტორიკოსების სრულიად უკანონო, საქართველოს მიმართ უსამართლო პრეტენზიებს ჩვენმა კოლეგამ, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა, ისტორიის დოქტორმა სიმონ გოგიტიძემ თავის რეცენზიაში სათანადო პასუხი გასცა, **თბილისში ვერ ვიპოვეთ ერთი ისტორიის მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი, რომელიც, მათი აზრითაც, ამ ღირსეულ პასუხს, უცხოეთში გამომავალ სამეცნიერო გამოცემაში ვიზას მისცემდა. ბოლოს კი ასეთი უცნაური პასუხით მოგვიპორეს თავიდან – „თქვენს გამო სომხებს ხომ არ მოვიმდურებთო...“.** სომხები რომ სამშობლოს გვედავებოდნენ და მთელი ამიერკავკასია სომხეთად გამოაცხადეს, ეს მათთვის არაფერს ნიშნავდა... და, **სამწუხაროდ, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ „ქვათა ლაღადი“ თანამედროვე საქართველოში არ დაინერებოდა! და თუ დაინერებოდა, მზის სინათლეს ვერ იხილავდა...**

როცა ავტორი ზემოთ აღნიშნულ წერილში რუს „სამართლიანობისთვის მებრძოლ მეცნიერზე“ ვიარჩესლავ ივანოვზე საუბრობს, სხვა საკითხებთან ერთად მას უყენებს ბრალდებებს: „იგი უმაღლავს მსმენელს, რომ ე.წ. აფხაზური სკოლა, აფხაზური დაწესებულებანი, ფაქტობრივად, რუსულია. იგი მალავს იმასაც, რომ აფხაზური

მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის თავისი მშობლიური (როგორც ქართული, ისე აფხაზური. ეს მაშინდელი რეალობა იყო! – უ.ო.) ენა; რომ საოჯახო ურთიერთობაშიც იყენებს რუსულ ენას. ივანოვისეული ლოგიკის მიხედვით, ქართულის ცოდნა აფხაზთა ასიმილაციას იწვევს, რუსული ენა კი ავითარებს ეროვნულ კულტურას“... ამიტომაც, ჩვენც უნდა დავეთანხმოთ მას, რომ ვიარჩესლავ ივანოვი დემაგოგი და პროვოკატორია. მაგრამ, ჩვენი აზრით, **დემაგოგი და პროვოკატორია ყველა ის ქართველი მეცნიერიც, რომლებიც, რაღაც თითიდან გამონოვილი მიზეზებით, თავს არიდებენ ქართული ინტერესების მეცნიერულ საფუძველზე დაცვას!**

აფასებს რა შუა აზიაში, კერძოდ ფერღანაში დატრიალებულ უბედურებას, ერთ-ერთი დაზარალებული ინტერვიუში ამბობს: „...მთელი ეს სისხლიანი პროვოკაცია მაფიოზური ძალების მიერაა ორგანიზებული და დაფინანსებული, მაგრამ ცოტამ თუ იცის ამ ხოცვა-ჟლეტის ნამდვილი მიზეზები“... მაგრამ დიდი ხანია დადგადრო ითქვას, რომ ამ ე.წ. თურქი-მესხების საქართველოსა და ქართველთაგან გასაუცხოებლად და გარკვეულ მომენტში, მათზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დასაპირისპირებლად მიზანმიმართული მუშაობა, განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა პერიოდში. მათი შუა აზიაში გადასახლება და გარკვეულ დრომდე იქ ანტიქართული სულისკვეთებით დამუხტვაც, ამ მიზანს ემსახურებოდა. ხოლო საქართველოში აღმავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში ფერღანაში მათი დარბევა და საქართველოში გადმორეკვის მცდელობაც, ამ მოძრაობისათვის ზურგში მახვილის ჩასაცემად და ერის მთელი ენერჯის საშინაო პრობლემებზე გადართვის მიზნით იყო განხორციელებული, რაც საქართველოსთვის მომაკვდინებელ საშიშროებას შეიცავდა. და არა იმიტომ, რომ „თურქი-მესხები“ იყვნენ თითქოს ასეთები, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა იმპერიულ მანქანას ამ მიმართულებით სურდა მათი გამოყენება და მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს აამოქმედებდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. მათი დღევანდელი პრობლემებიც „ბოროტების იმპერიის“ აგრესიული შემკვიდრის არსებობითა და მისი არც თუ გონივრული სამომავლო მიზნებითაა განპირობებული; ჩვენ კი, ამდენი ხნის განმავლობაში მათ მიერ მიზანმიმართული ღვარძლის თესვისა და ჩვენს შორის ბოროტგანზრახული დგომის გამო, ერთმანეთის ცნობა და ერთად თანაცხოვრება ვეღარ მოგვიხერხებია.



იმავე ინტერვიუს გაგრძელებაში ნათქვამია, რომ მომხდარში „არცთუ მცირე ბრალი მიუძღვის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომლებსაც ჩვენ არაერთხელ მივანიშნეთ მოსალოდნელ ტრაგედიაზე, მაგრამ ისინი ჩვენს გაფრთხილებასა და თხოვნას ზერელედ მოეკიდნენო“, რაც მხოლოდ ამტკიცებს ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას, ამ საქმეში მთელი საბჭოთა სისტემის თანამონაწილეობა-თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულმა ადგილობრივმა ორგანოებმა ზუსტად შეასრულეს მოსკოვის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მომდინარე დავალება და მითითებანი. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა მათი ერთ-ერთი „ლიდერის“, საკუთარი ხალხის ბედიტ ურცხვად მოვაჭრე პროვოკატორ ი. სარვაროვის, პროვოკაციული განცხადებანი, რომ თითქოს საქართველოში „ჩვენი მოსმენა არ უნდათ, გაიძახიან“ სამშობლოში დაბრუნებისათვის საჭიროა „გახდე ქართველი“, უარი თქვა შენს ენაზე, რელიგიაზე და ბოლოს და ბოლოს გვარზეც... ასი წლის წინათ მესხები ქართველები იყვნენ და შემდეგ გათურქდნენო“... შემდეგ კი სვამს ასევე პროვოკაციული შინაარსით გაზავებულ კითხვას: „წუთუ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს არ ესმით, ...რომ მას შემდეგ ადამიანებს ჩამოუყალიბდათ გარკვეული ეროვნული შეგნება და ახლა ამ შეგნების შესაცვლელად მათი იძულება შოვინიზმი არ არის?!“ (**გადმოზეჭდილია გაზ. „ლიტერატურნაია როსია“-დან [13]**).

ამ ინტერვიუს სათაურად „ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ“ ჰქვია და იგი გაზეთ „ლიტერატურნაია როსიას“ კორესპონდენტ ა. პისარევს ჩაუნერია. ჩვენ ვსვამთ კონტრშეკითხვას: **მსგავსი შეგნებისა და ფსიქოლოგიის ადამიანმა, სამშობლოზე თუ შეიძლება ისაუბროს, რადგან მას ასეთი რამ, საერთოდ, გააჩნია?! და აქვე უნდა ვთქვათ, რომ სარვაროვის მსგავსთა ქმედებების გამოა, რაც ამ ტანჯულ ხალხს სჭირს. მისნაირთა ქმედებების გამო დასჯილი ქართული ორიენტაციის მესხთა მისდამი გამოტანილი მსჯავრიც სრულიად სამართლიანია და ეთანხმება ჩვენს აზრს, როდესაც ისინი აცხადებენ: „სარვაროვსა და მისნაირ გამყიდველებს საკავშირო ინფორმაციის საშუალებები ფართოდ უხსნიან კარს ქართველი ერის საზიანოდ. თვითონ ჩვენც, არაქართული ორიენტაციის მესხთა ჩამოსახლების მოწინააღმდეგენი ვართ, და თუ ასეთებმა მაინც შემოაღწიეს, უკან უნდა მიბრძანდნენ“... [16], მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება...**

ცნობილი მეცნიერისა და მწერლის აკაკი გელოვანის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი [5] სრულად ემთხვევა 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში ექსპედიციის დროს ჩვენ მიერ ამ საკითხზე მოპოვებული ვიდეო მასალის შინაარსს, რომელთაგან ზოგიერთი, მათი გამაღიზიანებელი სისასტიკისა და ვულგარულობის გამო, რესპოდენტებმა აღარ ჩაგვანერინეს. ყოველი მხრიდან დაუნდობლობისა და სასტიკი ლალატის აჩრდილთა შემოსევა ისახებოდა რესპონდენტთა მოგონებებსა და საუბრებში: და ყველაფერი ეს თვალწინ მიცოცხლებს გრიგოლ გვარამაძის წერილში გულისტკივილით დახატულ სურათს, რომ ეს „თურქი-მესხები“, იგივე „ხუჟანი“ უფრო საშიში, ვერაგი და სასტიკი მტერი იყო ჩვენი ხალხისა, ვიდრე ოსმალებიდან შემოჭრილი თურქი დამპყრობლები. „ხუჟანები“ უფრო ვერაგულად იბრძოდნენ ქართველთა და ყველა ქრისტიანთა წინააღმდეგ“... [6].

ასეთი სურათის აღმქმელს, გარდა იმისა რაღა დამრჩენია ვიფიქრო – **რამ უნდა აქციოს ადამიანი ისეთ არსებად, რომ საკუთარ სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში ასე, გეშაღებული ნადირივით დადიოდეს და ყოვლის წამლეკავმა სიძულვილმა ისიც დაგავინყოს, საერთოდ ვინა ხარ?!** მაგრამ ეს ამ ხალხის საუკუნოვანი მონობის და ორი იმპერიული სახელმწიფოს, ჩვენი ერთმანეთზე მგეშავი პოლიტიკის შედეგია, რომლის ამ შედეგების აღმოფხვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არანაკლებ დროსა და მოთმინებით მუშაობას მოითხოვს, ვიდრე მისმა დამწერგავებმა ამ უკიდევანო სიძულვილის ჩათესვა-გაღვივებაზე დახარჯეს... თუმცა დღევანდლამდე, მტრის მიერ დიდი ოსტატობით ჩანერგილი სიძულვილის ნაყოფი ერთმანეთთან მიახლოების საშუალებასაც არ აძლევს ქართველთა ორად გახლეჩილ ცნობიერებას; მაგრამ თუ ამ ჩვენი საერთო ჭირის გადალახვა გვსურს, უნდა შევძლოთ ორივე მხარისათვის მწარე და მეტად სამწუხარო სიმართლის მოსმენა, რის გარეშეც შეუძლებელია ვითარების მართებული ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა, რათა დაისახოს დღეს არსებულ რეალობის გათვალისწინებით მდგომარეობის გამოსწორების სამომავლო პერსპექტივა.

ვფიქრობთ, რადგან აფხაზეთის გარშემო შექმნილმა თანამედროვე პრობლემებმა თითქმის ყველა ჩვენთაგანის თვალწინ ჩაიარა და ჩვენს ცნობიერებაში გავლილი ჯერ კიდევ ცოცხალი ფაქტია, აფხაზეთით დავიწყებ და „თურქი-მესხების საკითხისთვისაც“ (და სხვებისთვისაც – უ.ო.) ბევრი რამ საცნაური გახდება.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, და ეს ფაქტია, აფხაზეთში ჩვენ, ქართველებს ყველაზე მეტად გემტრობენ „გააფხაზებული ქართველები“ (რომელთაც ისევე, როგორც „თურქი-მესხების“ დიდ ნაწილს, „გაქართველება“ ვერ წარმოუდგენია, და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ...), რომლებიც აფხაზეთში გარკვეული პრივილეგიებისა და თანამდებობების მისაღებად „აფხაზებად“ ჩაენერნენ; ამიტომაც „აფსუებისთვის“ ყოველთვის უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მათზე ნაკლები „აფხაზები“ არ იყვნენ, და კიდევ – ამიტომაც მათ მიერ ჩადენილი ქმედებანი, ხშირ შემთხვევაში, მათ უკან, მშობლიურ წიაღში დაბრუნების ყოველგვარ შანსს უსპობდა, რადგან მათი ამ გზით წამყვანი ძალის მიერ ყველაფერი თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სწორედ ამ ძალის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისინი სინამდვილეში კი არ „გააფხაზდნენ“, არამედ „გარუსდნენ“ და ამ გზაზე აფსუათა ნაწილიც გაიყოლიეს.

მაგრამ ამ ანგარიშიან, მზაკვრულ თამაშში ჩაყოლამ უცებ დაკარგა თავისი ხიბლი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივის გაჩენისთანავე, რადგანაც ისინი ამ მოძრაობის დანყებისთანავე მიხვდნენ, რომ საკუთარი ამბიციების განხორციელება, მათ შეგნებაში, საკუთარი ეროვნული მეობის „ღალატის“ გარეშეც შეიძლებოდა; მაგრამ, მათივე აზრით, მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, უკან მოსაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდათ, თანაც მათი ანგარებით ჩადენილი ქმედებების მხილებისაც სასტიკად ემინოდათ და ეშინიათ დღესაც. ამიტომაც, მათი პატრონის შთაგონებით, მათ მომავალი, მათივე აზრით, მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებად აფხაზურ „ანკლავში“ ჰქონდათ და საკუთარი „პრესტიჟული არსებობის“ შესანარჩუნებლად ერთადერთი გზა, აფხაზეთში რუსული ინტერესების დაცვა და განმტკიცება იყო. მაგრამ ამ საკითხში ისინი ისე შორს არიან წასულნი, რომ საქმის ბოლომდე მისაყვანად მათი მომდევნო ნაბიჯი საბოლოო გარუსებაზე შეფარული თანხმობით დასრულდება (რაც უკვე მომხდარი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ფაქტია), მაგრამ ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოზე მეოცნებე ნამდვილი აფსუების ეშინიათ, რადგან ამ ნაბიჯს ისინი ღალატში ჩაუთვლიან, თუმცა ეს ბრალდება ამ „დღევანდელ ლამურებს“ საბოლოოდ მაინც არ ასცდებათ. იციან რა ესეც, ამიტომაც, თავიანთ ერთადერთ ხსნას მათი „სულის მყიდველ“ რუსეთში ხედავენ. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მათ არ იციან, თუ რა დასჭირდება რუსეთს მომავალში, – ან

საბოლოო გადაშენების პერსპექტივას ხომ არ აჯობებდა, რომ აფსუებთან ერთად თავიანთ თანამოძმე ქართველებთან ურთიერთობის მოგვარებაზე ეზრუნათ? მითუმეტეს ჩვენ კარგად გვესმის მათი როგორც ადრინდელი, ისე დღევანდელი პრობლემები და არც არაფერში ვადანაშაულებთ; ზემოთ მოყვანილი მკვეთრი გამოთქმები და ცნებები კი იმისთვის მოვიხმეთ, რომ მათი ახლანდელი მდგომარეობა მათთვისვე ნათლად დაგვეჩვენებინა. ამასთან, შევახსენებთ ისტორიულ წარსულს, რომ დღევანდელი ე. წ. „მესამე რომის“ წინამორბედმა ბიზანტიის იმპერიამ, როცა მას გაუჭირდა და დასჭირდა, როგორ მიუგდო მის მიერ მიტაცებული ქართული მიწები საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს... რა ვიცი, რა ხდება?! ჩვენთან კი, ნორმალურ პირობებში, მათ არავითარი პრობლემა არც არასდროს ჰქონდათ და არც არასდროს ექნებათ. ამიტომაც შევამზადოთ ნიადაგი ურთიერთ მოსალაპარაკებლად და კონსესუსის ნიადაგზე რომ არ გადაიჭრას, ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთი პრობლემა ჩვენს შორის არ არსებობს.

რაც შეეხება ყოველივე ამასთან „თურქი მესხების“ საკითხის კავშირს, ისინი ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს არიან წასულნი და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იმ დონეზეა გათურქებული-გათათრებული, რომ ამის დაფარვას არც ცდილობენ და კიდევაც ამკარად გამოდიოდნენ და გამოდიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, როგორც თურქეთისა თუ რუსეთის ინტერესების აგენტები. ასეთ ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეს ქართული სახელმწიფო საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე? მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვას საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები! ეს მსოფლიო პოლიტიკის აქსიომაა.

მოდით, სალად შევხედოთ მომავალს, თავი დავანებოთ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის ინტერესების სხვათა საქმეების კეთებისათვის შეწირვას და ბოლოს და ბოლოს, დავინყოთ ჩვენი საერთო სამშობლოს ნამდვილ მომავალზე ზრუნვა. გავანალიზოთ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საერთო არაკეთილმოსურნეების მიერ ჩვენს შორის ხელოვნურად გაღვივებული სიძულვილისა და ფალსიფიცირებული ურთიერთობის შედეგად ჩვენთვის თავსმოხვეული მძიმე მემკვიდრეობა და აღვადგინოთ იმ დროის ტრადიცია, როდესაც ერთმანეთი გვეიმედებოდა.

მესხთა ტრაგედია არ ახალია. იგი წარმოშობილია მათი თურქ-ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცევის დროიდან და ახალი ფორმით გაგრძელდა მხარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც, როდესაც აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განდევნილი იქნა საკუთარი მიწა-წყლიდან, მათ მაგივრად კი ჩამოასახლეს სომხები თურქეთიდან. **საბჭოთა პერიოდში უფრო მეტი მონდომებით გაისარჯუნენ უზურპატორ-ინტერნაციონალისტები და იმის მაგივრად, რომ ქართული თვითშეგნებისა და ცნობიერების აღდგენაზე ეზრუნათ მათში, მათი სრული და საბოლოო გადაგვარების პროექტის განხორციელებას შეუდგნენ.** მესხეთში გახსნეს თურქულ-აზერბაიჯანული სკოლები და ამავე ეროვნების „მასწავლებლებით“ გაავსეს რეგიონი, რამაც მათი საქართველოსა და ქართველებისაგან გაუცხოების პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა; ერთი მოდემისა და ორი რელიგიური თემისაგან შემდგარ მოსახლეობაში საურთიერთობო ფონი კიდევ უფრო დაამძიმა და ხელოვნურად ვითარების გამწვავებისთვისაც, „ბოროტების იმპერია“ მის არსენალში არსებულ არცერთ იარაღს არ დაიშურებდა. ბოლოს კი მივიღეთ ის, რომ ამ ორი რელიგიური აღმსარებლობისა და საერთო წარმოშობის ქართული თემის მნიშვნელოვან ნაწილს ერთად ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნიათ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ქართველ წარმომადგენლებს, რომ ამ პრობლემის საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტა ნდომებოდათ, ადრევე დაიჭერდნენ თადარიგს და 1988 წელს მაინც, როდესაც მიღებული იქნა „მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენისა და დაცვის ლიგის დეკლარაცია“, მიიღებდნენ სათანადო ზომებს, როგორც ამ დეკლარაციაშია აღნიშნული „ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითგამორკვევისათვის, მათი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის“... (ლაპარაკია მაჰმადიან მესხებზე – უ. ო.) ხელს შეუწყობდნენ „სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა შორის ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის გაღვივებას“... [11], მაგრამ, **სწორედ, საქართველოში საბჭოთა მმართველობის ერთგული დამცველი და მისი პოლიტიკის გამტარებელი კომუნისტური ნომენკლატურა წარმოადგენდა იმ რგოლს, რომლის მეშვეობითაც ქართველი ხალხის ნების იგნორირებით, ამასთან მისი სახელით ხდებოდა ყველაზე ანტიქართულ უბინძურეს საქმეთა აღსრულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, სასტიკად წამლავდა ატმოსფეროს სხვადას-**

ხვა აღმსარებლობის ქართველთა შორის. ასეთი პოლიტიკით ისინი ცდილობდნენ ეს ხალხი საერთო ქართული ეთნოფსიქოლოგიის დამანგრეველ ელემენტად ექციათ და საკუთარი ბოროტი მიზნების გამტარებელ მანქურთებად გამოეყენებინათ. ყოველივე ამის მენტალური შედეგები კი დღემდე წამლავს ქართულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ გარემოს.

თავს თუ არ მოვიტყუებთ, ორივე მხარემ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფოს თითქმის ყველა პრობლემის არსებობის მიზეზი, ხანგრძლივ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობაში, თანამედროვე პირობებში კი ჩამოყალიბების გზაზე მდგარი დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფო სტრუქტურების სისუსტეში უნდა ვეძიოთ. ამ სისუსტეს განაპირობებს ისიც, რომ საქართველოშიც სახელმწიფოებრივი მანქანის გაკონტროლებას ცდილობს ის ძალა, რომელიც ყალბი ილუზიებით „ასაზრდოებს“ მსოფლიოს და ეროვნული სახელმწიფოებისა და მისი ტრადიციული თვითმყოფადობის დაცვა მისთვის არაფერს წარმოადგენს; ასეთ ვითარებაში კი ჩვენი ქვეყანა განიარაღებულია და არ გააჩნია ერის ღირსების დამცავი რეალური მექანიზმები. ამიტომაც, იგი კვლავ განაგრძობს არსებობას საკუთარი სუვერენობის, სხვა სახელმწიფოთა და მსოფლიოს თანამედროვე წესრიგის მესვეურთა მიერ, მიმძლავრების ფონზე, სადაც მასზე და მის ნებაზე, სამწუხაროდ, თითქმის აღარაფერია დამოკიდებული.

ამ მდგომარებიდან, ჩვენი აზრით, ერთადერთი გამოსავალია – საქართველოს სახელმწიფომ გააერთიანოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, პირველ რიგში, მოამზადოს მომავალი თაობა და ქვეყანაც, აღნიშნული გამოწვევებისათვის საჭირო პასუხის გასაცემად (დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების, აგრეთვე საზღვარგარეთ მაშინ მოქმედ ქართული საგანმანათლებლო ცენტრების მიერ აღზრდილ სულიერებაზე აღმოცენდა) და ჩვენ ამ დაუნდობელ შერკინებაშიც ერთად მოგვიწვევს ბრძოლა საკუთარი მეობისა და კავკასიური იდეის გადასარჩენად. სასწრაფოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ამ მისიის შესასრულებლად ერთმანეთი ძალიან გვჭირდება! სწორედ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ხალხის მომავალი, თუ კი გვსურს, რომ ის საერთოდ გვექონდეს.

## ლიტერატურა – References

1. აბაიშვილი პ., დახმარება ჩვენი ზნეობრივი ვალია, გაზ. „თბილისი“, 1989. 07. 08.
2. ავალიანი ამ., ვისია მესხეთი, გაზ. „თბილისი“, 1989. 08. 07.
3. ბაშარული ზ., მესხეთმა უწყის, რას ნიშნავს „თურქობა“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 01. 08.
4. ბეგიაშვილი ი., მესხთა ტრაგედიის გამო, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 27. 07.
5. გელოვანი აკ., თურქობაზე ორი აზრი?!, გაზ. „თბილისი“, 1989. 27. 11.
6. გვარამაძე გრ., იმას რა დამავინწყებს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1989. 09. 12.
7. გორელაშვილი ო., მართლაც არ ეგების თვალის დახუჭვა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 17. 07.
8. 1991 წლის 19-20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის მიერ ადიგენის რაიონში ჩატარებული ექსპედიციის მასალები – ვიდეო გადაღება (ინტერვიუები 3 საათი).
9. ვადაჭკორია ბ., დაუმთავრებელი საუბარი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.
10. თუნგია მ., შეხვედრა სამშობლოსთან, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.
11. მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენის და დაცვის ლიგის დეკლარაცია, გაზ. „სამშობლო“, №17, 1988 წ. აგვისტო.
12. მესხთა ტრაგედია, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 04. 07.
13. ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ, ინტერვიუ, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 08. 08.
14. საბინაშვილი თ., სხვისი ჭირი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1989. 21. 07.
15. ტუხაშვილი ლ., „სინდრომი“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 27. 07.
16. ღია წერილი ზურაბ ბაშარულს, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 14. 10.

## **Ucha Okropiridze**

### **Once again about the problem of the „Turkish Meskhetians“**

#### **S u m m a r y**

The paper deals with the publication of the specially arranged expedition in Meskheti, aimed to study the problem of “Turkish Meskhetians” in August, 1991, as well as the publications of that period about the above mentioned issue, the reasons for this problem, analyzed on the basis of the modern material, its development and parlous results. The roots of it take their origin from the conquering and colonial policy of the of the region while being the part of the Ottoman and Russian Empire. In order to achieve their predatory goals, their efforts were especially active after the Russian coup of October 1917, during the period of separation of Transcaucasia from the Soviet Russia. In this regard, the Kemalist Turkey was not retreating. The new soviet imperial policy carried out in the mentioned region and especially, in Meskheti, has further increased alienation as between local Georgian Christians and the Muslim population, but at the same time caused further divisions and hostility of the latter to the Georgian state and Georgians, in general. The activities of Azeri teachers in these schools and artificially created anti-Georgian environment have further aggravated the situation. All of the above mentioned has been exacerbatingthe coexistence of the two religious communities and gave it the image of mutual distrust and hidden enmity,from which the enemies of Georgia benefited too much.

This resulted in the tragedy of Meskhetians of 1944 ...

The paper also deals with the policy of alienation, but with other reasons and methods, used in Abkhazia; which inspired the intransigent confrontation of the representatives of the Georgian ethnos with their fellow-men, artificially become “Abkhazians” and nowadays, Russia is using and operating this policy against both sides for its benefit.

Here are the relevant conclusions and the real ways to get rid of this artificially created dead set forth there.



## სათუნა თუმანიშვილი

### არაბული სოციუმი და ქალის სტატუსი (არაბული ანდაზების კორპუსზე დაყრდნობით)

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე პარემიოლოგიურმა კვლევებმა მსოფლიოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია (რითაც უკვე დასტურდება მოცემული თემის აქტუალობა). ამგვარი კვლევების პოპულარობა შეიძლება აიხსნას როგორც თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მიმდინარე გლობალური პროცესებით, ისე მკვლევართა დიდი სურვილით (ანდაზების მაგალითზე) შეისწავლონ განსხვავებულ ხალხთა მსოფლალქმა. რამეთუ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანდაზა – (მოცემულ ეთნოცნობიერებას მორგებული) საზოგადოდ გამოცდილი სიბრძნე, ეროვნული (ეთნიკური) კულტურის სტანდარტია. შესაბამისად, ამა თუ იმ ხალხის (ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიღებული) პარემიული ფონდი საკუთრივ მისი ისტორიული გამოცდილების ანარეკლი, მოცემული კოლექტიური აზროვნებისა და ენის ორგანული ნაწილია.

გვახსენდება ერაყელი ფოლკლორისტიკის ათ-თიქრითის ცნობილი დეფინიცია: ანდაზა – ხალხთა პრაქტიკული გამოცდილების კვინტენსენციაა, სიბრძნის ლამპარია, მათი მეხსიერების, წეს-ჩვეულებების, მემკვიდრეობის წყაროა, ცხოვრების წესის მოწმეა, მათი სევდისა და ალტყინების სუნთქვაა... ანდაზა – ერის სარკეა, რომელიც ზუსტად და ცხადად ირეკლავს მის სულიერ და სოციალურ სინამდვილეს [ათ-თიქრითი 1966:9].

ყოველთვის, როდესაც (წმინდა არაბისტიკული ასპექტით) მსჯელობა მიდის ამა თუ იმ არაბული ეთნოსის სოციოლინგვისტურ და ეთნოკულტურულ მოცემულობაზე, გვერდს ვერ ავუვლით ვერბალური ფოლკლორის იმ მნიშვნელოვან მარაგს, რომელსაც მისი პარემიული ფონდი მოიცავს. ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე პოეტური (ხატოვანი) საუბრის ხელოვნებაში ინსტიტუციონალიზებული არაბული საზოგადოება დღესაც აქტიურად ისწრაფვის (ანდაზებით და პოეტური კლიშეებით შეკაზმული) ხატოვანი მეტყველებისკენ. ეს მნიშვნელოვანი თავისებურება (არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული ნიშნით) დღემდე არაბული საზოგადოების ეთნოფსიკიკური მოცემულობის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელია.

არაბული ანდაზების კვლევის ისტორიიდან ვიგებთ, რომ საკუთრივ არაბ სწავლულთა ცხოველი ინტერესის (შეგროვება და შესწავლა) გამოვლენას ხანგრძლივი ისტორია აქვს. როგორც ჩანს, არაბები ანდაზებით ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობის (მე-7 ს.) ხანიდან (ზოგი მკვლევრის ვარაუდით, შესაძლოა უფრო ადრეც) ინტერესდებიან. ს. ბროკელმანი გვამცნობს, რომ, ფაქტობრივად, თითქმის ყველა ცნობილმა არაბმა სწავლულმა (იბნ სალამაჰ ადდაბი, აბუ 'უბაიდ ალ-ჰარავი, ჰამზა ალ-ისფახანი, აბუ ხილალ ალ-'ასქარი, ალ-მაიდან) მიუძღვნა სპეციალური შრომა ანდაზებს. მისივე თქმით, ისტორიკოსები და ფილოლოგები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მათ შეკრებასა და ანოტირებაში [2.408].

ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არაბ სწავლულთა მიერ ანდაზების მიმართ გამოვლენილი დიდი ინტერესისა და ღვაწლის შედეგად მიღებულ იქნა კლასიკური არაბული ანდაზების მდიდარი ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა უამრავ ცხოვრებისეულ ინფორმაციას ისლამამდელი და მისი შემდგომი პერიოდის არაბული კულტურის შესახებ [5.2000]. დღეს ეს მოვლენა (არაბული ანდაზების კვლევა სხვადასხვა სოციალურ ჭრილში) კვლავ არ კარგავს აქტუალობას. ის, როგორც საკუთრივ არაბი [1.1968; 3.1972], ისე, უცხოელი მკვლევრების [7.1930; 6.1982] მუდმივი ყურადღების ცენტრშია.

ცხადია, ანდაზა დიდი თემაა...

ამჯერად, ჩვენი კვლევის მიზანია სხვადასხვა არაბული ეთნოსების ანდაზების მაგალითზე გავიაზროთ მოცემულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მსოფლხედვა ქალის როლის და მისი მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ჭრილში. ანდაზას, როგორც ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებისეული შეხედულებების ერთგვარ მემკვიდრეს, ზუსტად უნდა ჰქონდეს შემონახული ქალისადმი დამოკიდებულების ყველა ძირითადი მოტივი. ის ხატოვნად და, ამავდროულად, უტყუარად უნდა გადმოსცემდეს თანადროული საზოგადოების წარმოდგენებსა და ტრადიციებს მოცემულ თემასთან მიმართებით.

ცნობილია, რომ ქალის სოციალური მდგომარეობის ცვლილებებს, მისდამი დამოკიდებულებას და მის როლს მოცემულ საზოგადოებაში დიდწილად განსაზღვრავდა (და მუდამ განსაზღვრავს) რელიგია და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, უძველესი დროიდან დღემდე, პრაქტიკულად შეუწელებელი ბრძოლა მიმდინარე-

ობს ქალისა და მამაკაცის ოჯახური, საზოგადოებრივი, უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობის დადგენისა და განმტკიცებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ყოველივე ეს დამოკიდებული იყო კონკრეტული ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებზე, რწმენა-წარმოდგენებსა და რიგ სხვა ფაქტორებზე.

ზოგადად, ისლამური სოციუმისთვის ქალის თემა განსაკუთრებით აქტუალურია: ბოლო დროს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა აღმოსავლურ სამყაროში ქალის როლს, მის უფლებებს, ხალხის დამოკიდებულებას მისდამი.

ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრა (არაბულ მუსლიმურ) საზოგადოებაში ყოველთვის წარმოადგენდა მოცემული რელიგიის განსაკუთრებული ყურადღების საგანს სხვადასხვა განზომილებითა და ასპექტით. „მუსლიმი იდეოლოგიებისთვის, როგორც ტრადიციონალისტებისთვის, ისე მოდერნისტებისთვის, დამახასიათებელია ქალებთან დამოკიდებულებაში ორი განსხვავებული თვალსაზრისი: ა) ისინი მხარს უჭერენ ქალის ბიოლოგიური და გონებრივი ჩამორჩენილობის მოძველებულ კონცეფციას და ხედავდნენ ქალში მხოლოდ დედას და ცოლს. ბ) ან ისინი ქალის სტატუსის იდეალიზებას ცდილობენ და ამტკიცებენ, რომ ისლამმა მისცა ქალს ისეთი უფლებები, რომლებიც უცნობია ქალებისთვის ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში. ასეთ ვითარებაში ქალის შესახებ არსებული მცდარი მოსაზრებებისა და შეხედულებების კონკრეტულ ანალიზს, უდავოდ დიდი მნიშვნელობა და ღირებულება ენიჭება“ [10.5].

როგორც ჩანს, მუსლიმურ საზოგადოებაში ქალის სტატუსის განსაზღვრა და სრული სახით წარმოჩენა შეუძლებელია წინა-ისლამურ ხანაში ქალის ადგილის, როლის და უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ყურანის მიხედვით გენდერული თანასწორობა პრაქტიკულად დაცულია, მაინც არსებობს რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, სადაც მამაკაცებს თავი უპირატესად მიაჩნიათ და ქალებს დისკრიმინაციას უწევენ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> როგორც ცნობილია თანამედროვე აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, უკვე მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ყურადღება მიიქცია ქალთა მოძრაობებმა, რომლებიც ქალის უფლებების მოპოვებისა და

ვნახოთ კონკრეტული მაგალითები. ჩვენ შევეცადეთ მათ კლასიფიცირებას მიკროთემატიკის მიხედვით (ქალის სახე ზოგადად, ქალი – დედა, ქალი – ცოლი, და ა.შ.). უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილ ანდაზათა უმრავლესობა (მცირე გამონაკლისების გარდა) აფორისტული ხასიათისაა (სათქმელი მონოდებულება არა შეფარვით). მოცემული ჟანრის ზეპირსიტყვიერი ბუნებიდან გამომდინარე, მასალაში დადასტურდა სინონიმური ანდაზები გარკვეული ცვლილებებით ლექსიკურ შემადგენლობაში. ანდაზათა უმრავლესობა გართმულია. ასეთ დროს, მათი ადეკვატური თარგმანის მოცემა, ერთდროულად მისი ფორმის და აზრის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ამგვარი მაგალითები თარგმნილია პროზაულად. აზრის ნათელსაყოფად ზოგჯერ მოხმობილია შესაბამისი ქართული შესატყვისებიც.

**ქალის შეფასება ზოგადად:**

النساء شقائق الأرقام (ლიტ.)

- ქალები მამაკაცების (ღვიძლი) დები არიან.<sup>2</sup>

يغلين الكرام ويغلبهنّ اللانم (ლიტ.)

- (ქალები) იმარჯვებენ კეთილშობილებზე და ეძლევიან უღირსებს.

كلّ مرا (امراة) 100 شيطان وكلّ 100 رجال (رجل) تغلبو مرا (ლიბან.)

- ყოველი ქალი 100 ეშმაკს უდრის და ყოველი 100 კაცი ერთ ქალს უდრის.

ქალის საზოგადოებაში ადაპტაციის სურვილით იმალლებდნენ ხმას. ამან ერთგვარი საპასუხო რეაქცია გამოიწვია საზოგადოების ძლიერ ნახევარშიც. მაგალითად, ცნობილია, რომ თურქეთში ქალებს საარჩევნო უფლებები მიეცათ. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაშიც (ეგვიპტე, სირია...) მეტ-ნაკლებად გააქტიურდა ასეთი მოძრაობები. დღესდღეობით, ქალისა და ე.წ. გენდერის თემა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკვლევ საგნად ითვლება არა მხოლოდ აღმოსავლეთში.

<sup>2</sup> მოცემული ანდაზის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ქალები პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან მამაკაცებისგან. ანუ, მათ აქვთ იგივე უფლებები და პასუხისმგებლობები. თუ მხოლოდ ამ ანდაზაზე შევჩერდებით, ის, პრაქტიკულად, მოცემულ სოციუმში გენდერული თანასწორობის სრულყოფილი გამოხატულება უნდა იყოს. თუმცა, შემდგომი მაგალითები (მცირე გამონაკლისის გარდა), სულ სხვა სინამდვილეს ასახავენ.

- (სირ.) النِسْوَانُ (نساء) إمَّا جواهر أو عواهر أو قواهر
- ქალები ან ღირსეულნი არიან, ან მეძავნი ან აუღებელნი (მოურვეგელნი).  
(ლიტ.) طاعة النساء ندامة
  - ქალისადმი მორჩილება დამღუპველია (სინანულია).  
(ლიტ.) النساء لحم على وضم إن
  - ქალები იმ ხორცს ჰგვანან, რომელიც ყასბის კუნძზეა.  
(სირ.) المرأ بنص (بنصف) عقل
  - ქალს ნახევარი ჭკუა აქვს  
(სირ. / ლიბან.) المرأه بتحبّ يوم وبتكره أربعين يوم
  - ქალს მხოლოდ ერთი დღე უყვარს, ორმოცი დღე კი, ტირის.  
(ეგვიპტ.) النساء هديات ورضيات
  - ქალები (ერთდროულად) საჩუქრებიც არიან და უბედურებაც.  
(ერაყ.) المرأه تضرب على ركبتيها تلاقى حيلتها
  - ქალი ხელს დაიკრავს რა მუხლზე თავის ემშაკს (სიეშმაკეს) უერთდება.  
(ლიტ.) النساء حباتل الشيطان
  - ქალები ემშაკის მახეები არიან.  
(ერაყ.) النساء (نساء) مصائد الشيطان
  - **შდრ. ქართ.:** ქალი ემშაკზე ერთი დღით ადრეა გაჩენილიო.  
(ლიბან.) النساء مصائد الرجال يقع فيها
  - ქალები კაცების ხაფანგები არიან, კაცები კი მათში ებმებიან.

### ანდაზები დედაზე:

ნებისმიერ სოციუმში, მათ შორის ისეთ პატრიარქალურში, როგორც არაბულია, დედის, როგორც სიცოცხლის საწყისის, როგორც უახლოესი ადამიანის ხატი პრაქტიკულად უცვლელია. ამას ამავედროულად, უნდა განაპირობებდეს აღმოსავლურ ოჯახურ ტრადიციებში მკვეთრად გამოხატული ასაკობრივი იერარქიული მოცემულობაც (მშობლების მიმართ განსაკუთრებული პატივის-

ცემა). ყველა შემთხვევაში, დედა, როგორც უანგარო სიყვარულის, თავდავინწყებული ზრუნვის სიმბოლო კარგად იკვეთება ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებშიც.

الجَنَّةُ تحت أقدام الأمهات (ერაყ.)

- სამოთხეც კი დედის ნაფეხურების ქვეშ არის.

ألم تعشش والأب يطفش (ეგვიპტ.)

- დედა დაბუდეაა, მამა - გაიქცევა.

الأُم قعود في البيت تعود (ლიბან.)

- დედა დაბუდეაა (ყველა შემთხვევაში) სახლში დაბრუნდება.

ريحه الأم بتلم وريحه الأب بتخم (სირ.)

- დედის სურნელი აერთიანებს (ანესრიგებს ურთიერთობებს), მამის სურნელი ხვეტავს (ფანტავს).

أدعى على ولدى وأكره اللى يقول أمين (სირ.)

- თავად ვადანაშაულებ ჩემს ვაჟს და მძულს ის, ვინც ამბობს, ამინ!

إلى أمه يلهف اللفان (ლიტ.)

- დაღონებული დედას მიაშურებს.

أم فرشت فأنامت (ლიტ.)

- დედამ ლოგინი გაუშალა და დააძინა.

أم الأعمى اخبرت برقاده (ეგვიპტ.)

- ბრმის დედამ იცის მისი დაძინება.

يا العمياء رقدى الأعمى (ეგვიპტ.)

- ბრმაო (იგულისხმება ბრმა დედა), ბრმა დააძინეო.

**შედ. ქართ.:** მუნჯის ენა დედამ იცისო.

إلى أمه في الدار قريضة حار (ეგვიპტ.)

ვისაც დედა ჰყავს სახლში, მისი კვერი ცხელია.

**შედ. ქართ.:** დედაჩემის გამომცხვარი პური ახალციხეს თბილი ჩამყვავო.

## დედინაცვალი:

(სირ. /ლიბან.) قالوا: خلقتك مرأه أبوك بتحبيك، قالوا : جنيت أو ما عدمت عقلها؟!  
თქვეს, დედინაცვალს უყვარხარო და, ნეტავ, გაგიჟდა თუ  
ჭკუა დაკარგაო?!

(ეგვიპტ.) مرأه الأب سخطة من الرب  
დედინაცვალის მრისხანება თავად ღმერთისგანაა.

## დედამთილი / სიდედრი:

(ლიტ.) إنّ الحماة أولعت بالكفة وأولعت كتنها بالظنّه

- დედამთილი ანთებულია რძალზე იერიშების მიტანით, რძალი კი ინთება (ივსება) მსგავსივე ფიქრებით (ემზადება მომავალი რძლის სამიზნედ ქცევისთვის).

(ლიტ.) دعوا قذف المحصنات، تسلم لكم الأمهات

- ჩირქს ნუ მოსცხებთ უბინო (წესიერ) ქალებს, თორემ დედების (დედამთილების) სამიზნედ იქცევინან.

(ერაყ.) لو العمّه تحب الكفّه كان إبليس دخل الجفّة

- დედამთილი რომ რძალს შეიყვარებს, მაშინ ეშმაკი სამოთხეში შევაო.

(ეგვიპტ.) الكى بالنار ولا حماتى في الدار

- ცეცხლით გამაუთოვებთ და სიდედრს ნუ შემომიყვანთ სახლში.

(ეგვიპტ.) وفرى نفسك يا حماتى مالىه الا مراتى

- ჩემო სიდედრო, თავი გვაკმარე, ჩემი ცოლის მეტი ვინ მყავს.  
(ნუ ჩაერევი ჩვენს საქმეებში, ჩვენვე მოვავარებთ)

## ქმრის დამოკიდებულება ცოლისადმი:

(ლიტ.) إن المناكح خيرها الأيكار

- საუკეთესო საცოლე, ქალწულია.

(ლიტ.) المناكح الكريمة مدارج الشرف

- ქორწინება კეთილშობილ ქალთან საფეხურია პატივისკენ.

- (ლიტ. / სირ.) عمدة (عماد) البيت هي الامراة ولا أرض  
- სახლის საყრდენი ქალია და არა მიწა.  
(სირ. / ლიბან.) اللى يسمع كلام مرأتو تكثر نكباتو
- ვინც ცოლის სიტყვას იჯერებს უბედურებას იმრავლებს.  
(ერაყ.) طاعه المراه ندامه
- ცოლისადმი მორჩილება დამღუპველია.  
(ერაყ.) المراه اذا ما تضربها اضرب خيالها
- ცოლს თუ არ სცემ, მისი აჩრდილი მაინც სცემე.  
(ლიბან.) إذا كان صاحب البيت يزمر، لايش الست ما ترقص؟
- თუკი ოჯახის უფროსი (ქმარი) დუდუკზე უკრავს ცოლმა რატომ არ უნდა იცეკვოს?  
(ერაყ.) مزتها يتحمل حوتها ياكل اللى
- ვინც ცოლის (მზითვის) სიტკბობას მიირთმევს, მუდმივად მის სიმწარესაც აგემოვნებს (კანწრავს).  
(ეგვიპტ.) المره الطهايه تكفى الفرح بوره
- კარგი მეოჯახე (მზარეული) ცოლი ერთი პატარა იხვითაც კი გაახარებს ოჯახს.

(ლიტ. /სირ. /ლიბან.) الحصيرة على (جوزها) زوجها مع تنام الأصيله  
კარგი ოჯახისშვილი თავის ქმართან ერთად ჭილობზეც კი დაიძინებს.

**შდრ. ქართ.:** მოსიყვარულე ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტევაო.

(ეგვიპტ.) عش يا حبيبي ولا تبتنى فصوتك في الدنيا يكفينى?  
იცოცხლე, ჩემო სიყვარულო, ნუ ამატირებ, შენი სუნთქვაც კი მყოფნის მე ამ დუნიაზე (ცოლის მიმართვა ქმრისადმი).

- (ლიტ.) دعوا قذف المحصنات، تسلم لكم الأمهات
- ჩირქს ნუ მოსცხებთ უბინო (წესიერ) ქალებს, თორემ ისინი დედების (დედამთილების) სამიზნედ იქცევიან.  
(ეგვიპტ. /სირ. /ლიბან.) اللى يقول لمراته يا عوره تلعب بها الناس الكوره
- ვინც ცოლს ცალთვალას ეძახის, მისით ხალხი ბურთივით თამაშობს (უპატივცემულოდ ეკიდება).



- اللى يقول لمراته يا هانم يقابلوها على السلام (ეგვიპტ. /სირ. /ლიბან.)
- ვინც ცოლს „ქალბატონობით“ მიმართავს, მას კიბეზე ეგებებიან.  
المراه خيرها لجوزها وشرا لأهله (იორდან.)
  - ცოლი ხეირია ქმრისთვის, შარია მისი ნათესაობისთვის.  
غل قمل (ლიტ.)
  - მკბენარებით სავსე ბორკილი (ანუ, ავი ცოლი)  
المرأة السوء غل من حديد (ლიტ.)
  - ავი ცოლი რკინის ბორკილია.  
لا منها ولا كفاية شراها (ლიტ.)
  - მისგან სხვა არაფერი მინდა (გარდა იმისა), იკმაროს (ეყოს) თავისი სიავე.  
اقصرى الشر يا عوره (ერაყ.)
  - იკმარე შარი, შე ცალთვალავ! (მიმართვა ავი ცოლის მიმართ).

**ვაყიშვილის უპირატესობის თემა ქალიშვილთან მიმართებით:**

- البنيه فحمه والولد رحمه (ერაყ.)
- ქალიშვილი ნახშირის ნატეხია, ვაყი - ღვთის წყალობა.  
البنيه مزبله بالعجل تكبر (ერაყ.)
  - ქალიშვილი ნაკელივითაა ბალახში, სწრაფად იზრდება.  
البنيه خركه باب كلن يجي يدكها (ერაყ.)
  - ქალიშვილი კარის სახელურივითაა, ვინც მოდის ყველა ქაჩავს.  
العم متول والخال متخل (ერაყ.)
  - ბიძა (მამის მხრიდან) მართავს და ბიძა (დედის მხრიდან) უკან იხევს.

بنت الشرق للغرب، وبنت الغرب للشرق (ერაყ.)

- ქალიშვილი აღმოსავლეთიდან დასვლეთში მოხვდა და დასვლეთიდან, აღმოსავლეთში.

يما جالو : ده ولد، اشنندَ ضهرى واتسند!..

يما جالو: دى بنايه ، مالت ركن البيت على!

- „როცა(ახალშობილის მამას) უთხრეს, ბიჭიაო (თქვა:) ზურგი გამიმაგრდა და საყრდენი მომეცაო, როცა უთხრეს, გოგაო (თქვა:) სახლის კუთხე თავზე დამემხოო“.

زوجناها خلصنا من بلاها ، جت وجابت عشره وراها (ეგვიპტ.)

- გავათხოვეთ, თავიდან მოვიშორეთ მისი უბედურება, მოგვიბრუნდა და ათი მოჰყვა უკან.

البنات مربوطهم خالى (ეგვიპტ.)

- ქალიშვილების კავშირი (მშობლების სახლთან) ფუჭია.

ابنك الك بنتك لا (ლიბან.)

- ვაჟი შენთვისაა, ქალიშვილი - არა.

ابن ابنك الك ابن بنتك لا (ლიბან.)

- შვილიშვილი ვაჟის მხრიდან შენია, ქალიშვილის მხრიდან - არა.

أم البنت مسنوده بخيط وأم الولد مسنوده بحيط (ჩაიპ.)

- ქალიშვილის დედა ძაფს ეყრდნობა, ვაჟის დედა - კედელს.

البنت إذا كبرت يا الجبر يا القبر (სირ.)

- ქალიშვილი თუ ასაკოვანი გახდა (გაუთხოვარი დარჩა), აი, სასჯელი! აი, ცოცხლად დამარხვა!

الولد فرحه ولو كان حبه القمحه (იორდან.)

- ვაჟი სიხარულია, ხორბლის მარცვალისგან რომ იყოს.

### საპირისპირო აზრი:

اللى يسعدّها زمانها تجيب بناتها قبل صبيانها (სირ. / ლიბან. / ეგვიპტ.)

- ვისაც ბედი გაახარებს, ვაჟებამდე ქალიშვილს მისცემს.

اللى ما لهاش بنينة تصيغ اياديها ، تعيط بحرقة والناس تعزيها (ეგვიპტ.)

- ვისაც ქალიშვილი არ ჰყავს, ხელებს იცემს, ცხარედ ტირის და ხალხი უსამძიმრებს.

الى ما عندوش بنات ما يعرفوش الناس امتى مات (ეგვიპტ.)

- ვისაც ქალიშვილი არ ჰყავს, ხალხი ვერ გაიგებს, როდის მოკვდება.

ამრიგად, განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემული არაბული ეთნოსების პარემიული ფონდები მეტად მრავალფეროვან (მეტიც, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების შემცველ) მაგალითებს გვთავაზობენ. ყველა შემთხვევაში, ფაქტია, რომ (თუნდაც მოცემული კორპუსის საფუძველზე) მათი თემატური თავმოყრა და ერთ მთლიანობაში დანახვა პრაქტიკულად სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა იმ სოციალური სინამდვილის შესახებ, რაც მოცემულ თემაზე (ქალის სახე) საუკუნეების მანძილზე (ისლამამდე თუ მის შემდგომ პერიოდში) ჩამოყალიბდა არაბულ საზოგადოებაში (არაბულ ეთნოცნობიერებაში).

ზემოთქმულს ისიც ცხადყოფს, რომ მათი უმრავლესობა (ლექსიკონებიდან და საანდაზო კრებულებიდან მოძიებული მცირე გამონაკლისის გარდა) მოპოვებულია უშუალოდ არაბული პირველწყაროდან, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის არაბი (სირიელი, ლიბანელი, ერაყელი, ეგვიპტელი) ინფორმანტებისგან. ეს კი იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ამ გამოთქმებს არ დაუკარგავთ ფუნქციური აქტუალობა. დღევანდელი არაბულ-მუსლიმური საზოგადოების ცნობიერება მას იღებს, ინახავს, ანუ, მუდმივ დინამიკაშია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მსგავსი ზეპირსიტყვიერი გამოთქმები ე.წ. „პორტატიული პარადიგმები“ [4.17], როგორც მოცემული რეალობის კუთვნილება, თავისი არსებითი (პრაგმატული) ფუნქციით მუდამ ზუსტად პასუხობენ თანადროული საზოგადოების (მოცემული სოციუმის) ცნობიერებას და მოთხოვნებს.<sup>3</sup>

დღეს, როდესაც ასე აქტუალურია გენდერული კვლევა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სრული გენდერული თანასწორობის მიღწევას და სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, აუცილებელი ხდება განისაზღვროს ქალის ადგილი და როლი

<sup>3</sup> სხვა შემთხვევაში, ანდაზა განიცდის სათანადო (ფორმალურ თუ შინაარსობრივ) ადაპტირებას (ახალ სოციალურ კონტექსტს მოერგება) ან საერთოდ იკარგება.

ტრადიციულ არაბულ-მუსლიმურ საზოგადოებაში, ისლამურ პრინციპებთან და ნორმებთან სრულ შესატყვისობაში. ამ თვალსაზრისით ქალებთან (მათ უფლებებთან) დაკავშირებით განსახილველი საკითხების მნიშვნელობამ და სიმრავლემ, ჩვენს საუკუნეს განსაკუთრებული სპეციფიკურობა შესძინა.

სამომავლოდ, მოცემული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, პერსპექტიულად გვესახება კვლევის გაგრძელება შეპირისპირებით პლანში ქართული საანდაზო ფონდის მონაცემებთან. კერძოდ, მოცემულ თემაზე იდეოლოგიურად ორ სრულიად განსხვავებულ კულტურათა შედარებით-ტიპოლოგიურ კონტექსტში შესწავლა (მათ შორის, ლინგვისტურ პლანში, რამდენადაც მათი სახით ცოცხალ კომუნიკაციას ვეხებით).

ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება რადიკალურად განსხვავებულ ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრა), იმავდროულად, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა.

## ლიტერატურა – References

1. Abdelkafi Mohamed, One Hundred Arabic Proverbs from Libya. Vernon and Yates, London, 1968.
2. Brockelman C., „Mathal“, The Encyclopaedia of Islam, Vol. 3. E. J. Brill, Leyden, 2013, pp. 407-410.
3. Buckhardt J. L., Arabic Proverbs : or the Manners and Customs of the Modern Egyptians, Curzon Press, 3<sup>rd</sup> ed., London, 1972.
4. Meleod M., ASA 10, „Journal of the Authoropological Society of Oxford“, 1969, vol 2, №3.
5. Webster Sh. K., Arabic Proverbs and Related Forms, 2000.  
<http://www.deproverbio.com/display.php?a=3&r=116>  
(The full text of this article is published in De Proverbio - Issue 11:2000 & Issue 12:2000, an electronic book)
6. Webster Sh. K., Women, Sex and Marriage in Moroccan Proverbs, International Journal of Middle East Studies №14, 1982, pp. 173-184.
7. Westermarck Ed. A., Wit and Wisdom in Marocco: A Study of Native Proverbs. George Routledge and Sons, London, 1930.
8. بغداد. اجزاء اربعة. عربييا فطرًا || امثال مع المقارنة. العربية التكريتي (١٩٦٦ - ١٩٦٨): الامثال الرحمن عبد

9. [ათ-თიქრითი (1966-1968): არაბული ანდაზები. შედარება 11 არაბული ქვეყნის ანდაზებთან, ბაღდადი, გვ. 7.]
10. გელოვანი ნ., ქალი ისლამში, თბილისი, 2005, გვ.5.

## **Khatuna Tumanishvili**

### **Arabic Society and Woman's Status (Based on analysis of Arabic proverbs)**

#### S u m m a r y

This work refers to an important genre of folklore - proverbs and eastern of the world such a painful topic, such as the role women in society and the state of community. Work is based on analysis of the Arabic proverbs.

Proverb as a kind views of the people living historian, just had to be preserved all the main motive to the women in the Arabic society. It gives figurative, but true public views of the accumulated and traditions on this issue. Proverbs are classified in the work by microthemes: the mother, the daughter and attitude to her in the family, the presentation of the marriage, the mother-in-law and etc.. The work also includes abstract information about the proverb.

All examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese, Egyptian, Iraqi informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs the best way proved direct relationship with informants. By re-interpretation in appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified.

Based on such approaches it becomes possible to identify various Arabic ethnocultures (to define ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (intercultural similarity markers).

## ელენა გეგეშიძე

### ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის ფუნდამენტური კვლევა და სამომავლო პერსპექტივები

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მონოგრაფიული შრომაა მიძღვნილი ქართულ-ებრაული ისტორიისადმი, წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის საკითხის შესახებ ფუნდამენტური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა.

მეცნიერული ახსნის საფუძველზე ტერმინი „ინტერნაციონალიზაცია“ გამოხატავს კავშირების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დომენებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე მრავალმხრივ და ღრმა გავლენას ახდენენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ მაინც უკავიათ გამოცალკევებული და ურთიერთგამიჯნული ადგილები. წარმოდგენილ ნაშრომში ნაციონალურ დომენებად განიხილებიან ქართველი და ებრაელი ერები, რომელთა 26-სუკუნოვანი თანაცხოვრების უდუმალეებით მოცული ისტორია საჭიროებს ფუნდამენტურ კვლევას როგორც საუკუნეებში გატარებული ქართველების შესაცნობად, ასევე ახალი ხედვის (ცოდნის) ფორმირებისათვის, უფრო სრული ცოდნის მისაღებად, რომელიც დაეყრდნობა ფუნდამენტურ ასპექტებსა და რეალურ ფაქტებს. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ინტერნაციონალიზაციის ბუნების საკითხთა ფუნდამენტური კვლევა ქართულ-ებრაულ დომენთა ურთიერთობის რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით წინასწარი პროგნოზირებით საუკეთესო მაგალითი იქნება ერთა შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისათვის სწორედ იმ რეალობაში, რომელშიდაც ცხოვრობს დღევანდელი მსოფლიო, რომელიც დატვირთულია ომებით, ტერორიზმის საფრთხით და უსამშობლოდ დარჩენილ ლტოლვილთა მრავალათასიანი ნაკადით.

ებრაელებისადმი დიდი ინტერესი გამოწვეულია იმ რთული და საინტერესო ისტორიული ბედით, რაც ამ ერს ხვდა წილად. ებრაელი და ქართველი ხალხის ოცდაექვსსაუკუნოვანმა ისტორიამ აჩვენა, რომ ეს ორი ერი მეგობრულად ცხოვრობდა. ეს არის სხვადას-

ხვა ეროვნებათა შორის ურთიერთობის, სხვა ერის მიერ ქართველი ხალხისადმი მადლიერების გამოხატვის სანიმუშო მაგალითი.

ქართველმა ებრაელობამ საქართველოს სახელი გაიტანა მსოფლიოში, რაც ორივე ერის დამსახურებაა. არცერთ სხვა ერს არ გამოუხატავს ქართველი ერისადმი მადლიერების, სიყვარულის და პატივისცემის გრძობა მსგავსად ებრაელებისა, სწორედ ქართველმა ებრაელობამ მსოფლიოს სიკეთის დანახვის ბრწყინვალე მაგალითი მისცა. რასაც ქართველი ერი არასოდეს არ დაივინყებს და რაც საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ფუნდამენტური კვლევის სისტემური მიდგომის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ნაციონალურ დომენებს (ქართულ-ებრაული ერები) შორის კავშირების ინტენსიფიკაცია განიხილება, როგორც საუკუნეებში ფორმირებული ერთი მთლიანი საკითხი (ისტორია), რომელიც შედგება ცალკეული ელემენტებისაგან (საუკუნეები, დომენები, მათი წარმოშობა, გენეტიკა, ასიმილაცია და სხვ.), მათ შორის არსებული კავშირებისაგან (პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ბიზნესკავშირები და სხვ.).

ქართველი ებრაელები თვითშეგნებით თავს განიხილავენ, როგორც ებრაელი ხალხის ერთ-ერთ ეთნიკურ ერთეულს, მეცნიერული თვალსაზრისით არ არსებობს კონსენსუსი ამის თაობაზე. საქართველოშიც კი ისინი არ წარმოადგენდნენ მონოლითურ ეთნიკურ საზოგადოებას და სხვადასხვა კუთხის ქართველი ებრაელები ზუსტად ისევე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორ ამავე კუთხეების ქრისტიანი ქართველები. ეს განსხვავება, ძირითადად, შეეხებოდა მეტყველების და ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს და არა რელიგიურ ასპექტებს. ქართლელი, ლეჩხუმელი, რაჭველი და ახალციხელი ქართველი ებრაელების მეტყველება არაფრით არ განსხვავდებოდა ადგილობრივი ქართული დიალექტებისაგან, და მხოლოდ იმერეთში (ქუთაისი, საჩხერე, კულამი) ჩამოყალიბდა ქართულ-ებრაული ენა ყივრული, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით ებრაულ და არამეულ ენობრივ წარმონაქმნებს [5.1].

არ არსებობს თანხმობა მეცნიერულ წრეებში ქართველ ებრაელთა წარმოშობის შესახებ. ბოლო 15 წლის მანძილზე მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევები ჩატარდა მათი გენეტიკუ-

რი და ანთროპოლოგიური შესწავლის მიზნით. სწორედ ანთროპოლოგიური მონაცემებით, ქართველ ებრაელთა უმეტესობა არაფრით არ განსხვავდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ავტოქრონული (ქართელები, მესხები) მოსახლეობისაგან, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობასაგან (მეგრელები, იმერლები, გურულები). შაინტერესოა მათი გენეტიკური მონაცემებიც. მაგალითად, ქართველ ებრაელებს „ქოჰენები“ არ ჰყავდათ და არც მათ ქრომოსომაში შეინიშნება ახლოაღმოსავლური J-P58, J1E და J-M410 ჰაპლოტიპები რაც აშკენაზ და ესპანელ ებრაელ მამაკაცებში საკმაოდ გავრცელებულია (3). არანაკლებ საინტერესოა დედობრივი ხაზით გარდამავალი მიტოქონდრული DNA-ს მონაცემები ქართველ ებრაელებში, რამაც აჩვენა რომ ქართველი ებრაელების 51%-58% ერთი ქალის შთამომავლები არიან (mtDNA Hg HV1a1a1 მუტაციით), რომელიც კავკასიის ტერიტორიაზე დაახლოებით 3500 წლის წინათ ცხოვრობდა (4,5), ხოლო Y-DNA (მამობრივი DNA) ქართველი მოსახლეობისა უჩვენებს იგივე ჰაპლოტიპს (Haplogroup J2), რომელიც წარმოშობით ახლო აღმოსავლეთიდანაა და აგრეთვე წინა აზიის (მათ შორის ებრაელების) მოსახლეობას ახასიათებს (6). ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ ქართველი ებრაელების ეთნოგენეზი ჯერჯერობით, ძირითადად, გაურკვეველია და მეცნიერული კვლევის საგანი უნდა გახდეს [5.1].

კვლევის სისტემური მეთოდოლოგიის უნივერსალური მტკიცებულებები, დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენებით პრობლემების გარეშე საშუალებას იძლევა თეორიული, ემპირიული, ექსპერიმენტალური, ფსიქოლოგიური, სტატისტიკური და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს საკლევ ობიექტთა შორის კავშირის სიმტკიცე და დამუშავდეს ნომენკლატურულ-თვისობრივი მახასიათებლების ერთობლიობა (მონაცემთა ბაზა), რომლებიც სრულყოფილად ასახავენ საუკუნეებში განფენილ დომენტა ინტერნაციონალიზაციის ხასიათს, ფორმას, მიმართულებას, სიმტკიცეს და ა.შ. კვლევის პროცესში გათვალისწინებული იქნება იმ მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენება, რომელიც მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში ტარდება სხვადასხვა კულტურის მკვლევართა მიერ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.



შერჩეული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელების მიზნები მრავალმხრივია და შეიცავს ახალი ცოდნის მოძიებისათვის ფუნდამენტურ კვლევას შემდეგი მიმართულებებით:

- დომენტა (ქართველები, ებრაელები) ისტორიული ურთიერთობები, დანყებული ებრაელების საქართველოში ამოსვლიდან დღემდე;

- ებრაელთა ასიმილაცია უცხო გარემოში (საქართველოში) ეტაპობრივად;

- საუკუნეებში თანაცხოვრების (ყოფითი ცხოვრების) პერიოდების შესწავლა შესაბამისი ანალიზით;

- ზოგადი კულტურის, დამწერლობის, რელიგიის, ხელოვნების დარგების (მუსიკა, ქორეოგრაფია. თეატრი, კინო, მხატვრობა, არქიტექტურა და სხვ.) განხილვა და მათი ურთიერთკავშირი.

დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- ებრაელების საქართველოში ამოსვლიდან დღემდე საუკუნეების დაყოფა პერიოდებად და საქართველოს ტერიტორიაზე მათი განთავსების სტატისტიკური სიხშირის კვლევა;

- დომინირებული ეთნიკური ერის (ქართველთა) მიერ ებრაელ ეთნიკურ დომენტა მოსალოდნელი შთანთქმის პროცესის შესწავლა და ანალიზი;

- დომენტა შორის კონფლიქტებისა და უთანხმოების საკითხთა კვლევა, წარმოშობის მიზეზები, მისი გავლენა დენაციონალიზაციასა და ეთნიკური თვითშეგნების გაღვივებაზე;

- ქართულ-ებრაული შერეული ქორწინების გავლენა ინტერნაციონალიზაციის პროცესზე;

- ქართულ-ებრაული გვარ-სახელების ასიმილაციის პროცესის აღწერა და ანალიზი;

- ქართულ-ებრაული სუფრის ეტიკეტი – კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

წარმოდგენილი ნაშრომის ამოცანათა განსახორციელებლად საჭიროა ქართველი და ებრაელი ხალხის სულიერი ერთობის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, გაღრმავება და პოპულარიზაცია, რომელიც მომავალ თაობებს და საზოგად-

დოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველი ებრაელების დიდებულ წარსულს და, ამასთან ერთად, ხაზს გაუსვამს ქართველი ერის თავისებურებას, დააფასოს და არ დაივინყოს სხვა ერის კულტურა.

მკვლევარი კულტუროლოგის ძირითადი ამოცანაა ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის ფუნდამენტური კვლევა, სადაც მკაფიოდ იქნება გაანალიზებული სამომავლო პერსპექტივები, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქართული, ისე ებრაული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და გააღრმავებს ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

საკვლევი თემატიკა „ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის ფუნდამენტური კვლევა და სამომავლო პერსპექტივები“ განიხილება სისტემური მიდგომის თეორიის უნივერსალური მტკიცებულებების მეთოდოლოგიით, რომელიც ხასიათდება, ერთი მხრივ, სოციალური დანიშნულების საკითხთა მთლიანობით, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა თემატიკის საკითხთა სისტემურ-დანაწევრებულ განხილვებს, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების, არგუმენტების შექმნისა და კვლევის პროცესში წარმოშობილი სხვა მიმართულებების შესწავლას [1.5-6] (თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის დემოგრაფია).

განსაზღვრული კვლევის მეთოდიკა ითვალისწინებს ისტორიულ, ფილოლოგიურ, სახელოვნებათმცოდნეო და სამუზეუმო-საარქივო კვლევებს. ამიტომ აღნიშნული სამუშაოს განსახორციელებლად შერჩეული მეთოდოლოგია კომპლექსურია და წარმოადგენს ისტორიულ-შედარებითი, სტრუქტურალისტური, ემპირიული, საარქივო, დესკრიფციული კვლევის მეთოდების ერთობლიობას.

პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე დიდ ინტერესს გამოიწვევს ქართველოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მკვლევართა, უნივერსიტეტებისა და საშუალო სკოლების, სასულიერო სასწავლებლების, პედაგოგთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა მხრიდან. გარდა ამისა, ის გარკვეულ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღესდღეობით, როცა საქართველო აქტიურად გამოდის საერთაშორისო არენაზე.

დღეს ქართველი ებრაელების უმრავლესობა ისრაელშია და მათი ისრაელის სხვა ებრაელ მოსახლეობასთან ინტეგრაციის და ასიმილაციის პროცესი თანდათან ჩქარდება. ის იგივე პროცესია, რასაც ადგილი აქვს თურქეთში მუსლიმი ქართველებისა („ჩვენებურები“) და თურქეთის ძირითად მოსახლეობას შორის. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო ძნელდება ქართული ენისა და ქართული ტრადიციების მომავალ თაობაზე გადაცემა, თუმცა აშკარად ჩანს ახალგაზრდების დაინტერესება შეინარჩუნონ ქართული ენა.

სხვადასხვა ხალხების კულტურათა ურთიერთქმედებას უკავშირდება, აგრეთვე, ფუნდამენტური პრობლემების თანამედროვე გამოვლინებანი. ამ პრობლემათა გადანყვევის თავისებურება მდგომარეობს არა ერთ რომელიმე, თუნდაც წარმატებულ კულტურასთან დიალოგში, არამედ კულტურათა სისტემატური დიალოგის ჩარჩოებში, „ამ პრობლემათა გადანყვეტა გულისხმობს კულტურათა ურთიერთქმედების ისეთ გლობალიზაციას დროსა და სივრცეში, რომლის დროსაც რეალური ხდება ყველა და თითოეული კულტურის თვითრეალიზაცია ყველას თითოეულთან და თითოეულის ყველასთან ურთიერთმოქმედების მეშვეობით. ამ გზაზე პრობლემატიზირდება თავად მექანიზმი კულტურათა ურთიერთქმედებისა“ [5.76].

კულტურათა ურთიერთმოქმედების, კერძოდ, დიალოგის კულტურის მეთოდოლოგია თავის შრომებში შემუშავებული აქვს მ. ბახტინს, რომლის მიხედვითაც დიალოგი, ეს არის ამ პროცესში მონაწილეთა ურთიერთგაგება, ამავე დროს, თავისი აზრის, თავისი სხვაში შენარჩუნება (მასთან შერწყმა) და დისტანციის შენარჩუნება (თავისი ადგილის შენარჩუნება). დიალოგი ყოველთვის განვითარება და ურთიერთმოქმედებაა. ეს არის გაერთიანება და არა დაშლა. დიალოგი საზოგადოების საერთო კულტურის მაჩვენებელია. „დიალოგი თვითმიზანია და არა საშუალება. ყოფნა უკვე ნიშნავს დიალოგურ ურთიერთობას. როცა დიალოგი მთავრდება, ყველაფერი მთავრდება“ [4.48]. მ. ბახტინის მიხედვით, თითოეული კულტურა სხვა კულტურასთან თანაარსებობს და კულტურაში დიადი მოვლენები მხოლოდ სხვადასხვა კულტურათა დიალოგში, მათი გადაკვეთის წერტილში იბადება. ერთი კულტურის უნარი აითვისოს მეორის მიღწევები, მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი წყაროა. „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში იხსნება მთელი

სისრულით და სიღრმით... ერთის აზრი თავის სიღრმეებს ავლენს სხვა, უცხო აზრთან შეხვედრისას, მასთან შეხებისას..., მათ შორის თითქოსდა დიალოგი იწყება, რომელიც გადალახავს ამ აზრთა, ამ კულტურათა ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... ორი კულტურის ასეთი დიალოგური შეხვედრისას ისინი ერთმანეთს არ ერწყმიან და არ ერევიან, მაგრამ ურთიერთმდიდრდებიან“ [4.49]. ორი კულტურის დიალოგი ორივე მხარისთვის ნაყოფიერია. „ჩვენ უცხო კულტურას ახალ კითხვებს ვუსვამთ, ისეთს, რომელიც მას თავისი თავისთვის არ დაუსვამს, ვეძებთ მასთან პასუხებს ამ ჩვენს კითხვებზე, და უცხო კულტურა გვპასუხობს, ხსნის ჩვენს წინაშე თავის ახალ მხარეებს, ახალ ზნეობრივ სივრცეებს“ [4.49].

კულტურათა დიალოგი გვევლინება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და პირობა კულტურათა განვითარებისა. იგი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთგაგების საფუძველზე, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ და მხოლოდ თითოეული კულტურის ინდივიდუალობაზე დაყრდნობით. „ასწლეულებისა და ათასწლეულების ხალხთა, ეროვნებათა და კულტურათა ურთიერთგაგებას უზრუნველყოფს მთელი კაცობრიობის, ყველა საკაცობრიო კულტურათა ერთიანობა“. არ არსებობს ერთიანი მსოფლიო კულტურა, მაგრამ არსებობს საკაცობრიო კულტურათა ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს „მთელი კაცობრიობის რთულ ერთიანობას“ – ჰუმანურ სანყისს.

კულტურათა დიალოგის იდეა დაფუძნებულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტზე. კულტურა ვერ გუობს ერთ აზრსა და ერთ შეხედულებას, ის დიალოგურია თავისი ბუნებითა და არსით. ცნობილია, კ. ლევი-სტროსი მუდამ უყოყმანოდ ილაშქრებდა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ადამიანებსა თუ კულტურებს შორის არსებული განსხვავების განადგურებამდე მიყვანა, მათი მრავალფეროვნებისა და განუმეორებლობის წაშლა. ის თითოეული ცალკე აღებული კულტურის უნიკალურ თავისებურებათა შენარჩუნების მომხრე იყო. ლევი-სტროსი წიგნში „რასა და კულტურა“ ამტკიცებს, რომ სხვა კულტურასთან ინტეგრალური ურთიერთობა კლავს ორივე მხარის შემოქმედებით ორიგინალობას“ [3.8]. მ. ბახტინმა დასახა ჰუმანიტარული ცოდნის ახალი მეთოდოლოგია, დაამტკიცა კულტურაში დიალოგის, კულტურათა მრავალხმიანობის მნიშვნელობა, ხელი შეუწყო კულტურათა დიალოგის რიგი გამოკვლევების მკვლევართა წარმოჩენას.

შეიქმნა „კულტურათა დიალოგის სკოლა“ (ვ. ბიბლერი). ვ. ბიბლერის შრომებში დიალოგის თემა განმარტებულია, როგორც საპირისპიროსთან ურთიერთობაზე განწყობა. ხაბერმასის კომუნიკაციური ეთიკა მიიჩნევდა, რომ დიალოგში ჭეშმარიტება იბადება, რომელიც გაგების საფუძველი ხდება.

არცერთ ქვეყანას არ ძალუძს იარსებოს და განვითარდეს თავისი მეზობლებისგან იზოლირებულად. კულტურათა დიალოგი კაცობრიობის განვითარებაში ყოველთვის მთავარი ფაქტორი იყო და ასეთივეა დღესაც. საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ხდებოდა კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რომლისგანაც კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური მოზაიკა ლაგდებოდა. კულტურათა ურთიერთზემოქმედების, დიალოგის პროცესს რთული და არათანაბარი ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია კულტურის განვითარების სტადიათა თანაფარდობაზე, დაგროვილ გამოცდილებაზე. თითოეული ნაციონალური კულტურის სიღრმეში დიფერენცირებულად ვითარდება კულტურის სხვადასხვა კომპონენტი.

გლობალიზაციის ჩარჩოებში იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგი. საერთაშორისო კულტურული დიალოგი აძლიერებს ხალხთა შორის ურთირთგაგებას და საკუთარი ნაციონალური სახის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას იძლევა. თუ ადრე ეგონათ, რომ ქართულ-ებრაული კულტურები ერთმანეთს არ გადაკვეთდნენ, დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეხებისა და ურთიერთგავლენის წერტილები. საუბარია არა მხოლოდ ურთიერთმოქმედებაზე, არამედ ურთიერთშევესებასა და გამდიდრებაზე. დიალოგური განვითარება ისეთი ცნებისა როგორიცაა „კულტურა“, კულტურათა საერთაშორისო დიალოგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის. ჩვენი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისება ის არის, რომ ქართული საზოგადოება არასოდეს იყო ჩაკეტილი საზოგადოება. მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“, იგი არ არის კარჩაკეტილი ქვეყნის წიაღიდან აღმოცენებული. ესაა გახსნილი ქვეყნის ფართო თვალსაწიერის წიაღში დაბადებული ქმნილება. საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს, მუდმივად ჰქონდა ღრმა კულტურული და სულიერი კავში-

რები მაღალი კულტურის მქონე დიდ ერებთან. არაერთი გამოკვლევა და ლიტერატურული სახის წერილი მიედღვნა ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც. ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ, რომელშიც მრავლადაა სინამდვილის ელემენტები.

ქართველობა, სულ ცოტა საბას დროიდან, აქტიურად, სრული შეგნებით ისწრაფვის ევროპასთან კავშირისაკენ, მისი სულიერი პროფილი, ძირითადად, ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით ჩამოიქნა და ამდენად ჩვენთვის მუდამ მნიშვნელოვანია ევროპულ კულტურასთან სიახლოვე.

დღეს მთელი საქრისტიანო სამყაროს წინაშე ქართველი ერი ამაყობს იმით, რომ ქრისტიანთათვის უძვირფასესი რელიკვია, მათი მამისა და მაცხოვრის კვართი ინახება მცხეთის მინაზე და მისი საქართველოში ჩამოტანი მცხეთელი ებრაელი ელიოზი იყო. ელიოზ „წარმოვიდა იერუსალიმით და წამოიღო კვართი იგი წმიდაი“. ელიოზმა, მცხეთელმა ებრაელმა, მაცხოვრის კვართი რომ ჩამოგვიტანა ეს ქართველს არ შეიძლება დაავიწყდეს. ამ წმიდათანმიდის წყალობით მცხეთას „მეორე იერუსალიმს“ უწოდებენ. ქრისტეს კვართმა სულიერად დააკავშირა პალესტინა და საქართველო, მაცხოვრის ტაძარი და სვეტიცხოველი. იერუსალიმშია ქრისტეს საფლავი, იერუსალიმიდან მცხეთელი ებრაელის მიერ ჩამოტანილი კვართი უფლის მცხეთაშივეა დაფლული. წმინდა ნინო, საქართველოს განმანათლებელი, აღიზარდა იერუსალიმში. ქრისტეს კვართის მოძიების სურვილმა ის საქართველოში მოიყვანა [2. 287-290].

არ შეიძლება ასევე არ შევეხოთ ბიბლიას, რომელიც ებრაულ ენაზე იყო დაწერილი და ითარგმნა ქართულად. ამასვე ადასტურებს ცნობილი ქართველი მკვლევარი პავლე ინგოროყვაც. ის აღნიშნავდა: „ქართული ბიბლია, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ებრაულიდან ყოფილა თარგმნილი“. ხბოს ტყავზე ნაწერი წიგნად აკინძული სამი ბიბლიაა მსოფლიოში. ერთი არის სირიაში, ალექსის წიგნთსაცავში. მეორე პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, მესამე ლაილაში – ლეჩხუმში – სოფელ ლაილაში. ამდენად შემთხვევითი არ უნდა იყოს ხბოს ტყავზე დაწერილი ერთ-ერთი ბიბლიის შემონახვა საქართველოში.

ებრაული თანახი, ანუ ბიბლია კაცობრიობის ისტორიაში „ყველაზე დიდი ზეგავლენის წიგნთა-წიგნია. ებრაელთა ყველა შემ-

დგომი თაობა სადაც უნდა ცხოვრობდეს და რომელ ენაზეც გინდა მეტყველებდეს, ჭეშმარიტად, ეძებს მასში ცხოვრების არსის გასაღებს“.

აი, საიდან მოდის ურთიერთ პატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობის ფესვები ქართველი და ებრაელი ხალხისა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

დასკვნის სახით კი მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ კულტურათა დიალოგი აუცილებელია, როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის პირობა. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა დიალოგი რთული, და ხანდახან მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელია ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველყოფა, ხალხთა და კულტურათა დიალოგი უნდა ხდებოდეს ამ ურთიერთქმედების მონაწილე თითოეული მხარის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესესთა გათვალისწინებით, რასაც მკვეთრად ადასტურებს ქართულ-ებრაული კულტურის ინტერნაციონალიზაცია.

და ვინ იცის, ეგებ სწორედ ქართულ-ებრაულ სიყვარულსა და თანადგომაშია გაცხადებული ის ღრმად შეფარული მისტერია, სასიცოცხლო დვრიტად რომ წაადგება ოცდამეერთე საუკუნის დაღლილ კაცობრიობას. ვინ იცის... იმედია ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს.

## ლიტერატურა – References

1. ზურაბიშვილი თ., თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი, 2006.
2. ციციანიშვილი ა., ებრაელები და საქართველო, თბილისი, 2003.
3. Klod L. S., „Race et hostoire“, 1952.
4. Бахтин М. М., Эстетика словесного творчества, Москва, издательство „Планета“, 1986.
5. Гордиенко А. А., Антропологические и культурологические предпосылки коэволюции человека и природы: философско-антропологическая модель коэволюционного развития, Новосибирск, 1998.

**Elene Gegeshidze**

## **Fundamental Research and Future Perspectives of Georgian-Jewish culture internationalization**

### **S u m m a r y**

There are numerous monographs in Georgian historiography dedicated to Georgian-Jewish history, but this project is important and relevant because never before has ever been any fundamental researches about internationalization issue of Georgian – Jewish culture in Georgia.

According to scientific definition, the term “internationalization” describes intensification of connections between national domains that have manifold and deep influences on each other while still maintaining their own distinct places. Presented project considers Georgian and Jewish people as national domains that have 26-centuries-long history filled with mystery, required fundamental research to comprehend the turbulent past centuries as well as to receive comprehensive knowledge to formulate new outlook and vision, based on fundamental aspects of actual facts.

Thus we feel that fundamental research of the nature of internationalization based on actual examples of Georgian – Jewish domain relationships will be a perfect example for the best example for strengthening friendly relationships among nations in today’s world, which is riddled with wars, terrorism scares and thousands of refugees without home country.

Scientific innovation for solving tasks given in the project is the methodology of systematic approach to fundamental research, which will consider connection intensification between national domains (Georgian and Jewish) as one whole unit formed during centuries, consisting of distinct elements (centuries, domains, their origin, genetics, assimilation etc.), existing connections amongst them (political, religious, cultural, business connections etc.).

Universal proofs of fundamental research systematic methodology, using modern communication means in today’s globalized world, allows to define the strength of connection between research objects using theoretical, empiric, psychological, statistical and other research methods, as well as to process and develop a union of nomenclature-qualitative characteristics



union (database) that will comprehensively describe the internationalization nature, form, direction, strength etc. of domains during past centuries. The research process will also take into account the approaches and methodologies that are used in leading research centers of the world by culture researchers for solving mentioned problems.

The research topic – “Fundamental Research and Future Perspectives of Georgian-Jewish culture internationalization” will be considered with universal proofs methodology of fundamental research systematic approach, which is characterized with social issues union, requiring considering systematically divided issues of various topics, creating scientifically approved methods, arguments and studying new directions that arise during the research. (Characteristic research methodology, research demographics).

To complete the project, it is important to support, deepen and popularize the integration of Georgian and Jewish people’s spiritual union into educational space, which will once again remind future generations of various social circles about the great past of Georgian Jews and emphasize the peculiarity of Georgian nation to appreciate and not forget the culture of other nation.

**საგანმანათლებლო ვითარების შესახებ**  
**XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში**

ქართველი ერის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა X-XI-XII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეებისა და მწიგნობრების საქმიანობას. ესენი იყვნენ: ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე მთაწმინდელი (920-1005 წწ.) და ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028 წწ.); ექვთიმე მთაწმინდელის ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ.); XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე; XI-XII საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი, გელათის აკადემიის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი [7.17-19, 36].

სწორედ ამ საუკუნეებში დაარსდა იყალთოსა და გელათის აკადემიები – საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრები. აქ ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა და ითარგმნებოდა და ინერებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი ქართულად [7.43-54]. ამასთან ერთად, იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა, მევენახეობა [14.89-90].

თითოეულმა ამ მოღვაწეთაგან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ მეცნიერებათა ფორმირების საქმეში.

ასეთი წარმატებული მუშაობა, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ძველბერძნულმა და ლათინურმა ენებმა, საუკუნეებით დაამუხრუჭეს – შეაჩერეს ქართული ცნობიერების მტრებმა, რომელთა მიზანი იყო ქართული ტერიტორიების მიტაცება-გავერანება და ქართული სულიერების განადგურება.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის დროდადრო გამოჩნდებოდნენ მამულის და რწმენის შეუპოვარი დამცველნი. მათი დიდი მცდელობის შედეგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა წინსვლა კულტურის დარგში და კერძოდ განათლებაში, რასაც დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798 წწ.) [4.196].

განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი და წამმართავი იყო კათალიკოსი ანტონ I – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788 წწ.), რომლის მეცადინეობით მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ან ალსდგა საუკუნეების განმავლობაში შეწყვეტილი კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება. ანტონ I ენერგიულად შეუდგა სასწავლებლების ორგანიზებას ქართლ-კახეთის მთელს ტერიტორიაზე.

მისი ინიციატივით, 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია. აქ ისწავლებოდა რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ანტონ I-ის მიერ 1753 წელს დაწერილი ქართული ენის გრამატიკა.

ანტონ I-ის უდიდესი დამსახურებაა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნა. მას ეკუთვნის: ასო, ხმოვანი, მარცვალი, არსებითი სახელი, ზმნა, დადებითი ხარისხი, მდებრობითი, ზმნიზედა, ბრუნვა, სახელობითი, მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და სხვა [12.32].

ამ გრამატიკული ტერმინების შესახებ არსებობდა აზრი თითქოს ანტონ I-მა ისინი გადმოთარგმნა რუსული შესატყვისი ტერმინებიდან, რაც არაა მართებული. საქმე ისაა, რომ „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა ანტონის შექმნილია და გვხვდება გრამატიკის პირველსავე რედაქციაში, რომელიც დაიწერა 1753 წელს. საკმარისია ბევრ ამ ტერმინს შევადაროთ რუსული შესატყვისი ტერმინი და სრულიად აშკარად წარმოიქმნება ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ კალკას, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ როცა ანტონი წერდა პირველ გრამატიკას მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რუსული ენის გრამატიკაზე.

მაშ, საიდან მივიღეთ ასეთი „აბსოლუტური“ დამთხვევები?

ქართული ენის გრამატიკის წერისას ანტონი იყენებდა ლათინური და სომხური ენის გრამატიკებს, რომლებშიც ყველა ეს ტერმინი კალკირებული იყო ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან. რუსული გრამატიკულ ლიტერატურაშიც ლათინურის მეშვეობით იმავე ბერძნული ტერმინების კალკასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც, რუსული და ქართული ტერმინები ასე ჰგვანან ერთმანეთს [12.99].

1758 წელს თელავში, მეფის სასახლეში დაარსდა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი სკოლა. 1782 წელს ის გადაკეთდა თელავის სემინარიად, რომელიც გაუქმდა 1803 წელს, როგორც ბუდე თვითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციისა [3.315-317]. იქ

ისწავლებოდა: მათემატიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებრივი განსხვავების გარეშე.

ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო მისი გახსნის ინიციატორი, არქიმანდრიტი გაიოზ რექტორი (1746-1821 წწ.) [4.197].

გაიოზ რექტორმა 1789 წელს დაწერა ქართული „ღრამატიკა“, რაც 1796-1800 წლებში დაიბეჭდა მოზდოკში მის მიერვე 1796 წელს დაარსებულ სტამბაში [13.630].

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქალაქ ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად 1756 წელს დანიშნულმა ანტონ I-მა, იმავე წლის დეკემბერში დაასრულა ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ვოლფის შვიდნაწილიანი „ფილოსოფიის“ მეშვიდე ნაწილისა „თეორიული ფიზიკა“ [10.13]. ამ წიგნის დედანი ინახება იოსებ (სოსო) გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაკეტილ სტენდზე (ხარფუხში).

ეს სახელმძღვანელო სავალდებულო იყო თბილისისა და თელავის სემინარიებში. თბილისის სემინარიაში ამ სახელმძღვანელოთი კითხულობდა თვით ანტონ I და მის ლექციებს ესწრებოდა ერეკლე II. თარგმნისას ანტონი სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წწ.) „ლექსიკონი ქართულით“ და არსენ იყალთოელის (XI-XII სს) „ფისიკით“ [10.14].

ვლადიმირში ყოფნის დროს, კერძოდ 1762 წელს, ანტონ I-ს ქართულად უთარგმნია ქრისტიან ბაუმისტერის (1709-1785 წწ.) თხზულებანი: „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“, „საყოფაცხოვრებო ფილოსოფია“, ანუ ეთიკა და „განსაზღვრება ფილოსოფიისა“ [12.90-91].

თბილისის სემინარიამ იარსება 1795 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა (1742-1797 წწ.) არ დაანგრია თბილისი. შაჰის ერთ-ერთი მიზანი იყო საბრძოლო იარაღების სახელოსნოების გაძარცვა-განადგურება და ხელოსნების წაყვანა ირანში. თელავის სემინარიამ კი იარსება საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამდე (1801 წ), რის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავამთავრებთ, თელავის სემინარიასთან დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფაქტის აღნიშვნით. საქმე ისაა, რომ თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე, 1783 წლის 28 მაისს, სემინარიაში გამართულა საჯარო დისპუტები (პაექრობანი), რაც მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებუ-

ლი მუშაობის შეჯამება-შემომწებას და ეს იმართებოდა ამათუი დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ. პაექრობა წარმოადგენდა დიდ სადღესასწაულო აქტსაც.

რადგან თელავის სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა საგრამატიკო დისციპლინებს, ამიტომ ეს საზეიმო სხდომაც სწორედ საგრამატიკო თემისადმი ყოფილა მიძღვნილი. ძირითადი მოხსენება ჩაუტარებია რექტორს, გაიოზ არქიმანდრიტს [1.51].

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავიწყებთ იმ პოლიტიკური აქტის აღნიშვნით, რომლის თანახმადაც რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1777-1825 წწ.) გამეფების პირველსავე წელს, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ის მიერთებულ იქნა რუსეთთან.

1802 წელს საქართველოს მთავარმართველად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს პავლე ციციანოვი (1754-1806 წწ.), რომელიც იყო კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას საქართველოსა და ამიერკავკასიისთვის სჭირდებოდა მოხელეთა დიდი შტატი. მაღალ, დიდ თანამდებობებზე მუდამ ნიშნავდნენ რუსებს, მაგრამ დაბალ ადგილზე საჭირო იყო ადგილობრივი წარმომადგენელიც, ოღონდ იგი რუსულის მცოდნე ან რუსულ სკოლაში ნასწავლი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან მიერთებისთანავე, ქართული სკოლების უმეტესობა დაიხურა. რუსეთის მმართველობამ საჭიროდ სცნო მხოლოდ რუსული სკოლების არსებობა, როგორც საიმედო საყრდენი თავისი პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში. რუსული ორკლასიანი პირველი სასწავლებელი 1802 წელს იქნა გახსნილი, რაც იმავე წელს დაიხურა. მისი დახურვის მიზეზი იყო ის, რომ ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, პირვანდელი განზრახვის მიხედვით, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი [8.73].

რუსული პოლიტიკის უკეთ გატარების მიზნით, 1803 წლის 27 ივლისის მოხსენებით ციციანოვი მეფეს არწმუნებდა თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაში იმით, რომ რუსული ენის ცოდნა აუცილებელია ამ მხარეში, სადაც სამართლის წარმოება რუსულადაა და თარჯიმნებიც არიან, მაგრამ ადგილობ-

რივი თავადაზნაურობა იმდენად უვიცია, რომ წესისამებრ მშობლიურ ენაზედაც ვერ საუბრობსო [19.5].

ციციანოვის ინიციატივით, 1804 წელს თბილისში აღადგინეს ქართული სტამბა, რომელიც მტრებმა 1723 წელს გაანადგურეს [12.88].

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ციციანოვს გაუხსნია 1804 წლის 31 მაისს და ამ სასწავლებელს უარსებია 26 წელი [8.76]. ის სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდა და მოხელეებს ზრდიდა. მაგრამ მონაფეოზა სასწავლებელს გაუბრბოდა, განსაკუთრებით ათიან წლებში, როცა საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა.

კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი იყო ალექსი პეტრიაშვილი, რომელსაც სასწავლებლის გახსნის დღეს მგზნებარე სიტყვით მიუმართავს საზოგადოებისთვის. სასწავლებელი 1814 წლამდე საქართველოს მთავარმართებლის სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციაში შედიოდა, ხოლო 1814 წლიდან კი გადარიცხულ იქნა ხარკოვის სასწავლო ოლქის უწყებაში [16.3-4].

ამ სასწავლებელში 1828 წელს მიუბარებიათ საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოს-ქიმიკოსი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818-1876 წწ.), რომლის მიერ შექმნილი „მუდმივეფექტიანი წყვილი“ კეთილშობილი ლითონების, კერძოდ ოქროს მისაღებად ცნობილი იყო რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში 1843 წლიდან [10.24-30].

1811 წლის 1 ოქტომბერს, უწმინდესი სინოდის მიერ თბილისში დაარსდა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია. ეს იყო მეორე ოფიციალური რუსული სასწავლებელი, რომელიც მეფის მთავრობამ გახსნა საქართველოში [16.5]. ეს სემინარია დაიხურა 1917 წელს, რომლის ერთადერთი ქართველი რექტორი 1916-1917 წლებში იყო დეკანოზი კორნელი კეკელიძე (1879-1962 წწ.) [6.310].

თბილისის სასულიერო სემინარიას დასახული ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი: 1) მას უნდა აღეზარდა კულტურის მსახურნი და თვითმპყრობელობისთვის საიმედო, სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები და 2) მოემზადებინა მისიონერები მთაში ქრისტიანობის დასაწერად, რომ ხელისუფლება უფრო მტკიცედ გაბატონებულიყო და დაემონა კავკასიის მთის ხალხი [2.108].

დარეჯან დედოფლისეულ (მეფე ერეკლე II-ის მეუღლისეულ) სასახლეში, ავლაბარში, გახსნილმა ამ სემინარიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში [8.87].

თბილისის სასულიერო სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლათა რეორგანიზაცია გატარდა 1835 წლის 1 სექტემბრიდან. სემინარია დაუქვემდებარეს კიევის აკადემიის ოლქს და ამიერიდან ამ ოლქს უნდა ეზრუნა და ხელმძღვანელობა გაენია მისთვის. რეორგანიზაციის გატარების შემდეგ, სასწავლებელში რუსულის სწავლება მიანდეს მხოლოდ რუსებს, ქართველს აღარ ნიშნავდნენ [2.126].

სასულიერო სემინარიაში მსოფლიო ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა რუსეთის ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორია საეკლესიო ისტორიასთან ერთად [16.7].

საქართველოში ფიზიკისა და გეოფიზიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1844 წელს თბილისში გეოფიზიკური ობსერვატორიის გახსნამ [10.8]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ობსერვატორიის არსებობა დაფიქსირებულია 1158 [15.32] და 1258 [7.23] წლებშიც კი. გარდა ამისა, ამინდზე პირველი დაკვირვება დაიწყო 1932 წლიდან.

თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას გააჩნია განვითარების საინტერესო ისტორია [5.142, 155-159].

1825 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ისწავლებოდა: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თარგმნა, ცეკვა, თათრული ენა, საღვთო სჯული, გეოგრაფია, ისტორია, ხატვა, გეომეტრია, ალგებრა, რუსული და ქართული სიტყვიერება, ფორტიფიკაცია, გეოდეზია. მოსწავლეთა დატვირთვა იყო 40-46 საათი კვირაში და გაკვეთილები ტარდებოდა დილით და საღამოს 4-4 საათი [19.16].

1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ეს დებულება ითვალისწინებდა ერთ გიმნაზიას თბილისში და 20 სამაზრო (საერო) სასწავლებელს თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამაზრო ცენტრებში [8.104].

ამ დებულებით, სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო 1835 წლის დებულებით ისინი გადაკეთდა სამკლასიან სასწავლებლად [16.11].

თბილისში გიმნაზია გაიხსნა 1830 წლის მარტში, საქართველოს მთავარმმართველ პასკევიჩის დროს. უფრო სწორად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად [8.105] და მასთან ერთად გაიხსნა პანსიონიც აზნაურთა შვილებისთვის [16.11].

თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ჯერ სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.) და მისი დაპატიმრებიდან, 1832 წლიდან ვიდრე 1868 წლამდე კი მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ზაქარია ყორღანოვი.

1837 წელს მეფე ნიკოლოზ I ესტუმრა ამიერკავკასიას. მის მგზავრობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში გამოაშკარავდა მრავალგვარი ბოროტმოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარმმართველი როზენი თავისი ოჯახის ყველა წევრითურთ. მექრთამეობა და სახაზინო ფულის მითვისება „სავალდებულოდ“ ითვლებოდა ყველა მოხელისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს გასსენ მილერს გაუფლანგავს გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლების მშენებლობისთვის გადადებული 50 000 მანეთი. დირექტორი ამ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც გამჟღავნდა 1839 წელს, ციმბირში გაგზავნეს ყოველგვარი უფლების აყრით. მეფის მგზავრობას შედეგად მოჰყვა როზენის მოხსნაც [18.93].

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება იწყება მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებიდან. 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის (1811-1887 წწ.) ინიციატივით ქართველი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას, რომელიც 1846-1848 წლებიდან საფუძვლად დაედო მთავრობის საჯარო ბიბლიოთეკას [19.209].

1848 წლის დებულებით, თბილისის გიმნაზიაში ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო იყო ქართული და თათრული ენები, მაგრამ სიმძიმის გამო მხოლოდ ერთი ენა გახდა სავალდებულო [19.21].

თბილისის გიმნაზია, რომელიც ერთადერთი იყო მთელს ამიერკავკასიაში, შედარებით ნაკლები მომზადებისა და ცოდნის ახალგაზრდებს უშვებდა. ამის გამო, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა პირდაპირ შესულიყო მოსკოვის უნივერსიტეტში [16.12].

მეორე გიმნაზია საქართველოში დაარსდა ქ. ქუთაისში 1848 წელს და მათ (თბილისის და ქუთაისის გიმნაზიებს) მიეცათ ის უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის გიმნაზიებს სრულიად რუსეთის 1828 წლის წესდებით. იმავე წელს საქართველოში გიმნაზიის კურსი 8-წლიანი გახდა [16.13].

1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი, ხოლო საკმაოდ გვიან, 1917 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია [11.12-15].



აღზრდა-განათლება და სკოლა იყო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

მონინავე ქართული პრესა ბრძოლას აწარმოებდა, ერთი მხრივ, იმისთვის რათა ხალხის მშრომელი მასების ცნობიერებაში შეეტანა იმის შეგრძნება, რომ „განათლება ყველაზე უფრო ძლიერი ძალაა“ და რომ ახლა თოფითა და ხმლით მებრძოლ ქართველ ვაჟკაცთა დრო აღარ არის, ახლა არის სწავლისა და მეცნიერების დრო; მეორე მხრივ, პრესა ბრძოლას აწარმოებდა ხალხის განათლების უფლებისთვის, სკოლების რიცხვის გადიდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის [8.379].

1864 წელს მთავრობამ შემოიღო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კლასიკური და რეალური. ეს გიმნაზიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ როგორც სასწავლო გეგმით და სწავლის შინაარსით, ისე უფლებებით. აქ პირველად დაარსდა პედაგოგიური საბჭო სასწავლო და აღმზრდელობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უქმდებოდა ნოდებრივი პრივილეგიები და ფიზიკური დასჯა „როზგი“ – „განკეპვლა“.

1865 წელს თბილისში დაარსდა ქალთა პირველი თანრიგის ღია სახელმწიფო სასწავლებელი, პედაგოგიური ციკლით. იმავე წელს კი, ქუთაისში გაიხსნა ქალთა ელემენტარული სკოლა.

1866 წელს ქ. თელავში გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი (თბილისისა და ქუთაისის ასეთივე სასწავლებლის სტრუქტურით, გეგმით და პროგრამით), რომელიც 1867 წლიდან განთავსდა ერეკლე II-ის სასახლეში.

1867 წლის დებულებით, ქართული ენა სავალდებულო გახდა მხოლოდ ქართველებისთვის, სომხური – სომხებისთვის და თათრული – თათრებისთვის.

პირველი ნაბიჯი ქართული ენის შესაკვცად გადაიდგა 1861 წელს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში მკვეთრად შეამცირეს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა.

მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ კავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ქართველების მიმართ განათლების დარგში გამოხატულება ჰპოვა 1873 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში, რომლითაც ადგილობრივი ენები კავკასიის საშუალო სასწავლებლებში რჩებოდა მხოლოდ ოთხ კლასში და ისიც როგორც არასავალდებულო საგანი – ვისაც სურდა ადგილობრივი ენის გაკვეთილები, მას ხელფასი უნდა გადაეხადა მასწავლებლისთვის.

ამ დებულების შესამუშავებლად, 1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა თბილისში მოინვია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორების ყრილობა.

ჯერ კიდევ ყრილობამდე, ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო აღნიშნავდა: მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების წინ წამოწევისა ზიანის მომტანია რუსული ენისთვის. ამ პოლიტიკით ჩვენ მივდივართ არარუსი ხალხების არა ასიმილაციისკენ, რაც ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს, არამედ მათ საშუალებას აძლევს ადვილად გავიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავიანთი ბუნებრივი ენით [19.42].

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნომბერს დაინიშნა კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

იანოვსკის დანიშვნას სიხარულით შეხვდნენ მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვები. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ იანოვსკი ორმაგ თამაშს ეწეოდა: 1879 წლის 22 დეკემბრის წერილში იგი მხარს უჭერდა ადგილობრივ ენაზე სწავლებას დაბალ კლასებში, ხოლო 1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით ხელქვეითებს ამცნობს, რომ კავკასიის ხალხები უმეცარნი არიან, რომელთა შორის უნდა განმტკიცდეს რუსული ცივილიზაცია რუსული ენის საშუალებით. თუკი ამ ერების გადაგვარება ვერ შეძლეს წარსულში დამპყრობლებმა, ამის მიზეზია დამპყრობელთა უკულტურობა, გაუნათლებლობა. სკოლა კი, რომელსაც ცარიზმი ფლობს, იანოვსკის აზრით, მძლავრი იარაღია, რომელიც აქ განამტკიცებს რუსულ ცივილიზაციას [19.88].

იანოვსკის უნდოდა გაეტარებინა თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, გაედევნა ქართული ენა, გადაეგვარებინა ქართული ახალგაზრდობა და ამით ლახვარი ჩაეცა ეროვნული კულტურისა და შემოქმედებისთვის, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, გადაგვარებული თაობების სახით ხელისუფლებისთვის მიეცა გონებით დაკნინებული და სულით დამონებული მოხელე-ჩინოვნიკობა.

იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ განაპირა ქვეყნებში სკოლა უნდა იყოს რუსული ცივილიზაციის დამნერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით, იანოვსკი თავის ხელქვეითებს წერდა: კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მათში სასწავლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად... ეს ცივილიზაცია აღმოჩნდება წინათ აქ არსებულ ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე [19.91].

იანოვსკის ცბიერი და ორმაგი ბუნება კარგად გამოავლინა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“: იანოვსკის ისე, როგორც ყველა ფლიდსა და გაიძვერა მოხელეს, თავი მოაქვს ქართველი ერის მეგობრად და ქართველი ერის ახალგაზრდობის მოამაგედ.

80-ანი წლების მიწურულში ხელისუფლება აუქმებს 1881 წლის სასწავლო გეგმას და დაწყებითი სკოლებიდან სავსებით დევნის ადგილობრივ ენას და საგნების სწავლებას აწყობს რუსულ ენაზე ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს სახელმძღვანელოები და ტერმინები. მაგრამ რუსული ენის შესწავლის პროცესში მასწავლებელს სჭირდებოდა მშობლიური ენის მოშველიება უცხო სიტყვებისა და ფრაზების ასახსნელად. განათლების მესვეურნი მალე დარწმუნდნენ, რომ ამ მეთოდით მიზანს ვერ მიაღწევდნენ. გარუსების საქმეში მეტი ეფექტის მისაღწევად, განათლების მესვეურებმა ორ მთავარ ზომას მიმართეს: რუსული ენის შესწავლის საქმეში მშობლიური ენის სრულ აკრძალვას და ბავშვის სააზროვნო ენად რუსული ენის გადაქცევას.

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორ ლევიტსკის აზრით, მშობლიური ენა ხელს უშლის სხვა ენის შესწავლას და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა (რუსული) ენის შესასწავლად [19.109-112].

ასეთ კრიზისულ სიტუაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაფიელ ერისთავის (1824-1901წწ.) წერილმა „რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?“ [20.1-2]. წერილის ავტორი ამბობს, რომ ქართულ ენას საკმაოდ მოეპოვება ტერმინები, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართული სახელმძღვანელოები. ქართული სამეცნიერო ტერმინების არსებობის დასადასტურებლად, წერილში ჩამოთვლილია საკმაოდ ბევრი ტერმინი ბუნების რვა სამეფოდან [21.143-145].

მაგალითად, ამ წერილში მოწოდებული არითმეტიკული ტერმინი „ბევრი“ ნიშნავდა ათიათასს. „ბევრი“ რომ ათიათასის მნიშვნე-

ლობით იხმარებოდა თამარ მეფის დროსაც, ჩანს შემდეგიდან: „ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს“, ანუ თორმეტი ათასი კაცი გაჟუჟეს. და კიდევ: ჟამთააღმწერლის ცნობით, 1226 წლის 9 მარტს მეტეხის ხიდთან „ათბევრი“ ანუ ასიათასი ქართველი დახოცეს.

1881 წლის მიწურულში გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვალობა და აღდგენილ იქნა მთავარმმართველობა. რეაქციის გაძლიერებას განათლების დარგში მოასწავებდა რეაქციონერ დელიანოვის დანიშვნა განათლების მინისტრად.

მეფის რუსეთის ბრძოლა განათლების წინააღმდეგ, საზოგადოდ, სწორედ ასეთი ფორმით წარმოდგა საქართველოში. თვით რუსეთში კი, ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სხვა ფორმით. სახელდობრ: „ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთი დარწმუნდა თავის ძლიერებაში და ალექსანდრე I და ნიკოლოზ I იმპერატორები მეცნიერებას აღარ აქცევდნენ ყურადღებას. მეტიც, ალექსანდრე I-ს ზოგიერთები ურჩევდნენ ყაზანის უნივერსიტეტის დაწვას, რადგან მასში ურწმუნობისა და რევოლუციის იდეები სუფევსო. ხოლო პეტერბურგის საუკეთესო პროფესურა სამუშაოდან დაითხოვეს და მეტიც: უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების „გაძლიერების“ მიზნით ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორად დანიშნეს უბნის პოლიციის უფროსი“ [9.29].

სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ქართული ენის გაუქმებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსწავლეებში და ზოგიერთ მასწავლებელში. მოსწავლეებს და არასაიმედო მასწავლებლებს დაუწყეს თვალთვალი და ეს უფრო გაძლიერდა, როცა ცნობილი გახდა სემინარიელების მიერ საეჭვო ლიტერატურით სარგებლობის შემთხვევები.

სემინარიელების დაინტერესებას სხვადასხვა ლიტერატურით ხელს უწყობდა სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე იაკობ გოგებაშვილიც (1840-1912 წწ.).

ქართველი ახალგაზრდობის გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა ე.წ. „ივანოვის ბიბლიოთეკამ“. 1870 წლის „დროების“ № 47-ში განთავსებული წერილი „სამწიგნობრო და საკითხავი ოთახი“ იტყობინებოდა, რომ მიმდინარე წლის 19 ნომბერს ფოსტის ქუჩაზე, სემინარიის მოპირდაპირედ ზუბალოვის სახლში გაიხსნა აღნიშნული ოთახი, სადაც წიგნებით სარგებლობა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე სახლში წაღებითაც გარკვეული თანხის საწაცვლოდ.

საქმე ისაა, რომ იმ დროს გაზეთები ცალობით არ იყიდებოდა და მხოლოდ თვეობით გამოიწერებოდა თანხის წინასწარ გადახდით, რასაც ყველა მსურველი ვერ შეიძლებდა. ვინმე ივანოვმა თავისი ფული ჩადო საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში და არ დაუნყია მევახშეობა [19.211].

მოსწავლეების მიერ სემინარიის ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად კონტროლდებოდა. სინოდის ოპერ-პროკურორის 1884 წლის 4 მაისის განკარგულებით სემინარიის ბიბლიოთეკიდან ამოიღეს მრავალი „არასასურველი“ წიგნი, მათ შორის დ. მენდელეევის წიგნი „ქიმიის საფუძვლები“.

1883 წლის მაისში თბილისის სემინარიის რექტორად დაინიშნა პავლე ჩუდეცკი, რომელმაც მაშინვე დაიწყო სემინარიალების გაკონტროლება არასაიმედო ლიტერატურით სარგებლობასთან დაკავშირებით [19.235].

თბილისის სემინარიის მოსწავლეთა მღელვარების მიზეზები იყო ცუდი ნიშნებისთვის დასჯითი რეჟიმი, თვით კარცერში რამდენიმე საათით მოთავსებით, ცუდი კვება და დაგლეჯილი ტანსაცმელი. ჩუდეცკის მიერ ბევრი მოსწავლე იქნა გარიცხული სემინარიიდან აკრძალული ლიტერატურით სარგებლობისთვის [19.240-248].

სემინარიის ადმინისტრაციამ რეპრესიები გააძლიერა მას შემდეგ, რაც 1885 წლის დეკემბერში მას ხელში ჩაუვარდა სემინარიის უდემამო მოსწავლე იოსებ ლალიაშვილის „დღიური“, საიდანაც გამოქვამდა ბევრი საიდუმლოება: არალეგალური ჟურნალ „ყვავილის“ არსებობა და საიდუმლო წრის არსებობა მისი წევრების დასახელებით. 1885 წლის 9 დეკემბერს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ი. ლალიაშვილი ამორიცხა სემინარიის საერთო საცხოვრებლიდან და ამიტომ მოუხსნეს სახაზინო ხარჯი. სანაცვლოდ დაუნიშნეს 6 მანეთი თვეში. ი. ლალიაშვილი იძულებული გახდა ბინისა და სადილის საფასურისთვის მიეცა კერძო გაკვეთილები. მაგარამ ჩუდეცკიმ აიძულა მოსწავლის მშობლები, უარი ეთქვათ ი. ლალიაშვილის მასწავლებლობაზე.

ამის შემდეგ, ი. ლალიაშვილს სახლში უპოვეს აკრძალული ლიტერატურა და ჩუდეცკიმ აიძულა იგი თხოვნა შეეტანა სემინარიიდან ამორიცხვის მიზნით. ეს თხოვნა მან დაწერა 1886 წლის 13 მარტს და იგი გარიცხულ იქნა თბილისის სემინარიიდან [17.24].

ი. ლალიაშვილმა რამდენჯერმე სთხოვა ჩუდეცკის სემინარიაში აღდგენა ან ცნობის მიცემა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა გორის

სასულიერო სემინარია. ორივე თხოვნაზე მან უარი მიიღო. იგივე თხოვნით, იგი ჩუდეცკისთან კაბინეტში მისულა 1886 წლის 24 მაისს დილის 11 საათზე და ისევ უარი მიიღო. ამის შემდეგ მან ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯალი ჩასცა ჩუდეცკის, რომელიც კაბინეტიდან გავარდნილა მეზობელ ოთახში და კისერში ხანჯლის დაკვრით იქ იქნა მოკლული [17.25-29].

საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარ ეპისკოპოსმა პავლემ (პეტრე ვასილის ძე ლებედევმა, 1827-1892წწ.) ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში დასწყევლა მკვლეელი იოსებ ლალიაშვილი. ამავე სიტყვაში მან ანათემას გადასცა მთელი ქართველი ერი, რის გამოც დიმიტრი ყიფიანმა სადგურ ხაშურიდან პავლეს გაუგზავნა ისტორიული წერილი, სადაც იგი პავლეს ურჩევდა დაეტოვებინა მის მიერ შეურაცხყოფილი საქართველო.

ყოველივე ამას მოჰყვა ეგზარქოსის გადაყენება და დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იგი 72 წლის ასაკში მოკლა ვინმე რუსმა ბერმა თავში უროს ჩარტყმით. დიმიტრი ყიფიანი დაკრძალულია მთაწმინდაზე. მის ხსოვნას აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი განთიადი:

**მთაწმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,  
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს  
თავდადებულის საფლავსა.**

.....

**„დედა-შვილობამ მეტს არ გთხოვ:  
შენს მინას მიმაბარეო,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“**

[1892წ.]

იოსებ ლალიაშვილი გასამართლებულ იქნა 1886 წლის 16 ივნისს და მას მიესაჯა 20 წლით გადასახლება კუნძულ სახალინზე. განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნა მისი არასრულწლოვანება – იგი დაბადებულა 1866 წლის 2 იანვარს და ჯერ კიდევ არ იყო 21 წლის. სახალინიდან იგი გაქცეულა იაპონიაში და 1889 წელს კი ამერიკაში, სადაც იგი გარდაცვლილა სან-ფრანცისკოში 1913 წელს (ვინმე ჭავჭავაძის თქმით). სინოდმა კი სემინარიის რექტორ

ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს, მარიამს თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა. იმ დროს, თბილისის სასულიერო სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის ხელფასი 40-50 მანეთს არ აღემატებოდა [17.30-37].

ჩუდეცკის მკვლევლობის შედეგად მთავრობამ სემინარია გაანადგურა. მხოლოდ ერთ დღეს სემინარიიდან დაითხოვეს 34 მოსწავლე; ბევრი კიდევ მანამდე ან მას შემდეგ. გახშირდა სემინარიელების მლეღვარება, რასაც ხშირად იწვევდა ადმინისტრაციის უადგილო მოთხოვნები და შენიშვნა-გაფრთხილებები. იყო შემთხვევები სემინარიიდან გარიცხვისა და სხვა სემინარიაში შესვლის აღკვეთით ან ქ. თბილისში ცხოვრების აკრძალვით.

დიდი არეულობა მომხდარა სემინარიაში 1893 წლის 1-4 დეკემბერს. ამ გამოსვლების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რექტორ სერაფიმეს მოთხოვნით შედგენილ იქნა სია საექვო მოსწავლეებისა მათი მოკლე დახასიათებით. ამ დროისთვის სემინარიაში ყოფილა 412 მოსწავლე. 1-4 დეკემბრის არეულობის გამო სემინარია დახურეს 1894/5 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

მეცხრამეტე საუკუნის სემინარიელების უკმაყოფილებანი, სწავლების მაშინდელი სისტემის მიმართ, გაგრძელდა მეოცე საუკუნის პირველ ათიან წლებშიც. უკმაყოფილება გრძელდებოდა იმის გამო, რომ ხელისუფლება ძალიან ცდილობდა რუსულ ენას მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ორი შემთხვევა.

1) 1903 წელს დირექტორების, ინსპექტორების, პედაგოგების, მეურნეთა, სასულიერო პირთა ერთ-ერთ ფართო შეკრებაზე პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ენისთვის ზიანის მომტანია მისი ცალკე საგნად სწავლება და რომ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზეო. როსტომაშვილის ამ გამოხედომას საკადრისი პასუხი გასცა იაკობ გოგებაშვილმა, რის შემდეგაც როსტომაშვილმა უკან წაიყო თავისი სიტყვები;

2) 1905 წელს მთავრობამ შექმნა რევოლუციასთან მეზობლი შავრაზმული ორგანიზაცია, რომლის წევრი იყო ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ტიმჩენკო-იაროშჩენკოს ქალი. იგი რუს მოსწავლეებს ასე მიმართავდა: გახსოვდეთ რომ ხართ რუსი, საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტიქტების მიბაძვაო. ეს მოხდა 1912 წელს. ამის გამო საჩივარი შევიდა მთავრობაში 200 მშობლის ხელმოწერით, მაგრამ შედეგი სავალალო: რამდენიმე რუსი და

ყველა ქართველი მასწავლებელი გადაიყვანეს ქუთაისიდან. სასწავლებლის ინსპექტორმა კონსტანტინე ლოლობერიძემ კი თავი მოიკლა – მას ბრალს სდებდნენ ტიმჩენკოს წინააღმდეგ ქმედებაში [22.63-64].

აი, ასეთი მძიმე რეჟიმის პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების მიღება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში.

## ლიტერატურა – Referenses

1. ბარამიძე ა., საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, ტფილისი, 1937, 51-65.
2. ბაკურაძე ი., ტფილისის სასულიერო სემინარია 1817-1835 წლებში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, ტფილისი, 1937, 107-126.
3. ბერიძე ვუკ., დავით რექტორი-ლექსიკოგრაფ საბა-ორბელიანის გამგრძელებელი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, 310-332.
4. გამსახურდია ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბილისი, 1975.
5. ერემიშვილი ი., ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა, ქუთაისი, 1997.
6. ვართაგავა ი., მოგონებები, II, თბილისი, 1962.
7. თავზიშვილი გ., უმაღლესი განთლების ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი პირველი, თბილისი, 1938.
8. თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870, თბილისი, 1948.
9. პარკაძე ვ., დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“, თბილისი, 1954.
10. საქართველოს ფიზიკოსები, შეადგინა ვ. პარკაძემ, თბილისი, 1982.
11. ტორაძე გ., მუსიკის სამყაროში, თბილისი, 2010.
12. ფოცხიშვილი ა., პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო, თბილისი, 1990.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1977.
14. ღამბაშიძე რ., ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986.



15. ჩაკვეტაძე ვ., გელათის აკადემია, თბილისი, 1958.
16. წერეთელი ქ., სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში, თბილისი, 1978.
17. ხუნდაძე არკ., რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი, ტფილისი, 1932.
18. ხუნდაძე ტრ., საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული I, ტფილისი, 1937, 74-106.
19. ხუნდაძე ტ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1951.
20. გაზ. „დროება“, 1880, №212.
21. ლალი იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა, თბილისი, 2015.
22. ხუნდაძე ტროფიმე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი, 1976.

**Elene Gegeshidze**  
**Omar Dzagnidze**

## **Situation in Education Sphere in Georgia of Eighteenth- Nineteenth Centuries**

### S u m m a r y

The work offers discussion of some aspects of education in Georgia, in the period specified in the title.

In X-XI-XII centuries, successful development of educational works was contributed greatly by targeted translation and creation of terminology by outstanding thinkers of that period and in it works in Old Greek and Latin languages played the great role.

Enemies of Georgian consciousness who aimed to misappropriate Georgian lands and to eliminate Georgian spirituality have slowed down educational work for many centuries.

As a result of long-term confrontation with the conquerors, in the second half of eighteenth century, certain progress in the sphere of education was achieved. Erekle II, King of Kartli and Kakheti (1720-1798) paid great attention to it. Certain achievements in the education sphere could be seen in the

first half of the nineteenth century as well. Thus, on October 1<sup>st</sup> 1811 the Orthodox Seminary was opened in Tbilisi which was closed in 1917 after revolution. From September the 1<sup>st</sup> 1835 the Tbilisi Seminary was reorganized into the schools it united. The Seminary was subordinated to Kiev Church Academy. At the church/ecclesiastical seminary history of the world and Russia was delivered as one subject, while history of Georgia, was delivered together with church history.

Opening of Tbilisi geophysical laboratory in 1844 contributed greatly to development of physics and geophysics. It should be noted that existence of observatory in Tbilisi was fixed in 1158 and 1258. Besides, observation over the weather was commenced in 1932.

The following disciplines were taught in educational schools for nobility: Georgian language, Russian language, arithmetic, geography, history, painting geodesy algebra and geometry. Number of academic hours reached 40-46 hours per week.

On August the 2<sup>nd</sup> 1829, the regulation was adopted for schools of Transcaucasia. These regulations provided opening of one gymnasium in Tbilisi, and 20 district public schools in Gori, Kutaisi, Telavi, Dusheti, Signaghi and other towns.

Gymnasium in Tbilisi was opened in March 1830; in particular, the school for nobility was transformed into gymnasium; besides, a boarding house was opened for children of nobleman.

In 1837 tsar of Russia Nikolai I visited Transcaucasia. During his visit many misdeeds were revealed with participation of Rosen, governor-general of the tsar. Taking bribes and misappropriation of treasury currency was reigning in the district. Director of the gymnasium Rassen Miller Managed to plunder 50 thousand rubles, designed for construction of buildings of educational schools. Rosen was discharged and Rassen Miller was sent to Siberia, deprived of all rights.

According to the regulations of 1848, the obligatory disciplines for Tbilisi gymnasium were Georgian language and Turkish language. Graduates of Tbilisi gymnasium had no right to enter Moscow University immediately. The second gymnasium was opened in Kutaisi in 1848 and term of study at Tbilisi and Kutaisi gymnasiums was eight years.

The main attention of Georgian press of 60ies of the 19<sup>th</sup> century was focused on bringing up and education of youth. According to the regulations

of 1867 the obligatory languages were: Georgian language for Georgians and Turkish language for Turks.

Russian imperial government made the first steps to eliminate teaching of Georgian language in 1861 and in 1881 it was fully prohibited, with the motivation that allegedly, in Georgian, there was no terminology and there were no textbooks.

Realization of this decision was hindered by Rapiel Eristavi's (1824-1901) newspaper article "Is it true that Georgian Language is Poor?" ("Droeba" 1880, # 212). The article offered numerous terms from the eight natural sciences.

Thus, for example, in this article the author writes that Georgians, from ancient times used the term: "bevri", that meant the number: "ten thousand" and the term "athbevri" meant "hundred thousand". It should be stated that for numbers less than ten thousand, they used terms we use today. For greater numbers they used specially invented names. This was done purposefully, to prevent enemies to understand the essence of letters, they could get hold when they caught couriers.

In 1881, a new minister of education Delyanov was appointed by a governor-general of the tsar, who fully supported prohibition of study on Georgian language at gymnasiums.

Tsarist government led its struggle against education in Caucasus by a specific form. In Russia, as such, the struggle against education was led by another method. Thus, for example after defeat of Napoleon tsarist government stopped funding education. Thus, for example emperor Alexander the I was advised to burn Kazan University as a hearth of revolutionary ideas. The best professors of Petersburg University were discharged from their positions. Chef of police was appointed to the post of a professor of philosophy of Kharkov University for the purposes to elevate level of education.

According to the Order of May 4, 1884, usage of library books was strictly controlled, and some undesirable books, e.g. D. Mendeleev's "Bases of Chemistry" was exempted from libraries of gymnasiums

In May 1883 Pavel Chudetsky was appointed to the office of a rector of Tbilisi seminary, who immediately started to watch the cases of usage of the banned books from the library. Because of it, some students were expelled from the seminary.

In 1885 a student Iosif Lagiashvili, a young man who had no parents, was expelled from dormitory of the seminary, as a member of secret circle. Then they found banned literature and he was expelled from the seminary.

Lagiashvili asked Chudetsky several times to restore him in seminary or to give him a certificate confirming that he graduated from Gori church seminary. Chudetsky refused to restore him or to give him such certificate. Six months later Lagiashvili killed Chudetsky by a dagger. In 1886 Lagiashvili was sentenced to 20 years imprisonment and was sent to Sakhalin. He managed to flee to Japan and then to America where he died in 1913.

After murder of Chudetsky, many students were expelled from the seminary with no right to enter seminaries or to stay in Tbilisi. These demands contributed to starting of disorders in seminaries; e.g. from 1 to 4 December in 1893 the seminary was closed till the beginning of the academic year of 1894/95.

Disorders of students of the seminary lasted to the first decade of the twentieth century. Disturbances were conditioned by bad methods of teaching and banning of study on Georgian language.

Such were the situations for teaching and generally for education in Georgia in the eighteenth and nineteenth centuries.

საკლე წერილის ფრონტული წერილი  
ლევან გოკიელისადმი – 16/XI 44 წ.

აი ეს წერილიც:

დიდათ პატივცემულო ლევან!

მივიღე თქვენგან გამოგზავნილი მეორე შრომა (ჩემი ფრონტზე ყოფნის პერიოდში).

გწირავთ ენით გამოუთქმელ მადლობას, არა იმიტომ, რომ თქვენ – საქართველოს დიდი მეცნიერი – მე უბრალო სალდათს მეგობარს მიწოდებთ, არამედ იმიტომაც (ესაა მთავარი), რომ უნივერსიტეტიდან მგონი მხოლოდ თქვენ ერთს გსურთ არ დადუმდეს ჩემი უნარი და მანვლით ჩემთვის სანატრელ სულიერ საზრდოს.

რით უნდა გამოსთქვას კაცმა ის გრძნობა, როცა სიკვდილს თვალეში მისჩერებიხარ, მტერს ანადგურებ, მაგრამ თვითონაც ყოველ წუთს ელი სიკვდილს და ამ დროს ფოსტალიონი მოხობდება ცეცხლის ქვეშ და გადმოგცემს დიდი მეცნიერის შრომას, რომელსაც აწერია „ძვირფას მეგობარს“.

ბატონო ლევან! ამ დროს მე ვიგრძენი ისეთი რამ, რომელიც თავისში საშინელი სიხარულის და ტანჯვის გრძნობებს აერთიანებს, მათზე მაღლა დგას და შეიძლება სწორედ მას ეწოდება უკვდავების გრძნობა.

ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონია ასეთი განცდა ღმერთის მიმართ.

ამ გრძნობის გამოხატვა შესძლო მხოლოდ სიხარულის იმ ცრემლებმა, რომლებიც თქვენი შრომის მიღების დროს ყელში მომანვნიენ და დროებით სუნთქვა შემიჩერეს.

ჩემს დამოკლებულ ჭკუას უნდოდა ერთ საკითხზე (თქვენი პირველი შრომიდან) თავისი აზრი გაეზიარებინა თქვენთვის, მაგრამ ეს უნდა გადაიდვას მანდ ჩემს ჩამოსვლამდე (თუ ცოცხალი დავრჩი), რადგან ძნელია მეცნიერული მსჯელობის წარმოება, როცა ფაშისტთა გვამები მოგჩერებიან – ეს სისულელეც იქნებოდა.

თქვენი მახვილი აზრი და ბავშვური სისპეტაკე ადამიანურობისა – უდიდესი იმედია ჩემთვის ჩემი დეკვალიფიკაციის მეოთხე წლის თავზე.

თქვენი შრომით აზრგაბრწყინებული დავდივარ „აკოფებში“ და ვამხნევებ მებრძოლებს, მოვუწოდებ მათ მეცნიერების საშინელ მტერთა – ფაშისტების საბოლოო განადგურებისაკენ.

ამით თქვენც ჩემთან ერთად უშუალო მონაწილე ხართ, ამ დიადი განმათავისუფლებელი ომისა.

დიდებულო მეცნიერო და უძვირფასესო ადამიანო! მიიღე ჩემი სალამი აღმოსავლეთ პრუსიიდან.

ღრმა პატივისცემით თქვენი მონაწე – სავლე წერეთელი.  
16/XI 44 წ.

P.S. დიდათ მაინტერესებს, თუ რა კეთდება ჩვენთან ფილოსოფიის ფრონტზე – რა შრომები დასწერეს საქართველოს ფილოსოფოსებმა, მაგრამ მე ისე ჩამოვრჩი ამ საქმეს, რომ ალბათ ვერც მივხვდები, თუ რაშია საქმე. იმედი მაქვს, რომ არ შეწუხდებით ამ წერილის წაკითხვით.

პატივცემულო მკითხველნო! ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, თუ ვინ არიან ეს უაღრესად ჰუმანური, უაღრესად განათლებული და ზედმიწევნით მოყვარული თავიანთი სპეციალობისა?

მოგახსენებთ, რომ ამ პიროვნებათა შესახებ არსებობს მეტად საინტერესო ლიტერატურა, საიდანაც მოგაწვდით მოკლე ინფორმაციებს [15.18.12].

**გოკიელი ლევან პეტრეს ძე** (1901, ქუთაისი – 1975, თბილისი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944 წ.), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935 წ.), დოცენტი (1930 წ.), პროფესორი (1931 წ.).





სურათზე მარცხნივდან: ლ. გოკიელი, ნ. ვეკუა,  
ნ. მუსხელიშვილი, ა. ბინაძე

ბატონი ლევან გოკიელი მუშაობდა დიალექტიკური და მათემატიკური ლოგიკის დარგში, მათემატიკის დაფუძნებისა და სიმრავლეთა თეორიის პარადოქსებთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ პრობლემებზე [15.99-101].

პირველდანიებითი განათლება ლევანს მიუღია დედისგან – ქ. ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ და მათემატიკის მასწავლებელ მარიამ იაკობის ასულ ბაჯიაშვილისგან. 1910-1919 წლებში ლევანი წარჩინებით სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და გამოირჩეოდა თავისი წესიერებითა და მახვილგონიერებით. მრავალი წელი იგი იყო მოსწავლეთა წარმომადგენელი პედაგოგიურ საბჭოში, რაც, ალბათ, იშვიათი შემთხვევაა სკოლის ისტორიაში.

ბატონი ლევანის სწავლა-განათლებაზე უდიდესი გავლენა მოახდენია მამის მიერ მისსადმი 1913 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათს შემდეგი სიტყვებით – **მუდმივად სადღეისო შეგონებით : „ბეჯითობით, მეცადინეობით და გულმოდგინებით გაიკაფე ცხოვრების გზა, სძლიე დაბრკოლება და უსამართლო დევნა, იყავ პატიოსანი, სამართლიანი, დამცველი ჩაგრულისა, კაცთა მოყვარე, სამშობლოს მცველი და მშობელი დედ-მამის გამხარებელი. მამა პეტრე. 2 თებერვალი, 1913 წელი“** [18].

გიმნაზიაში სწავლისას, ბატონ ლევანს ჩამოუყალიბდა ფილოსოფიური საკითხებისადმი თავისებური, სხვებისგან განსხვავებული მიდგომა. მაგალითად, ბატონი ლევანის მსჯელობით ცოდვის მონანიება პატიების მეშვეობით დაიყვანება ლოგიკურ პრობლემაზე, სადაც ფიგურირებს უსასრულობაში ლოგიკური რეგრესის მეთოდი და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მის მერმინდელ შრომებში. ვთქვათ, პიროვნებამ წინასწარ მოინანია მომავალი ცოდვა. ამის შემდეგ მან გაქურდა ის მღვდელი, რომლისგანაც მონანიება მიიღო და ნივთებთან ერთად მას წაართვა მისთვის მიცემული ჰონორარიც.

ისმის კითხვა: ჰონორარის წართმევა ითვლება თუ არა ცოდვად? მღვდლის, მაგრამ არა მომნანიებლის, აზრით ჰონორარის წართმევა ცოდვაა, რისთვისაც მეორე მონანიება და მეორე ჰონორარია საჭირო. თუ მომნანიებელმა მეორე ჰონორარიც წაართვა, მაშინ მესამე და ასე შემდეგ დაუსრულებლად, რაც საქმის მოგვარებას აფერხებს [18].

რაკი ლევანს სწადადა ფილოსოფოსობა, ამიტომ მან გადაწყვიტა შესულიყო მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მოტივაცია იყო: ისეთი ფილოსოფიური მუშაობისთვის, როგორც მას სურდა, საჭირო იყო მათემატიკის სრულფასოვანი ცოდნა.

თეორიულად ეს სავსებით დასაშვებია იყო, მაგრამ პრაქტიკულად მეტად ძნელი: ლევანს უნდა ემუშავა ორი მეცნიერების, ფილოსოფიის და მათემატიკის საერთო პრობლემებზე; მას ურთიერთობა უნდა ჰქონოდა არაფილოსოფოს მათემატიკოსთან და არამათემატიკოს ფილოსოფოსთან, რასაც უეჭველად თან სდევდა აზრთა დაუმთავრებელი ჭიდილი – მეცნიერული კონფლიქტი. ამით უკვე გამოისახა მისი ცხოვრების ის გზა, რაც მამამისმა გამოთქვა თავის წერილში და თანაც, ეს ჭიდილი უნდა ყოფილიყო პატიოსანი! ბატონი ლევანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მზად აღმოჩნდა ასეთი ჭიდილისთვის, რაც წარმატებით მთავრდებოდა ხოლმე!

ლევან გოკიელი 1919 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, სადაც მათემატიკური განათლების მთავარ დარგს – მათემატიკურ ანალიზს კითხულობდა პროფესორი ანდრია რაზმაძე (1890-1929 წწ.) – უკვე სახელმწიფო მათემატიკური მეცნიერი. ბატონ ანდრიას დიდი გავლენა მოუხდენია სტუდენტ ლევან გოკიელზე თავისი ზუსტი მსჯე-



ლობებით და საგნისადმი სერიოზული მიდგომით. სტუდენტ ლ. გოკიელზე დიდი გავლენა მოუხდენია, აგრეთვე, პროფესორ შალვა ნუცუბიძის (1888-1969 წწ.) მიერ ფილოსოფიის კურსის წაკითხვას.

ეს გავლენა განაპირობა იმანაც, რომ ბატონ შალვას სადოქტორო დისერტაცია „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ (გამოქვეყნდა 1913 წელს რუსულად) მიძღვნილი იყო ჩეხი დიდი ფილოსოფოს-მათემატიკოს ბერნარდ ბოლცანოს (1782-1848 წწ.) შრომებისადმი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მათემატიკურ ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში [17.175-176].

აქ უნდა აღინიშნოს ჩვენი დიდი მეცნიერის, ანდრია რაზმაძის მეცნიერული მოღვაწეობიდან ერთი მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ეპიზოდი [8.98-106]. 1924 წლის ივნისში პარიზში უნდა ჩატარებულიყო მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესი. ამ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, ა. რაზმაძე პარიზს გაემგზავრა იმავე წლის 12 აპრილს იმ ვარაუდით, რომ ამ მივლინებას გამოიყენებდა სადოქტორო დისერტაციის დასაცავად პარიზში. მაგრამ, კონგრესი ჩატარდა 1924 წლის 11-16 აგვისტოს ტორონტოში. ა. რაზმაძე, როგორც საქართველოს დელეგატი, ამ კონგრესზე გამოვიდა ორი მოხსენებით და დიდი მონონებაც დაიმსახურა. კანადიდან საფრანგეთში დაბრუნებულ ა. რაზმაძეს, პარიზის უნივერსიტეტის მეცნიერებათა ფაკულტეტმა დეკემბერში მისცა მეორე სადისერტაციო თემა „მინიმალური ზედაპირების შესახებ“. პარიზის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის წესი გულსხმობდა დისერტანტის მიერ წარდგენილი და ფაკულტეტის მიერ მიცემული თემების ერთდროულ დაცვას.

ანდრია რაზმაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის „ვარიაციათა აღრიცხვის წყვეტილი ამონახსნების შესახებ“ წარმატებული დაცვა შედგა 1925 წლის 25 აპრილს პარიზის უნივერსიტეტში.

ლ. გოკიელმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1924 წელს და შესაბამისი დიპლომი №131 გაიცა 1936 წლის 10 იანვარს. იგი იყო პირველი და ერთადერთი მათემატიკოსი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა ამ წლის გამოშვებიდან. ლევან გოკიელის სადიპლომო ნაშრომი იყო „ფუნქციები, წარმოდგენილი განუსწვეტელ ფუნქციათა მწკრივის სახით“ [9]. მომდევნო წელს უნივერსიტეტს მათემატიკოსები არ გამოუშვია; შემდეგი გამოშვება მოხდა მხოლოდ 1926 წელს.

წარჩინებით კურსდამთავრებული ლევან გოკიელი, მკაცრი და მომთხოვნი ანდრია რაზმაძის მონაფე, დატოვეს უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად. 1927 წლიდან ლევანი შეუდგა ასისტენტის მოვალეობის შესრულებას ანდრია რაზმაძის წარდგინებით.

მათემატიკური ლოგიკის და ფილოსოფიის საკითხებით, კერძოდ მათემატიკის დაფუძნების საკითხებით, ლ. გოკიელი დაინტერესდა ჯერ კიდევ სტუდენტობისას. ამ მიმართულებით მან გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი“ [2. 295-305] და „სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი“ [(3. 400-425)].

1928 წელს იგი დაინიშნა უნივერსიტეტის ლექტორად და მიენდო დიფერენციალური აღრიცხვისა და ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა კურსების წაკითხვა.

1927-1928 წწ-ში მან ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები.

1929-1930 წლებში სამეცნიერო მიზნით მივლინებული იყო და მუშაობდა ქ. მოსკოვში. 1929 წელს გამოაქვეყნა შრომა „შენიშვნები „AUSWALPRINCIP“-ის შესახებ“ [4. 91-102].

1921 წლის შემოდგომაზე სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა პედაგოგიურ ფაკულტეტად, რომელიც 1930 წლის მაისში გადაკეთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად.

1930 წელს ლევან გოკიელი დაინიშნა დოცენტად, ხოლო 1931 წელს პროფესორად.

1933 წელს იგი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

იმავე, 1933 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რომლის მათემატიკური განყოფილების სამი კათედრიდან, მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი ლევან გოკიელი.

ბატონმა ლევან გოკიელმა მონაწილეობა მიიღო 1930 წელს ქ. ხარკოვში გამართულ მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „აქსიომატიკური მეთოდის კრიტიკა“. 1934 წელს ქ. ლენინგრადში მოწყობილ მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობაზე კი წაიკითხა მოხსენება „ტრანსფინიტური რიცხვების შესახებ“ [9].

აქედან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ლ. გოკიელმა მოახდინა მათემატიკის დაფუძნებისადმი მიძღვნილი ყველა არსებული ძირი-

თადი მიმართულებისა და გამოკვლევის შეჯამება, ერთი მეორესთან მათი შეჯერება და კრიტიკული განხილვა. ეს შედეგები გააერთიანა მონოგრაფიაში „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ [6].

უკანასკნელი გამოკვლევა მის მიერ წარდგენილ იქნა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიაში მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1935 წლის 24 მარტს კი, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომაზე ჩატარდა პროფ. ლ. გოკიელის მიერ წარდგენილი ნაშრომის დაცვა – საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად [11.6-7]. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია საქართველოში, რომელიც დაცულ იქნა მათემატიკურ და მის მომიჯნავე მეცნიერებებში [18]. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976 წწ.), არჩილ ხარაძე (1895-1976 წწ.) და მოსკოვიდან მონვეული ანდრეი კოლმოგოროვი (1903-1987 წწ.). კამათის დამთავრების შემდეგ კი, საკვალიფიკაციო კომისიამ დაადგინა: პროფესორ ლევან პეტრეს ძე გოკიელს, სადისერტაციო ნაშრომის „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ დაცვის საფუძველზე მიენიჭოს მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი [9].

1946 წლის 8 მარტს განათლების უმაღლეს ინსტანციაში, ლევან გოკიელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და გადაეცა დოქტორის დიპლომი ДТ № 000733.

„ზოგადი მათემატიკის“ კათედრის პროფესორის ნოდება მას მიენიჭა 1946 წლის 9 მარტს.

მისი, როგორც პედაგოგის, მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ ის იყო კარგი ლექტორი, დიდი მათემატიკურ-ფილოსოფიური ცოდნის მატარებელი და ამ ცოდნის სიღრმისეულად გადამცემი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ უაღრესად კულტურული პიროვნების საუბრის სტილი, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ მისთვის მეცნიერული მუშაობა გზა კი არ იყო სხვა მიზნებისკენ, არამედ იყო თვითმიზანი, მეცნიერული გატაცების საგანი. ბატონ ივანე ჯავახიშვილს თუ დავესესხებით, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ლევან გოკიელი ბედნიერი იყო, რადგან იგი იყო ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული მეცნიერულად აზროვნების უნარით.

მას აინტერესებდა ფუძემდებელ ცნებათა ლოგიკური ანალიზი, მათი შინაარსი და როლი მათემატიკის დაფუძნების საკითხში. ამ მიმართულებით კვლევებმა იგი მიიყვანა ლოგიკის დაფუძნების საკითხამდე.

ლოგიკური დამტკიცება არ შეიძლება ემყარებოდეს დაუმტკიცებელს. ლოგიკას საფუძვლად უნდა ედოს დამტკიცებადი დებულებანი, რომელთა დადგენა უნდა ხდებოდეს სპეციფიკური ტიპის დასკვნის საშუალებით. ამ ტიპის დასკვნითი დებულების დადგენა მდგომარეობს მისი უარყოფის გზით უსასრულობისკენ რეგრესში. ასეთი ტიპის დასკვნებს, ლ. გოკიელმა უწოდა ძირეული დასკვნები [19.4]. მათთვის დამახასიათებელია შეუძლებელი სიტუაციის შექმნა უარყოფის გზით; მაგრამ შეუძლებლობა ვლინდება არა უბრალო წინააღმდეგობაში, რასაც ადგილი აქვს აქსიომებზე დამყარებულ კვლევებში, არამედ უსასრულობისკენ რეგრესში.

ყველაფერ ამას წინ უძღოდა, ლ. გოკიელის მიერ კარლ მარქსის (1818-1883 წწ.) მათემატიკური ხელნაწერების შესწავლა-განალიზება და იგი იყო ამ ხელნაწერების პირველი მკვლევარი. მოგვიანებით კი, ბევრმა უცხოელმა სპეციალისტმა თავისი კვლევის საგნად გაიხადა მარქსის მათემატიკური ხელნაწერები [20.9-39; აქ, გვერდ 38-ზე ციტირებულია ლევან გოკიელის 1947 წელს გამოქვეყნებული წიგნი მარქსის ხელნაწერების შესახებ]. მან პირველმა შეისწავლა ლობაჩევსკის (1792-1856 წწ.) არაევკლიდური გეომეტრიის ფილოსოფიური მნიშვნელობა.

თავისი ხაგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, პროფესორმა ლევან გოკიელმა ლექციების სახით წაიკითხა სავალდებულო და სპეციალური მრავალი კურსი.

1944 წელს პროფესორ ლევან გოკიელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ავტორია 109 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის, 6 მონოგრაფიის.

ატონი ლევანი დიდად განვითარებული იყო არა მარტო თავის დარგებში, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მუსიკაში, მხატვრულ ლიტერატურაში და მხატვრობაში.

მაგალითად ცნობილია: 1) მისი სამსაათიანი (!) მოხსენება თემაზე „დოსტოევსკი და უსასრულობის ცნება“ [7.4-5]; 2) ლევან გოკიელი კარგად უკრავდა ვიოლინოზე [18]; 3) მეცნიერული მუშაობის დროს ბატონი ლევანი, თურმე, უსმენდა ბახის ან ბეთჰოვენის

მუსიკას – მისი დისშვილ, ქალბატონ ნათელა ნამორაძის გადმოცემით.

მრავალ სხვადასხვა კათედრას ხელმძღვანელობდა ბატონი ლევანი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისთვის გათვალისწინებული მათემატიკის დაფუძნებისა და ისტორიის კათედრის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც იგი განაგებდა 1934-1970 წლებში. იგი იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი 1961-1962 წლებში.

ამასთან ერთად, ბატონი ლევან გოკიელი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მუშაობა მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად ყოფნისას.

ცალკე უნდა გამოიყოს ბატონი ლევანის ნაყოფიერი მუშაობა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში (1935-1948 წწ.) და ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც 1948-1953 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ლოგიკის განყოფილებას და იყო უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ნახევარ განაკვეთზე 1958 წლის 18 ივლისიდან (თვეში 1750 მანეთის ანაზღაურებით). ამან გამოიწვია მისი მეცნიერული მუშაობის ახალი აღმავლობა, ბატონი სავლე წერეთელთან ერთობლივი მუშაობით ლოგიკის პრობლემებზე [12].

1967-1970 წლებში ლევან გოკიელი იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი. იგი 1961 წლის 10 იანვარს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში (მათემატიკა).

ბატონი ლევანი 1953 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ხოლო 1946 წელს „საკვატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი ლევან გოკიელი გარდაიცვალა 1975 წლის 4 იანვარს; იგი დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი მეგობარ-პროფესორის, ლევან გოკიელისა და სავლე წერეთლის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ურთიერთგანსხვავებული საშუალებებით: ბატონი სავლე 1941-1945 წლებში ფაშიზმს ებრძოდა იარაღით ხელში, ხოლო ბატონი ლევანი პრესაში გამოქვეყნებული წერილით [10.36-41].

**წერეთელი სავლე ბენედიქტეს** ძე (1907, ს. ჯვარისა, ამბროლაურის რ-ნი-1966, თბილისი), XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი (1957 წ.), პროფესორი (1958 წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1959 წ.).

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ს. ქედისუბნის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში, სწავლობდა ს. ბუგეულის სკოლაში, შემდეგ ონის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1926-1930 წლებში თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტის სტუდენტია, 1931-1934 წლებში კი ამავე ფაკულტეტის ასპირანტი. მისი ლექტორები იყვნენ შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, ს. დანელია, კ. ბაქრაძე.



1931 წლიდან გარდაცვალებამდე, სავლე წერეთელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტის, შემდეგ დოცენტის, პროფესორის, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანისა და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობებზე. 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში“.

1957 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში შედგა მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“ და მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მომდევნო წელს კი მას მიენიჭა პროფესორის წოდება [15.211-215].

ბატონი სავლე წერეთელი მონაწილე იყო 1941-1945 წლებში მიმდინარე მეორე მსოფლიო ომისა იაპონიის ჩათვლით და ამ პერიოდის განმავლობაში იგი იმყოფებოდა მოქმედ არმიაში.

ბალტიისპირა ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლების დროს, ბატონ სავლეს შეხება ჰქონდა სიცოცხლისათვის მეტად საშიშ შემთხვევასთან, გარდა ფაშისტებთან ბრძოლისა.

ბატონი სავლეს ოჯახიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, როცა ფრონტის ხაზზე ბრძოლები მიწყნარებულა და ამ დროს სავლე იმყოფებოდა იმანუილ კანტის (1724-1804 წწ.) სამშობლოში, კენისბერგში, მას განუზრახავს „გენიალური აღმოჩენის“ ანუ „ცის თეორიის“ (1755 წ.) ავტორის საფლავის ნახვა. ამ მიზნით, მან გაიყოლა რამდენიმე ჯარისკაცი. დიდი ფილოსოფოსის საფლავთან მიახლოებულ სავლეს მუხლი მოუყრია კანტის საფლავთან და მაშინვე მას მოესმა ავტომატის გადატენის ხმა. სავლემ მყისიერად დაიძახა: ჩვენ ვებრძვით გერმანელ ფაშისტებს და არა გერმანელ ხალხსო! რომ არა მყისიერი რეაგირება ბატონი სავლესი, მას აუცილებლად მოკლავდა თავისივე ჯარისკაცი!

სამწუხაროდ, სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებულ ბატონ სავლე წერეთელს ელოდა, ბატონ ლევან გოკიელთან ერთად, დიდი განსაცდელის გადატანა. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.



ბატონი სავლე სამშობლოში დაბრუნდა 1946 წელს და შეუდგა თავის საოცნებო საქმიანობას – მეცნიერულ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი დანიშნეს ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად და აღადგინეს ფილოსოფიის ისტორიის კათედრის დოცენტად. ამავე დროს, იგი მიიწვიეს 1946 წლის აპრილში გახსნილი ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ ლოგიკის და შემდეგ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების ხელძღვანელად. 1948 წლის ივნისში იგი დაინიშნა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგედ თბილისის უნივერსიტეტში – შეთავსებით.

ამავე დროს, ბატონმა სავლემ გააგრძელა ინტენსიური მუშაობა იმ საკითხებზე, რომელნიც მის მიერ იყო წამოწეული 1947 წლის შრომაში „დასკვნის პრობლემისთვის“, სადაც მან ჩამოაყალიბა უსასრულო დასკვნის ცნება და ეს ცნება აღმოჩნდა მისი სამეცნიერო კვლევების საფუძველი დიალექტიკურ ლოგიკაში [12].

უსასრულო დასკვნის თეორიას მან მიუძღვნა 1952 წელს დაბეჭდილი წიგნი, რაც წარადგინა სადოქტორო დიესერტაციად თბი-

ლისის უნივერსიტეტში. მიუხედავად ოფიციალური ოპონენტების მაღალი შეფასებისა, ზოგიერთმა მას ბრალად წაუყენა სტალინისა და ლენინის იდეების დამახინჯება, კომუნისტური იდეოლოგიის ლალატი და დისერტაციის დაცვა ჩავარდა.

1953 წლის იანვარში ბატონი საველ გაათავისუფლეს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორობიდან და გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან [12].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამმა მეცნიერ-თანამშრომელმა, 1953 წლის 18 მარტს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „სქოლასტიკა მეცნიერების სახელით“ [13.3], სადაც წერია: „მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოააშკარავა ის შეცდომები, რომლებითაც ხასიათდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობა. ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ამხ. ს. წერეთლის ანტიმარქსისტული, იდეოლოგიურად მავნე წიგნის „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისთვის“ გამოსვლა იმის დადასტურებაა, რომ ინსტიტუტში ჩაშლილი იყო იდეოლოგიური მუშაობა, არ წარმოებდა სერიოზული ბრძოლა მარქსიზმისთვის უცხო შეხედულებების წინააღმდეგ.“

რამდენიმე წელია ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობს პროფესორი ლ. გოკიელი. ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა მთელი რიგი შრომები... რას წარმოადგენდნენ ეს შრომები, რომლებსაც მეცნიერული გამოკვლევების პრეტენზია აქვთ?

სოფისტური ოინბაზობა და ნანვალები სქოლასტიკური ვარჯიშობანი, დახლართული და გაუგებარი არგუმენტაციები – აი ის ძირითადი ნიშანი, რომელიც ახასიათებს პროფესორ გოკიელის შრომებს. ამ შრომებში არ იგრძნობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძალა და ცხოველმყოფელობა.

ყოველი საკითხის განხილვა ატარებს აბსტრაქტულ, ცხოვრებისგან მოწყვეტილ და განყენებული აზრების სფეროში უთავბოლო ხეტიალის ნიშანს. პროფესორი გოკიელის შრომები წარმოადგენენ ბუნდოვანობისა და გაუგებრობის იშვიათ მაგალითს“.

მოკლედ რომ ვთქვათ, პროფესორები ლევან გოკიელი და სავლე წერეთელი იყვნენ უღმობელი რეპრესიის ზღვარზე. მაგალითად, ბატონი ლევანის დისშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნამორაძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ „ძია ლევანი ძლივს გადაურჩა



ინფარქტსო“, მაგრამ დაძაბულობა თანდათან განიმუხტა და ამ ჩვენი ორი დიდებული პროფესორის რეაბილიტაციაც დაიწყო [12].

1957 წლის 11 დეკემბერს, ბატონი სავლე წერეთელი აღადგინეს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. მომდევნო წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო ცოტა გვიან კი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ნოდებები [12.10].

ბატონი სავლე წერეთელი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და სხვ. [15.211].

ბატონი სავლე წერეთელი გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს რაჭაში, დასასვენებლად ყოფნისას და დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში [1.405-406]. მისი სახელი ეწოდა ფილოსოფიის ინსტიტუტსა და სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლას [3.11].

სადღეისოდ გამოაშკარავებულია ის მწვავე დაპირისპირებანი, რასაც ადგილი ჰქონდა მეოცე საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა შორის – ორიგინალურად მოაზროვნე ქართველი ფილოსოფოსების წინააღმდეგ იბრძოდა სახელისუფლებო მანქანა, თვით მათ ფიზიკურ განადგურებამდეც კი [14].

სახელისუფლებო მანქანის მძლავრობის შესახებ საუბარია, აგრეთვე, წერილში „კრძალვითა და ცახცახით“ (როგორ ჩაიშალა პავლე ინგოროყვას არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში [16].

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან მეცნიერთა სხვადასხვა ფორმით შევიწროებისა და დასჯის მრავალი ფაქტია აღნუსხული, რომელთაგან საგულისხმოა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილზე (1885-1974 წწ.) ათწლიანი (1947-1956 წწ.) ზენოლის ფაქტები [21.297-304].

## ლიტერატურა – References

1. ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბილისი, 1994.
2. გოკიელი ლ., დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925.

3. გოკიელი ლ., სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1928.
4. გოკიელი ლ., შენიშვნები „AUSWALPRINCIP“-ის შესახებ, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოამბე , I, გამოშვება I, ტფილისი 1929.
5. გოკიელი ლ., დიფერენციალური აღრიცხვის კურსი, ტფილისის სახელგამი, 1932.
6. გოკიელი ლ., სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1934.
7. ებანოიძე თ., ორი მეცნიერული მუზის მსახური, გაზ. „თბილისი“, 2002, №49.
8. იროდიონ ერემეიშვილი, ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა, ქუთაისი, 1997.
9. მათემატიკის დოქტორი ლევან პეტრეს ძე გოკიელი, გაზ. „ბოლშევიკური კადრებისთვის“ (ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო), 1935, № 6.
10. მუსხელიშვილი ნ., ჯანაშია ს., ახვლედიანი გ., გოკიელი ლ., ფაშიზმი მეცნიერების მტერია, ჟურნ. „ბოლშევიკი“, თბილისი, 1941, №5-6.
11. ნუცუბიძე ნ., ონიანი გ., გოკიელი ლ., გაზ. „ქუთაისის უნივერსიტეტი“, 2002, №6.
12. სავლე წერეთელი – 100, თბილისი, 2007.
13. სქოლასტიკა მეცნიერების სახელით, გაზ. „კომუნისტი“, 1953, №66.
14. სერგი ავალიანი., XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან, ჩვენი მწერლობა, 25 ივლისი, 2014, 15 (223).
15. ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი – პერსონალია, თბილისი, 2000.
16. ქარდა ქარდუხი, „კრძალვითა და ცახცახით“(როგორ ჩაიშალა პავლე ინგოროყვას არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში), ჩვენი მწერლობა, 25 ივლისი, 2014, 15 (223).
17. ძაგნიძე ო., ნამდვილ ცვლადთა ფუნქციების უწყვეტობა და დიფერენცირებადობა, თბილისი, 2010.
18. ჭოლოშვილი გ., ლევან გოკიელი. თბილისი, 1976.
19. ჭიჭინაძე მ., ორიგინალური მოაზროვნე, გაზ. „კომუნისტი“, 1982, №54.
20. Историко-математические исследования, выпуск XXVI, Москва, 1982.
21. Репрессированная наука, Ленинград, 1991.

## **Omar Dzagnidze**

### **Savle Tsereteli's Letter to Levan Gokieli from the Front Line – 16.09.1944**

#### **S u m m a r y**

From the beginning of World War II (1941) to its end (1945), Savle Tsereteli (1907-1966, philosopher of Tbilisi University) fought against German conquerors with Soviet Army. In 1944, on the front line, in Eastern Prussia, under the artillery fire, Savle crawled to the postman to receive printout of new philosophical work of his friend Levan Gokieli (1901-1975, mathematician and philosopher at Tbilisi University). Savle was very glad to receive this work and he wrote a letter full of gratitude to Levan. This work begins with the above referred letter. Here their biographies and scientific achievements are also offered.

Levan Gokieli was born in Kutaisi and he received elementary education from his mother, teacher of mathematics. In 1910-1919 he studied successfully at the Kutaisi Gymnasium for boys and he was known for his accuracy and smartness. For some years he was a representative of gymnasium students in the pedagogical council, which was a rare case for gymnasiums.

In 1919 Levan Gokieli was enrolled in Tbilisi University, Pedagogical Faculty, sector of mathematics. He was very fond of lectures in mathematical analysis delivered by the professor Andria Razmadze (1890-1929), who defended doctoral theses successfully on 25 April, 1925 in the University of Paris.

Levan Gokieli was the only student, who passed state exams and thanks to A.Razmadze's recommendation was left at the faculty for scientific activity. From 1927 he used to read lectures in various mathematical disciplines.

The sphere of his scientific interests covered complex problems of philosophy and principles of mathematics. In 1935 he defended doctor's thesis, without defense of candidate's thesis. His thesis dealt with the theme: "Problems of validation of set theory". Before that, he thoroughly considered scientific literature, inclusive "Mathematical Manuscripts" of Karl Marx (1818-1883). He was the first researcher of mathematical ideas

of Marx. He was the first who studied philosophical significance of non-Euclidean geometry of Lobachevsky (1792-1856).

In 1944 Levan Gokieli was awarded the title of honored scientist. In 1934-1970 he headed the chair of history of mathematics at the Tbilisi University. He headed the chair of Mechanics –Mathematics at Tbilisi University in 1961-1962.

In 1935-1948 Levan Gokieli worked at the Institute of Mathematics named after A.Razmadze and in 1948-1953 he headed the department of logics at the Institute of Philosophy of Academy of Sciences of Georgia. In 1967-1970 he was a president of Georgian Mathematical Society and in 1961 was elected member-correspondent of Academy of Sciences. In 1953 Levan Gokieli was awarded Lenin's Order.

Savle Tsereteli was born in Ambrolauri region and graduated from technical school of humanities there. In 1926-1930 he was a student of department of philosophy of Tbilisi University and in 1931-1934- a post-graduate student of the very department.

From 1931 Savle Tsereteli worked at the University as an assistant professor, docent, professor, dean of the department and head of the chair of philosophy. In 1938 he defended candidate's thesis and in 1957 doctor's thesis at the Institute of philosophy of the Academy of Sciences of Georgia.

In 1941-1945 Savle Tsereteli took part in military actions of the World War II, inclusive battles with Japanese army. He returned home in 1946. He was appointed to the position of a dean of department of philosophy and a docent of the chair of history of philosophy. In 1948 he was appointed to the office of a director of the Institute of philosophy and a head of the chair of history of philosophy at Tbilisi University.

In 1952 Savle Tsereteli published a book reflecting the results of his work in philosophy, which were accumulated for years. But, he was accused in betrayal of ideas of Lenin and Stalin and in January 1953 was discharged from the post of a director of the Institute of Philosophy. On March 18, 1953 the newspaper "Communist" ("Komunisti") printed the collective paper in which Savle Tsereteli and Levan Gokieli were declared traitors of Marxism, irrespective of the fact that Levan Gokieli was a researcher of Marx's works and holder of Lenin's Order; they faced heavy repressions but fortunetely all ended well.

მერაბ კალანდიაძე

ისტორიკოსი გურანდა ჭოხონელიძე-იოსელიანი  
(1938-2006)



ნლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ახალი და უახლესი ისტორიის, შემდეგ შუა საუკუნეების ისტორიის და ბოლოს ქართული კულტურის ისტორიის კათედრაზე იღწვოდა ისტორიკოსი გურანდა ჭოხონელიძე. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის სწავლების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. მისი მოკრძალებული საქმიანობა უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს. ეს უმართლებული იქნებოდა.

მისი ცხოვრება და მღვანეობა დღემდე შეუსწავლელია. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი და აღნიშნული საკითხი სპეციალურად შეგვესწავლა. ამას აქვს მნიშვნელობა. ასეთი ნაშრომი ამართლებს თავის დანიშნულებას. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართული ისტორიოგრაფიის კიდეც ერთი სუფთა ფურცელი და ამ სფეროში „თეთრი ლაქები“ ნაკლები გვექნება. ხელსაყრელი მომენტი უნდა გამოვიყენოთ. მერე გვიან იქნება. მის სახელს თანდათანობით მივიწყების სქელი ნისლი დაფარავს. გაჩნდება ვაკუუმი, სიცარიელე, რომლის შევსება უვკე ძნელი იქნება.

პროფ. გურამ კუტალია თავის საინტერესო ნარკვევებში „თსუ შუა საუკუნეების კათედრის ისტორია“ [1] ისტორიკოს გურანდა ჭოხონელიძის საქმიანობაზე კრინტს არ ძრავს და დუმით უვლის

გვერდს. ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და, მნიშვნელოვანწილად, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ისტორიკოს გურანდა ჭოხონელიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მეტად მოკრძალებულად გამოიყურება და, როგორც ეტყობა, პატივცემულ მკვლევარს უნებლიედ გამორჩა მხედველობიდან.

ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ის მივიწყების ჩრდილიდან გამოგვეყვანა. ორიოდ სიტყვა გვეთქვა მის საქმიანობაზე, ისტორიულ მეცნიერებაში მის მოკრძალებულ წვლილზე. გაგვეხსენებინა მისი განვლილი გზა ამ თემას ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით, შევხებით ჩვენს ნაშრომში „შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში“ (50-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლამდე). [2] ამით გვინდოდა მისი სახელი დავინწყებისგან გადაგვერჩინა. ამ სტატიის მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომრეობდეს.

\*\*\*

გურანდა ჭოხონელიძე დაიბადა 1938 წლის 17 ოქტომბერს ბათუმში. მოსამსახურის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება მოსკოვში და 1956 წელს ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მას თავის ვიწრო სპეციალობად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, კონკრეტულად კი დასავლეთ და სამხრეთი სლავების ისტორია აურჩევია. 1961 წელს ის ამთავრებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს მაშინ ძალიან პრესტიჟული იყო და დღეს რომელიმე ცნობილი ევროპული ან ამერიკული უნივერსიტეტის დამთავრების ტოლფასი იყო.

1963 წლის სექტემბრიდან ის მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ლაბორანტად, რომელსაც იმდროს პროფ. გივი ჟორდანიას ხელმძღვანელობდა. [3] აქედან მოყოლებული მან ოთხ ათეულ წელზე მეტი იღვანა მშობლიურ უნივერსიტეტში და თავისი მოკრძალებული კვალი დატოვა როგორც ლექტორმა, პედაგოგმა, ისე ისტორიკოსმა.

1969 წლის სექტემბერში ის სამუშაოდ გადადის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე, რომელსაც პროფ. გიორგი ტივაძის გადაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა პროფ. გივი ჟორდანიას. როგორც ჩანს, მან თავისთან წაიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდა. 1969

ნელს გურანდა ჭოხონელიძე ინიშნება შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე ასისტენტად.

1978 წლის სექტემბერში ის დაინიშნა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის მასწავლებლად. ეს თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ კარიერული წინსვლა იყო.

მის სამსახურებრივ საქმიანობაში საგულისხმო მიჯნა უნდა ჩანდეს 80-იანი წლების მიწურული. საქმე ის გახლავთ, რომ ის მკვეთრად იცვლის პროფილს და 1988 წლიდან საქმიანობას განაგრძობს ქართული კულტურის ისტორიის კათედრაზე, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, კათედრის გამგე – პროფ. გ. ლორთქიფანიძე. ასეთი ნაბიჯი ერთი შეხედვით უცნაური ჩანს. რითი იყო გამოწვეული მისი ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი ძნელი სათქმელია. სიცოცხლის ბოლომდე ის ამ კათედრაზე მუშაობდა, იკვლევდა ქართულ-ევროპული კულტურის კავშირებს.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მან ვერ მოასწრო საკანდიდატო ნაშრომის დასრულება. მისი მოულოდნელი გარდაცვალების თარიღს თსუ არქივში დაცული მისი პირადი ბარათი გვამცნობს [4].

გურანდა ჭოხონელიძე წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საღამოს და დაუსწრებელი განწყოფილების სტუდენტებს ასწავლიდა სლავების ისტორიას. ის საქართველოში ამ საგნის ერთ-ერთი საუკეთესო ლექტორი და სპეციალისტი იყო.

\* \* \*

ქ-ნ. გურანდა ჭოხონელიძის მდიდარი პოტენციალი კარგად იქნა რეალიზებული სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საღამოს და დაუსწრებელი განწყოფილების სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს სლავების ისტორიაში. ფაქტობრივად, ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის ისტორია. მან, პროფ. კარლო მეშველიანთან ერთად, საძირკველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ საგნის მეცნიერულ სწავლებას. ეს არ იყო პატარა საქმე. ის ამ დარგის ფუძემდებლებს შორის უნდა მოვიხსენიოთ, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია.

როგორც მკვლევარ-ისტორიკოსმა, მან გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ჩრდილში ყოფნა არჩია, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამითაა განპირობებული, რომ მისი

მეცნიერული მემკვიდრეობა მოკრძალებულად გამოიყურება. რაში იყო საქმე? ვერ ვიტყვით, რომ ამის პოტენციალი მას არ გააჩნდა. მან რატომღაც თავი შეიკავა მისი რეალიზაციისაგან. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, ის სულაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი იყო საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. გერმან სიმონიდის, ვლადიმერ(ვოვა) ივანოვის, ირინე ნოდის, მიხეილ მამფორიას, რევაზ ლასკარის ცხოვრება და მოღვაწეობა, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს [5]. მართალია, მათ მაღალი მეცნიერული რეგალიები არ ქონიათ, მაგრამ, ალბათ, ძალიან არ შეეცდებოდათ თუ ვიტყვით, რომ თავისი საერთო განათლებით, ცოდნით ერუდიციით თუ არ აღემატებოდნენ, არც ერთ პროფესორს ტოლს არაფერში არ დაუდებდნენ. როგორც ჩანს, ქ-ნ. გურანდა ჭოხონელიძის სახით ამ ჯგუფის მეცნიერების ერთ-ერთ წარმომადგენელთან უნდა გვქონდეს საქმე. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მისი მეცნიერული პოტენციალი ბოლომდე რეალიზებული არ ყოფილა. არადა ამის ყველა წინაპირობები, წინამძღვრები, არსებობდა.

შეიძლება ითქვას, რომ მან მოსკოვის უნივერსიტეტში ჩინებული სკოლა გაიარა და ჩამოყალიბდა, როგორც სლავების ისტორიის, აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის, კარგი სპეციალისტი. ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული ჩანდა და ამ დარგის სპეციალისტები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ გურანდა ჭოხონელიძე. სოლიდური ისტორიულ განათლებას ზურგს უმაგრებდა აღმოსავლეთ ევროპული ენების, პირველ რიგში კი, პოლონურის და ჩეხურის კარგი ცოდნა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დასავლეთ და სამხრეთი სლავების ისტორიის მეცნიერული შესწავლის საიმედო გარანტად გვევლინება. ენების ცოდნა მისი როგორც ისტორიკოს სლავისტიკის პლუსი იყო.

ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საინტერესო საკითხი. რა უშლიდა ხელს აქტიურ მეცნიერულ მუშაობაში? რით იყო გამონვეული მისი ასეთი ინერტულობა? ამ კითხვაზე ერთი პასუხი ზედაპირზე ძვეს და მაშინდელ საბჭოთა კავშირში არსებულ არაკონკურენტუნარიან გარემოში უნდა ვეძიოთ. ალბათ, იყო სხვა მიზეზებიც, მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ, ხოლო ჭეშმარიტი მიზეზი მის ადამიანურ ხასიათშია.



პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. ჩამოყალიბდა ამ საგნის კარგ პედაგოგად-ლექტორად, ეტყობა, ამ არაკონკურენტუნარიან გარემოში მეტზე არც უფიქრია. სამეცნიერო ხარისხი არ დაუცავს. შრომები ძალიან ცოტა აქვს დაწერილი.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან, სადაც მან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიაზე რამდენიმე ნარკვევი გამოაქვეყნა, ესენია: „ომლა-დინა“ (სერიები ახალგაზრდობის გაერთიანება), „1794 წლის პოლონეთის აჯანყება“, „1863 წლის აჯანყება პოლონეთში“, „1830 წლის აჯანყება პოლონეთში“, „იან ჟიჟკა“, „თეოდორ ჟიკოვი“, „პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია“, „პოლონეთის სოციალისტური პარტია“. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. ეს მისი მეცნიერული საქმიანობის მხოლოდ ერთი ასპექტი იყო.

მეცნიერული გამოკვლევები მას ძალიან ცოტა აქვს, პრაქტიკულად არ გააჩნია. სულ სამი ნაშრომია: „ჰილიასტური მოძღვრების სოციალური არსი“, რომელიც 1970 წელს მოსკოვში დაუბეჭდია, მაგრამ რომელ სამეცნიერო ჟურნალში კარგად არ ჩანს, რაც ართულებს მის მოძიებას [4].

„ქართველი პარტიზანების მონაწილეობა სლოვაკეთის 1944 წლის ანტიფაშისტურ აჯანყებაში“. ეს მის საუკეთესო ნაშრომად შეიძლება მივიჩნიოთ. ის სიახლეს წარმოადგენს ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ პრობლემის გაშუქების პირველ თუ არა ერთერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მესამე ნაშრომი უფრო წყაროთმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება და ქართული კონტექსტი გააჩნია. „მასალები (დოკუმენტთა კრებული) პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობიდან“. სასურველი იყო სათაურში დაკონკრეტებულიყო, რომელ ეპოქაზეა საუბარი. ასე სათაური ძალიან ფართოა და თითქოს მთელ ურთერთობებს მოიცავს. სინამდვილეში ასე როდია. ეს უნდა ასახულიყო სათაურში. ეს მისი მეცნიერული საქმიანობის მეორე ასპექტი იყო.

მესამე ასპექტად შუა საუკუნეების ისტორიის ქრესტომათიის მეორე ნაწილის შედგენაში მისი ჩართულობა შეიძლება მივიჩნიოთ. აქ მას, როგორც მისი შრომების სიიდან ჩანს, რამდენიმე თემა დაუმუშავებია. ესენია: გერმანია XV საუკუნეში, ჩეხეთი XV საუკუნეში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, პოლაბელი სლავები, გერმანელ-

თა დაპყრობები აღმოსავლეთში, შუა საუკუნეების კულტურა [4]. ეს საინტერესოა და ამით მან შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ქრესტომათიის გამოცემის ეს საშური საქმე, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, განუხორციელებელი დარჩა და ეს ვაკუუმი დღემდე შეუვსებელია [4].

რა შეიძლება ითქვას ამ შრომებზე? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს შრომები სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ამიტომ დღევანდელი გადასახდიდან ამ შრომების მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია.

\* \* \*

ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ისტორიკოს გურანდა ჭოხონელიძის მთავარ დამსახურებად ის მიგვაჩნია, რომ გვერდში ამოუდგა პროფ. კარლო მეშველიანს და, როგორც აღვნიშნეთ, საძირკველი ჩაუყარა საქართველოში დასავლეთის და სამხრეთი სლავების ფაქტობრივად, ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის ისტორია, მეცნიერულ სწავლებას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მისი როგორც მკლევარ-ისტორიკოსის წვლილი მეტად მოკრძალებულად გამოიყურება. მას სულ რამდენიმე ნაშრომი აქვს დაწერილი. მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი, პრაქტიკულად, გამოუყენებელი დარჩა. მას მეტის გაკეთება შეეძლო და შესწევდა კიდევ ამის უნარი. მისი, როგორც მკლევარი ისტორიკოსის პასიურობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად საბჭოთა სინამდვილეში არსებული არაკონკურენტუნარიანი გარემოთი შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. რა თქმა უნდა, იყო ამისი გამომწვევი სხვა მიზეზებიც, მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ, ხოლო ჭეშმარიტი მიზეზი, ალბათ მის ადამიანურ, მოკრძალებულ ხასიათშია. ამის საპირწონედ, გურანდა ჭოხონელიძის მდიდარი გამოცდილება და ინტელექტი კარგად იქნა რეალიზებული სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე, მის მიერ შედგენილ სასწავლო პროგრამებში. წინამდებარე ნაშრომი, სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ მისი ღვაწლი არ გაუჩინარდეს. ამიტომაც შევეცადეთ გაგვეხსენებინა იგი ჩვენი დედა უნივერსიტეტის 100 წლის თავზე.

## ლიტერატურა - References

1. გ. კუტალია, თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათდრის ისტორია – „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“, VI. თბ., 2004.
2. მ. კალანდაძე, შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში (50-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლამდე) – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII-2018.
3. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი იტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი. გურანდა ჭოხონელიძის პირადი საქმე 6262.
5. მ. კალანდაძე, მიხეილ მამფორია – პედაგოგი და ერუდიტი – კრებული მიძღვნილი მიხეილ მამფორიას და გერმან სიმონიდის ხსოვნისადმი, თბ., 2005. მ. კალანდაძე, გერმან სიმონიძე-ჭეშმარიტი ინტელიგენტი – კრებული მიძღვნილი მიხეილ მამფორიას და გერმან სიმონიდის ხსოვნისადმი, თბ., 2005. მ. კალანდაძე, ვლადიმერ (ვოვა) ივანოვი – დიდი ბიბლიოფილი და ერუდიტი – კრებული მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი თბ., 2007. მ. კალანდაძეს, რეზო ლასკარი – კრებული მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, თბ., 2007. მ. კალანდაძე, ირინე ნოდია-მედიევსტი და ბიზანტიოლოგი – ბიზანტიოლოგია საქართველოში, 3. თბ., 2011.

## Merab Kalandadze

### Historian Guranda Chokhonelidze-Joseliani (1938-2006)

#### S u m m a r y

The present work is a historiographical character and aims to study the life and work of Georgian historian Guranda Chokhonelidze. This issue has been studied in historical *scholarly publications*. We tried to fill this gap and scrutinize her life and legacy. This will allow us to fill in a clean sheet in Georgian historiography and there will be less "white spots" in this area.

Guranda Chokhonelidze's academic potential was well known in the academic-pedagogical field. But as the researcher-historian she choose to stay in the shadow and her legacy as scholar is modest. It's hard to say what caused her inertia in this field. One reason is noticeable and could have been uncompetitive environment in the Soviet Union. Perhaps, there were other reasons, but we can only speculate about this issue, and the true cause is in her human nature. What about her legacy? Guranda Chokhonelidze's works satisfied the requirements of Georgian historiography of the Soviet period. That's why we think that strictly judgment from the current standpoint is expedient.

## ქართული კინოს ცოცხალი ლეგენდა

*„მე მინდა, საქართველო  
ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს“.  
ლეილა აბაშიძე*

**ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე – 8 აპრილს – სამ-ზეო დატოვა ქართული კინოს ლეგენდამ – უმშვენიერესმა, მომხიბვლელმა, უნიჭიერესმა, მსოფლიო დონის კინოვარსკვლავმა, 88 წლის ქ-ნმა ლეილა აბაშიძემ.**

ობოლმა, ღარიბმა გოგონამ მხოლოდ ბუნებით მომადლებული უდიდესი ნიჭით გაიკვლია გზა კინემატოგრაფის დიდ სამყაროში და განუმეორებელი, დაუვინყარი სახეები შექმნა.

ლეილა აბაშიძე ნამდვილი ეროვნული მსახიობია, მისი საშემსრულებლო მანერის თავისებურება არის ქართული ტემპერამენტი, პლასტიკურობა და ბუნებრივობა.

მსახიობს მძიმე ბავშვობა ჰქონდა.

დაიბადა 1929 წლის 1 აგვისტოს თბილისში. ლეილა აბაშიძის მამა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ციმბირში გადაასახლეს. ლეილას დედა მედმუშაკად წავიდა ციმბირში და შვილებიც – ლეილა და მისი ძმაც – თან წაიყვანა. ბანაკში მავთულხლართები იყო გაბმული. დედა-შვილი მამას შორიდან ხედავდა, ყოველდღე მიდიოდნენ, ზოგჯერ სიგარეტს გადაუგდებდა მამას გოგონა, მამა მადლიერი თვალებით გამოხედავდა და ასე მთავრდებოდა მათი შეხვედრები.

პატიმრებისთვის გამართულ კონცერტზე პატარა ლეილაც გამოდიოდა ხოლმე. ერთ-ერთ კონცერტზე ის მთელი შთაგონებით კითხულობდა ლექსს ილიჩის სიკვდილის შესახებ. ბავშვი ძალზე ნიჭიერი იყო, ისე განიცდიდა ლექსის შინაარსს, რომ მსმენელებსაც გადასცემდა თავის განცდებს, ემოციებს... მეორე დღეს ერთ-ერთი საბჭოთა გაზეთი წერდა: **„გუშინ საპატიმროს სცენაზე ნამდვილი ვარსკვლავი დაიბადა. ეს გოგონა მომავალი დიდი მსახიობი იქნება“.**

ოჯახმა დიდხანს არ იცოდა, რა ბედი ეწია მამას. მალე მიიღეს ოქმი მისი დახვრეტის შესახებ. პატარა ლეილა დროებით ინტერნატში მიაბარეს. ლეილას უმცროსი ძმა ჰყავდა, ციმბირში გაჩნდა

მისი მეორე ძმაც. დედა შვილებთან ერთად საქართველოში დაბრუნდა.

ლეილა აბაშიძე პირველად ეკრანზე 1941 წელს გამოჩნდა და შედგა მისი პირველი, ძალზე წარმატებული დებიუტი. ეს იყო კ. პიპინაშვილის ფილმი „ქაჯანა“, რომელშიც ის კატოს როლს ასრულებდა და ღირსეულ პარტნიორობას უწევდა სახელგანთქმულ ქართველ კინოვარსკვლავს, დიდ ნატო ვაჩნაძეს. **ამ ფილმში, პატარა ლეილას სახით, მომავალი დიდი კინოვარსკვლავი დაიბადა.**

ქალბატონი ლეილა სიამოვნებით იხსენებდა, როგორ მიიღო ეს როლი.

ლეილას მამიდამ გაიგო, რომ ფილმისთვის სჭირდებოდათ ცელქი, ანცი გოგონა. ლეილაც დაუდგარი, ცოცხალი გოგონა იყო. მან საერთოდ არ იცოდა, რა იყო კინო. მამიდამ მიიყვანა სინჯებზე უშნოდ გაკრეჭილი, ჩაუცმელი, სასაცილო ბავშვი...

ლეილამ ფილმში „ქაჯანა“ კატოს მთავარი როლი მიიღო სულ პატარამ. ეს იყო დიდი როლი, აღსავსე რთული გადასვლებით ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობდან მეორეში. ფილმში კატო იყო მთავარი დრამატურგიული რგოლი, მას მიჰყავდა ძირითადი სიუჟეტური ხაზი, ყველა დანარჩენი, უფროსებიც კი, თამაშობდნენ დამხმარე როლს. ახალგაზრდა რეჟისორმა კ. პიპინაშვილმა იცოდა, რომ კინოსურათის ბედი მნიშვნელოვნად იქნებოდა დამოკიდებული კატოს როლის შემსრულებელზე. ამიტომ, ის, მონდომებით, დიდხანს ეძებდა კატოს როლის შემსრულებელს და აი, ას თხუთმეტი გოგონასგან, შერჩეული იყო პატარა ლეილა. იგი, საერთოდ, არ იყო შებოჭილი კამერის წინ... მან ძალზე დამაჯერებლად, ზუსტად ითამაშა ხან ცელქი, ახტაჯანა, ანცი გოგონა, ხან კი – რბილი, მოსიყვარულე და, რომელიც განიცდიდა ძმის მდგომარეობას და ძალზე წუხდა მასზე. პატარა მსახიობს აღმოაჩნდა არაჩვეულებრივად მდიდარი პლასტიკა, ის თავისუფლად, ადვილად, სხეულის ენით, შესტებით, სახის გამომეტყველებით, თვალებით გადმოსცემს იმას, რასაც ფიქრობს და გრძნობს მისი გმირი, შესანიშნავად გვიხატავს თავისი გმირის ცოცხალ, ცნობისმოყვარე ხასიათს. ლეილამ ისე ვირტუოზულად შეასრულა გლეხის გოგონას როლი, რომ მაშინვე აკიაფდა მისი სახელი და უნიჭიერესმა გოგონამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. სკოლის დამთავრებამდე კიდევ ორი როლი შეასრულა – იუტა („ოქროს ბილიკი“, 1945 წ. კ. პიპინაშვილი) და ნაზიბროლა („პოეტის აკვანი“, 1947 წ. კ. პიპინაშვილი).

ლეილა აბაშიძე სამსახიობო ხელოვნებას ეუფლებოდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ჯერ დოდო ალექსიძის, ხოლო შემდგომ - მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში.

სტუდენტობის წლებში გადაიღეს ფილმებში „ქეთო და კოტე“ (ვ. ტაბლიაშვილი, 1948 წ., გოგონა ყვავილებით) და „გაზაფხული საკენში“ (ნ. სანიშვილი, 1950 წ. ნინო). თეატრალური ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და სამოღვაწეოდ კინემატოგრაფი აირჩია, დაიწყო მოღვაწეობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

ქართული კინოს მეგავარსკვლავის – ლეილა აბაშიძის მდიდარი ფილმოგრაფია ასე გამოიყურება: დებიუტი ფილმში „ქაჯანა“ (კონსტანტინე პიპინაშვილი, 1941 წ., კატო); „ოქროს ბილიკი“ (კ. პიპინაშვილი, 1945, იუტა); „პოეტის აკვანი“ (კ. პიპინაშვილი, 1947, ნაზიბ-როლა); „ქეთო და კოტე“ (ვ. ტაბლიაშვილი, 1948, გოგონა ყვავილებით); „გაზაფხული საკენში“ (ნ. სანიშვილი, 1950, ნინო); „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (ნ. სანიშვილი, 1954 წ. ლელა); „ჭრიჭინა“ (ს. დოლიძე, 1954, მარინე); „აბეზარა“ (ნ. სანიშვილი, 1956. ლია); „ჩვენი ეზო“ (რ. ჩხეიძე, 1956 წ., მანანა); „სად არის შენი ბედნიერება, მზია?“ (კ. პიპინაშვილი, 1959, მზია); „მაია წყნეთელი (რ. ჩხეიძე, 1959, მაია); „მე ვიცეკვებ“ (ტ. ტაგი-ზადე, 1963, აზერბაიჯანფილმი, დაგმარა); „ავარია“ (1965 წ.); „ხვეისბერი გოჩა“ (ნ. სანიშვილი, 1964 წ. ძიძია); „შეხვედრა წარსულთან“ (ს. დოლიძე, 1966, ნინო); „შეხვედრა მთაში“ (ნ. სანიშვილი, 1966. ლალი-მზევინარი); „მოლოდინი“ (შ. მანაგაძე, ნ. მანაგაძე, 1969, ქეთევანი); „დიდოსტატის მარჯვენა“ (ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970, ვარდისახარი); „გასეირნება თბილისში“ (ნ. მჭედლიძე, 1976, ლია); „სინემა“ (1977 წ.); „თბილისი-პარიზი-თბილისი“ (ლ. აბაშიძე, ლ. ჭელიძე, 1980, თეა შერვაშიძე); „ორომტრიალი“ (ლ. ლოლობერიძე, 1986, მივიწყებული მსახიობი) და სხვ.

კომედიური ხასიათის ფილმებმა მსახიობს დიდი აღიარება და პოპულარობა მოუტანა. ჭრიჭინა – მარინე, ნაკადულივით რაკრაკა, ხალასი, წრფელი, მხიარული, დაუდევარი, შემდგომში – შრომისმოყვარე, ენერგიული, დაუზარელი ქალიშვილი ... მარიკა ბართაშვილის „მარინე“ მრავალი ქვეყნის თეატრების სცენაზე იდგმებოდა, მაგრამ პიესის ავტორს განსაკუთრებით უყვარდა ლეილა აბაშიძის მარინე, რადგან ის იყო ნამდვილი, ავტორისეული მარინე... მაყურებელმა შეიყვარა ლეილას მიერ განსახიერებული, გრაციოზული მსახიობი ლალი მინდელი, სითბოთი და სიყვარულით

დახატული ვაჟკაცური მთიელი ქალიშვილის – მზევინარის პერსონაჟი მუსიკალურ კომედიაში „შეხვედრა მთაში“; ლირიკული, ნყაროსთვალავით წმინდა, რომანტიკული აბეზარა – ლია, აბეზარას ნილაბქვეშ შეფარული სერიოზული, მშრომელი, პატიოსანი გოგონა, რომელმაც იცის თავისი ღირსების ფასი, ულამაზესი მოხვევე ქალიშვილი – ძიძია და ვინ მოთვლის, რამდენი მაღალი ოსტატობით განსახიერებელი დაუვინყარი პერსონაჟი...

**1950-იან წლებში ლეილა აბაშიძის სახით დიდი ქართველი ვარსკვლავი დაიბადა.**

განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ლეილა აბაშიძის მთავარი როლები ფილმებში „ჭრიჭინა“ (სიკო დოლიძე, 1954, მარინე) და აბეზარა (ნიკოლოზ სანიშვილი, „აბეზარა“, ლია, 1956 წ.). ამ ფილმებში ახალგაზრდა მსახიობმა უშუალოდ, ემოციურობითა და გადამდები მჩქეფარე ენერჯით მოხიბლა მაყურებელი და აკამკამდა ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი, გაბრწყინდა და მსახიობს უდიდესი პოპულარობა მოუტანა.

ფილმში „ჭრიჭინა“ მსახიობმა სრულად გამოავლინა თავისი ნიჭიერება, სწრაფადცვალებადი განწყობილება, გრძნობები, გარდასახვის ჩინებული უნარი, ის ყოველივეს დახვეწილი სახით გამოგვცემდა და პერსონაჟის ინდივიდუალობა იქმნებოდა თითქოს თავისთავად, ერთი-ორი დამახასიათებელი და ზუსტი შტრიხით.

ჭრიჭინა მაყურებლის საყვარელი გმირია. ლეილა აბაშიძე ნახევარტონების აქტრისა არაა, ის არის სავსე, მკვეთრი გრძნობებისა და ვნებების მსახიობი – თუ კომედიაა, ლეილა ცდილობს, გემრიელად გააცინოს ყველა, სრულად გახსნას როლის კომედიური ჟღერადობა, თუ ეს დრამაა, ის აიძულებს მაყურებელს იღვლეოს, განიცადოს, გულთან ახლოს მიიტანოს გმირის ბედი. მას იზიდავს არა ერთფეროვანი, არამედ მრავალნახნაგოვანი როლები, სურს, რომ მათ ცხოვრებაში იყოს სიხარულიც და ნალველიც, როგორც ეს ცხოვრებაშია.

როგორც ხშირად ხდება, ლეილა აბაშიძე დიდ მსახიობად პირველად უცხოელებმა აღიარეს და ვარსკვლავის ტიტული უბოძეს.

1954 წ. ამერიკაში ტარდებოდა საბჭოთა ფილმების კვირეული. კვირეულის დამთავრების შემდეგ, „ჭრიჭინას“ ნახვის შემდეგ გაზეთ „დეილი უორკში“ ერთ-ერთი კინოკრიტიკოსი შენიშნავდა: „ახლა საბჭოელებს თავიანთი ეკრანის ვარსკვლავი, თავისი მერი პიჯფორდი ჰყავთ“. ფილმმა მთელი მსოფლიოს ეკრანები მოია-



რა და ლეილა აბაშიძეს უდიდესი წარმატება და პოპულარობა მოუტანა.

ასევე დიდი წარმატება ჰქონდა ფილმს „აბეზარა“ (ნ. სანიშვილი, 1956, ლია). სცენარისტმა ს. ვიტენზონმა ნ. სანიშვილთან ერთად დაწერა სცენარი ფილმ „აბეზარასთვის“. მხიარულ ფილმში ლეილამ ტემპერამენტით, მთელი სილალით შეასრულა თავისი თანამედროვე, შეურიგებელი, უკომპრომისო ქალიშვილის, მძღოლის – ლიას როლი. ლეილა აბეზარას პერსონაჟს ასრულებს ისე უშუალოდ და ღრმა ლირიზმით, რომ აბეზარას სახე ფილმში უფრო სრულყოფილია თავის ლიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით.

ლეილა აბაშიძის ტალანტი სრულად გამოვლინდა ცნობილი ქართველი კინორეჟისორის – რეზო ჩხეიძის შესანიშნავ ფილმში „მაია წყნეთელი“ (1959 წ.), რომელშიც მან ლეგენდარული სახალხო გმირის, მაია წყნეთელის პერსონაჟი განასახიერა.

შეიძლება ითქვას, რომ მაია წყნეთელი მსახიობის ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა. სამართლიანობისათვის მებრძოლი, პატრიოტი, მამაცი მებრძოლი ქართველი ქალიშვილის სახე, რომელიც ბრწყინვალედ ითამაშა ლეილა აბაშიძემ, განზოგადოებული გმირია, მშვენიერი, დიდებული, საამაყო და სასახელო. ქართველ ხალხს ბევრი ასეთი გმირი ქალი ჰყოლია, გავიხსენოთ თუნდაც თამარ ვაშლიკიანი, თინა ნავკისელი და სხვები... ლეილა აბაშიძის მიერ უბადლოდ ნათამაშები მაია წყნეთელის გმირი ოქროს ასოებით ჩაინერება მის ფილმოგრაფიაში.

მოხდენილი, ნაზი ქალიშვილი ჩვენ თვალწინ გარდაიქმნება ნებისყოფიან, გამბედავ, მებრძოლ ჭაბუკად – მათედ, რომელსაც ემორჩილებიან, როგორც ძლიერ, მამაკაცური ხასიათის მქონე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ წინამძღოლს.

ჩვენი სასიქადულო ხელოვანის შემოქმედებაში მშვენიერი ლირიკული სახეებია: იუტა („ოქროს ბილიკი“), კდემამოსილი, უმნიკვლო ნაზიბროლა („პოეტის აკვანი“), ნინო („გაზაფხული საკენში“), ლელა („ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“), მანანა („ჩვენი ეზო“), და სხვ. ხოლო მთავარმა როლებმა ჭრიჭინა – მარინემ („ჭრიჭინა“) და აბეზარა – ლიამ („აბეზარა“) მსახიობს დიდი პოპულარობა და ქართული კინოს ვარსკვლავის სახელი მოუტანა. ლეილა აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო ქართული ლიტერატურული კლასიკის ეკრანიზაციებში „ხევისბერი გოჩა“ (ძიძია) და „დიდოსტატის მარჯვენა“ (ვარ-

დისახარი). მის მიერ განსახიერებული ძიძიას სახე ხომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი და დამაჯერებელია?!

ძალზე შთამბეჭდავი იყო ლეილა აბაშიძის ნინოს დრამატული როლი ფილმში „შეხვედრა წარსულთან“. აღსანიშნავია, რომ ამ როლის პარალელურად მსახიობი ერთდროულად მუშაობდა სრულიად განსხვავებულ, ლალი-მზევინარის როლზე მუსიკალურ კომედიაში „შეხვედრა მთაში“ (1966 წ.). ჩვენი ბრწყინვალე შემოქმედი – ლეილა აბაშიძე ხომ ერთნაირად ძლიერია კომედიური თუ დრამატული ჟანრის ფილმებში?!

ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ განსაკუთრებით სულისშემძვრელია ის სცენები, როდესაც ნინო გაიგებს, რომ მისი ერთადერთი მცირეწლოვანი ვაჟი ცეცხლმოდებულ სახლშია დარჩენილი და უეჭველი დაღუპვა ელის, თითქმის ჭკუიდანშემლილი ქალი, თმაგანეწილი, სახეშეშლილი დედა, როგორ ცდილობს, დაუსხლტეს ხელიდან მეზობლებს, რადგან აღარ უღირს სიცოცხლე... დიდი სერგო ზაქარიაძე ამბობდა, რომ ლეილამ ფილმში ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობივით ითამაშაო.

**ქალის – ნინოს – როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ (1966 წ.) ლეილა აბაშიძეს ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის (1968 წ.) პირველი პრემია მიენიჭა.**

1960-იანი წლების ბოლოს მსახიობმა ბედი დრამატურგიაში სცადა, მთავარი როლი – ქეთევანი ითამაში თავისივე სცენარით გადაღებულ ფილმში „მოლოდინი“ (შ. მანაგაძე, ნ. მანაგაძე, 1969 წ.). ამ როლისთვის მან 1971 წ. კარლოვი-ვარის კინოფესტივალის პრიზი დაიმსახურა.

ლეილა აბაშიძის სცენარით და მისივე რეჟისორობით (ლ. ჭელიძესთან ერთად) კომედიაში „თბილისი-პარიზი-თბილისი“ (1980 წ.) მსახიობმა თეა შერვაშიძის მთავარი როლი შეასრულა. ფილმში ქ-ნმა ლეილამ მთელი თანავარსკვლავედი მოიწვია სათამაშოდ: ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე... სარეჟისორო ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

უკანასკნელად გამოჩნდა ეკრანზე ფილმში „ორომტრიალი“ (ლანა ლოლობერიძე, 1986 წ.), რომელშიც მივიწყებული მსახიობი განასახიერა. ამ ფილმმა დიდი წარმატება მოუტანა.

**ლეილა აბაშიძე საქართველოს დამსახურებული არტისტია 1958 წლიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო არტისტი – 1964**

**წლიდან, საქართველოს სახალხო არტისტი 1965 წლიდან. 1961 წ. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 2010 წ. მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.**

ლეილა აბაშიძე ქართველ ხალხს გამორჩეულად უყვარდა, აფასებდა, ის ნამდვილი ვარსკვლავია და მადლიერმა ხალხმა თავის უსაყვარლეს მსახიობს, დიდი აღიარების ნიშნად, 2009 წლის 8 მარტს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვარსკვლავი გაუხსნა. ეს იყო ქვაში გადასული უკვდავება. აღელვებულმა და გახარებულმა მსახიობმა განაცხადა: „მე დღეს მეორედ დავიბადე, - ეს ვარსკვლავი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, რომლებსაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვით, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. **ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალეობით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოცხალია. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს“.**

დაუშრეტელი ოპტიმიზმის მქონე 88 წლის მშვენიერი ქალბატონი, რომელიც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რეალისტურად გადმოგვცემდა, რა არის ცხოვრება, ადამიანთა სიყვარული, სევდა, მწუხარება, ტანჯვა, ქართველ ხალხს განსაკურთხებულად უყვარს, ალბათ, იმიტომ, რომ ის საოცრად ლალი, უშუალო, ხალასი ადამიანი იყო... არ ვმაღავთ, სინანული გვიპყრობს იმის გამო, რომ მისი ღვთივკურთხეული, თვალისმომჭრელი ტალანტის სრული რეალიზება არ მოხდა, სრულად არ გამოვლინდა ის თვითნაბადი ნიჭი, რომლითაც განგებამ უხვად დააჯილდოვა ულამაზესი, უნიჭიერესი ლეილა აბაშიძე... მის ელვარე ტალანტს უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში, ალბათ, გაცილებით ჯეროვანი დაფასება ექნებოდა...

დიახ, დასანანია, რომ მსახიობს ხანგრძლივი პაუზა ჰქონდა კინოში (1970-იანი წლებიდან თითქმის 1990-იანი წლებამდე). ლეგენდარული მსახიობი, რომელსაც ცნობილ კანადელ მსახიობს, **ოსკაროსან მერი ჰიჯორდს** ადარებდნენ, დაივიწყეს... დაივიწყეს და ამავე დროს დიდი ხნით.

ხანგრძლივი პაუზა დაარღვია ლეილა აბაშიძის გამოჩენამ ლანა ლოლობერიძის ფილმში „ორომტრიანი“ (1986 წ.) ამ ფილმში მსახიობი საკუთარ თავს თამაშობდა. ფილმმა 1997 წ. ტოკიოში უზარმაზარი წარმატება მოუტანა რეჟისორსაც და მსახიობსაც. ჟიურის თავმჯდომარე, გრეგორი პეკი აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

პატრიოტი მსახიობის შინაარსიანი, ლამაზი გამოსვლები ხალხმრავალ მიტინგებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღეებში ხომ მაია წყნეთელის ასოციაციას იწვევდა და საყვარელ მსახიობს მომიტინგეები მქუხარე ოვაციებს უწყობდნენ...

რა მართებულად, ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნავდა დიდი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე: **„ლეილა აბაშიძე ქართული კინოსათვის ყოველთვის იყო ერის ხასიათის, რწმენისა და ეროვნულობის სახე“.**

დიდებული ხელოვანის სიმდიდრე კინო, თეატრი, პოეზიის, ხელოვნების, ადამიანებისა და შემოქმედების სიყვარული, მაცურების სიყვარული იყო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე შეკითხვით მივმართე ჩვენს გამორჩეულად საყვარელ მსახიობს, ძვირფას ადამიანს, ქალბატონ ლეილა აბაშიძეს, რადგან მისი შეხედულებები საკუთარ შემოქმედებაზე, ქართულ კინოზე, ცხოვრების ავ-კარგზე, ადამიანის დანიშნულებაზე, მეგობრობაზე და სხვ. ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

**– ქალბატონო ლეილა, დაახლოებით რამდენ ფილმში გექნებათ ნათამაშები?**

– ნათამაშები მაქვს, ალბათ, 30-მდე ფილმში.

**– გიყვართ თქვენი ფილმების ყურება?**

– არა, არ მიყვარს.

**– თქვენი რომელი ფილმები გიყვართ ყველაზე ძალიან?**

– საზოგადოდ, ყველა ჩემი ფილმი მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს „ქაჯანა“, „ჭრიჭინა“, „აბეზარა“, „მაია წყნეთელი“, „შეხვედრა წარსულთან“, „შეხვედრა მთაში“, „დიდოსტატის მარჯვენა“.

**– დაგვისახელეთ, თუ შეიძლება, თქვენი საყვარელი კინორეჟისორები.**

– კონსტანტინე პიპინაშვილი, ნიკოლოზ სანიშვილი, სიკო დოლიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი.

**– თქვენი გამორჩეულად საყვარელი როლები რომელია?**

– კატო, ჭრიჭინა, აბეზარა და, რასაკვირველია, მაია წყნეთელი – ჩემი შემოქმედების გვირგვინი!

– **რომელ ფილმებში გახმოვანებდათ ცნობილი მსახიობი მერი მიქელაძე და ამავე დროს, შესანიშნავად?**

– მხოლოდ ერთ ფილმში. ეს იყო „მაია წყნეთელი“, რადგან მათეს პერსონაჟის გახმოვანებას საკმაოდ ვაჟკაცური ხმა უნდოდა, მე კი წკრიალა ხმა გამაჩნდა.

– **ვიცი, რომ ჭრიჭინას საყვარელ სიმღერას გამოჩენილი საოპერო მომღერალი მედეა ამირანაშვილი ასრულებდა, ხოლო აბეზარას სიმღერას – გაიანე დოლიძე, ეს ისე ბუნებრივად იყო გადაღებული და ჩანერილი, მაყურებელს სჯეროდა, რომ თქვენ მღეროდით.**

– კი, ნამდვილად ასე იყო. რამდენჯერმე უთხოვიათ კიდეც, რომ მემღერა სიმღერა კინოფილმებიდან, რის გამოც სასაცილო სიტუაციაშიც აღმოვჩენილვარ! (იცინის).

– **თქვენ ყოველთვის ძალზე სპორტული ადამიანი იყავით და მაინც, სირთულეები თუ გქონდათ კინოგადაღებების დროს, ფაქტორები თუ გადაგხდენიათ თავს?**

– როგორ არა. მსახიობის მოღვაწეობა ხშირად არის დაკავშირებული საფრთხესთან. მაგალითად, „მაია წყნეთელის“ გადაღებების დროს მე არ მყავდა დუბლიორი, რადგან ბატონ რეზო ჩხეიძეს არ უყვარდა დუბლიორის აყვანა, ცხენიდანაც გადმოვვარდნილვარ, ფეხზე სერიოზული ტრავმაც მიმიღია, მაგრამ უშიშარი ვიყავი, ყველაფერს ვუმკლავდებოდი, ოღონდაც გადაღებული კადრები ყოფილიყო რეალისტური, დამაჯერებელი, მაღალი ოსტატობით აღბეჭდილი...

– **ვგონებ, ფუფალას პერსონაჟი თქვენი საოცნებო, სანუკვარი როლი იყო...**

– მართალი ბრძანდებით. ძალიან მინდოდა ფუფალას როლის თამაში. კინორეჟისორი კ. პიპინაშვილი აპირებდა ტრილოგიის მსგავსი კინოფილმის გადაღებას, რომელშიც გაერთიანდებოდა სამი ნაწარმოების სიუჟეტი: მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“, გიორგი ლეონიძის „ფუფალა“ და ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“. ყველა ნოველაში მთავარი როლი მე უნდა შემესრულებინა. მინდოდა მარგალიტას პერსონაჟის განსახიერებაც „შერეკილებში“.

– **რა აზრისა ხართ შავ-თეთრი და ფერადი ფილმების შესახებ?**

– ყველა ეპოქას თავისი პროგრესი ახლავს, ასევე მოხდა კინემატოგრაფშიც. ჩემი ფილმებიდან „ქაჯანა“ და ის ფილმები, რომლებიც 1950-იან წლებამდე იყო შექმნილი, შავ-თეთრია, თუმცა ამ ფილმებს წარმატება და აღიარება არ მოკლებია.

**– რა აზრისა ხართ თანამედროვე ქართულ კინოზე?**

– დიდია ინტერესი თანამედროვე ქართული კინოს მიმართ. გვყავს ძალზე ნიჭიერი, წარმატებული ქართველი კინორეჟისორები, რომლებმაც ჰოლივუდი აალაპარაკეს, წარდგენილები იყვნენ „ოქროს გლობუსზეც“ და „ოსკარზეც“. მხედველობაში მაქვს ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის ფილმი „სიმინდის კუნძული“. ეს ქართული კინოს დიდი გამარჯვებაა!

**– თქვენი აზრით, რისთვის მოდის ამქვეყნად ადამიანი?**

– ვფიქრობ, სულიერი სრულყოფისათვის, იმისთვის, რომ თუ შეუძლია, ადამიანებს მიანიჭოს რაც შეიძლება მეტი სიხარული, ბედნიერება... მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ისეთი პროფესია მქონდა, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს და არა მარტო მას, სხვა ეროვნების ადამიანებსაც, ჩემი ხელოვნებით დიდ სიხარულს ვგვრიდი...

**– თუ შეიძლება, გაგვანდეთ თქვენს ცხოვრებაში ბედნიერი დღეების შესახებ.**

– ჩემი ორი დიდი სიხარული, ჩემს ყოფას რომ ალამაზებენ, თბილი, მოსიყვარულე ადამიანები, ჩემი შვილი – რამაზი, მუსიკოსი და ჩემი შვილიშვილი გიორგია, სკოლის მოსწავლე, საუკეთესო ახალგაზრდა, ამქვეყნად მათი მოვლინებით, დედობის და ბებიობის განცდით გამონვეულ აუნერგულ სიხარულს ხომ ვერაფერი შეედრება!

ბევრი ბედნიერი დღე მქონდა, აგრეთვე, შემოქმედებით გამარჯვებებთან დაკავშირებით.

**– ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ზოგჯერ თან სდევს ჭორები. აქცევდით ჭორებს ყურადღებას?**

– ჭორებისთვის არასოდეს მიმიქცევია ყურადღება, რადგან ყოველთვის მივდევი ჩვენი დიდი ბრძენი მოძღვრის, სულხან-საბა ორბელიანის, ჭეშმარიტად მართებულ მცნება-შეგონებას: „ჭორი არის ბოროტების ზეიმი კეთილსა ზედა!“

**– ხელოვანის ცხოვრებას, ისევე, როგორც ყოველი ადამიანის ცხოვრებას, ხშირად თან ახლავს ტკივილიც, იმედგაცრუებაც... რამ დაგამჩნიათ სულზე წარუშლელი, მძიმე კვალი?**

– რა თქმა უნდა, მეც მქონია ცხოვრებაში მძიმე წუთები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ძლიერი პიროვნება, განონასწო-

რებული ადამიანი ვარ. დეპრესია არასოდეს მქონია, ჩავიკეტები ხოლმე საკუთარ თავში სულიერი ძალების აღსადგენად. ეს ძალიან მშველს.

**- ნათქვამია: „ცხოვრებას რომ მეგობრობა გამოაკლო, ეს იგივეა, დედამინას რომ მზის სხივი წაართვა“. რას გვეტყვი თქვენი მეგობრების შესახებ?**

- მე ძალიან ძვირფასი, საყვარელი, დაუფიქრარი მეგობრები მყავდა, ჩემი კურსელები თეატრალური ინსტიტუტიდან: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე და სხვები. ამ ქვეყნიდან წასვლით მათ თითქოს ჩემი ცხოვრების ნაწილი წაიღეს... მყავს ერთგული მეგობრები: საუკეთესო პიროვნული თვისებებით აღჭურვილი, ცნობილი ჟურნალისტი, ქალბატონი დამანა მდივნიშვილი, თანაკლასელები - მერი კიკნაძე და ნაზიბროლა ჩიქოვანი. ეს ძვირფასი ადამიანები ჩემს ცხოვრებას ავსებენ (ქ-ნმა დამანა მდივნიშვილმა თავის წიგნში „მშვენიერთა სავანე“ ქ-ნ ლეილა აბაშიძეს საპატიო ადგილი მიუჩინა).

**- როგორია თქვენი ყოველდღიური ყოფა?**

- ძალიან მიყვარს კითხვა, პოეზია, მუსიკის მოსმენა... როდესაც შემეძლო, სულ ვვარჯიშობდი... დიდ დროს ვუთმობ შვილს, შვილიშვილს... ახალგაზრდობის წლებში ძალიან ვიყავი გატაცებული სპორტის სხვადასხვა სახეობით: ცურვით, თხილამურებით, ჯირით...

**- გიყვართ საკუთარ თავთან განმარტოება?**

- დიახ, ძალიან. ბედნიერი წუთები მაქვს, როდესაც მარტო ვარ ჩემს უშრეტ, ულევ ფანტაზიასთან, ოცნებებთან. ვწერ სცენარებს, ზოგი იყიდეს, ზოგი დაიდგა, ზოგი განუხორციელებელია. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც ვწერ სცენარებს.

**- სრულიად არ მიკვირს, თქვენ ისეთი ენერჯით, ოპტიმიზმით აღსავსე, მიზანსწრაფული ადამიანი ბრძანდებით.**

**ქალბატონო ლეილა, რას უსურვებდით ჩვენს ქვეყანას, ხალხს, თქვენს ლამაზ ოჯახს?**

- ღვთისგან მოვლენილ ყველა ადამიანს ვუსურვებ მშვიდობას, სიკეთეს, ბედნიერებას, სიყვარულს, დიახ, უპირველეს ყოვლისა სიყვარულს, რადგან **სიყვარულია თავად ღმერთი!**

**ძვირფასო თანამემამულენო! ჩემი გზავნილია თქვენდამი: გვიყვარდეს ერთმანეთი!**

... არ ვიცი, რამდენად ზუსტად წარმოვაჩინე შტრიხები მისი უდიდებულესობა მეოცე საუკუნის განუმეორებელი თაობის განუმეორებელი წარმომადგენლის, განათლებული, ერუდირებული, უნიჭიერესი, საინტერესო, დიდბუნებოვანი, მშვენიერი ქალბატონის, ლეილა აბაშიძის პორტრეტისათვის.

**დიდი გულიტკივილით გამოეთხოვნენ საყვარელ მსახიობს მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები.**

**ქ-ნი ლეილა აბაშიძე მისი საყვარელი დედის გვერდით, საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს.**

**უკვდავია მისი შემოქმედება, ქალბატონი ლეილა აბაშიძის სახელი.**

## **ნატელა ნატლიაშვილი-კვინიკაძე**

### **Легенда грузинского кино**

#### **Р е з ю м е**

*«Хочу, чтобы Грузия  
стала страной звезд».*

*Лейла Абашидзе*

У прекрасной, талантливой, очаровательной грузинской кинозвезды мирового уровня, г-жи Лейлы Абашидзе было тяжелое детство.

Только благодаря редкой одаренности и таланту от природы, пробивая несостоятельную, осиротевшая девочка дорогу в большой мир кинематографии и создала неповторимые образы в более 30-ти фильмах.

**Лейла Абашидзе** истинно национальная артистка, особенности её исполнительского мастерства представляют: грузинский темперамент, пластичность и естественность.

**Лейла Абашидзе** родилась 1-го августа 1928 года. Её отец стал жертвой репрессий 1937 года и был сослан в Сибирь. Мать Лейлы поехала в Сибирь медсестрой и с собой забрала двоих детей – маленькую Лейлу и её брата.

Для узников лагеря иногда устраивались концерты, в которых с удовольствием принимала участие Лейла и с вдохновением, впечатляюще читала стихи. Девочка была очень даровитая. Она передовала слушателям свои ощущения, эмоции...



Одна из советских газет писала на своих страницах: **«Вчера на сцене тюрьмы родилась настоящая звезда. Эта девочка станет будущей великой актрисой».**

Вскоре семья Лейлы получила протокол о расстреле отца. Мать вместе с детьми вернулась в Грузию.

Впервые маленькая Лейла появилась на экране в возрасте 8 лет: состоялся её первый, весьма удачный дебют в кинофильме Константина Пипинашвили «Каджана». **Девочка превосходно сыграла роль Като и стала достойной партнершей знаменитой грузинской кинозвезды – великой Нато Вачнадзе.**

**В этом фильме, в исполненном маленькой Лейлой образе Като родила будущая кинозвезда.**

Вряд ли многие артисты начинали актерскую карьеру в таком раннем возрасте. В фильме «Каджана» роль Като была главной, а Лейлу режиссер выбрал среди 115-ти девочек. Маленькая Лейла так виртуозно воплотила образ крестьянской девочки, что в тотчас засияло её имя и редкий ребёнок вызвал огромный интерес.

До окончания школы Лейла исполнила ещё две роли – роль Юты (кинофильм «Золотая тропинка» 1945г.) и роль Назибролы (кинофильм «Колыбель поэта», 1947 г. реж. К. Пипинашвили).

Славная девушка с отличием окончила Тбилисский театральный институт имени Шота Руставели. В годы студенчества снималась в фильмах «Кето и Котэ» (1948 г. реж. В. Таблиашвили, девочка с цветами) и «Весна в Сакени» (1950 г. реж. Н. Санишвили, Нино).

Лейла начала актерскую деятельность на киностудии «Грузия фильм». Она была одинаково сильная как в комедийных, так и драматических ролях.

Сколько незабываемых персонажей, исполненных ею с большим мастерством, помнит и любит зритель?!

**1950-1960 гг. - были периодом большого творческого подъема Лейлы Абашидзе.**

**Зрителю особенно запомнились кинофильмы: «Каджана», «Стрекоза», «Заноза», «Встреча с прошлым», «Майя из Цхнети», «Встреча в горах», «Десница великого мастера», «Тбилиси-Париж-Тбилиси...»**

Громадную популярность принесли актрисе роли Стрекозы и Занозы.

Как часто бывает, впервые Лейлу Абашидзе признали великой актрисой за рубежом. В США, после показа кинофильма «Стрекоза» в газете «Дейли Уорк» отмечали: «...У Советского Союза уже имеется своя звезда экрана, своя Мэри Пикфорд.»

Талант Лейлы Абашидзе полностью, всей силой проявился в фильме «Майя из Цхнети» (реж. Р. Чхеидзе, 1959 г.), в котором она блестяще воплотила на экране образ легендарной грузинской Национальной героини – Майи из Цхнети. Этот образ – большая творческая победа артистки и он золотыми буквами вписан в её фильмографию.

У актрисы много почетных регалий – Народная артистка Грузии и Чечено-Ингушетии, награждена Орденом Трудового Красного Знамени и др.

8 марта 2009 г. Лейле Абашидзе перед кинотеатром Руставели, рядом с звездой великой грузинской кинозвезды – Нато Вачнадзе была открыта именная звезда.

В 2010 г. ей было присвоено звание «Почетного гражданина Тбилиси».

По мнению нашей любимой актрисы, человек должен всю жизнь совершенствовать себя, приносить людям как можно больше радости и пользы.

Она полна энергии и оптимизма, любит поэзию, музыку, целеустремленная, по сей день пишет интересные сценарии.

Образованная, эрудированная, 88-ми летняя прекрасная г-жа Лейла Абашидзе всем желает мира, добра, счастья и прежде всего любви, так как сам Бог – Любовь.

В день Рождества Христова ушла из жизни наша любимая актриса.

Г-жу Абашидзе похоронили рядом с любимой матерью, в Сабурталинском пантеоне.

Бессмертно творчество незабываемой актрисы, бессмертно имя г-жи Лейлы Абашидзе!



## ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

### „გენიალური არტისტების უკანასკნელი მოჰიკანი“ რამაზ ჩხიკვაძე 90

მისი უდიდებულესობა XX საუკუნე!

რამდენი ვარსკვლავი აჩუქა საქართველოს ამ საუკუნეში!!!

სწორედ რომ ვარსკვლავთცვენა იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: ვიზუალური ხელოვნების დარგებში – თეატრში, კინოში, საოპერო თუ საესტრადო სივრცეში, ასევე მეცნიერებაში, მწერლობასა და სპორტში.

სახელოვანი რუსთაველის აკადემიური თეატრი! მაღალნიჭიერ შემოქმედთა ესოდენ ბრწყინვალე თანავარსკვლავები: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი და მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი და ზინა კვერენჩხილაძე და კიდევ ვინ მოთვლის, – რამდენი დიდებული მსახიობი...

რუსთაველის თეატრის სცენაზე 55 წლის განმავლობაში კაშკაშებდა გამორჩეული ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე, ფანტასტიკური, განუმეორებელი, ღვთისაგან დაჯილდოებული და შემკული ყველა ღირსებითა და მაღლით: შესანიშნავი გარეგნობით, ფრიად საუცხოო ხმით, გარდასახვის შეუდარებელი უნარით, მგზნებარე ტემპერამენტით, მომაჯადოებელი არაორდინალური იუმორით, ელვარე ტალანტით.

მასში იშვიათი ჰარმონიით იყო შერწყმული ქართული რაინდული სული, დიდი ბუნება, პირდაპირობა, შინაგანი სიმართლე...

„ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ პრემიების ლაურეატი **ალ პაჩინო** ხატოვნად შენიშნავს: „თეატრში თამაში ასი ფუტის სიმაღლეზე გაბმულ თოკზე სიარულს ჰგავს, თანაც ყოველგვარი დაზღვევის გარეშე“.

აი, სწორედ ასეთ, 100 ფუტის სიმაღლეზე გაბმულ თოკზე იარა რამაზ ჩხიკვაძემ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, იარა ტრიუმფალური გამარჯვებებით, იარა ხალისით, სიცოცხლის, თავისი პროფესიის და ხალხის დაუოკებელი სიყვარულით...

და აი, საქართველომ დაკარგა ეს უბრწყინვალესი შემოქმედი, მსოფლიო რანგის მსახიობი.

რამაზ ჩხიკვაძის საშემსრულებლო ხელოვნებას, პროფესიულ ოსტატობას უჩვეულოდ ფართო დიაპაზონი ჰქონდა... შეეძლო, ერთნაირი სიძლიერით, უდიდესი ექსპრესიით და აღმაფრენით ეთამაშა როგორც ტრაგედიაში, ასევე დრამასა და კომედიაში.

მას ხომ მაყურებლის განუზომელი გაოცება და დატყვევება შეეძლო.

1951 წ. ცნობილმა რეჟისორმა **დოდო ალექსიძემ დადგა „ფიგაროს ქორწინება“**. რამაზ ჩხიკვაძემ ამ პიესაში შესანიშნავი თამაშით ყველა აღაფრთოვანა.

1954 წელი... დაიდგა **მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელი მღვდელი“**...

დღესაც მახსოვს ეს საეტაპო სპექტაკლი... თეატრში იყო მხიარულების ნამდვილი დღესასწაული!.. რადგან მაყურებელი ზეიმობდა მსახიობებთან ერთად...

შემდეგ – ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, სადაც რამაზ ჩხიკვაძე მექი-დანას განასახიერებდა უბადლოდ... ყველაფერთან ერთად დომინირებდა მისი ბრწყინვალე ვოკალი...

ამგვარად, იმდენად მაღალი იყო აქტიორული პროფესიონალიზმი, ვიზუალური და ხმოვანი ეფექტები, რიტმი, ტემპი და სპექტაკლის მხატვრული დონე, რომ მაყურებელი იხიბლებოდა და ინუსხებოდა უკვე ამობრწყინებული ვარსკვლავის მაღალი ხელოვნებით...

საოცარი ნიჭის პატრონი იყო... ბრწყინვალე – თეატრშიც, კინოშიც, მაგრამ პრიორიტეტს მაინც თეატრს ანიჭებდა. „თეატრი მაინც სულ სხვაა“-ო, უმტკიცებდა რამაზ ჩხიკვაძე ასევე ცნობილ მსახიობს ლეილა აბაშიძეს.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება დაგვრჩა მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლიდან „როცა ასეთი სიყვარულია“, რომელიც მომზადდა ჩეხი დრამატურგის პ. კოპოუტის ნაწარმოების მიხედვით. ამ პიესას წარმართავდა მთავარი მოქმედი პირის – პეტრი პეტრუსის დრამატული როლი – ამაღლებულად, შთამბეჭდავად, დიდი ვნებათაღელვით შესრულებული რამაზ ჩხიკვაძის მიერ. მაყურებელი თითქოს სპექტაკლის მონაწილე იყო, მსაჯული – სერგო ზაქარიაძე, ლიდა მატისოვა – მედეა ჩახავა. მათი თამაში გვაოგნებდა, გვა-

ოცებდა და, მე ვიტყვოდი, ბედნიერია ყველა ის მაყურებელი, ვინც ეს სპექტაკლი ნახა.

1972 წელი... „სამანიშვილის დედინაცვალი“... კირილე მიმინოშვილის დიდებულად შესრულებული როლი... რამაზ ჩხიკვაძე ისე თამაშობდა კირილეს, რომ ეპითეტები არ გვყოფნის...

რაც შეეხება აზდაკსა და რიჩარდ მესამეს – ეს გმირები რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედების მწვერვალია, გვირგვინი, საოცარი გარდასახვის, ფანტაზიის ნიმუშები. მსახიობი თითქოს დანის წვერზე გადის, მაგრამ გროტესკი ისეთი ზომიერი აქვს, რომ არ აჭარბებს...

რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებას დიდი გამოხმაურება ჰქონდა უცხოეთში გასტროლების დროს. აი, რას წერდა უცხოური პრესა:

„დიდი ხანია, არ მინახავს უფრო გამომსახველობითი მსახიობი, ვიდრე რამაზ ჩხიკვაძე... ყოველი შესტი მრავალმნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, ჩვენ ამ მსახიობს ვნახავთ მთავარ როლში დასის მეორე სპექტაკლშიც „რიჩარდ მესამე“ (ალენ რაიტი, „ტრიუმფი ედინბურგში“, 1979 წ.)

„ამ მსახიობს აქვს უდიდესი ძალა, რომლის წყალობითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ სცენა თითქოს მხოლოდ მას ეკუთვნის“ (გაზეთი: „გარდიანი“ - 1979 წ.)

„თეატრის ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად ჩაითვალოს“ („სტელეგრაფი“, „კვლავ დიდი გამარჯვება“, 1979 წ.)

„კავკასიური ცარცის წრე“ ქართული თეატრის მწვერვალია“ (კარლო ბენედეტი, გაზეთი „უნიტა“, 1979 წ.)

„... მრავალი სცენა – რიჩარდის სიყვარულის სცენა ლედი ანასთან, რიჩარდის მიერ გვირგვინის მოჩვენებითი უარყოფა – უბრწყინვალესია“.

„ფეხზე ამდგარმა დარბაზმა 15-წუთიანი ოვაციით დააჯილდოვა სცენის ჯადოქრები. უკვე მეორე დღეა, ბრიტანეთის თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა აღტაცებული რეცენზიები. განსაკუთრებით დიდი



ადგილი დაეთმო მთავარი როლის შემსრულებელს რამაზ ჩხიკვაძესა და სპექტაკლის დამდგმელს რობერტ სტურუას“.

რამაზ ჩხიკვაძეს ძალზე მდიდარი ფილმოგრაფია აქვს. მან დაუვინყარი ეკრანული სახეები შექმნა 50-მდე ქართულ კინოფილმში: შოთა („ჭრიჭინა“, 1954წ.), ლევანა („სოფლის აშიკი“, 1976წ.), დიამბეგი („ლონდრე“, 1966წ.), ზურაბი („ნარსული ზაფხული“, 1959წ.), დაუდი („სამკაული სატრფოსათვის“, 1971წ.), თედო („ბებერი მეზურნეები“, 1973წ.), ვაჭარი პანკე („ვერის უბნის მელოდიები“, 1973წ.), ლუკა ბაბუა („ნერგები“, 1973წ.), მამაო ოხროხინე („ნატვრის ხე“, 1977წ.), პაჭარა სავლე („სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“, 1976წ.), აფრასიონი („რაჭა ჩემო სიყვარულო!“ 1977წ.), გივი („ცხელი ზაფხულის სამი დღე“, 1981 წ.), შოშია („თეთრი ბაირაღები“, 1990წ.) და სხვ.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ უმაღლესი ოსტატობით განსახიერებული გმირები კინოფილმებში „ლონდრე“, „ნატვრის ხე“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ნერგები“, „ბებერი მეზურნეები“, „თეთრი ბაირაღები“. „ნერგებსა“ და „ბებერ მეზურნეებში“ ხომ სულ ახალგაზრდამ შეასრულა მოხუცის როლი და მერე როგორ!

საოცარი მიბაძვის ნიჭი ჰქონდა; ერთხელ 5 პერსონაჟის როლი გაახმოვანა და ეს კადრი შევიდა კიდევ ფილმში.

გვახსოვს საბავშვო ანიმაციური ფილმებიც: „კომბლე“, „კოფრის ტყის ზღაპრები“, „ჯადოსნური კვერციხი“ და სხვა.

ასევე სულ ახალგაზრდამ არაჩვეულებრივად შეასრულა დევის გამზრდელის, მოხუცი ქოსა მრჩევლის როლი „ჭინჭრაქაში“ (1963 წ.). ამასთან, როგორ გვატკობდა თავისი ლამაზი ვოკალით?! რა ლალი და უშუალო, ბუნებრივი და კვიმატი იყო სცენაზე?!

**2006 წელი... რამაზ ჩხიკვაძემ უკანასკნელად ითამაშა რუსთაველის თეატრში. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეში“ ისევ გააოცა მაყურებელი თავისი აზდაკით... ისევ მხურ-**

ვალედ ქუხდა ტაში, ისევ ისმოდა „ბრავო! ბრავო!“ აღფრთოვანებული მაყურებელი ქედს უხრიდა 609-ჯერ განსახიერებულ აზდაქს... აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი მსახიობის 78-ე წლის იუბილესა და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას მიეძღვნა.

რამაზ ჩხიკვაძე იყო არაჩვეულებრივი ადამიანი: ზნეკეთილი, უბრალო, თავაზიანი, მეგობრული, გულუხვი, მოყვასის მოყვარული, შესწევდა ამაღლებული ურთიერთობა, მეგობრის დახმარება, დაცვა... ჭეშმარიტი ქართველი იყო, მოქეიფე, ლალი, ზღვარდაუდებელი იუმორით... ლხინის უბადლო მოთავე...

ახლა როგორი თამადობა შეეძლო?! არაჩვეულებრივი! სუფრაზე დღესასწაულს მართავდა, მაჟორული, ამაღლებული განწყობა, სიცოცხლის ხალისი შემოჰქონდა, საოცრად მხიარული პიროვნება იყო, შეეძლო, ბედნიერება მიენიჭებინა ადამიანებისათვის და ანიჭებდა კიდევ.

სიცოცხლის ბოლოს მსახიობმა ითამაშა „საკუთარი სიკვდილი“ ცნობილი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმში „მეტეოიდოტი“ – ბაბუა გიორგის როლში.

ეს როლი მისთვის გედის სიმღერა აღმოჩნდა.

უკანასკნელ დაბადების დღეზე შვილიშვილმა, მისმა მოსახელემ, რამაზ ჩხიკვაძემ, ბაბუას „ოსკარის“ ასლი უსახსოვრა წარწერით: – რამაზ ჩხიკვაძე – საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო ბაბუა.

დიახაც, რამაზ ჩხიკვაძე „ოსკარს“ იმსახურებდა!

მკაფიო ინდივიდუალობის, დიდი შემოქმედებითი ფანტაზიის, იმპროვიზაციისა და გარდასახვის მქონე არტისტს საპატიო რეგალიები არ აკლდა: მარჯანიშვილის სახ. პრემია (1975წ.), სსრკ სახელმწიფო პრემია (1979წ.), რუსთაველის სახ. პრემია (1980წ.), ლენინის ორდენი, სხვადასხვა საპატიო ორდენი და მედალი; მაგრამ ყველაზე საპატიო ორდენი მისთვის იყო ხალხის უსაზღვრო სიყვარული, სიყვარული კი უდიდესი განძია.

რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებამ დიდი რეზონანსი, განუზომელი სულიერი ტკივილი გამოიწვია საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა მსახიობის ოჯახს სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც წერდა: „დიდ



მწუხარებას გამოვთქვამ გენიალური ქართველი მსახიობის, შემოქმედის, რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო.

ბატონი რამაზი ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეული, დიდი ვარსკვლავი და მთელი ეპოქის შემქმნელი იყო. მისი განუმეორებელი ნიჭი, თვითმყოფადობით აღბეჭდილი კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც თაობები აღიზარდა, მუდამ დარჩება მაცურებლის მეხსიერებაში.

... ასეთი ქართველები, მართლაც, საუკუნეში ერთხელ იბადებიან“.

რეჟისორი **რობერტ სტურუა** „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ასე გამოეხმაურა დიდი აქტიორის ამქვეყნიდან წასვლას: „გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მსახიობი, რუსთაველის თეატრის მშვენება და ბურჯი... რამაზ ჩხიკვაძე რომ არა, ვერცერთი ჩემი სპექტაკლი ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა. რამაზის ნიჭი ყველგან იფრქვეოდა“.



ქართველი ხელოვანი აღნიშნავენ, რომ რამაზმა შექმნა მთელი ეპოქა. მან ზღვა სიხარული და ბედნიერი წუთი აჩუქა რუსთაველის თეატრის ერთგულ მაცურებელს. მსახიობმა **ჯემალ ლალანიძე** გაიხსენა, რომ ინგლისში რამაზ ჩხიკვაძეს „კავკასიელი ოლივიე“ უწოდეს, რითაც იგი ცნობილ ინგლისელ კინოვარსკვლავს ლოურენს ოლივიეს შეადარეს.

ცნობილმა რეჟისორმა **რეზო ჩხეიძემ** რამაზ ჩხიკვაძე ქართულ თეატრალურ და კინოსამყაროში მოვლენას შეაძარა და გულსტკივილით განაცხადა, რომ ეს გენიოსი ქართულ კულტურას უზომოდ დააკლდება, რადგან მასთან ერთად გარდაიცვალა მსახიობის მიერ შესრულებული როლებიც.

კომპოზიტორმა **ვია ყანჩელმა** დიდი სინანული გამოთქვა რამაზ ჩხიკვაძის არა მარტო როგორც დიდი მსახიობის, არამედ როგორც დიდი მუსიკოსის დაკარგვის გამო.

რუსთაველის თეატრის მმართველმა, **ზაალ ჩიქობავამ** ქართული სცენის ჯადოქრის გარდაცვალება აღიქვა როგორც დიდი ფენომენის დანაკლისი, ხოლო მსახიობმა **კახი კავსაძემ** რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებით ქართულ თეატრში ეპოქის დასრულება აუნყა საზოგადოებას.

„ქართულმა თეატრმა დაკარგა უკანასკნელი მოჰიკანი გენიალური არტისტებისა. ჩემი აზრით, იგი იყო ყველაზე დიდი ქართველი მსახიობი, ვინც კი სცენაზე მინახავს“, – წერდა რეჟისორი **ავთო ვარსიმაშვილი**.

„რამაზი ნამდვილად საოცრება იყო და ამ სიტყვებში იოტისოდენადაც არაფერია გადაჭარბებული,“ – აღნიშნა მსახიობმა **გივი ბერიკაშვილმა**.

2011 წლი 22 ოქტომბერი...

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის ნახევრად განათებული დარბაზი... სცენაზე დასვენებულია ყვავილებში ჩაფლული დიდი მსახიობის სასახლე... დადუმებულა დიდი ხელოვანი... ვინ იცის, რამდენი სიხარული მიუნიჭებია მას ამ სცენიდან მაყურებლისათვის... ლიცლიცებენ სანთლები... მთელ თეატრში რამაზ ჩხიკვაძის კოსტიუმებია გამოფენილი, აგრეთვე, ფოტოები სპექტაკლებიდან, კინოფილმებიდან... ჟღერს მსახიობის მიერ შესრულებული სიმღერები, ეკრანზე ერთმანეთს ცვლის როლები სპექტაკლებიდან, კინოფილმებიდან... ჩვენს თვალწინ კიდევ ერთხელ კალეიდოსკოპივით გაივლებს ჩხიკვაძის უკვდავი შემოქმედება, მეხსიერებაში ცოცხლდება სამარადისოდ აღბეჭდილი თეატრსა თუ კინოში განსახიერებული პერსონაჟები.

ლევანდროს, აკოფას, ბებერი მეზურნის, ქოსიკოს, შოშიას სიმღერებს ენაცვლება ბრწყინვალედ შესრულებული რომანსები „შავი თვლები“, „ნაზი ბულბული“, „წეროები..“.

ხალხი მოდის უწყვეტ ნაკადად... ისევ ვისმენტ აზდაკის მონო-ლოგს, კვლავ ვიზიარებთ მეფე ლირის უსაზღვრო კაეშანს, სული-ერ ჭმუნვა-მწუხარებას...

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის რუსთაველის თეატრის მმართველი **ზაალ ჩიქობავა**.

განუზომელი ტკივილი გამოსჭვივის გამომსვლელთა სიტყვებში.

რეჟისორ **გოგი ქავთარაძის** შეფასებით, რამაზ ჩხიკვაძე იყო უბრწყინვალესი შემოქმედი, გამორჩეული – თავისი ვირტუოზული ხელოვნებით, უჩვეულოდ მომხიბლავი იუმორით, გვერდზე ამოდგომით. რამაზი იყო განუმეორებელი შემოქმედი. ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ მისი ხსოვნის წინაშე.

შთამბეჭდავი იყო თეატრმცოდნე **ნოდარ გურაბანიძის** გამოსვლა: „რამაზ ჩხიკვაძეში შერწყმული იყო სილამაზე, უდიდესი ენერგია, უდიდესი ტალანტი, სიჯანსაღე. მან თავის გმირებს დიდი კომპოზიტორის მოცარტის სიმსუბუქე შესძინა. დოდო ალექსიძის „ფიგაროს ქორწინებაში“ იყო ისეთი სილაღე, სიკისკასე, რამაზი ნამდვილ ზეიმს ქმნიდა სცენაზე... მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელ მღვდელში“ რამაზის ლეანდრო იყო ისეთი მუსიკალური, პლასტიკური, გროტესკული, გარდასახვა იყო ისეთი ძლიერი, რომ **რობერტ სტურუა** ამბობდა – აი, სწორედ აქედან იწყება რამაზიო.

ჭეშმარიტად ბედნიერი იყო რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის იშვიათი ტანდემი. რობერტ სტურუამ შექმნა ახალი თეატრი, ახალი ესთეტიკა, ახალი ეპოქა. რამაზი იყო მსოფლიო მსახიობი. რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის საუცხოო ტანდემის წყალობით შეიქმნა რამაზის შემოქმედების გვირგვინი – აზდაკის როლი „კავკასიური ცარცის წრეში“ (1975 წ.) და რიჩარდ მესამე („რიჩარდ მესამე“ – 1979 წ.). აზდაკი იყო თეატრის საოცრება. ასევე ბრწყინვალედ განსახიერებული რიჩარდ მესამის პერსონაჟი და შესანიშნავად შესრულებული, ფსიქოლოგიური სიღრმით აღსავსე როლი მეფე ლირისა“.

გამოჩენილმა მსახიობმა **ოთარ მეღვინეთუხუცესმა** განაცხადა: „რამაზის თამაშის ცქერით ვერ ვძლებოდი. რამაზის ყვარყვარეში ჩაეცა ყველა დიქტატორი“. ასეთი პიესა შექმნა პოლიკარპე კაკაბაძემ, ყველა დროისათვის აქტუალური, ყოველთვის თანამედროვე.

„კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ მესამე“ ვერ ჩაეტია ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. იმდენად გენიალური სპექტაკლები იყო, რომ გასცდა საქართველოს საზღვრებს.

დიდებულმა, ულამაზესმა ქალბატონმა **ნატაშა ჩხიკვაძემ** – მეცნიერ-მუშაკმა და საზოგადო მოღვაწემ (რომელმაც ითამაშა ფილმში „ყვავილი თოვლზე“), იშვიათი, ღირსეული მეუღლეობა გაუნია რამაზს.

სცენაზე ნაკითხულ იქნა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიღებული დეპეშები.

ტაშის გრიალით გამოეთხოვნენ დარბაზში შეკრებილი თაყვანისმცემლები თავის სასიქადულო, გამორჩეულად საყვარელ მსახიობს...

ათასობით ადამიანი იდგა რუსთაველის გამზირზე... ქუჩა გადაიკეტა... სამგლოვიარო პროცესია ფეხით გაემართა დიდუბის პანთეონისაკენ...

განუმეორებელი მსახიობი ქალაქური ჰანგების ფონზე დაკრძალეს საყვარელი მეუღლის გვერდით.

**რამაზ ჩხიკვაძის დაბადებიდან 84 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, თბილისში, ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა დიდი მსახიობის სახელი, ხოლო ლეგენდარული მსახიობის ასევე ლეგენდარულ გმირს – აზდაკს ძეგლი დაუდგეს.**

ეს იყო ჩვენი დიდებული შემოქმედის „ქვაში გადასული უკვდავება“.

მუდამ იარსებებს საქართველო, და, ვიდრე იარსებებს საქართველო, იარსებებს ქართული თეატრი, იარსებებს ქართული გენი და მოდგმა, ძარღვიანი და მადლიანი, ღრმააზროვანი, ლამაზი და ტკბილხმოვანი ქართული სიტყვა, – რამაზ ჩხიკვაძის სახელს დავინწყება არ უწერია!

## **Натела Натлишвили-Квиникадзе**

### **«Последний могикан» поколения гениальных артистов Рамаз Чхиквадзе – 90**

#### **Резюме**

**Его величество XX век!**

**Сколько звезд подарил Грузии этот век...**

**Во всех сферах общественной жизни был настоящий звездопад: в отраслях визуального искусства – в театре и кино, оперном и эстрадном пространстве, а также в науке, писательской сфере и спорте.**

**На сцене знаменитого театра имени Шота Руставели в течение 55-ти лет сияла незаурядная звезда – Рамаз Чхиквадзе, фантастический, неповторимый артист, одаренный от бога и наделенный всеми достоинствами – красивой внешностью, блистательным талантом, пламенным темпераментом, удивительной способностью перевоплощения, чудесным голосом, завораживающим юмором...**

Более полвека сопутствовали ему триумфальные победы, он жил неуёмной любовью к своей профессии и народу. Славный актёр с одинаковой силой, с подъемом играл как в трагедии, так и в драме и комедии и своей блестящей игрой безмерно изумлял и пленял зрителя.

Первые же спектакли с его участием в главных ролях, сразу покорили зрителя. Разве можно забыть спектакли: «Свадьба Фигаро», «Испанский священник», «Трехгрошовая опера», «Когда такая любовь», «Повесть о любви», «Мачеха Саманишвили», «Ханума», «Чинчрака» и другие. Леандро, Мекки-Нож, Вепхиа Габидаури, Петри Петрус, Кириле Миминошвили, Акоп и др.,- стали нашими любимыми персонажами.

**Герой Аздака, Ричарда III–го и короля Лира – вершина, венец творчества Рамаза Чхиквадзе: удивительное перевоплощение, фантазия, высочайшее мастерство исполнения...**

Спектакли «Кавказский меловой круг» и «Ричард III» имели громадный успех и отклик за границей. В зарубежной прессе печатались восторженные рецензии.

Публика стоя аплодировала корифеям театра – гениальному режиссёру Роберту Стуруа и гениальному актеру Рамазу Чхиквадзе, славному ансамблю артистов.

Истинно счастливым и редким оказался тандем великого режиссёра и великого актёра. Благодаря этому тандему были созданы блестящие образы Аздака, Ричарда III-го и полная психологической глубины роль короля Лира. Эти образы пересекли границы Грузии и завоевали сердца зрителей многих стран мира.

**В 2006 году Рамаз Чхиквадзе последний раз сыграл роль Аздака, на этот раз – 609-раз. Опять гремели аплодисменты, опять раздавались возгласы: «Браво!» «Браво!» Этот спектакль был посвящён 78-годам со дня рождения актёра и открытию его именной звезды. Счастливый зритель благоговейно преклонялся (уже в который раз), перед виртуозно воплощенным Аздаком...**

У Рамаза Чхиквадзе богатая фильмография. Незабываемые персонажи создал он в кинофильмах: «Стрекоза», «Лондре», «Мелодии Верийского квартала», «Сельский донжуан», «Древо желания», «Рача – любовь моя», «Белые флаги» и др.

Совсем молодой актёр с величайшим мастерством воплотил на экране образы дедушки Луки и Тедо – старого зурнача. Молодой Рамаз также великолепно исполнил роль воспитателя дэви – старого Косико в спектакле «Чинчрака».

«Лебединой песней» оказался образ дедушки – Георгия в фильме известного режиссера Наны Джорджадзе «Метеоидиот», в котором Рамаз Чхиквадзе сыграл «собственную смерть».

**Рамаз Чхиквадзе создал целую эпоху в театре, он был красой и гордостью, опорой театра имени Шота Руставели, великим грузинским артистом. В Англии его сравнивали и называли «Кавказским Оливье». Он был явлением в театральном и кинематографическом пространстве, был чудом, вместе с ним умерли и его роли. Смерть Рамаза Чхиквадзе была смертью не только великого артиста, но и смертью большого музыканта.**

Он был избранным творцом, неповторимым человеком: великодушный, с безграничным, очаровательным юмором, неиссякаемой энергией, величайшим талантом, музыкальный, пластичный, добрый, умел создавать на сцене праздник... Где бы ни был, везде создавал весёлую ауру, дарил людям счастье...

Творчество Рамаза Чхиквадзе бессмертное, необычайное, дорогое культурное наследие.

**Народный артист Грузинской ССР и Советского Союза Рамаз Чхиквадзе был удостоен звания Героя Социалистического труда, обладал многими регалиями: премия имени К. Марджанишвили, Государственная премия, премия имени Шота Руставели, Орден имени Ленина, разные почетные ордена и медали, а главное: он был окружен огромной любовью народа, а любовь ведь – большой клад!**

У Рамаза Чхиквадзе была великолепная, умная, красивейшая, редчайшая, любимая супруга – Наташа Чхиквадзе (исполнившая заглавной роли в фильме «Цветок на снегу»). Она скончалась за два месяца раньше смерти дорогого мужа.


Рамаз Чхиквадзе умер в 83-летнем возрасте – 18 октября 2011 года. Похоронили в Дидубийском пантеоне, рядом с любимой женой, на фоне городских мелодий.

**К 84 годам со дня рождения актера, в Тбилиси, одна из улиц была названа его именем, а легендарному герою легендарного артиста – Аздаку был поставлен памятник.**

**Навечно будет существовать Грузия, и пока она будет существовать, будет существовать грузинский театр, глубокомысленный, красивый и благозвучный грузинский язык, грузинское слово, - имя Рамаза Чхиквадзе не подлежит забвению!**

ოთარ სეფიაშვილი  
„მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“

ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვანი ისტორიისა და მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დასტურია ამერიკაში გარდაცვლილი ქართველი ებრაელის, საქართველოში დაბადებული და გარკვეულ მანძილზე აქ მოღვაწე კინოცოდნისა და ხელოვანის, ოთარ სეფიაშვილის წიგნი, სახელად „მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“, რომელიც კამარებადაა დაწერილი. წიგნის თითოეულ კამარაში მოთხრობილია მხატვრების – ჩვენი განუმეორებელი ნიკო ფიროსმანისა და ებრაელთათვის ფიროსმანთან გაიგივებული შალომ კობოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.



ეს არის აღწერილობა ორი გენიალური შემოქმედის ცხოვრებისა და გამოხატულება მათი უდიდესი მსგავსებისა სულიერ და მატერიალურ ყოფაში. მასში მოთხრობილია ბუმბერაზი ხელოვანების სიცოცხლეში დაუფასებელი შემოქმედება, რომელიც მხოლოდ სიკვიდლის შემდგომ იქნა აღიარებული. ეს არის ავტორისეული ხედვა, მონათხრობი ქართველი ებრაელისა, შეყვარებული ადამიანის საქართველოზე, ქართველებზე და საკუთარ ხალხზე.

ოთარ სეფიაშვილი თავის რომანს იწყებს შალომ კობოშვილის ნახატების ნახვის შედეგად მასში წარმოშობილ წარმოუდგენელ სიყვარულზე თხრობით, რომლის დაბადებაც იდუმალია და წესით



აუხნელია მუდამ. ის როგორც უნიჭიერესი კინომცოდნე ამ განცდას ადარებს ისეთი სიყვარულის ჟრუანტელს, როგორიც ფელინიესული ამარკორდის ერთ-ერთი კინოკადრის ხილვისას დაეუფლა მას. მოკლედ რომ ვთქვათ და ავტორის სიტყვებით, ეს ყველაფერი წელთა სვლაში რომანად დალაგდა მის სულსა და ცნობიერებაში. რომანი კი მისივე განმარტებით სიყვარულის ამბავიცაა – ხშირად ამოუთქმელი და გაუმხელელიც.

ავტორი დასაწყისში მოგვითხრობს, თუ როგორ მოსდევს სიღრმისეული სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან შალომ კობოშვილის ნახატებისა. რომანში აღსანიშნავია პირველი და ნიშანდობლივი ფაქტი შალომ კობოშვილისგან იმით, რომ მან თავისი პირველი ნახატი „ებრაელი მოჯამაგირე ბიჭი“, შესრულებული უბრალო გრაფიტის ფანქრით, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს უჩვენა. სეფიაშვილი აღნიშნავს ამას და დასძენს იქვე, თუ როგორ ახსენდება ნახატის თვალსაწიერზე კოკა იგნატოვის განუმეორებელი მრავალფიგუროვანი ფრესკა მთანმინდის პლატოზე. რესტორნის დიდი დარბაზის კედელზე, რომელიც სამწუხაროდ 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად განადგურდა.

სეფიაშვილი წიგნში აღნიშნავს ქართველი ხელოვანების წარმომადგენლებში აღძრულ იმ ქართულ-ებრაულ ასოციაციებზე, რომლებიც მათსავე შემოქმედებაში აისახა, კერძოდ მოგვითხრობს ა. ბასილაიას მუზიკლ „ფიროსმანზე“, რომელშიც ერთ-ერთ შესანიშნავ კომპოზიციად წარმოდგენილია ებრაელი ბიჭის სიმღერა. ეს არის ავტორისეული ხედავ იმ ყველაფრისა, რომელსაც ის დიდი სითბოთი და პატივისცემით გადმოგვცემს და გვიამბობს სიყვარულზე, რომელიც ამ ორ ერს – ქართველთა და ებრაელთა შორის შემთხვევითობა არასდროს ყოფილა. ცხოვრებისდროინდელი ეპიზოდური მომენტების გახსენებით კი ის წიგნის საწყის კამარებში წინასიტყვაობის სახით სწორედ ამ საოცარ, შეურყეველ კავშირზე გვიამბობს, რომელიც დღემდე მოგვცემა და კიდევ და კიდევ ღრმავდება.

რაც შეეხება წიგნის დედააზრს, ავტორი ფიროსმანისა და კობოშვილის აღწერილობით კამარაში განმარტავს, რომ შედარება მტკიცება არ არის და არც ვინმესთან გატოლება, ეს არის ხერხი, ხელოვანის სამყაროში დარჩენილი კვალის ასახსნელად და ამბობს რომ, მათი შედარება უსაფუძვლოდ, საბაბის გარეშე არ მომხდარა, ისინი სულიერი სამყაროს ერთნაირად განცდით იყვნენ მონათესა-

ენი და კონკრეტულად მიუთითებს მათ ნამუშევრებში ფერებისა და ფორმების მსგავსებაზე. დაუღალავად აღნიშნავს კობოშვილის შემოქმედების განუმეორებლობაზე, რომელიც მისმა გარემომ უფრო განაპირობა და ეს იყო ქართულ-ებრაულ წიაღში, სამცხე-სათაბაგოში არსებული უდმიდრესი სულიერი მემკვიდერობა

სამწუხაროდ, ამ მცირე წერილში ყველა კამარის განხილვას ვერ მოვახერხებთ წიგნის მიხედვით და შევხებით მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხებს.

ავტორიესული ხედვით, მიუხედავად ასეთი ისტორიული წარსულისა და ანმეოს შემხედვარე, ორივე მხატვარი თავიანთი მიმართულებით დროის არაადეკვატურნი იყვნენ და უფრო თანამედროვეობისადმი მიდრეკილნი, რაზეც მეტყველებს მათივე ნამუშევრები, ისინი არ გვანან სხვა მიმდინარეობის მხატვრებს, მათ ნახატებში არ დევს ის მიმსგავსებული სტილი, რაც იტალიურ რელიგიურ ხელოვნებას ახასიათებდა და შემდგომ ნუსხვად ადამიანებს. ეს არის მხოლოდ მათი შედარება კლასიკაში და დასძენს, თუ როგორ წყდება გული ამ გენიალური შემოქმედების დაკარგვაზე იმ დროში და მისი დაბრუნების სურვილზე გვიამბობს. ოთარ სეფიაშვილი გადმოგვცემს იმასაც თუ რამდენი რამაა თქმული ფიროსმანზე, კობოშვილზე კი უმნიშვნელოდ ცოტა და, ფაქტობრივად, არაფერი, ფიროსმანი ლეგენდაა ვიდრე სინამდვილე, კობოშვილი კი ბოლომდე უთქმელი სინამდვილეო – დასძენს ის გულდანყვეტილი.

ავტორი მოგვითხრობს XX ს-ის დასწყისში წარმომადგენლობით ქართულ გაზეთებში ფიროსმანზე გამოქვეყნებული სტატიების შესახებ (მაგალითად, გაზეთი „ბახტრიონი,“ რედაქტორი: გოგლა ლეონიძე, 1922წ), გოგლა ლეონიძემ ეს ერთი ნომერი მთლიანად მიუძღვნა ფიროსმანის ნახატებისა და მისი დაკარგული საფლავის ძებნას, ასევე წერს ტიცვიან ტაბიძის მონოგრაფიაზეც, რომელშიც ის აღნიშნავდა იმას, რომ ჰქონდა შიში ფიროსმანის ბიოგრაფიის გარეშე დარჩენისა, ეს იყო ისევ და ისევ შედარებითი თხრობა წიგნის ავტორისა და აქვე მეორდება ოთარ სეფიაშვილი ამ მხრივ და ამბობს, რომ კობოშვილზე ერთადერთი ნარკვევია დაბეჭდილი 1941 წელს მწირი ბიოგრაფიული ცნობებით.

რაც შეეხება მხატვართა ნამუშევრებს, ამოუნურავად საუბრობს ის ამ კუთხით და ამბობს რომ ფიროსმანს, ხელოვნების იტორიკოსთა ვარაუდით ორი ათასამდე ნახატი ჰქონია, რომელთაგა-

ნაც მხოლოდ 219 შენარჩუნებული, კობოშვილს კი ერთი ამოსუნთქვით, ფანქრით, აკვარელითა და ზეთის საღებავებით შექმნილი 66 ნახატი დარჩა. სეფიაშვილი მოგვითხრობს, რომ ამ ორმა მარტოსულმა მხატვარმა, ბავშვობიდანვე შეიცნო საკუთარი პიროვნების გაუცხოება საზოგადოებასთან, აქედან გამომდინარე კი აშკარა გახდა მათი ღვანლის უარყოფა და დაუნახავობაც სახვით ხელოვნებაში, მაგრამ მიუხედავად ამ დიდი მიზეზისა არც ერთს და არც მეორეს ფუნჯი არ გაუგდია ხელიდან და ხატვის გარეშე არ უცხოვრიათ, ეს იყო სწორედ მათი ნიჭისა და მოწოდებით მხატვრობის გამოვლინება.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კობოშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაში უფრო მეტადაა ასახული და საგულსიხმო „ჭურიათა და ქართველთა“, კერძოდ, ახალციხელ ებრაელთა ყოფა, „სადაც დღეებსა და დღესასწაულებზე“, ვიდრე ეთნოგრაფიულ ცნობიერებაში თუ გამოკვლევებში. ეს თემა მისთვის და მისი მოდემისთვის, სულიერი ძირის ძიება იყო. უნდა გამოიყოს მისი ნამუშევართა თემატიკიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ელემენტი – ქორწინება, რომელიც ყველაზე აქტუალურადაა ასახული მის ნახატებში. სურათებში, რომელიც გაერთიანებული ციკლია ამ მოტივაციის ნახატებისა, ასახულია ისევ და ისევ სამცხე-ჯავახეთის ებრაელთა ქორწინების წეს-ჩვეულებები, კონკრეტულად ცეკვა „კაბალული“, რომელსაც ტრადიციულად ქორწინლში პატარძლის დედა ასრულებდა – თავზე შემოდგმული „საქარგულიანი“ ნამცხვრით, რომელშიც წმინდა სანთლები იყო ჩარჭობილი, ცეკვას კი ახლდა გუნდური სიმღერა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფერწერული ნახატი „კაბალული“ სხვა მხატვარმა შეასრულა მუზეუმისთვის ერთგვარ იმპრესიონისტურ მანერაში, რომელიც ექსპოზიციებში ბუნებრივად ეხმიანებოდა კობოშვილის ქორწინების სურათების ციკლს, კომპოზიციათა ციკლში ყველაზე მეტად ასახულია „აჯლა“, „აჯილაკი“ (მესხურ-ჯავახური დარბაზი), ეს იყო საქორწინლოდ გამართული, ხალიჩებით მორთული პატარა ოთახი სადაც „ხუფის“ (ქორწინების აქტის) შემდეგ სვამდნენ პატარძალს. ეს და ბევრი ამგვარი ეთნოგრაფიული ელემენტია ასახული კობოშვილის ნამუშევრებში. ფიროსამნისა და კობოშვილის ნახატები ამ მხრივაც მსგავსია. ცხოვრებისეული ყოფითი ელემენტების არაჩვეულებრივი გამოხატვაა თითოეული მათგანში. არ შეიძლება არ ვისაუბროთ ასევე ფიროსამანის იდუ-

მალეებით აღვსილ შეუფასებელ ნახატ – „აქტრისა მარგარიტაზე“, ეს ნამუშევარი მის ერთადერთ განწმენდილ და ამაღლებულ სიყვარულს ასახავს, რომელიც შემდგომ მილიონობით წითელ ვარდებზე შეთხზულ ლეგენდაში გადაიზარდა.

ფიროსმანი და კობოშვილი საქართველოში ქმნიდნენ თავიანთი დროისთვის ორიგინალურ ფერწერას და გაუცნობიერებლად ეხმიანებოდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისის მხატვრული აზროვნების ძიებებსა და მიმართულებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთ ჩვენს მეცნიერს მიუძღვის ღირსეული წვლილი ქართველ ებრაელთა მოსვლასა და კვლევა-ძიების საკითხში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკუთარი ქვეყნის ჟამთააღმწერლის, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სიტყვები: „საქართველოს ებრაელთა შესწავლა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხიაო“. მრავალი ასეთი მოსაზრება და დასკვნა არსებობს, ზოგადად, მათ შესახებ და სწორედ ამ ყველაფრის ფონზეა ღირსეულად აღიარებული შალომ კობოშვილი პირველ ქართველ ებრაელ მხატვრად.

სეფიაშვილი ახდენს შედარებას გრიგოლ რობაქიძის სიტყვების მიხედვით, რომელიც ამბობდა: „ხედავ ფიროსმანს და გვჯერა საქართველო!“ და ჩვენც: ვხედავთ შალომ კობოშვილს და გვჯერა ქართველი ებრაელობა.

ავტორის სიტყვებით კობოშვილის შემოქმედება იყო „მოგზაურობა და ძიება ქართველ ებრაელთა იდენტურობის, ჩვენი ეროვნული კულტურის იდენტურობის“ და აკეთებს ადეკვატურ დასკვნას, რომ „თუ იკარგება ხსოვნა, იკარგება წარსულიც, იკარგება იდენტურობა და კულტურაც და ვიკარგებით ჩვენ“, ის გაიგივებას ახდენს ჰომეროსთან, რომელიც ხსოვნას ასახავს ადამიანის ადამიანად ქცევის აუცილებლობად.

ამ ორი მხატვრის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს უამრავ წვრილმანზე დაგვაფიქრა წიგნში ნაამბობმა, შესაძლოა გვცოდნოდა წიგნიერ ადამიანებს, უბრალოდ მოკვდავებს, ზოგადად, ამ მხატვართა ისტორია და მცირე ბიოგრაფიული ცნობები, მაგრამ არა ასეთი დეტალები, რომელსაც ავტორი ასე საინტერესოდ და გულისხმიერად მოგვითხრობს. სეფიაშვილი ამაყი იყო იმ რეალობით, რომელშიც ის ცხოვრობდა და ამაყობს ამით დღევანდელი ქართველი ებრაელობაც.

ასეთი საინტერესო, სიღრმისეული და თბილი მონათხრობია რომანი „მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“ ოთარ სეფიაშვილისა,

საოცრად პატრიოტული სულისკვეთების ადამიანისა, გენიალური ნიჭის მქონე მეცნიერისა, რომელიც ყველა ჩვენგანს ახსოვს XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც იგი პირველად გამოვიდა თავისი შემოქმედების ასპარეზზე, როგორც კინომცოდნე. მისი ყოველი გამოსვლა საოცარი ენერგეტიკისა და დადებითი მუხტის მომცემი იყო იმდროინდელი საქართველოსთვის, ის ამას ახერხებდა თავისი მცირეხნიანი მონათხრობით ფილმებზე გადაცემაში „ილუზიონი“, რომელსაც ქართულ პოსტსაბჭოთა სატელევიზიო სივრცეში ამ სახელით იცნობდნენ, გადაცემას მოუთმენლად ელოდა მაყურებელი იმ უაღრესად საინტერესო კინოფილმებისთვის, რომელსაც ბატონი ოთარი საოცარი გემოვნებით არჩევდა მათთვის.

დაბოლოს, მივუბრუნდეთ ისევ მის რომანს და აღვნიშნავ, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი მონათხრობი ჩვენთვის. სიმბოლური აღმოჩნდა ისიც რომ ოთარ სეფიაშვილის სიცოცხლეც და რომანიც ერთდროულად დასრულდა. დასანანია ასეთი ადამიანების დანაკლისი, მან ცხოვრება საქართველოდან შორს – ამერიკაში, ნიუ-იორკში დაასრულა.

## **Khatia Tsetskhladze**

### **Book summary “the light-shade of loneliness”**

#### **S u m m a r y**

Another proof of centuries-old history and friendship of Georgians and Jews is the book of the late Georgian writer Otar Sepiashvili who is born in Georgia and working here for certain length of time. The book is called "the light-shade of loneliness ". It is the last breath of the author. It is symbolic that the end of the novel coincided with the end of his life. Every chapter of the book tells about the life and works of artists- our incredible Niko Pirosmani and Shalom Koboshvili – the same for Jewish people as Pirosmani for us. This is the description of life of two genius workers and expression of their huge similarity in moral and material life. It tells us about the works of legendary artists, which was recognized only after their death. This is the vision of the author, story about Georgian Jewish, fallen in love with Georgia, Georgians and his countrymen.

This novel makes us to think about a lot of peculiarities of the life and morality of both artists. Generally the history of these artists and brief biographical notes might be known for us, but not such details, told by the author in such interesting and attentive manners. Sepiashvili was proud of such reality where he lived in and modern Jewish people are proud of it as well.

This is the interesting, depth story of Otar Sepiashvili, of the man with amazing patriotic spirit, the scientist having genius talent which is in memory of all of us since 80s of XX century when he firstly entered the creative arena as cinephile. Every his speech was giving the amazing energy and positive charge to Georgia of that time, he managed to do this through his short stories in the TV program “Illusion”, which was known in Georgia post-soviet space with this name.

Event the fact that the life and novel of Otar Sepiashvili ended simultaneously is symbolic fact. It is provoking that people like him leave us, he ended his life far from Georgia in New-York, USA.

## გურამ პაატაშვილი

### აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა აკადემიკოს გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები“ პირველი და მეორე ნაწილები. ნიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული – „მაესტროს აზრთა სამყარო“. ნიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გათვალისწინებულია ნიგნის მეორე ნაწილიდან – „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- დიდი შემოქმედი თავისი შემოქმედების დიდებული ჟამთააღმწერელია თავისი დროისა, თავისი ეპოქისა.
- ხელისუფალი მაშინ არის გამარჯვებული, როდესაც მასთან ერთად გამარჯვებულია ერიც.
- ქვეყნას, სადაც ღარიბები სჭარბობენ მდიდრებს, მთავრობას თავმოსაწონი არაფერი აქვს.
- ხალხს პურზე მეტად სამართლიანობა სჭირდება.
- ბარბაროსობაა, როდესაც ერთი ერის თუნდაც მცირე ნაწილი ცდილობს, მეორე ერს აუკრძალოს მშობლიურ დედა-ენაზე მეტყველება და აზროვნება.
- თუ პოლიტიკა, როგორც ამბობენ, ბინძური საქმეა, მაშინ არჩევნები მისი ნათლიმამა ყოფილა.
- ადამიანი ისაა, ვინც კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს.
- ერის თვისებები – როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, დროში არ იცვლება, მხოლოდ იხვეწება.

- ქვიანი ადამიანი თვითონ არის თავისი ცხოვრების სცენარისტი, მსახიობიცა და რეჟისორიც.
- ათვისების არსებობას ღმერთის გარეშე აზრი დაეკარგებოდა.
- როდესაც კრიტიკოსს კულტურის ფუნდამენტი აკლია, მისი კრიტიკაც იმავეს არის მოკლებული.
- როდესაც მტრობის, შურის, ღვარძლისა და გაუტანლობის ჭია უხსოვარი დროიდან ღრღნის ერის სულიერებას, ხშირად ერი უფრო კარგავს, ვიდრე პატრონობს თავის ნიჭიერ პიროვნებებს და სულიერ მონაპოვარს.
- უძრაობა, კრიზისი და ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა საერთო განათლების უპერსპექტივობის შედეგია.
- ადამიანებს თავიანთი თვისებების გამო, ყველაზე მეტად ერთმანეთის პატიება ესაჭიროებათ.
- ზოგიერთებისთვის ერთჯერადი მოხმარების არაფერი არსებობს, ყველაფრის მრავალჯერადი მოხმარება სურთ, და ისიც, მუდმივად.
- მშვენიერების მოტრფიალე სხვებსაც მშვენიერების აღქმას აჩვენებს.
- უმნიშვნელო საქმის უფროსიც კი პატარა დიქტატორივითაა ხოლმე, სანამ ვინმე რაიმე კარგ წინადადებას მოიფიქრებს, მას უარყოფითი პასუხი უკვე მზადაა აქვს.
- ზოგჯერ შეუძლებელია ცხოვრება რაიმეს შეადარო, ის არაფერს გაგონებს. „აბსურდის სპექტაკლს“ ბოლო არ უჩანს და აღარც მაყურებელი ჰყავს.
- მხოლოდ კეთილისმსურველს შეუძლია გირჩიოთ ხშირად სარკეში ჩახედვა.
- ძალადობა ბრძოლის არაეფექტური მეთოდია. თითოეული მოკლულის ადგილზე ორი, ზოგჯერ კი ასობით მიმდევარიც კი შეიძლება გამოჩნდეს.
- სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა სიკეთის გარდა სხვა ყველაფრის კეთებას ჩქარობს.
- მუსიკა ადამიანის სულის სიმფონიაა.
- მონატრებისა და სიყვარულის გრძნობის მუდმივად გაღვივება გულანთებულ და ერთგულ ადამიანებს ძალუძთ.



- როდესაც ხელისუფლებამ არ იცის, რა აკეთოს ან როგორ იმოქმედოს, ტრადიციულად ხალხს ერთი მხრიდან მეორე მხარეს აბურთავებს.
- საშინელებაა, როცა შენს გარშემო ნელ-ნელა ვინროვდება საყვარელი ადამიანების წრე, მათ ადგილს სხვა ვერაფერს იკავებს და სიცოცხლეს მინორული ჰანგები თრგუნავს.
- საპირისპირო მოვლენები ერთმანეთს ავსებენ და ინტერესს აღძრავენ.
- დამნაშავეები იქამდე იბოგინებენ, სანამ მათი შექმნისა და არსებობის ხელშემწყობი პირობები იარსებებს.
- ვინც საკუთარ თავს იზოგავს, ის მნიშვნელოვანს ვერაფერს მი აღწევს.
- იუბილე – ესაა განსაკუთრებული დრო ადამიანისთვის, შეაჯამოს წარსული და განჭვრიტოს მომავალი.
- არცთუ იშვიათად სიყალბისა და ხალხის მოტყუების ყველაზე ცივილიზებული საშუალება – არჩევნებია.
- პატივბამ ადამიანს შესაძლოა წარსული არ დაავინყოს, მაგრამ მომავლის შეცვლაში დახმარება აღმოუჩინოს.
- პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე მოღვაწის ყოველი სიტყვა, ყესტი, გააზრებულია წარსულის გათვალისწინებით და პერსპექტივის მონიშნების მქონეა.
- გამჭვირვალე ხელისუფლებას ცოდვებიც გამჭვირვალე აქვს.
- უფალმა ქალი მამაკაცზე მოგვიანებით ალბათ იმიტომ შექმნა, რომ თავი აერიდებინა და არ მოესმინა ქალის რჩევები მამაკაცის შექმნის პროცესში.
- აუცილებელია კლასიკასთან ზიარება, ადამიანები დაცულები უნდა იყვნენ უხამსი ხელოვნების ზეგავლენისგან.
- ზოგჯერ ყველაზე დამამცირებელი პასუხი დამცინავი დუმილია.
- შემოქმედის ხელწერა თანამედროვე და ინდივიდუალურია. თვალთახედვა და შინაარსი ღრმა და მრავალმხრივი, ფორმა – ორიგინალური, სული კი – ეროვნული.
- რა ეშველებათ რომანტიკოსებს? ზოგიერთ მამაკაცს ორმოცი წლის ასაკშიც კი ისევ სჯერაზღაპრებისა, განსაკუთრებით, როცა ამ ზღაპრებს ლამაზმანები უმღერიათ.

- პიროვნებას, შემოქმედს გარემო პირობები, ერი, მისი სულიერი რაობის დონე, ენის, კულტურისა და აზროვნების ფაქტორი, ფსიქიკური წყობა, წარმომავლობის გენეტიკა წარმოშობს. ხოლო შემოქმედის ძალა პიროვნებაშია და არა ერში.
- კაცობრიობის მთელი ისტორია მოქმედებისა და მიზანსწრაფვის ისტორიაა, თავისუფლებისკენ სწრაფვის ისტორიაა.
- მოხუცისგან განსხვავებით, ახალგაზრდას არ ახასიათებს წარსულის ტრფიალი, იგი თავისი დაუოკებელი ენერჯით წინ მიჰქრის, ოცნებობს, მას მხოლოდ ხვალისკენ მიუხარია და მომავლისა სწამს.
- სულიერი მემკვიდრეობა მთელი კაცობრიობის კულტურული განძი და მონაპოვარია.
- ადამიანმა სიცოცხლე ღირსეულად უნდა განვლოს, არ უნდა გადაიქცეს ტვირთად და ცარიელ ადგილად.
- ნოვატორობა, ახალი აზროვნება ისტორიული განვითარების ბუნებრივი, ლოგიკური შედეგია. ეს არის სიახლე, შემოქმედებითი მხატვრული მოვლენა, რომელიც წარმოიშვება როგორც აუცილებლობა და არა როგორც შემთხვევითობა.
- შემოქმედი – ნოვატორი თავისი დროის ნათელი წარმომადგენელია.
- შემოქმედის ჭეშმარიტად მაღალი ქმნილება ყოველთვის ზოგადია, ყველასთვის გასაგები, უნივერსალური და, ამავე დროს, ეროვნული.
- ადამიანს ბედნიერებისთვის ყველაზე მეტად სიყვარული სჭირდება.
- ორი მოსიყვარულე ადამიანის ცხოვრება – ეს მთელი სამყაროა.
- ჭეშმარიტი შემოქმედება მხოლოდ ერთი საშუალებითაა მისაღწევი – ნიჭიერებით, გულითა და აზროვნებით.
- აღმზრდელებმა უფრო მეტი უნდა იფიქრონ იმაზე, რა მისცენ და ასწავლონ აღსაზრდელებს, ვიდრე იმაზე – რა მოსთხოვონ. არ უნდა მოითხოვონ მათგან ის, რაც თავად უკვე იციან. ყველაფერს თავისი დრო აქვს.
- ნიჭიერ და გენიოს ადამიანებზე ნადირობა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც აქტუალური იქნება. სალიერის სინდრომი ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.

- როცა მუსიკა აღარ ჟღერს და ჩიტებიც შეწყვეტენ ჭიკჭიკსა და გალობას, ეს დიდი უბედურების მომასწავებელია.
- ყველაფერი – კარგიც და ცუდიც სათავედან მოდის.
- ხშირად ვნების არსი მხოლოდ ქონება კი არა, სახელი და დიდებაცაა.
- ბრძნული აზრი – გონებამახვილობის, სიტყვათა და აზრთა უშრეტი საგანძურია.
- გამუდმებით თანაგრძობამ ზოგჯერ შესაძლოა სიბრალული, შემდეგ კი სიძულვილიც გამოიწვიოს.
- არიან ისეთი ქალები, რომელთა მოძებნა ძალიან ძნელია, დაკარგვა კი – ძალიან ადვილი.
- უბედურებაა, როცა ერთ დროს თავმომწონე ხალხი ისეთ მამლებს დაემსგავსებიან, რომლებსაც ადრე ყივილი შეეძლოთ, ახლა კი დადუმდნენ და დადედლდნენ. ადრე ჯიშისანი დღეს მხოლოდ კრიახებენ და კვერცხებს დებენ.
- მკვლევრის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მეცნიერება და მისი განვითარება, არამედ იმ მემკვიდრეობის ზუსტი აღწერა, რაც შემორჩენილია.
- ყველა ქვეყანას და ხალხს თავისი კანონები აქვს, სამყაროში ყოველთვის კი მხოლოდ ერთი – ღვთის კანონი არსებობს.
- უნიჭობა საშიში და ხშირად დამანგრეველიცაა, მაგრამ მასზე უფრო საშიში ზოგჯერ ახირებული ადამიანის ნიჭიერებაა.
- ვისაც სამოქმედო გეგმები არასოდეს გააჩნიათ, ისინი ყოველთვის საშიშნი არიან თავიანთი გაუცნობიერებელი და სპონტანური ქმედებებით.
- დიდი ეპოქა ჭეშმარიტი შემოქმედის მხრებზე გადაივლის.
- შემოქმედებითი ნიჭი, ოსტატობა, მაღალინტელექტუალურ გაგებასთან უნდა იყოს შეზავებული. ნიჭი და გონიერება, აი, რა არის მთავარი.
- ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მხოლოდ თავისუფლების ფასის განსაზღვრაა შეუძლებელი, თავისუფლება, ისევე, როგორც სიცოცხლე, ფასდაუდებელია.
- მუზა, შემოქმედებითი პროცესი, ოსტატობა – ჯადოქრობაა. იგი ჭეშმარიტი სულიერი ქმედება და აღმაფრენაა.

- ყველაზე ერთგული და საიმედო მეგობარი – წიგნებია.
- თავისუფალი შემოქმედი თავის ტალანტსა და სურვილზეა დამოკიდებული. რაც უფრო ღრმა და მრავალფეროვანია მისი ინტელექტუალური თვალსაწიერი, მით უფრო ფართოა მისი შემოქმედება.
- ადამიანი მთელი სიცოცხლე ეძებს თავის სულიერ მეგობარს, და, საერთოდ, ადამიანის არსება სიყვარულისკენ არის მიდრეკილი.
- უძველესი ნიმუშები, ქვაში გაცხადებული ხელოვნება, ანტიკური ხანის უტყუარ ამბავსა და ისტორიას გვამცნობს. ეს მოლაპარაკე ქვები სულიერ ხიდს ქმნიან უხსოვარი დროის, ჩვენსა და ჩვენს დიდებულ წინაპრებს შორის, უწყევ წნმენას გვინერგავენ სიცოცხლისა და ადამიანის გენის მარადიულობისა.
- გამოცდილი და ჭკვიანი პოლიტიკოსი არასოდეს კარგავს ზომიერების გრძნობას პოლიტიკაში.
- ყველაფერი იყიდება, არ იყიდება მხოლოდ ჭეშმარიტი შემოქმედის ტალანტი, სული და შთაგონება.
- ისინი, ვინც თითქოს ყველაფერს აკეთებენ ქვეყნისა და ხალხისთვის, ზოგჯერ რატომღაც ავიწყდებათ ადამიანი.
- შემოქმედი უნდა წარმოადგენდეს თავის დროს, ახალს იმ თვისებებით, რომელიც ეპოქამ წარმოშვა.
- ის შემოქმედია საინტერესო და ნაყოფიერი, რომელიც არასდროს მეორდება, მუდმივად ამრავლებს და ამრავალფეროვნებს თავის შემოქმედებას.
- ცხოვრება ბრძოლის, ბოროტების, სიკეთისა და აღმშენებლობის სარბიელია.
- კონსერვატორები პროტესტს უცხადებენ ყველაფერს, რაც მათთვის მიუღებელია. მაქსიმალისტები კი ამტკიცებენ, რომ ის, რაც დღემდე არსებობდა, უკვე ისტორიას ჩაბარდა, სრულებით დაკარგა მნიშვნელობა ან ინტერესმოკლებულია. თავად კი მნიშვნელოვანს, მითუმეტეს, ღირებულს ან ახალს ვერაფერს ქმნიან. მხოლოდ შინაგანად თავისუფალ, ნიჭიერ და თანამედროვე აზროვნების შემოქმედს ძალუძს სიახლის შექმნა.
- ჭკვიანი ადამიანი უფრო მეტს უსმენს, ვიდრე ლაპარაკობს. რაც უფრო ნაკლებია მასში „მე“, მით უფრო მოგებელი და ბედნიერია ადამიანი.

- შემოქმედი, რომელიც ვერ ამჩნევს და ვერ გრძნობს დროის ინტონაციას, სიმახვილეს და მაჯისცემას, მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- სამშობლო არ იყიდება. გაყიდული სამშობლოსგან ვერც მყიდველი და ვერც გამყიდველი ვერ გაიხარებს.
- შემოქმედს არასოდეს არ უნდა ტოვებდეს თავისი დროისა და ერის სულის შეგრძნება.
- კარგი მუსიკა თავად იპოვის მსმენელს.
- დიდი ეპოქა ჭეშმარიტი შემოქმედის მხრებზე გადაივლის.
- ტაძრის ჭეშმარიტი მსხვრევა ადამიანის გულეში მომხდარი მსხვრევაა.
- ზოგჯერ ქვეყანა ცოცხალ მოღვაწეთა პანთეონად არის ქცეული.
- სცენას საოცარი სამკურნალო თვისებები აქვს. სპექტაკლის მსვლელობისას როგორც კი მასზე მსახიობი ფეხს შესდგამს, აღარც ტკივილს გრძნობს და ავადმყოფობაც ავინყდება.
- ზოგჯერ რეალურ პასუხებზე უფრო საშიში, პასუხგაუცემელი კითხვებია.
- როცა ჭკვიან კაცს ჭკვიან ადამიანთან საუბარი მოესურვება, თუ მას ვერ იპოვის, საკუთარ თავს ელაპარაკება ხოლმე.
- ადამიანებში ბოლმა და შური ყველა სხვა გრძნობას ფარავს.
- უდიდესი ბედნიერებაა შენს შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი დატოვო. ამას ყველა როდის ახერხებს, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.
- შესაძლოა, ბედნიერებისათვის ბევრი არც არის საჭირო და მცირედიც საკმარისია, მაგრამ რა არის ეს მცირედი, არავინ იცის.
- ზოგჯერ არჩევნები აუქციონს ემსგავსება, ვინც მეტ ფულს იხდის, ის იმარჯვებს.
- ადამიანის მრწამსი, პროფესიული, საზოგადოებრივი თუ ეროვნულ-სასულიერო მოღვაწეობა, მისივე საქმიანობასა და შემოქმედებით მემკვიდრეობაშია გამჟღავნებული.
- ზნეობრივ ადამიანთა დეფიციტის ხანაში ყველაზე მთავარი ფასეულობა სწორედ ზნეობრიობაა.

- თუ ქალს შინაგანი სილამაზე არ გააჩნია, მხოლოდ გარეგნული სილამაზით ვერ გაიბრწყინებს.
- ლალატს ადამიანის სიკვდილში დიდი წვლილი მიუძღვის.
- გლობალიზაციის დროს ის ხალხი და ქვეყანა გადარჩება, რომლებიც სულიერებას შეინარჩუნებენ.
- უნიჭო ნიჭიერზე უფრო შეუპოვარია, ის გაცილებით მალე და იოლად ახერხებს ცხოვრებაში თავის გატანას და დამკვიდრებას.
- გენიოსების გამონათქვამებში დიდი სიბრძნე გამოსჭვივის. დიდი სიბრძნე ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეიძლება მოუვიდეთ აზრად, მაგრამ ყველა გენიოსი ვერ იქნება.
- ანტიადამიანური ნებისმიერი აქტის გამოვლინება მათი განმხორციელებლებისა და სულისჩამდგმელთა მახინჯი ბუნების გამოვლინებაა.
- რევოლუციის მამები თავიანთი ოცნებებისა და მიზნების განსახორციელებლად არაფერს იშურებენ, არც ტყვიას და არც ხალხისგან წაგლეჯილ ფულს.
- თეატრის კულისებს მიღმა საინტერესო სამყაროა დაფარული. რაც იქ ხდება, თავისებური თეატრია, გარედან ცოტა ჩანს, ბევრი კი გასაიდუმლოებულია.
- ლეგენდარული პიროვნება ისტორიაში ლეგენდად დარჩება, უფრო სწორად, ლეგენდა ლეგენდებში გადაინაცვლებს.
- ხალხისთვის ნებისმიერ დროს აუცილებელია კლასიკა და მაღალი დონის თანამედროვე ხელოვნება.
- შემოქმედი ადამიანები ეპოქის შემოქმედნი და მშვიდობის მებაირახტენნი არიან.
- ჭკვიანი პოლიტიკოსი ის კი არ არის, ვინც დაპირებას იძლევა და დროულად ასრულებს, არამედ ის, ვინც პირობას იძლევა და დროს არ აზუსტებს.
- შემოქმედება დაფუძნებულია შემოქმედის ნიჭზე, აზროვნებაზე, ინტუიციაზე, ალღოზე, ფანტაზიასა და ინტელექტზე.
- ეროვნული კულტურა საერთო-საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი მონაპოვარია.
- ზოგჯერ ვარსკვლავები თავად აქრობენ საკუთარ სიკაშკაშეს, ზოგჯერ კი სხვები ეხმარებიან ამაში.

- გიყვარდეს, ოცნებობდე, უყვარდე უდიდესი ბედნიერებაა. ამ თვისებების გარეშე შეუძლებელია ბედნიერი იყო.
- ხანდაზმულობაში სულით ახალგაზრდობა მხოლოდ ძლიერთა და ნიჭიერთა ხვედრია. მთავარია, არ ჩამორჩე დროის მაჯის-ცემას, ინტერესებს, შემოინახო მარად ახლის ძიების სურვილი, შინაგანად ახალგაზრდა დარჩე სულით, ენთუზიაზმით, მიზან-სწრაფვით.
- კულტურის ისტორია ერის ისტორიაა, მაჩვენებელი მისი სიბ-რძნის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი დონის.
- ტალანტის დაკარგვა შეუძლებელია. კაპიკია ფასი ისეთი ტა-ლანტისა, რომელიც შეიძლება დაიკარგოს რაიმე ზეგავლენით.
- შემოქმედი – ეს ბუნებისა და ღვთის მადლით დაჯილდოებული ადამიანია.
- გულდასაწყვეტია და, ამავე დროს, ღიმილის მომგვრელია, ის-მინო სიცრუე, როდესაც სიმართლე იცი.
- შემოქმედის ის ქმნილებაა სიცოცხლისუნარიანი, რომელიც ეროვნული საწყისიდან ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდეა ამაღლებული.
- დრო მხოლოდ სამყაროსთვის არის უსასრულო, ხოლო ადამია-ნისთვის ყოველი წუთი დათვლილია და დრო უმცირესია.
- ქორეოგრაფიის საბალეტო ენა, დრამატურგია მუსიკის პოეტუ-რი პლასტიკური ენითა და არტისტიზმით ამეტყველების გასა-ოცარი სამყაროა.
- ავტორისა და შესრულების ტანდემი ფრიად მნიშვნელოვანია. ეს ორივე ფენომენი ერთი მთლიანია.
- სანამ ცოცხალი ხარ, უკვალოდ არაფერი იკარგება, მეხსიერება უდიდესი განძია.
- კულტურული აღორძინება ეფუძნება არა მხოლოდ ერთეული ადამიანების, არამედ რელიგიისა და სახელმწიფოებრივ სამყა-როს.
- ცივილიზაციის მიზანია, რომ გონებამ და ნიჭიერებამ იმეფოს.
- ყველა ხალხს თავისი კულტურა აქვს. კულტურა კი ერი და ხალხია.
- ახალგაზრდობას სილამაზე და შემართება შვენის, სიბერეს კი სიბრძნე.

- ქვეყანას კანონი და სალი აზრი უნდა მართავდეს და არა ძალა.
- ისტორიის სიმართლეს ზოგჯერ სიცრუედ აქცევენ, შეთხზულს კი სიმართლედ, მაგრამ ორი სიმართლე არ არსებობს, სიმართლე ერთია.
- პოლიტიკოსობა მაშინ არის ბინძური საქმე, როცა არც საზოგადოება ანგელოზთა განსახიერება.
- ერს, საზოგადოებას და ხელისუფლებას თავისი წინაპრების ტანჯვა, ტირილი და შეგონება ყოველთვის უნდა ესმოდეთ.
- ჭკვიან ადამიანს, ბრიყვისგან განსხვავებით, ცვლილებები ახასიათებს.
- ხელისუფლება თავისი ხალხის წიალიდან არის გამოსული და იმ ზნე-ჩვეულებების მატარებელია, რაც მემკვიდრეობით ერგო.
- ისტორიკოსებს აინტერესებთ „ვინ?“, „როდის?“, „რა მოხდა?“, შემოქმედს – „რატომ?“, ფილოსოფოსი კი აზრის მიმართულებისკენ მიემართება. როდესაც კითხვები პასუხგაუცემელი რჩება, ადამიანი ვერ ეგუება, მუდამ გაფაციცებით მის ძიებაშია და თითოეული მათგანი თავის პასუხს პოულობს.
- ვინც არ კითხულობს, ის არც წერს. ვინც წერს, ის კითხულობს და სხვებსაც ათვითცნობიერებს.
- ყველა უნდა ჩაფიქრდეს და გაერკვეს, თავისი ინერტულობით ბრალი ხომ არ მიუძღვის ქვეყნისა და ხალხის წინაშე.
- ვინც ადამიანებს მათი ეროვნული წარმომავლობის გამო განსჯიან და ჩაგრავენ, ისინი თავიანთ გონებრივ და ზნეობრივ სიმწირეზე მიუთითებენ.
- იუმორი ინტელექტისა და სხარტი აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
- უნიჭობის, არაპროფესიონალიზმის, უგემოვნობისა და პროვინციალიზმის ზეობა ადამიანების გამოთაყვანებას და ტვინის გამორეცხვას, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების შელახვას ემსახურება.
- ადამიანები უკეთესის ძიებაში ზოგჯერ იმასაც კარგავენ, რაც აქვთ.
- შრომამ მაიმუნი ადამიანად აქცია, ზოგჯერ კი, არსებული გარემოების გამო მათი უმრავლესობა ისევ თავის სანყის მდგომარეობას უბრუნდება.



- ქეშმარიტი შემოქმედი ვერასოდეს ითამაშებს უტყვი, დამონებული ადამიანის როლს.
- ეპოქალური პიროვნება აღიქმება როგორც უნიკალური ისტორიული ფენომენი და მისი საუკეთესო განსახიერება.
- შემოქმედს, მეცნიერს, ღირსეულ და ღვანლმოსილ ადამიანს ჩინ-მედლები არ სჭირდება, ის თავისი ღვანლით მაინც დარჩება ერის ისტორიაში.
- მუსიკა ოდითგან სულიერი აუცილებლობაა ადამიანის ყოფისა.
- ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავების სიმღერა და ჰანგები ისე არავის ჩაესმის, როგორც ხელოვანს.
- მუსიკა თავისი ღვთაებრივი ჟღერადობით ყოველთვის ზღაპრულ სამყაროს და დღესასწაულს ქმნის.
- ქეშმარიტი ხელოვნება პროგრესისა და უზომო ბედნიერების წყაროა.
- რაიმე დიდებული რომ შექმნა, ამისთვის საჭიროა ნიჭიერება და უფალთან მეგობრობა.
- შემოქმედის ქმნილება ხან ელვარეა, ხალასი, ხან ბობოქარი, მოვარდნილი შმაგი, ხანაც ნაზი, მშვიდი.. მის ყველა ქმნილებაში შეიტყობ და ისმენ ცხოვრების რიტმს, დაძაბულ მაჯისცემას, სუნთქვას, დიდებულ პოეზიას და მუსიკალურ ჰანგებს, ფერთა სიმფონიას.
- კაცუნა, ქონდრის კაცი, ნახევარკაცი არც იქით არის, არც აქეთ, არც კაცია და არც არაფერი. მის კაცობას ვერ გაიგებ, ვერ იგრძნობ, ვერ მიხვდები. არც გაჭირვებაში ვარგა და არც ლხინში. მლიქვნელი, გაიძვერა და ტაკიმასხარაა. ხან ჭკვიანური სახის გამომეტყველებით, სერიოზული მზერით დინჯად მოძრაობს, ცდილობს არ გაიღიმოს, ხან კი ყურებამდე კბილებდაკრეჭილი, მუხლებზე ხოხვით ფეხქვეშ ეფინება მისთვის საჭირო პერსონებს. ვერაგი და დაუნდობელია, მოსაჩვენებლად კი საცოდავი და მიუსაფარი. კაცუნას ტანიც პატარა აქვს, ზოგჯერ კი შეიძლება სიმაღლე არ აკლდეს, მაგრამ ქონდრის კაცის დამახასიათებელი ტანი ხომ არ არის, სულია!
- ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს წარსულის მოგონების გარეშე. წარსული, ისტორია ცოცხლობს ადამიანების, ერის, ხალხის გენეტიკურ მეხსიერებაში და თაობიდან თაობაში გადადის. დრო, მანძილი, სიშორე არ არსებობს აზრში. წარსული, ისტორია სიძველე არ არის. სიძველე ადრე თუ გვიან კვდება. ადამია-

ნის წარმოდგენაში, აზრში, თაობათა მეხსიერებაში კი ისტორია არ კვდება, მარადიულად არსებობს, ცოცხლობს.

- არიან ისეთები, რომლებსაც გუშინდელი დღით აზროვნება სჩვევიათ. ისინი უკვე აღიარებულს და გამოცდილს უფრო ენდობიან, ვიდრე ჯერ უცნობს, ხვალინდელს. ზოგიერთს წარსულზე უფრო მეტად მომავალი ხიბლავს. ეს ადამიანები ცდილობენ დროს გაუსწრონ, აანონსებენ ხვალინდელ მოვლენებს. კონსერვატორებისგან და ნოვატორებისგან განსხვავებით, ისეთებიც არიან, რომლებიც ებრძვიან ყველაფერს, გუშინდელსაც და ხვალინდელსაც. მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე, ცნობიერებაზე, გემოვნებაზე და ამუხრუჭებენ წინსვლას, ებრძვიან ძველსაც და ახალსაც. ცდილობენ, ფართო მასებს თავს მოახვიონ თავისი სიახლე, ზოგჯერ თითქოს საინტერესო, ხშირად კი ბურუსით მოსილი.
- ზოგჯერ ადამიანს ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული უშლის ხელს, მაგრამ ვერანაირად ვერ ახერხებს, უგულო გახდეს.
- მხიარული და კეთილი გული ბუნების საჩუქარია.
- დიდებული აზრები სიტყვებით გამოითქმევა და დიდებული იქნებოდა ეს სიტყვები, აზრს რომ არ იცვლიდნენ ხოლმე.
- პიარის მოყვარულთა უმრავლესობა ეროტიკით იწყებს და სრული პორნოგრაფიით ასრულებს ხოლმე.
- როცა ადამიანი აღარ განასხვავებს ეროვნულობას, კულტურას და ტრადიციებს, კაცობრიობის ისტორიაც დასრულდება.
- როცა წმიდა ტაძარი ინგრევა, ხალხი ხანგრძლივ დევნილობასა და უბედურებაში აღმოჩნდება, მაგრამ ტაძარი კვლავინდებურად ხალხის სულში რჩება მარადჟამ.
- კეთილშობილი ადამიანი სხვის სიყვარულშიც საკუთარ ბედნიერებას პოულობს.
- სინანული გონიერებასთან ერთად მოგვიანებით მოდის.
- ქორწინება სიყვარულის ხანგრძლივი და ძვირადღირებული სიამოვნებაა.
- ქალის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა, როცა ის შეყვარებულია.
- გონებისთვის სიცილი და იუმორი უფრო მარგებელია, ვიდრე სინანული ან მრისხანება.

- სამართალი მაშინ ზეიმობს, როცა კანონი კანონობს. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ყოველთვის არ კანონობს, სამართალიც შესაბამისად ყოველთვის ვერ ზეიმობს.
- სანდო და მისაბაძი, ერთგული და თავმდაბალი ადამიანის ადგილი თანამედროვე ცხოვრებაში სამწუხაროდან აღარ დარჩა, ან გაუფასურებულია.
- მეგობრობა უძვირფასესი განძია, მაგრამ ადამიანების დიდი რაოდენობა მანამდე მეგობრობს, სანამ ეს მისთვის ხელსაყრელია.
- ყველა დროს თავისი სირთულეები და აღმაფრენის წარმატებები ახლავს. ის ზემოქმედებს და ცვლის ადამიანების მენტალიტეტს.
- ცხოვრებაგამოვლილ ხანდაზმულ ადამიანს ბევრ კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა, მაგრამ სამწუხაროდ, შვილიშვილების გარდა მას არავინ არაფერს აღარ ეკითხება.
- ზოგიერთ რეალობას სიცოცხლის ბოლოს თუ უსწორებ ხოლმე თვალს.
- შეყვარებულები ქორწილამდე ერთმანეთს ფართო თვალებით უცქერიან, ქორწილის შემდეგ კი ხშირად საამისოდ დრო აღარ რჩებათ.
- ნურავის ჰგონია, რომ ვარდებით მოფენილი გზით ამოყოფენ სამოთხეში თავს, ეს გზა ნარეკლიანია!
- როცა გიყვარს, თავისუფალი არა ხარ, ვინც გიყვარს, იმაზე ხარ დამოკიდებული.
- უცხო ქალაქში ზოგჯერ ისეთი განწყობა გეუფლება, თითქოს ადრეც ყოფილხარ და გიცხოვრია. ადამიანების უმრავლესობისთვის ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
- ქალი უსაზღვროდ ბედნიერი მაშინ არის, როდესაც ის საყვარელ ადამიანს უყვარს.
- ადამიანმა თავისი ბედნიერებისთვის ზოგჯერ თვითონვე უნდა გამოიგონოს და შეთხზას პატარ-პატარა ზღაპრები და თავგადასავლები.
- ადრე გვასწავლიდნენ, თუ როგორი იყო ხალხი და ქვეყანა, გვხიბლავდნენ მისი გმირებითა და იდეალებით. დღეს ტელევიზია, რადიო, კინო თუ ესტრადა ძერწავენ და წარმოაჩენენ ჩვენი დროის ახალ მისაბაძ გმირებს: ოლიგარქებს, პოლიტიკო-

სებს, ბანკირებს, ვინ რა სიმდიდრე დააგროვა და რა შეიძინა. ყოველდღიურად გვესმის და ვკითხულობთ, ვინ ვისთან წევს და დროს სად და როგორ ატარებს. ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან თანდათან ქრება დადებითი გმირის სახე. ჩვენ თვალწინ იცვლება სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა.

- არსებობს გენეტიკური მემსიერება იმის შესახებ, რომ არც ერთი რევოლუცია რაიმე მნიშვნელოვანი სიკეთით არ დასრულდება. ნგრევა და სიკვდილი რევოლუციის მონაპოვარს აფერმკრთალებს.
- ტალანტი ისეთ ძალას, მომხიბვლელობას და შუქს აფრქვევს, რომ შეუძლებელია მისი ზეგავლენის სტიქიაში არ აღმოჩნდეს.
- მუსიკის ღვთიურ სამყაროში მხოლოდ ღმერთები მღერიან.
- დრო ყველაფერს წარსულის ფურცლებად აქცევს შემდგომი თაობებისთვის.
- სიკვდილთან მიახლოება ადამიანს აიძულებს დააფასოს სიცოცხლის მშვენიერება.
- სიცოცხლის მოტრფიალე გონიერი ადამიანი ბნელშიც კი ნათელს ეძებს.
- შემოქმედმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რა არის დღეს და ხვალ მნიშვნელოვანი და რა და როგორ უთხრას ხალხს.
- რომ გააკრიტიკო, კრიტიკის მორალური და პროფესიული უფლება უნდა გქონდეს.
- იუმორის შეთხზვას და გაგებას სხარტი აზროვნება და ინტელექტი სჭირდება.
- ადამიანთა უმრავლესობა ხელოვნებას უფრო შეიგრძნობს, ვიდრე ესმის.
- დაუშვებელია, გვერდი აუარო იმგვარ უდიდეს სიმდიდრეს და უშრეტ წყაროს, როგორც ეროვნული საუნჯეა, გამოტოვო განვითარების უდიდესი მიღწევა, ეს ტოლფასია გააკეთო დიდი ნახტომი ადამიანის სულიერებისა და შინაგანი სამყაროს მიღმა. გზასაცდენილი ჭეშმარიტებას ვერ ეზიარება. თანამედროვე პროგრესი არ ნიშნავს, გამოიყენო მხოლოდ ტექნოლოგიური ხერხები.
- ადამიანს, რომელსაც არ უყვარს და არ აინტერესებს ხელოვნება, მან შეიძლება საკუთარი თავიც ვერ შეიცნოს.

- მუსიკა და, საერთოდ, ხელოვნება ადამიანის სულიერი ცხოვრებისთვის ისევე აუცილებელია, როგორც პური, წყალი და ჰაერი.
- ხელისუფლების მანკიერი სენი ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ბიუროკრატიზმია, ჩინოვნიკთა მონური დამოკიდებულება თავიანთ უფროსებთან.
- ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ცოდნაში შეიძლება ჩარმორჩეს ადამიანი თავისი დროის ტექნოლოგიის განვითარების პროცესებს, მაგრამ სულისა და გრძნობის საკითხებში ადამიანი თავის დროს ვერ ჩამორჩება. ეს გრძნობა მარადიულია. სილამაზისა და მშვენიერების ცნებას იგი თავისი დროის წარმოდგენით ითვალისწინებს.
- კლასიკური მუსიკა აყვანილი უნდა იყოს ადამიანების აზროვნების უმაღლეს საფეხურზე. მუსიკა შესისხლბორცებული უნდა იყოს მათ ყოფაში, როგორც თანამდევნი და აუცილებელი სულიერი საკვები.
- შემოქმედი თავისი ქმნილებით ქმნის და აშენებს დიდ სილამაზეს, სულიერებისა და კულტურის ტაძარს.
- ხალხი მომთმენია, მაგრამ ერთხელაც თუ იქუხა, ცას და დედამინას შესძრავს.
- მზუუტავი ან ნახევრად ჩამქრალი ვარსკვლავით ხელოვნება ვერ იზივმებს, მას მხოლოდ კაშკაშა ვარსკვლავი გააბრწყინებს.
- ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს, დემოკრატიული ვერ იქნება.
- ერის საბოლოოდ დამარცხება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა სულიერებასა და რელიგიას გამოაცლი და ურწმუნო არსებად გადააქცევ.
- ისე არაფერი წარმოჩენს და ახასიათებს დროს, როგორც ესთეტიკა. წარმავალი ესთეტიკის ცოდნა ადამიანებს საშუალებას აძლევს იმ დროის წარმოდგენისა, რომელშიც თავად არ უცხოვრია.
- იუმორი მხნეობას მატებს ადამიანს, გადალახოს ცხოვრებისეული ქარტეხილები, ის საუკეთესო იარაღია შიშისა და ტანჯვანამების დასამარცხებლად.
- ხელისუფლება ხალხის ცრემლებს ხედავს, მაგრამ ხშირად მათი ტირილის ხმა არ ესმის.

- უცოლო და ცოლიან კაცებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი შინ ყველაფერს თვითონ აკეთებს, მეორეს კი ცოლი აკეთებინებს.
- ვინც ძალაუფლების შენარჩუნებას ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებს, საბოლოოდ ვერც ტახტს შეინარჩუნებს და ვერც ქვეყანას.
- შემოქმედი ადამიანისთვის უცხო არ არის აღმადგენა და უეცარი დაცემა, იმედგაცრუების აღფრთოვანებით ჩანაცვლება და პირიქით.
- ქალები იმიტომ არსებობენ, რომ მამაკაცებს მუდმივად სიხარული და პრობლემები არ მოაკლონ.
- შემოქმედმა უნდა დაძლიოს წინააღმდეგობანი და თავისი მოღვაწეობით სხვასაც დაანახოს გზა და საშუალება ამ სიძნეელების გადალახვისა.
- ახალგაზრდა ქალს დედობა მოთმინებას ასწავლის.
- საყვარელი ადამიანი თუ გვერდით არა გყავს, შინაც რომ იყო, თავს უხალისოდ და დაჩაგრულად გრძნობ.
- ყოფილი დიდი ადამიანები არ არსებობენ. ისინი ყოველთვის დიდები არიან.
- ცუდისა და უინტერესოს გარდა, ცხოვრებაში ყველაფერი მისაღებია.
- თავისუფლებისკენ ყველა მიილტვის, თუნდაც საამისოდ მზად არ იყვნენ.
- რაც უფრო დაბალი აქვს ადამიანს ინტელექტი, მით უფრო ხმაურობს და ბაქიბუქობს.
- მონების გასამართლება პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მიზეზი მაღალ ეშელონებშია საძიებელი. მათ ისედაც ცხოვრებაში მუდმივი კატორღა აქვთ მისჯილი.
- წარმატება და აღიარება ყველას სურს, ყველას მოსწონს, მაგრამ ყველას როდი უღიმის ბედი. ზოგჯერ დროულად, ზოგჯერ კი უდროოდ, ხშირად დაუმსახურებლად განიცდიან წარმატების ნეტარებას, მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა.
- სიძლიერე ძალის გამოყენებას არ ნიშნავს. ადამიანის სიძლიერე ისაა, რომ სხვას ჩაჰბეროს ძალა, გააძლიეროს და ახლობლები დაცული ჰყავდეს.

- მუსიკა, პოეზია, მხატვრობა ადამიანს აკეთილშობილებს, მასში თანაგრძნობასა და სიკეთისკენ ლტოლვას აძლიერებს, ნათელ პიროვნებად აყალიბებს.
- ოპტიმიზმით აღსავსე ადამიანში მინორიც ისეთი ხალისიანი და სიცოცხლით სავსეა, როგორც მაჟორი, ცხოვრებისეული მუქი ფერები გაცისკროვნებულია კაშკაშა ნათელი, მზიური სხივებით.
- მასწავლებლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ სწავლულთა რიცხვი სწავლების დონის საზიანოდ არ უნდა იზრდებოდეს.
- სამყაროს სიკეთე მართავს – ჩუმი, შეუმჩნეველი სიკეთე!
- როდესაც ადამიანი თავს დაუცველად და არარაობად გრძნობს, ყველაფერზეა წამსვლელი.
- უმჯობესია, ფლობდე ქალების გაგების ნიჭს, ვიდრე ყველაფერი იცოდე მათ შესახებ.
- ნორმალური ადამიანი ფანატიკოსი არასდროს იქნება. ფანატიკოსები ისინი არიან, ვისი ფსიქიკაც სრულყოფილად განვითარებული არ არის.
- ხალხი, რომელიც დიქტატურას არ იმსახურებს, მას არც მოითმენს.
- ვისაც მუსიკა ფეხების გასართობად ხიბლავს, ხშირად მზად არ არის ისეთი მუსიკისთვის, რომელსაც მოსმენა და ფიქრი სჭირდება.
- ბოროტების მსურველნი კვლავ ძველებური შემართებით და განახლებული გულით აგრძელებენ იმის კეთებას, რასაც ყოველთვის დიდი მონდომებით და შემართებით აკეთებდნენ.
- ხალხს ზოგჯერ ლომის წილი მიუძღვის ქვეყნის „პოლიტიკურ მორგად“ გადაქცევაში.
- სხვადასხვა პროფესიიდან პოლიტიკაში წასულები ბევრნი არიან, უკან დაბრუნებულები კი თითო-ოროლა, რომლებმაც თავისი პროფესიაც დაივიწყეს და პოლიტიკაშიც ვერ ივარგეს. თავის საქმეზე შეყვარებული ნაღდი პროფესიონალი მას არაფერზე გაცვლის.
- ღვთაებრივი მუსიკა დიდებულად ჟღერს. დიად მუსიკას დიადი შემსრულებელი სჭირდება.

- ნიჭიერები გაუსაძლის, უსუსურ მდგომარეობაში იმიტომ ვარდებიან, რომ ხშირად უნიჭოთა ულევ არმიას უპირატესობა ეძლევა. ასე იყო ყოველთვის და, ალბათ, სამნუხაროდ, მომავალშიც ასე იქნება.
- ადამიანი არც ერთ ასაკში არ უნდა კარგავდეს სილამაზის წინაშე გაკვირვებისა და აღფრთოვანების გრძნობას.
- უნარი უნდა შეგწევდეთ, დროულად ჩამოშორდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენ არ გიფრთხილდებიან.
- ზოგიერთების ისტორია ცოდვების მონანიების დაუსრულებელი კასკადია.
- მასწავლებელი ახალგაზრდა შემოქმედს მხოლოდ გზას თუ გაუკაფავს, უმაღლეს ჭეშმარიტებებს კი ნიჭიერმა ხელოვანმა თავად უნდა მიაღწიოს.
- შეუძლებელია იცხოვრო და არ გესმოდეს ადამიანებისა და სამყაროსი.
- ადამიანთა შორის ღვთის მიმდევარნი სიტყვით ბევრნი არიან, მაგრამ ღვთისმოშიშნი საქმით, სამნუხაროდ, ძალიან ცოტანი.
- XXI საუკუნეშიც ხალხს ისევე ესვრიან, როგორც წარსულ დროში.
- იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ შეიცნობს და ვერ შეიგრძნობს ხელოვნების ქმედების სილამაზესა და ძალას.
- ბევრმა ორ უბედურებას კვლავ ვერ დააღწია თავი – გაბერილ რაოდენობას და უღიმღამო ხარისხის დონეს.
- როგორი უცნაურიც უნდა იყოს, სამნუხარო რეალობას ვერსად გაექცევი. არიან შემოქმედნი, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც რატომღაც უფრო დიდი სახელი აქვთ, ვიდრე თავიანთ, რბილად რომ ვთქვათ, მოკრძალებულ შემოქმედებას, ნაღვანს შეეფერება და პირიქით, ჩრდილში დგანან ჯერ კიდევ გამომზეურების მომლოდინე დიდად ნიჭიერი ქმნილებანი. ასე იყო ძველად, ასეა ახლა და სავარაუდოდ, მომავალშიც ასე იქნება.
- ადამიანს შეუძლია გაიხანგრძლივოს სიცოცხლე და რამდენიმე წუთში გაინადგუროს კიდევ.
- არავის შეუძლია წარსულში დაბრუნება და მისი შეცვლა, მაგრამ ყველას შეუძლია შეცვალოს თავისი დარჩენილი სიცოცხლე.



- გზა უდიდესი შემოქმედებისაკენ ეროვნულობით მიიღწევა და დროთა განმავლობაში, ზეეროვნულ, ძლევამოსილ შემოქმედებად გადაქცევა.
- ცივილიზაცია გენიოსების პროგრესზეა დამყარებული.
- მშვენიერება სიცოცხლის ელექსირია, ის ადამიანში სიკეთეს შობს და და სიხარულს ინვესს.
- იმედი ადამიანთან ერთად ცოცხლობს და მასთან ერთად კვდება.
- პოლიტიკაში ახალი სახის გამოჩენა სასურველი და აუცილებელი მოვლენაა. ფართო ხედვის, ფრიად განათლებული და ნათელი გონის დიპლომატი დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე.
- ზოგი რეალობს თვალს მაშინ უსწორებს, როცა სარკეში საკუთარ გამოსახულებას ხედავს. როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, სარკე არაფერ შუაშია.
- ძლიერია ის ერი, რომლის თითოეული წევრი თავს ერთი ორგანიზმის ნაწილად, ტკივილს ერთნაირად გრძნობს და სიხარულს ერთნაირად იზიარებს.
- ადამიანი, რომელიც ქვეყანას მმართველად მოველინება და საკუთარ გრძნობებს ვერ უმკლავდება, ერთიანად სახიფათოა ქვეყნისა და ხალხისთვის.
- ადამიანი ყოველთვის თანადროული რომ იყოს და დროს მიჰყვებოდეს, მუდმივად უნდა პროგრესირებდეს.
- როდესაც ღირსებადაკარგული კაცის ზეობა მისაბაძი და საამაყო ხდება, ღირსეულ ადამიანს იქ აღარავინ გააჭაჭანებს.
- ჭეშმარიტების ერთგული ადამიანები პირნათელი არიან როგორც წარსულის, ისე აწმყოს და მომავლის წინაშე.
- ძალაუფლების კანონიერება იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ მართავს მას. იდეალური შემთხვევაა, როცა ძალაუფლებას კანონი მართავს.
- უდიდესი სასჯელია, როცა ბრძენკაცს უჭკუო და რეგენი ადამიანების გარემოცვაში უხდება ყოფნა.
- შუამავალი არასოდეს არის ობიექტური, განსაკუთრებით კი პოლიტიკასა და ბიზნესში. ყველა შუამავალს თავისი ინტერესები აქვს.

- კულტურა ის ველია, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია. ისინი თავისი საქმიანობითა და შემოქმედებით ერთმანეთს აბედნიერებენ.
- ადამიანები სხვადასხვანაირები არიან, თუმცა ხასიათის ეროვნული თავისებურებანი მაინც იჩენს თავს.
- მერყევი და აურზაურის მოყვარული ადამიანები ყოველთვის საეჭვო პიროვნებები არიან.
- შემოქმედი მუზის მონაა.
- ამაზრზენია, როცა მოაზროვნე, ნიჭიერი ადამიანის გზიდან ჩამოშორება, გამოთიშვა, განეიტრალება სხვათა კარიერისტულ ზრახვებს ეწირება.
- რაც უფრო მალე მოძებნი საკუთარ თავში ადამიანს, შენთვისაც უკეთესია და საზოგადოებისთვისაც. ეს ყველას გვეხება.
- იმდენი მშვენიერი რამ ხდება ადამიანების სულში, მათ ირგვლივ, რომ სავსებით საკმარისია, თავი ბედნიერად იგრძნო.
- უდიდესი ბედნიერებაა, როცა ადამიანებს უნარი შესწევთ, ეს მოდეთ ერთმანეთის.
- ხელოვანის შემოქმედებითი სამზარეულო მისი პატარა ზღაპრული სამყაროა, სადაც იგი თავს მყუდროდ და თავისუფლად გრძნობს.
- სულის სიმშვიდის გარეშე მატერიალური კეთილდღეობა უაზრობაა.
- სანამ ადამიანი გაერკვება „რა“, „რისთვის“ და „რატომ“, ცხოვრებაც დამთავრდება.
- პოლიტიკოსები ყველაზე ენაწყლიანი არჩევნების წინ არიან, მიუწვდომლები კი არჩევნების შემდეგ.
- ზოგიერთი თავს დიდ შემოქმედად მიიჩნევს, ღირსშესანიშნავს კი ვერაფერს ქმნის.
- ხალხის კეთილდღეობა მხოლოდ ჯანსაღ საზოგადოებას ხელეწიფება.
- პროგრესული ადამიანის გონება ყოველთვის ღიაა, მზადაა, შეისწავლოს არა მარტო სხვათა გონიერება, არამედ სხვების სისულელეც.
- ცხოვრება დიდი დაუსრულებელი ნიგნია, სადაც ყველას თავისი გზა აქვს გასავლელი.

- ზოგჯერ ისეთი დრო დგება, როცა ზოგიერთების სიკვდილი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სიცოცხლე.
- ვინც სხვათა ძეგლებს ხელყოფს, ჯერ კიდევ არ აღმართულ საკუთარ ძეგლსაც ანგრევს.
- სხვების შესაშინებლად თავისიანების ცემა-ტყეპა ყოველთვის არ ამართლებს და არც სასურველი შედეგი მოაქვს.
- ჭეშმარიტი სილამაზე ადამიანებისა და სამყაროს ურთიერთ-ჰარმონიაშია.
- ადამიანის უმრავლესობის გულები უნისონში სცემს და ჟღერს.
- ადამიანებს შორის საზღვრები არსებობს, რომელსაც ხშირად თავად ადამიანები ავლებენ და, დროთა განმავლობაში, თავადვე არღვევენ.
- ომს არაადამიანური სახე აქვს.
- ადამიანი რაც მეტს ცოცხლობს, სადარდებელიც ემატება.
- ძლიერი და კეთილგონიერი ადამიანი სულიერ სანყისზე ყალიბდება.
- სიკვდილის შემდეგაც რომ იცოცხლო, მნიშვნელოვანი და ყავლგაუსვლელი რამ უნდა დატოვო.
- ადამიანი რა ხნისაც უნდა იყოს, მშობელი, მისი რჩევა და მოფერება მაინც სჭირდება.
- ისინი, ვინც არ ივინყებენ თავიანთ ეროვნულ საგანძურს და თავისი ყოფის განუყოფელ ნაწილად აქვთ გამხდარი, მათ გადაგვარება არ უნერიათ.
- ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს ტკივილისა და ბედნიერებისთვის.
- ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევა რწმენის გარეშე შეუძლებელია.
- სახელმწიფოს განვითარება, მითუმეტეს, დემოკრატიულის, თავისუფალი მედიის გარეშე შეუძლებელია.
- ქვეყნის მომავლისა და სიჯანსაღის განმსაზღვრელი, გონიერი ხალხი და ჯანსაღი საზოგადოებაა.
- კარგი მონადირე ნადავლით ფასობს, მაგრამ ყველაზე ძლიერი მონადირე ის არის, ვინც საკუთარ თავში შეძლებს მხეცის მოკვლას.

- ყოველთვის იმას არ უნდა დაუჯერო, რასაც ხედავ და გესმის, შესაძლოა ის მოგონილი ზღაპარი იყოს.
- ადამიანი ზოგჯერ ცდილობს, რომ არ იფიქროს, მაგრამ არ გამოსდის, რადგან ღმერთს იგი ფიქრისთვის შეუქმნია.
- აგრესიული პოლიტიკის პროპაგანდა შოკის მომგვრელია, ვინაიდან მისი ერთ-ერთი მთავარი საზრდო ტყუილი და ავანტიურაა.
- წუთისოფელი ხანმოკლეა და არ ღირს ბედისწერასთან ჭიდილი, საბოლოოდ მაინც წაგებულნი დარჩები.
- როდესაც ფეხბურთელი საკუთარ კარში შემთხვევით გოლს გაიტანს, დასანანია, მაგრამ დაუშვებელი და აღმამფოთებელია, როცა ზოგიერთებს მთელი თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით საკუთარი ქვეყნის კარში ავტოგოლები გააქვთ.
- ადამიანი მანამდეა სუსტი და წარუმატებელი, სანამ საკუთარ თავში არ დარწმუნდება.
- შემოქმედმა თავისი ქმნილება უნდა დაუქვემდებაროს არა არსებულ დოგმას, მრავალჯერ გადამღერებულს და თქმულს, არამედ დროის მოთხოვნებს.
- დედაენა ერის რაობის საფუძველია, ერის სიცოცხლის, ყოფიერების სააზროვნო და განვითარების წყარო, საალერსო, სალოცავი ხატი, ღირსების განმსაზღვრელი.
- უნიკალურ იდეებს ხშირად ისინი ეპოტინებიან, ვისაც ისინი არ გააჩნიათ.
- კერპებს ხშირად ძალიან მალე ივიწყებენ.
- ზოგიერთები თითქოს სხვებს ურტყამენ, სინამდვილეში კი თავისიანებს ანადგურებენ.
- ტირანები და მათი იდეოლოგიზირებული რეჟიმები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.
- თუ გინდა ადამიანი შეიცნო, თავისუფლება და ფული უნდა მისცე.
- შეყვარებული ქალი ყველაფერზეა წამსვლელი, მიზნის მისაღწევად მას ვერაფერი შეაჩერებს.
- ღირსებადაკარგული ადამიანი აბოზოქრებულ სტიქიაზე არანაკლებ საშიშია.

- ადამიანი ორ რამეს ვერ გაექცევა – გადასახადებს და სიკვდილს. გამოსავალი არ არსებობს!
- ვინც შიშს ნერგავს, უნდა ახსოვდეს, რომ შიშის გაღვივებას ბოლმაც მოჰყვება.
- იღბლიანი სულელები ხშირად უიღბლო ქკვიანებზე უკეთესად ცხოვრობენ.
- იქ, სადაც თავის გადასარჩენად მესიას ეძებენ, კარგა ხანს არაფერი ეშველებათ.
- ომში დამარცხებული ზოგიერთი ხელისუფლება, გამარჯვებას საკუთარ ხალხზე ზეიმობს ხოლმე.
- ვისაც მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, ის არავის უყვარს და ვერ ხვდება, რომ ეს მისი ბრალია.
- იარაღი უმოქმედოდ დიდი ხნით არასოდეს ინახება.
- ხელოვნება და ლიტერატურა კაცობრიობის აზროვნების ფუნდამენტია.
- ბედნიერების ნუთები უკვდავია...
- ყოველი ერის ისტორია მარადუჟამს მისი ხალხის სისხლხორცეული განცდის საგანია უნდა იყოს.
- ცხოვრებაში ყველაფერი სახეცვლილებას განიცდის. მშვიდობასაც არ შეუძლია მშვიდობით არსებობა.
- დიდი ადამიანის სიცოცხლე ერთდროულად დიდი ბედნიერებაც არის და ტანჯვაც, სიხარულიცა და სევდაც, დრამაც, ტრაგედიაც და ისტორიული ქრონიკაც, რაც შემოქმედის იმ შეუპოვარ, გაუტეხელ სულიერ სიმტკიცეზე მეტყველებს, რომელიც მხოლოდ დიდ შემოქმედთა ხვედრია.
- დაუშვებელია, როცა ერთი ადამიანი დიდხანს იმყოფება ქვეყნის სათავეში. ძალაუფლება ახალ დიქტატორს შობს.
- უდიდესი ბედნიერებაა, ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდე, სადაც ადამიანის სიცოცხლეს უფრო ხილდებიან და აფასებენ.
- აგრესიის უმნიშვნელო მხარდაჭერაც კი ზოგჯერ უმალ გადაიზრდება ტერორიზმის საშიშროებაში.
- ყველა ჩვენგანს ადამიანების ვალი გვაქვს და უნდა ვეცადოთ, სიკეთით გადავუხადოთ.
- ადვილი გადასატანი არ არის, როდესაც საკუთარი ქათამი კვერცხებს სხვაგან დებს.

- ბედნიერების მოლოდინი უფრო მეტია, ვიდრე ბედნიერების მოსვლა.
- წესების გარეშე თამაში იგივეა, რაც ცხოვრება წესებისა და იმედის გარეშე.
- ბავშვების ტრავმედიებში ყოველთვის უფროსები არიან დამნაშავე.
- ძალზე მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ სამეცნიერო მემკვიდრეობისა და შთამომავლობის უწყვეტობა.
- შემოქმედის უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც მისი ქმნილება სულიერების სიმბოლოდ გადაიქცევა.
- სიყვარული ცხოვრების ყველაზე დიდი გამოცდაა.
- ბოროტება ადამიანებს უდიდესი განსაცდელის წინაშე აყენებს.
- თუ არ იჩქარე, დაგაგვიანდება. აუჩქარებლად უნდა იჩქარო.
- ადამიანების უმრავლესობა ნებისმიერ ასაკში მარადიულობაზე ოცნებობს.
- ზოგიერთ ადამიანს ცუდი მეხსიერება აქვს, ხშირად უნდა შეახსენო კარგი და ცუდი.
- გაქცევა თავის დაღწევას არ ნიშნავს, სადაც არ უნდა გადაიხვეწო, ყველგან დაგვხდება რაღაც პრობლემა.
- შიში ყოველთვის და ყველასთვის დარწმუნების საშუალება არ არის.
- ადამიანების უმრავლესობა ორი თვისებით გამოირჩევა: მონყალებითა და ტრაბახით.
- პოლიტიკოსების უმრავლესობას, სულ ცოტა, თავისი ხალხი მაინც უნდა უყვარდეს და მათში მხოლოდ საარჩევნო ხმას არ უნდა ხედავდნენ. ხალხი კი საკუთარ ხმას უნდა უფრთხილდებოდეს და აფასებდეს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი სულ შუა კარში დგას, არც გადის და არც შედის, ოღონდ დროდადრო გაუჩინარდება ხოლმე.
- თუ ადამიანს ძველი წყენის დავიწყების უნარი არ შესწევს, ბოროტების ტყვეობაში აღმოჩნდება და საკუთარ თავსაც და სხვებსაც სიცოცხლეს ჯოჯოხეთად გადაუქცევს.
- მოდერნიზებულ დიქტატურას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

- ისტორიის მეხსიერების გასაჯანსაღებლად ზოგჯერ შეხსენება არ გვანყენს.
- უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები საშიშნიც არიან და საცოდავნიც, ძაღლური ცხოვრებისთვისაც განწირული არიან.
- გაჭირვებული ადამიანი დაბეჩავებულია და არა გამოთავყვანებული.
- განსაკუთრებით დიქტატორებს უყვართ შორეულ გეგმებზე ლაპარაკი.
- ადამიანს თვალი და ყური იმისთვის აქვს, რომ საკუთარი ნაკლი დაინახოს და სხვისი ღირსება შეისმინოს და თუ შეუძლია, შეაფასოს კიდეც.
- ვინც ბოროტებას ემსახურება, განწირულია.
- ვინც გამუდმებით იტყუება, ბოლოს თავის თავსაც ატყუებს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის მტერი და კონკურენტი ერთი და იგივეა.
- მოკრძალებული ადამიანი იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე სჭირდება.
- ზოგჯერ ვილაცისგან მტრის ხატს შექმნიან და დაუძინებელ მტრად შერაცხავენ, მაგრამ საინტერესოა, ამ ყველაფერს ბოროტ მტერს ვერცხლის ლანგარით რატომ მიართმევენ ხოლმე?
- დიდი შემოქმედი თავისი დროის, ეპოქის ჟამთააღმწერია.
- სამყარო ადამიანების სურვილზე არ არის მონყობილი, ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერი და სრულყოფილია.
- იმედი მაშინაც მშვენიერია, როდესაც იცი, რომ უიმედოა.
- უფროსები ხშირად ბავშვობაში უნდა დაბრუნდნენ, როცა მთელი სამყარო უყვარდათ.
- შემოქმედს შეუძლია ადამიანი სულიერად გაამდიდროს და გაანადგუროს კიდეც.
- ადამიანისთვის სიხარულის გაზიარების სურვილი ღვთისგან ნაბოძები ნიჭი და უდიდესი ბედნიერებაა.
- ნებისმიერ ვითარებაში და ნებისმიერ ჟანრში შემოქმედმა თვითმყოფადობა უნდა შეინარჩუნოს.
- ოსტატის საუბარი ყოველთვის საინტერესოა.

- დრო ელვის სისწრაფით მიქრის და დგება დრო ვალის გადახდი-სა.
- კეთილგონიერ შემოქმედს ინტელიგენტობა გენებში აქვს, შე-მოქმედება კი სისხლში. მედროვეს და ანგარიშიანს კი არც ერ-თი გააჩნია და არც მეორე.
- მშობლიური ენა ბედნიერების ენაა.
- მართალი და ჭეშმარიტი ისტორიაა მთავარი და არა ყალბი და ვილაცის ხელით შეთითხნილი.
- შემოქმედის ქმნილებაზე უმჯობესია ამ შემოქმედებამ თავად ილაპარაკოს. ამისთვის ავტორის დახმარება არ უნდა სჭირდე-ბოდეს.
- ადამიანების უმრავლესობაში ფული ყველაზე უარყოფით თვი-სებებს ამჟღავნებს.
- დრომ თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ ერთი პროფესიის ადამია-ნების შემოქმედებითი კავშირები კი არ კრავენ და აღრმავებენ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, არამედ ხშირად არღვევენ, შლიან ამ მთლიანობას. შემოქმედებითი კავშირის წევრები შესაძ-ლოა დროებით, ფორმალურად, გარკვეული ინტერესების გამო და მიზნის მისაღწევად ერთ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, თავიანთი კოლეგების რომელიმე სხვა დაჯგუფების საწინააღმდეგოდ, შემ-დეგ კი დაიშალონ და სხვა ახალ დაჯგუფებებში გაერთიანდნენ, როგორც ეს, დროთა განმავლობაში, ბევრ პოლიტიკურ პარტიას მოსდის, მაგრამ ეს ყველაფერი გარკვეულწილად ზეგავლენის სფეროების ინტერესს ემსახურება. როგორც წესი, შემოქმედები-თი კავშირების წევრები ხშირად, როგორც უცხოები, ისე მიმარ-თავენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ასეთ დამოკიდებულებაში მათ შორის კონკურენციის ფაქტორიც დიდ როლს თამაშობს. თავის დროზე ხელისუფლებამ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ იო-ლად სამართავ, კონტროლქვეშ მოქცეულ ადამიანთა ჯგუფების მსგავსად შექმნა შემოქმედებითი კავშირები. ნახევრად მოხელე, ჩინოვნიკი ან ნახევრად შემოქმედი ადამიანი არ არსებობს. ან ერ-თი უნდა იყო, ან მეორე. რატომღაც მეტწილად უმართლებდათ და დღესაც უმართლებთ ამ ნახევრობისგან შეკონინებულ, მორჩილ „შემოქმედებს“, ხელისუფლების მეხოტბეებს. დამოუკიდებელი მოაზროვნე შემოქმედი კი ყოველთვის ჩრდილში იდგა და დღესაც ასე დგას.
- როდესაც ერთი ქვეყნის ხალხის მიერ საზღვარგარეთის ავტო-რიტეტულ სასამართლოებში გაგზავნილი სარჩელების პრო-ცენტული მაჩვენებელი სხვა ქვეყნების ხალხის სარჩელებს



საგრძობლად უსწრებს და პირველ ადგილზეა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეს ხალხი საკუთარ ქვეყანაში სამართალს ვერ პოულობს და დაუცველი, სრულიად უფლებოა.

- სილამაზეს საყვარელი ადამიანისადმი ტრფობა თუ დაჩრდილავს.
- უნდა ისწავლო და მერე თავად ასწავლო, დაენაფო წინაპართა და ცხოვრებისეულ სიბრძნეს.
- ცხოვრება ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ის წარმოგვიდგენია. უბრალოდ, ჩვენ, ადამიანები უფრო ვართულებთ მას.
- გენოსის წინ გადადგმული ერთი ნაბიჯი ცივილიზაციის განვითარებაში კაცობრიობის დიდი ნახტომის ტოლფასია.
- ზოგჯერ ბედნიერი ხანა მწარე რეალობით იცვლება.
- ნაძირლები ვირთხებივით ნაგავში იქექებიან.
- ცოდვის თავი და ბოლო სიძულვილი, უგუნურება და ბოროტებაა.
- ნებისმიერი წარმატება, მათ შორის, შემოქმედებითი და სამეცნიერო, ტიტანური შრომის შედეგია.
- იქ, სადაც მუზა მბრძანებლობს, მხოლოდ შემოქმედი სულდგმულობს.
- ადამიანი თავისი ნებითა და სურვილით არ შექმნილა და არც თავისი ნება-სურვილით მოვლენია ქვეყნიერებას. ადამიანი ამ სამყაროსთვის მაღალი ზნეობრივი არსებობისთვის შექმნა მამაზეციერმა. მას უდიდესი მისია აკისრია.
- ჭეშმარიტი დღესასწაული ყოველთვის შენთან არის.
- უდიდესი ბედნიერებაა. დიდი შემოქმედის გვერდით იმყოფებოდე და მისი მონაფე იყო.
- კონკურენცია ცხოვრების კარგი სკოლაა.
- შემოქმედებითი აზრი მარად ცოცხალი, აქტიური, დაუსრულებელია, შეუჩერებლად მუდამ წინ მიისწრაფვის. დღევანდელი ადრინდელისგან განსხვავდება, ახლის პერსპექტივა კი მომავლის იმედებს სახავს.
- ყველა თავისებურად ჩნდება და გამოდის ხალხში, ზოგი თავისი საქმიანობით, უმრავლესობა კი ხშირად გაუთავებელი, მონოტონური ლაპარაკით.
- უნიჭოები მუდამ დაუნდობლად ებრძოდნენ ნიჭიერებს, დღეს კი სრული განუკითხაობაა. მათ იერიში მიაქვთ როგორც ტრა-

დიციულობაზე, ისე ნოვატორობაზე. გამკითხავი კი არსაიდან ჩანს. უნიჭოთა ბრძოლა ნიჭიერების წინააღმდეგ შეუპოვარია, დაუნდობელია, ვერაგია! ზეობს და იფურჩქნება უნიჭობა!

- როგორც შემოქმედი, ისე მეცნიერი მონოდებულები არიან, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ნაწარმოებები, გამოკვლევები, აღმოჩენები შექმნან. თითოეულს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი წარმომავლობა.
- შემოქმედის და მეცნიერის ვალია, ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ დროს ამოიცნონ, გახსნან და თავიანთ ქმნილებებში წარმოაჩინონ ის სიახლენი, რაც უბრალო მოკვდავისთვის შეუმჩნეველი და ამოუცნობია.
- სხვადასხვა ერის ხალხური თუ პროფესიული შემოქმედება სრულეებით განსხვავდება ერთმანეთისგან, სულ სხვა ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ საყრდენებზეა აღმოცენებული. ეროვნული საუნჯე, განძი არის ამა თუ იმ ხალხის სული, ღირსება, სიდიადე, რომელიც საფუძველია, შთაგონების წყარო და სტიმულის მიმცემია დიადი შემოქმედებისთვის, ეროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო კულტურისთვის.
- ინტელექტუალი ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის ნათელი იდეის ერთიანობის ერთგულია.
- ცოდნის გარეშე ფანტაზია ფრთებს ვერ გაშლის. ცოდნა ყოველთვის აძლიერებს და ამრავალფეროვნებს ფანტაზიას.
- ხელოვნების სიყვარული ეს თავისებური ფსიქოთერაპიაა.
- ადამიანების უმრავლესობა იმედით ცოცხლობს და ყოველთვის, როცა ის რეალურია, ეს მათთვის დღესასწაულია.
- ნათელი ადამიანის სიცოცხლე გამჭვირვალეა, ის სავსე და ღრმა არის.
- მომავლის ხელოვნება ზოგადსაკაცობრიო ღრმა აზრების წარმოჩენის ხელოვნებაა.
- კაცთმოყვარეობა კეთილშობილი ადამიანების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მის ხარისხზე გარემო პირობები, გენეტიკური ფაქტორი და ბუნების ძალა უშუალოდ ახდენს ზეგავლენას. როცა ადამიანი გიყვარს, მისი გჯერა, ეს დიდი ბედნიერებაა.
- თავისუფლება განუყოფელია. ის ყველასთვის ერთნაირად უნდა ბრწყინავდეს.
- სულიერად თავისუფლება მაღალზნეობრივი ადამიანების ხვედრია.

- დიდი ბედნიერებაა, როდესაც არჩევნებში ის ძალა იმარჯვებს, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს და მისი კეთილდღეობისთვის იღვწის.
- განურჩევლად სქესისა, ქალი იქნება თუ კაცი, კახპა იმისია, ვინც მეტს გადაუხდის.
- როდესაც ვინმეს დაუმსახურებლად გულს ტკენ, ადრე თუ გვიან, დაშვებულ შეცდომებზე პასუხისგება მოგიწევს.
- სიცოცხლე ყველას უყვარს და ამ გრძნობას ყველა თავისებურად ამჟღავნებს.
- ჭკვიანი და მიმზიდველი ქალი მრავალფეროვანია და უფრო დახვეწილად იმორჩილებს მამაკაცს.
- მოლალატი ყოველთვის მოლალატეა და ნებისმიერ დროს ყველას უღალატებს.
- ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხთან საერთო ენას ვერ გამოძებნის, დიდხანს ვერ გაძლებს.
- ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლება ხალხის ხელშია, ეს არჩევნების დღეა, რასაც ხალხი ყოველთვის გონივრულად არ იყენებს.
- სახლი თუ ნებისმიერი ადგილმდებარეობა, სადაც მშვიდობა არა არის, იქ ცხოვრება და ყოფნა შეუძლებელია.
- ცხენი დროულად, სანამ წაიქცევა, უნდა შეცვალო.
- ადამიანს არ უნდა შერცხვეს თავისი წარმომავლობის. საკუთარი ღირსებითა და საქმიანობით უნდა მოიპოვოს პატივისცემა.
- იქ, სადაც განუკითხაობაა, ოდესღაც მივიწყებული შვეიკი მარშით და ოვაციებით ბრუნდება.
- ცუდი მეგობარი შეიძლება კარგი მტერი აღმოჩნდეს.
- როგორც ზოგიერთს ჰგონია, ცივილიზაციის გზა უკანალზე არ გადის.
- ზოგიერთ ქალს არაფრიდანაც კი ძალუძს ტრაგედიის შექმნა.
- ისე არაფერი თიშავს აზროვნებას, როგორც ბოლო დროს გამოჩეკილი უაზრო ტელესერიალები.
- ზოგიერთი მამაკაცი ცოლის გარეშე საქმელებით გაჭედილ მაცივარშიც ვერაფერს იპოვის.
- ჭემმარიტი შემოქმედი დაუმარცხებელია.

- ტყუილმა და ეჭვიანობამ შეიძლება დიდი სიყვარული მოკლას.
- გაიძვერას, ფლიდს, არაკაცს არავინ და არაფერი აღელვებს.
- ჭეშმარიტ სიყვარულზე შეუძლებელია ომით გამოწვეულმა სიძულვილმა გაიმარჯვოს.
- ყველა მთავრობას თავისი ჯინჯილებიანი ტაკიმასხარები ჰყავს.
- ვისაც საკუთარი თავი ყველაზე ჭკვიანი და გონიერი ჰგონია, ვინ შეძლებს მის გაგებას?
- სიკეთის დაფასება მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია.
- ზოგიერთი თავის სისულელეებსა და აბსურდულ ქმედებებში შეუდარებელია.
- ბოლოს ზოგჯერ ის იცინის, ვინც სხვებზე უფრო დუნედ აზროვნებს.
- ადამიანებს ის უყვართ, რაც ყველაზე მეტად სტკივათ.
- ჩაკეტილი გულები სასმელით იხსნება ხოლმე.
- პოლიტიკა ისეთია, როგორსაც მას ადამიანები ქმნიან.
- როდესაც ადამიანები უფლებააყრილები არიან, ხალხიც და მეფეც – ყველა შიშველია.
- სიმართლეს არ უნდა ელოდო, მისთვის უნდა იბრძოლო.
- იაფი ნივთის ძვირი ფასი კორუფციის უშრეტი ნყაროა.
- ყველაზე დიდი საშინელება კარჩაკეტილობა და მარტოობაა.
- ხშირად მოვალეობები გრძნობებზე უფრო მნიშვნელოვანია.
- მშვიდი ცხოვრებისთვის სუფთა ხელებია საჭირო.
- ლაჩარი მანამდე მამაცობს, სანამ გასდის, ზურგს უმაგრებენ ან ხელისუფლების ფავორიტია.
- ეფექტური ტყუილი ხალხის დამოძღვრისა და იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილია.
- იქ, სადაც კანონს ძალაუფლება და ფული აწესებს, სამართალიც კანონის შესატყვისია.
- ადამიანი იმიტაც ფასდება, ჩაკლავს თუ არა საკუთარ თავში შურის ბაცილას.

- ადამიანი თავისი ფეხით მიდის სამეფო ტახტისკენაც და სასაფლაოსკენაც.
- მხატვრული ნაწარმოები შეიძლება თავისებურად საინტერესო იყოს, მაგრამ ემოციურ კავშირს ვერ ამყარებდე.
- თავგანწირვა კარგია, თუ მას გონიერება უმაგრებს ზურგს.
- მამაპაპეულ აღმსარებლობას მონყვეტილი, სულიერ ერთიანობას მოკლებული ერებისა და ქვეყნების დამორჩილება გაცილებით იოლია გარეშე ძალებისთვის.
- როცა ზვაგი დაიძრება, თავის შეწირვას აზრი არა აქვს.
- ზოგჯერ ბედისწერა მაშინ გილიმის, როცა იმედი დაკარგული გაქვს.
- ნამდვილ სიყვარულს ბედისწერაც ვერ დაამარცხებს.
- სამყაროს ისე არაფერი ანათებს და ათბობს, როგორც ჩვილის ღიღინი.
- ლამაზი ქალი ველური გრძნობის მსხვერპლი ხდება ხოლმე.
- სიმართლის მაძიებელი ხიფათს არ უნდა ერიდებოდეს.
- დიქტატორები და ჯალათები ყოველთვის ცდილობენ ადამიანებისგან ზომბების შექმნას.
- უეცრად გამდიდრებულ უნიგნურთან მიტმასნილ ბრბოს არაფერი აქვს საერთო ადამიანურ ღირსებასთან.
- მტერს სამიზნე უნდა დაანახო და არა შენი სიძლიერე, რათა სატყუარში გააბა.
- თუ ბედნიერება სხვებისთვისაც არ მოგაქვს, ჭეშმარიტ სიხარულს ვერ შეიცნობ.
- ვინც შურისძიებით სულდგმულობს, სიცოცხლის ბოლომდე მის მონობაში აღმოხდება სული.
- თუ გინდა მტერს აჯობო, პირველ ყოვლისა, ის უნდა იპოვო, რაც მისთვის ძვირფასია.
- ღირსეული პიროვნება თავისი ეპოქის შვილია, გულითადად ემსახურება მას, თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით ცხოვრობს.
- სიმართლის დაწვაც შეიძლება. თუ მხოლოდ ქალაქდზე არსებობს, ცეცხლს ნაუკიდებ და დაიფერფლება.

- ზოგიერთს ისეთი ღიმილი აქვს, ლამის ირწმუნო, რომ ქვეყანაზე ბოროტება არ არსებობდეს.
- სიმართლის ძიებაში ადამიანი ზოგჯერ სიცრუისგან დაწნულ თოკს ეჭიდება, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება განწყდეს.
- უდიდესი ღვთაებრივი ღირსებაა, სხვათა სიხარული და ბედნიერება საკუთარივით გახარებდეს.
- ყველაზე დიდი საშინელებაა იმათ პირისპირ დარჩენა, ვინც გაძულს.
- ოჯახი პატარა სახელმწიფოა, მის სიძლიერესა და სიმყარეზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის სიმტკიცე და მომავალი.
- მუზა და კარგი ამბები ხშირად სიმარტოვეში მოდის.
- დღევანდელი დღე ხვალ ისტორიის კუთვნილებად იქცევა.
- ახლობლებისა და საყვარელ ადამიანებზე ზრუნვის გარეშე ცხოვრება უაზრო იქნებოდა.
- ზოგჯერ ახალ მთავრობას წინა ხელისუფლება თავის დასახრჩობ თოკს თავადვე უწვდის.
- როდესაც წინ რთული და დიდი პროცესებია მოსალოდნელი, საჭიროა ეიფორიიდან სწრაფად გამოსვლა.
- ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ შეუძლებელია გამუდმებით შიშით ცხოვრება.
- თავისუფლება მძიმე ტვირთია, ყველას არ ძალუძს მისი ზიდვა. ის რჩეულთა ხვედრია.
- ძალადობა მახინჯი სულის ადამიანთა ხვედრია.
- ჯოჯოხეთს მხოლოდ უმანკო ადამიანები და ჭეშმარიტი შემოქმედნი თუ გადარჩებიან.
- ხელისუფლებაში პროფესიონალური თვისებით და არა მხოლოდ ერთგულების ნიშნით უნდა ხვდებოდნენ.
- ზოგიერთისთვის ცხოვრება კომპარზე უარესია, მაგრამ მაინც რალაცის იმედად არსებობენ.
- როდესაც ქვეყანაში საჭირობოროტო საკითხების გადანყვეტა გამჭვირვალედ ხდება, შეკითხვებიც ნაკლებად ჩნდება.
- კულტურა საუკეთესო საშუალებაა ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარებისა.

- შემოქმედის ქეშმარიტი ქმნილებით გამონვეული სიხარული და ბედნიერება არასოდეს მთავრდება.
- სითბოც და სიცივეც ადამიანის სულიდან მოედინება.
- სამწუხაროა, მაგრამ რას გაანყოფ, ყველას როდი აქვს სარკეში საკუთარი თავის დანახვის ნიჭი.
- მშობლიურ ადგილას თოვლიც კი თბილია.
- დროთა ცვალებადობა ადამიანს ცვლის და აფიქრებს.
- ცხოვრებაში ერთადერთი სიყვარულია, რომელსაც ვერავინ გაგიყოფს და ვერც მოგპარავს.
- დაკარგულ თაობას, თუნდაც არაჩვეულებრივს, არავინ დაეძებს. მხოლოდ იშვიათად ვინმე თუ გაიხსენებს.
- ურთიერთობაში კრიზისი ყველას ემუქრება, მათ შორის იდეალურ წყვილსაც კი.
- ადრე თუ გვიან ყველა გასამართლდება.
- ზოგჯერ სახელისუფლო ელიტა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დემოკრატიის ბოლო ვაგონით მგზავრობდეს.
- გმირობის ტოლფასია იმ ხალხისგან სიმართლის ღალადი, რომელსაც კისერზე დიქტატორის ჩექმა აქვს მიბჯენილი.
- ვისაც არ გააჩნია მყარი ეკონომიკური და თავდაცვის რესურსები, იძულებული არიან მანევრებს მიმართონ. მათთვის ერთადერთი იარაღი გონიერებაა.
- ბრძენკაცობა არ არის საჭირო, რომ კაცმა იცოდეს, როდის, სად და რატომ.
- ადამიანს ბევრი რამ სჭირდება, პირველ ყოვლისა რწმენა და სიყვარული.
- ცხოვრება არც ისე ცუდია, ზოგს რომ ჰგონია, ყველა მოღალატე და უვარგისი როდია.
- ზოგჯერ შორიშორს მყოფნი უფრო ახლოს არიან, ვიდრე ერთმანეთის სიახლოვეს მდგომნი.
- სიჩუმე, რომელიც საყვარელი ადამიანის წასვლით არის გამონვეული, მუდამ ამაღლებული და ნათელია.
- ზოგჯერ ცხოვრება ისეთ ვალდებულებებს გიქმნის, რომლებსაც ვერასდროს გაექცევი.

- კბილებამდე შეიარაღებულ აგრესორს ყოველი შემთხვევისთვის თეთრი დროშა ყოველთვის თან ახლავს.
- ქალის გაგება იოლი არ არის, მითუმეტეს, პოეტი ქალისა. თუმცა ქალსაც გააჩნია და პოეტსაც.
- ბავშვი დედის ლოცვებით იზრდება.
- კარგი სიახლე ადამიანს გზას უნათებს და იმედს აძლევს.
- ბოროტება ისე ხმაურობს, თითქოს ამქვეყნად სიკეთე არ არსებობდეს.
- ცვლილებები და რეფორმები მხოლოდ სიტყვებით არ იზომება, ის პრაქტიკული შედეგებით ფასდება.
- სამყაროს სიკეთეც მართავს, რაც ხშირად შეუმჩნეველი რჩება.
- ღირსეული ადამიანი სამშობლოს გულით ატარებს.
- რწმენა თითოეული ჩვენგანის და ჩვენი სამყაროს განუყოფელი ნაწილია.
- მტერი ყოველთვის გვერდითაა ჩრდილში დგას და ხითხითებს.
- უდიდესი ბედნიერებაა ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდე, სადაც ადამიანის სიცოცხლეს აფასებენ.
- ადამიანზე საქებარი სიტყვების თქმა არა მხოლოდ ღირსების საქმეა, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც.
- ჭკვიანმა ქალმა იცის, ნაკლოვანება როგორ დაფაროს და ღირსება როგორ წარმოაჩინოს.
- უნიჭონი და ხელმოცარულნი ბოლმით გაჟღენთილი და დამყაყებული სულის პატრონები არიან.
- თუ მტერს ვერ დაამარცხებ, უმჯობესია, დროებით მოჩვენებით დაუახლოვდე და თამამში აჰყვე.
- როდესაც ადამიანს სიმარტოვისა და სულიერი ობლობის სასტიკი გრძნობა ეუფლება, ნუგეშს მხოლოდ ზენაართან თუ ჰპოვებს.
- როდესაც ბავშვები მეგობრობენ, ხშირად მათი მშობლებიც ახლოვდებიან.
- ადამიანების უმრავლესობისთვის ის არის მისაღები, რისი დაჯერებაც სურთ.
- ზღვარგადასული გამბედაობა ზოგჯერ დამლუპველია.



- თუ სცენიდან წასვლა გადანწყვიტე, დროულად და ღირსეულად უნდა წახვიდე, ხოლო თუ უკან დაბრუნება ჩაიფიქრე, ისეთი სახელი უნდა გქონდეს, რომ დაბრუნება არ მოგერიდოს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი შინაგანად თავისუფალი და ბუნებით ოპოზიციონერია, ის არასოდეს ჩაჯდება ხელმწიფის ნავში.
- სამწუხაროდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ საყვედურის ღირსი ხშირად სხვებს განსჯის და საყვედურობს.
- სილამაზის აღქმას კეთილი გულით დანახვა და გაფრთხილება სჭირდება.
- ღირსეული ადამიანი არაადამიანურ პირობებშიც კი ადამიანად რჩება.
- დაუსჯელობით და ხელშეუხებლობით წახალისებული ჯალათნი დიდი შემართებითა და სიამოვნების ტკობით ჩადიან ახალ-ახალ დანაშაულს.
- უჭკუო და უხერხემლო ადამიანს ბოლოს თავიც და კისერიც ტყდება.
- შემოქმედი თავისი ქმნილების ბადაგით, მისი მომაჯადოვებელი და დამატორობელი სურნელით სიამეს, თავდავინწყებასა და ბედნიერებას განაცდევინებს ადამიანს.
- ღიმილი მხოლოდ ტუჩების მოძრაობა როდია, ადამიანი გულით უნდა იღიმებოდეს.
- სკოლამ უნდა განსაზღვროს საზოგადოების განვითარების ტაქტიკა და სტრატეგია. როგორც სულიერი წარმოების მძლავრმა სფერომ, ქვეყანას ზნეობრივი თაობა უნდა აღუზარდოს.
- ადამიანს სულიერი ზრდა და სრულყოფა მატერიალურზე არანაკლებ უნდა ანუხებდეს.
- მთავარია რაიმე აკეთო, არ გაჩერდე, აკეთო კეთილი საქმე.
- საზოგადოების ვალია, ყველაფერი გააკეთოს, რათა ადამიანის გენიის მიღწევა ყოველთვის იყოს გამოყენებული ჰუმანური მიზნებისთვის.
- კაცობრიობის მიზანი ყოველთვის იყო და არის, უფრო მაღალ მდგომარეობას მიაღწიოს.
- სასონარკვეთილობა საპირისპიროა იმისა, რისიც ჩვენ გვჯერა. ეს ხშირად რეალობის უარყოფაა.

- ქვემარტივი შემოქმედი თავმდაბალია, ზოგჯერ ბავშვივით მია-  
მიტიც კი.
- მდუმარება განსჯის, აზროვნებისა და სიდიადის თანხლებათ.
- ვისაც ბავშვობაში ბებია-ბაბუასთან მჭიდრო ურთიერთობა არ  
ჰქონდა, ბევრს კარგავს. ოპტიმისტი სიბერეშიც კი თავს ისევ  
ახალგაზრდულად გრძნობს.
- მხოლოდ პარადოქსების ქვეყანაში შეიძლება გაუბედურებულ  
ხალხს ბედნიერი ხელმწიფე ჰყავდეს, დაქცეულ ქვეყანას – აშე-  
ნებული ბატონ-პატრონი, გაღატაკებულ ხალხს – დაღბნილი  
მამასახლისი. გიხაროდენ! ბატონი ყოველთვის მართალია!
- ადამიანების უმრავლესობა სხვებზე მათ მიმართ გავრცელებუ-  
ლი აზრის მიხედვით მსჯელობს.
- სუსტი ქალები ძლიერი მამაკაცებისკენ მიილტვიან, სუსტი მამ-  
რები კი ძლიერი ქალების ნადავლი ხდებიან.
- როდესაც ადამიანი ყველაფერს სჩადის სხვებში შურის აღსად-  
ვრელად, ვერ აცნობიერებს, რომ, პირველ ყოვლისა, საკუთარ  
თავს ვნებს.
- კეთილგონიერი სტუმართმოყვარე ხალხი გაშლილ სუფრასთან,  
თუნდაც ყოველდღიურ ჭამა-სმამში, გარკვეულ აზრს აქსოვს.
- ჩალიჩა ადამიანი მთელი ცხოვრება ჩალიჩობს, რომ რაღაც გაი-  
ჩალიჩოს და სხვებსაც გაუჩალიჩოს.
- როდესაც ოდეს ტურფა ქვეყანა კახპების სანავარდოდ გადაიქ-  
ცევა, მაშინ ვარდით მყვოლე.
- ზნეობრივი ადამიანი ნებისმიერ დროს საკუთარი შინაგანი  
რწმენის თანახმად მოქმედებს.
- შემოქმედს ძალუძს ზეცამდე ამაღლდეს და ქვეყნის, ხალხისა  
და კაცობრიობის ჭირ-ვარამი თუ ნათელი მომავალი განჭვრი-  
ტოს.
- მეტწილად იმ ადამიანებს აქვთ აზროვნების უნარი დაქვეითე-  
ბული, რომლებიც წიგნთან უბრად არიან.
- ბედნიერება ყველას თავისებურად ესმის. სინამდვილეში კი  
რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ბედნიერად  
გრძნობს თავს.
- მიუხედავად ბუნებრივი თავშეკავებისა, ადამიანს მაინც ემჩნე-  
ვა სულიერი მღელვარება.

- პიარს თავისი დანიშნულება აქვს, მაგრამ არ შეიძლება, სხვა ყველაფერზე მეტი იყოს.
- ტრადიციულ ერში ყველა დღესასწაული ოჯახისა და ქვეყნის ერთიანობის იდეებს ეფუძნება.
- მიუხედავად ყოფითი პრობლემებისა, შემოქმედი ყოველ სამუშაო დღეს სულიერი კმაყოფილების გრძნობით ამთავრებს.
- მუსიკა, პოეზია და ფერწერა – სულის მუსიკაა.
- შემოქმედი ქმნის უნიკალურ სამყაროს, სადაც ყველასთვის ფართოდ არის კარი გახსნილი.
- ადამიანებს შორის სიყვარული ზეცაშია გადანყვებილი, მათი გზა ღმერთისგანაა გასხივოსნებული.
- უსამართლობის უნებლიე მონმე, რომელმაც მდუმარება არჩია, უკვე დანაშაულის თანამონაწილეა.
- ვისაც უნარი არ შესწევს თამაშიდან დროულად გასვლისა, სხვის თამაშში პაიკად გადაიქცევა.
- დიდი ადამიანის პორტრეტული შტრიხები ყველასთვის საინტერესოა.
- ვინც თანაგრძნობის უნარს კარგავს, ის ადამიანობასაც კარგავს.
- რწმენის გარეშე ცხოვრება აზრს მოკლებულია.
- გრანდიოზული კულტურის შექმნა დროის თვალსაზრისით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სხვა ნაწარმოებისა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ის განსაკუთრებული პიროვნებაა, ვისაც არავის ნაკვალევზე არ უვლია.
- ურთიერთობის ნორმალიზაცია განონასწორებული ადამიანების საქმეა.
- ადამიანი მიჰყვება და ემორჩილება ჟამთასვლას, ცვლილებებს განიცდის, იხვეწება და დროთა განმავლობაში თავად ქმნის დროის ტენდენციებს.
- ხელისუფლების წისქვილზე მედროვე ადამიანები ასხავენ წყალს. შეუძლებელია, ჭეშმარიტი შემოქმედი ხელისუფლების მეხოტბე გახდეს.
- ეროვნული ღირებულებებისადმი, ტრადიციისადმი ერის დამოკიდებულება უმტკიცესია.

- ადამიანების მომავალს განსაზღვრავს მათი არჩევანი და არა იღბალი.
- ზოგჯერ ხელისუფლება იმ კურსის საფრთხე თავად არის, რომლის განხორციელებისთვის თითქოსდა ძალ-ღონეს არ იშურებს.
- შემოქმედებითი და ინტელექტუალური შრომა შემოქმედის არსსა და შინაარსს წარმოადგენს.
- მხოლოდ თაღლითები როდი მიიჩნევენ ტყუილს პრესტიჟად. ტყუილი ადამიანების უმრავლესობისთვის ცხოვრების თანამგზავრია.
- სამართლიანობის გარეშე დემოკრატია, მშვიდობა და თავისუფლება ილუზიაა.
- სინმინდებთან უნმინდურების ბოგინი ბედის ირონიაა.
- რწმენა თითოეული ჩვენგანისა და ჩვენი სამყაროს განუყოფელი ნაწილია.
- მუზა და შთაგონება დაუპატიჟებელი სტუმარია, რომელსაც არ უყვარს უნიჭობთან და ნაცარქექიებთან სტუმრობა. იგი მხოლოდ მას ეწვევა, ვინც მას მოუხმობს და მას ელოდება.
- დაპირისპირების დროს მთავარია მოახერხო საომარი განწყობილების შენელება და შეძლო წყნარად, მოლაპარაკების გზით გადაჭრა სირთულეები.
- კარიერა აღიქმება, როგორც ცხოვრების შექმნისთვის აუცილებელი პირობა, მაგრამ იგი თვითონ კი არა ქმნის არაფერს, წარმატების სანინდარი თავად ადამიანია.
- მეცნიერის მამოძრავებელი ძალა ერუდიცია, პროფესიონალიზმი, ლოგიკა და ინტუიციაა.
- მხოლოდ ღვთიურ ადამიანს ძალუძს შეიტანოს ჰარმონია ფართო მასებში, მთელ სამყაროში.
- სიყვარულის გრძნობა სხვაზე ზრუნვის, ერთგულებისა და ამაგის შედეგია.
- ყოველგვარი განვითარების პროცესი ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროა.
- სიკეთე და ბოროტება, ბედნიერება და უბედურება ადამიანის ხელშია.

- განსაცდელს თუ ვერ გაუძლებ, ვერ გაძლიერდები და ვერც ბედნიერი იქნები.
- ცოდნა უდიდესი ძალაა, ცოდნის უკან ჭეშმარიტება დგას.
- სამყაროში ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა ადამიანის გონების მიერ განისაზღვრება. შესაბამისად, ადამიანის ინტელექტის დონეზეა ხვალინდელი დღის ბედი. თაობათა ცვლამ არ უნდა უარყოს ადამიანის გონების ყოველშემძლეობის ძალა. კაცობრიობის არსებობის ჰარმონიას რომ მივაღწიოთ, დიდი სიბრძნე გვმართებს.
- ადამიანების უდიდესი სიბრძნე ერთმანეთის დახმარებაა.
- იშვიათია, ჭეშმარიტი შემოქმედი სათანადოდ დაფასებული იყოს.
- რად ღირს მშვიდობა, თუ ის ჭეშმარიტებაზე არ არის დამყარებული.
- სიახლისკენ სისტემატური ცვალებადობა, სამყაროს განახლების პროცესია.
- ზოგჯერ ადამიანს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ამ უკიდევანო სამყაროში მისი ადგილი არსად იყოს.
- ბოროტი კაცის კეთილი საქმე ფარსია!
- როდესაც ადამიანს პირად ცხოვრებაში არ უმართლებს, სიყვარულის აღარ სჯერა.
- ქვეყნიერება მაშინ იგრძნობს შვებას, როცა ხალხს სამყაროს დასანახად გულის თვალი აეხილება.
- შემოქმედი იმ იშვიათი კოჰორტიდანაა, ვინც თავის ზეციურ, სულიერ დანიშნულებას შეიგრძნობს.
- ბოროტი ადამიანი სხვებს უმძიმებს და უნამლავს სიცოცხლეს, თავად კი ამით შვებას პოულობს.
- საყვარელ ადამიანთან ყოფნა სამოთხეა.
- ვინც ცდილობს შეიცნოს საკუთარი თავი, გაინმინდოს და უკეთესი გახდეს – ეს ღმერთისკენ მიმავალი გზაა.
- მორწმუნე ადამიანისა და თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედის რწმენას საზღვრები არა აქვს.
- ყოველი ახალშობილი ნმინდანია.

- სამყარო რაც უფრო მატერიალიზებული ხდება, ცდუნებაც მატულობს. ადამიანი მუდამ დიდი გამოცდის წინაშე დგას.
- ის, ვინც ქალებს გადაჭარბებულად აქებს ან ლანძღავს, მათ არც კარგად იცნობს და არც მათი ფასი იცის. ერთი რამ უდავოა: უქალებოდ ცხოვრება უაზრო და წარმოუდგენელია.
- შემოქმედის ქმნილებაში ნიჭის, მრავალმხრივი ცოდნისა და ღრმა აზროვნების დონე აირეკლება.
- რევოლუციას რევოლუციონერები და მათთან მიტმასნილი მასა ახდენენ, ხოლო ისჯებიან უდანამაულო და რიგითი ადამიანები.
- გაიძვერას თავი კაცად მოაქვს, თავად აშენდა და ჰგონია, სხვებიც დალხინებულები არიან.
- ხელისუფალთ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, თუ რა მოელით საბოლოოდ.
- ადამიანის ცოდნის უმაღლესი მიზანია სამყაროს შეცნობა და განვითარება და არა აღწერა.
- დედამინა ზეციდან ნათდება.
- დრო დიდი მასწავლებელია. ყოველი პიროვნების, მეტადრე შემოქმედისა და მეცნიერის უპირველესი მცდელობა იმისკენ არის მიმართული, რომ ამ ელვისებურად სწრაფმავალ დროს შექმნას ისეთი რამ, რაც კაცობრიობას სულიერად გაამდიდრებს და მარადიულობისკენ იქნება წილნაყარი.
- ადამიანური ცხოვრება მუდმივი სრულქმნის, მისწრაფებისა და სრულყოფის პროცესია.
- ბავშვების ყოვლისმომცველი სიყვარული ყველა თაობის ღრმა ადამიანობაზე მეტყველებს.
- ცხოვრებაში როლები ზოგჯერ თავისთავად იცვლება.
- შემოქმედის ქმნილებანი ცხოვრების რეზონანსულ მოვლენად უნდა იქცეს.
- სრულყოფილ პოლიტიკოსს ძალაუფლების ხიბლი ვერ მოერევა.
- სამართლიანი გამარჯვება ადამიანის ნიჭიერებისა და ცოდნის საზღაურია.
- სამართლიანობა და პრინციპულობა ჰუმანურობის გარეშე ფარსია.

- დამლუპველია, როცა ქვეყანა იმართება არა კანონებით, პირადი შეხედულებებისა და სურვილების მიხედვით.
- მერყევი მთავრობა დიდ რყევებს ვერ უძლებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი არა მხოლოდ მშობლიური ხალხის შვილია, იგი სხვა ერების კუთვნილებაც ხდება.
- ადამიანები ძალ-ღონეს არ უნდა იშურებდნენ, რათა არ დაირღვეს სამართლიანობის წონასწორობა.
- შემოქმედის ქმნილებაში ხელოვნურობისა და ზედაპირულობის ნიშანწყალიც კი არ უნდა იგრძნობოდეს.
- კაცთმოძულე ჯალათი ადრე თუ გვიან თავად ებმება თავის დაგებულ ხაფანგში.
- ღამის წყვდიადის შემდეგ იმედით სავსე დილა თენდება.
- რეგვენ და უტიფარ ოპონენტს ვერანაირად მიუდგები და მასთან ვერც ვერაფერს გააწყობ.
- ადამიანი სამყაროს განუმეორებელი და უნიკალური არსებაა. მისი არსებობის უპირველესი მიზანი ზნეობრივი სრულყოფისკენ სწრაფვაა.
- თვითკმაყოფილება ბადებს ტკბობის შეგრძნებასაც და შფოთსაც. ვინც ხშირად ფიქრობს საკუთარ თავზე, მას დეპრესია გარანტირებული აქვს, რაც აფერხებს სულის შინაგანი ძალის გამობრწყინებას.
- ხელოვნება უდიდესი ძალაა, იგი ერთნაირად სჭირდებათ მთელ პლანეტაზე, უფროსებსაც და ბავშვებსაც. მშვენიერია ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, ხოლო ის კი, ვინც მშვენიერების მწვერვალს მიაღწევს, ჭეშმარიტად ბედნიერია.
- სიკეთის გზა ვინრო და რთულია, მაგრამ, სამაგიეროდ, ზევით სავალი. ამ გზით უვლიათ გენიოსებს, გმირებს. სწორედ მათ შექმნეს, ააგეს და გარდაქმნეს სამყარო, სულიერად გაამდიდრეს კაცობრიობა, შექმნეს ინტელექტუალურ შესაძლებლობათა უმრეტობა. ადამიანის მთელი ღირსება სულიერება და აზროვნებაა.
- უნიჭო ადამიანები თითქმის არ არსებობენ. არიან ისეთები, რომელნიც თავიანთ საქმეს, მოწოდებას ვერ პოულობენ. ცხოვრებისეული გარემოებანი მათ უმრავლესობას საშუალებას არ აძლევს, სრულყოფილად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედე-

ბითი შესაძლებლობა. ნუ დავივიწყებთ, რომ დაბადებიდან ადამიანების უმრავლესობა პოტენციური შემოქმედი.

- ყოველ ახალშობილს დაბადებიდანვე მეტ-ნაკლებად დაჰყვება ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნიჭი. უნიჭობა თუ თანდაყოლილი ნიჭის განუვითარებლობა მეტწილად არასათანადო აღზრდის შედეგია.
- მართალია, იშვიათად, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არსებობენ ისეთები, ვისაც შემოქმედის ხმა – მუსიკა, პოეზია, ფერწერა გულს არ აუძგერებს.
- ბრძენკაცს თაობათა მიერ შექმნილი სიბრძნისა და სილამაზის უშრეტი წყარო ასაზრდოებს.
- როგორც მასწავლებელია, ისეთი სკოლაა და როგორც სკოლაა, ისეთი საზოგადოებაა.
- მხოლოდ სრული ჭეშმარიტებაა ნამდვილად ობიექტური.
- სიყვარული აბედნიერებს და აბრმავეებს კიდევ ადამიანს.
- წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეურაცხყო სინმინდევები, დაბინძურო გარემო, როცა ისინი ასე მშვენიერია!
- უძველესი კულტურის ხალხის სილიადე იმაშიც გამოიხატება, რომ ის კარჩაკეტილი არ ცხოვრობს, დინამიკურია, მუდმივად განიცდის პროგრესს.
- ისე არავინ უკარგავს და მატებს საკუთარ თავს ღირსებას, როგორც თავად ადამიანი.
- ადამიანებს უშურველად უნდა უბოძო საკუთარი ღირსება.
- ვინც დროს არ უფრთხილდება, არც დრო ზოგავს მას.
- ერთმანეთისგან გამიჯნული ხელისუფლება და ხალხი, გახლეჩილი საზოგადოება, სამყაროს თავზე დაქცევის ტოლფასია.
- შემოქმედი გულით ხედავს და გონებით განსჯის და ქმნის.
- ლამაზმანები ცხოვრებაში ზოგჯერ თვალდახელშეუა ზეზეურად ჭკნებიან.
- ხელოვანისგან განსხვავებით, მეცნიერი არ ქმნის ახალ სამყაროს, იგი სამყაროზე ახალ შეხედულებებს ქმნის.
- ერთი შეხედვით, სამყაროს ჭეშმარიტი არსი დაფარულია. მასში ჩაფლული განძეული შეიძლება აღმოჩენილ იქნას მხოლოდ



ადამიანის სიღრმისეული სულიერი და ინტელექტუალური ძალების მობილიზებით.

- ხელოვნება პროგრესულია იმიტომ, რომ იგი სუბიექტში ამკვიდრებს სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას, წარმოსახავს წინააღმდეგობებსა და მათი დაძლევის გზებს. ხელოვანის, მეცნიერის და, საერთოდ, ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს განვითარება შეუძლებელია წინააღმდეგობათა ფორმების გამოვლენისა და მათი დაძლევის მისწრაფების გარეშე.
- მეცნიერებაში შესაცნობი ობიექტის ჰარმონიის, სილამაზის აღქმის გრძნობა მეცნიერებას ხელოვნებასთან მის უმაღლეს გამოვლინებაში აახლოვებს. მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება ადამიანის ცხოვრების, მისი კულტურის საფუძველია, ყველა იმ მატერიალურ ღირებულებათა წყაროა, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია.

## **Guram Paatashvili**

### **The World of Maestro's Ideas**

#### **S u m m a r y**

The first and second parts of Guram Paatashvili's book "Pages of Life and Activity" have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paatashvili. The work contains a collection of his thoughts "The World of Maestro's Ideas". The book is intended for a wide circle of readers.

We are offering a passage from the second part of this book.

გამოცემაზე მუშაობდნენ: მაია ეჯიბია  
ნათია დვალი  
მარინა ჭყონია  
მარიამ ებრალიძე

Prepared for publication by: Maia Ejibia  
Natia Dvali  
Marina Chkonia  
Mariam Ebralidze

---

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

